

კოტე ჭრელაშვილი

ლინგვისტურ
მოკლავრებათა
ისტორია



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

УДК 800

ჰ 741

პროფ. კ. ჭრელაშვილის ნაშრომში მოკლედ არის მიმოხილული ენის შესახებ მეცნიერების ისტორიის ძირითადი პრობლემები ანტიკური ეპოქიდან XX საუკუნის დასაწყისამდე.

მეორე გამოცემაში უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხი.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე ლინგვისტიკის პრობლემებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი აკადემიკოსი თ. გამყრელიძე

რეცენზენტები: პროფესორი რ. ასათიანი

პროფესორი ლ. მელიქიშვილი

© თბილისის ენიურსიკეტიკის გამომცემლობა, თბილისი 2001

ჰ 4601000000
608(06) – 01

ISBN 99928-33-56-4

წინასიგყვაობა

მეცნიერების ყოველი დარგი განვითარების ყოველ ეტაპზე ქმნის რაღაც მუდმივსა და ფასეულს, რომელიც მისი ევოლუციის შემდგომ საფეხურზე გარკვეულ როლს ასრულებს.

მეცნიერების ვერც ერთი დარგი ვერ განვითარდება მისი ისტორიის შესწავლის გარეშე. სინამდვილის მოუღენათა არსში ღრმად ჩაწედომა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ცნობილია ამ მოვლენათა წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები.

ნებისმიერი მეცნიერების ძირითადი ამოცანაა, აღმოაჩინოს ის კანონები, რომლებიც მოქმედებენ საკელევი ობიექტის შინაგანი განვითარების სფეროში, ხოლო მეცნიერებათა ისტორიების მიზანია, თანამიმდევრულად დააღაცოს ის ძირითადი კანონები და პრინციპები, რომლებიც წარმართავენ მეცნიერების განვითარებას. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებამ, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა ახალი მეცნიერების – მეცნიერებათმცოდნეობის ჩამოყალიბებას.

საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით. ისტორია არ უნდა შეღამაზდეს, არც უნდა შეკეთდეს ამა თუ იმ პოზიციის მიხედვით. ყოველად გაუმართლებელი და მეცნიერულად მიუღებელია საკუთარი თვალსაზრისის შეტანა ისტორიულ მოვლენათა ანალიზში, თუ გვინდა, რომ მეცნიერულ პოზიციებზე ვიღვთ. ყოველი მეცნიერების თეორია განხილული უნდა იქნეს იმ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში, რომელმაც ის წარმოშვა. ამგვარი ისტორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა მეცნიერული თეორიებისადმი, ბუნებრივია, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაზეც ვრცელდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ენათმეცნიერების ისტორია საჭიროა შევისწავლოთ არა ენათმეცნიერების ისტორი-

ისათვის, არამედ თანამედროვე ლინგვისტური თეორიების უფრო ღრმად შესწავლისა და განვითარებისათვის. ენათმეცნიერების ისტორიის ცოდნის გარეშე გაჭირდება ლინგვისტიკის თანამედროვე აქტუალური თეორიული პრობლემების დამუშავება და გადაწყვეტა.

ენათმეცნიერების ისტორიისა და ენის თეორიის შინაგანი კავშირის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. აი, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ენათმეცნიერი ს. კაცნელსონი: „ენათმეცნიერების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის თეორიასთან. გარკვეული ამრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ორივე მეცნიერებას საქმე აქვს ერთი და იმავე ობიექტის სხვადასხვა ასპექტთან. ორივე აღნიშნული მეცნიერება პირდაპირ თუ ირიბად ამოიზარდნენ ენის შემეცნების სოციალურ-ისტორიული პროცესის საფუძველზე... ენათმეცნიერების ისტორიის შინაგანი კავშირი ენის თეორიასთან შეცნობილია მეცნიერებაში დიდი ხნის წინათ, თითქმის ენათმეცნიერების წარმოშობის მომენტიდან, როცა ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დისციპლინად“ (37,5).

თეორიულ ამროვნებას კი, როგორც ეს ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც პრაქტიკული ცხოვრებისათვის, ასევე ემპირიული მეცნიერების განვითარებისათვის.

ჭეშმარიტი თეორიული ამროვნება გზას უნათებს სპეციალური მეცნიერების განვითარებას და ეხმარება მას წმინდა ემპირიზმის დაძლევაში. ამდენად თეორიული ამროვნების „ნიჭის“ განვითარება მკვლევარს გზას უხსნის კონკრეტული მეცნიერების რთული პრობლემატიკის კვლევა-ძიებაში. „ეს ნიჭი, წერს ფ. ენგელსი, უნდა განვითარდეს, ჩამოყალიბდეს“ (6, 32).

აქედან გამომდინარე სავსებით გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თეორიული ამროვნების ისტორიის

შემსწავლელ მეცნიერებას საერთოდ და კონკრეტულ შემთხვევაში კი ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიას.

ენათმეცნიერების ისტორია აცნობს სტუდენტებს ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს და სკოლებს, ცნობილ ლინგვისტთა თეორიულ კონცეფციებს და მოღვაწეობას, მათი კვლევის მეთოდოლოგიას.

„ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ კურსი ძირითადად შედგენილია რუსულ ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. გათეალისწინებულია აგრეთვე ქართულ ენაზე არსებული შესაბამისი ლიტერატურაც. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული გვაქვს პირველი წყაროებიც. ნაშრომს არა აქვს პრეგენზია არც სისრულისა და არც ორიგინალობის თვალსაზრისით. ის ძირითადად გათეალისწინებულია თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის როგორც საუცკურსი, რომელსაც ავგორი კითხულობს 1968 წლიდან.

რამდენადაც აღნიშნული ნაშრომი გამიზნულია ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტებისათვის, ჩვენ მას დაეურთეთ ერთი პაგარა თავი „ქართვლოლოგიის სათავეებთან“, სადაც მოკლედ მიმოხილულია ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორია XVIII საუკუნის დასასრულამდე.

ამ ნაშრომის გამოქვეყნების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით მოკრძალებული სურვილით – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და სსეა დაინტერესებული მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ქართულ ენაზე „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ ელემენტარული კურსი.

ასეთი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. ბუნებრივია, ის დაზღვეული ვერ იქნება შესაძლებელი ხარვეზებისაგან. კეთილი განზრახვითა და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე შენიშვნებს ავგორი მაღლიერების გრძნობით მიიღებს.

„ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ საგანი და ამოცანები

ყველაზე დიდი საოცრება, რაც კაცობრიობას შეუქმნია თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე არის ენა. ენა ის ფენომენია, რომელმაც ადამიანი გამოყო ცხოველთა სამყაროსაგან და ამით დასაბამი მისცა მსოფლიოს დღევანდელ სახეს თავისი სულიერი და მაგერიალური კულტურის გრანდიოზული განვითარებით. ენამ შექმნა ადამიანი როგორც გონიერი მოაზროვნე არსება. „არც მიწისქვეშ მფრინავი სტიქიონები, არც ვარსკვლავეთის ეტლი მე ისე არ მათებს როგორც ენის ფენომენი. რომელმა ზენარულმა გონებამ შექმნა ენა, უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიოს ენები? ენით წვდება ადამიანის გონება ყოველივეს, სამყურა ბალახიდან დაწყებულს ვიდრე ვარსკვლავების ლეგიონებამდის“, – წერს ენის ფენომენის არსითა და მისი გენეზისით გაოცებული კონსტანტინე გამსახურდია.

მაგრამ, თუ ენამ შექმნა ადამიანი როგორც გონიერი არსება და საზოგადოების წევრი, მეორე მხრივ, ადამიანმა, ადამიანთა საზოგადოებამ შექმნა ენა. ადამიანთა კოლექტივის გარეშე ენა ვერც წარმოიქმნებოდა და ვერც იარსებებდა. ამდენად, ენის არსებობა გულისხმობს საზოგადოებას, საზოგადოებისა – კი ენას. ეს ორი ფენომენი დიალექტიკურ ერთიანობაში გვევლინება.

ამგვარად, ენა თანამედროვე კაცობრიობის მაღალი და მრავალფეროვანი ცივილიზაციის ქვაკუთხედი, მისი არსებობისა და განვითარების უმრეგი წყაროა. ბუნებრივია, რომ მოაზროვნე ადამიანებმა უძველეს დროშივე იგრძნეს ენის ეს უდიდესი როლი კაცობრიობის მაგერიალური და სულიერი ცხოვრების შექმნასა და განვითარებაში. ამიგომ, როცა მათ სამყაროს შეცნობის მოთხოვნილება გაუჩნდა,

მასთან ერთად ენის წარმოშობის, მისი რაობის პრობლემაც დაისვა. გაეიხსენოთ თუნდაც ბიბლიური მითები ენის წარმოშობის შესახებ.

ამდენად, ამროვნება ენის შესახებ სათავეს იღებს კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე. ამეამად მეცნიერებათა სხვა დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ენათმეცნიერებას (ლინგვისტიკას), რომლის კვლევის ერთადერთი ობიექტი არის ენა – კაცობრიობის ცივილიზაციის საფუძველი და მისი არსებობის ერთადერთი პირობა.

ენათმეცნიერება განეკუთვნება საზოგადოებრივ (ჰუმანიტარულ) მეცნიერებათა რიგს. ენათმეცნიერება კომპლექსური მეცნიერებაა. მასში პირობითად გამოყოფენ კერძო და ზოგად ენათმეცნიერებას.

ზოგადი ენათმეცნიერება თეორიული დისციპლინაა და სწავლობს ენათა ზოგად თავისებურებებს: იკვლევს ენის ბუნებასა და რაობას, ენის წარმოშობის პრობლემას და მისი განვითარების ზოგად კანონებს, ამუშავებს ენათა კვლევის მეთოდებს და სხვა.

„ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია“ თეორიული დისციპლინაა. ამიგომ ლოგიკურია, რომ ენათმეცნიერების ისტორიასა და თეორიულ ენათმეცნიერებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. თუ ზოგადი ენათმეცნიერება მიზნად ისახავს, იკვლიოს ენის არსი და როლი ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ენის განვითარების ზოგადი კანონზომიერება და კვლევის მეთოდები, ენათმეცნიერების ისტორია იძლევა ენობრივი ფენომენის თეორიული გააზრებისა და შემეცნების პროცესის ობიექტურ ანალიზს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია ალაგებს ენათმეცნიერების ძირითად მიმართულებებსა და სკოლებს, ახასიათებს გამოჩენილ ენათმეცნიერთა შეხედულებებს, მათი

კვლევის მეთოდიკას და იმ წელიწადს, რომელიც მათ შეიგანეს ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში.

უფრო რომ დავაბუსგოთ: ენის, როგორც ენათმეცნიერების კვლევის ობიექტის, უფრო ღრმად და ფართოდ შესწავლასთან დაკავშირებით, ენის ზოგადი პრობლემების შესახებ არსებული თეორიული შეხედულებები იცვლება. თეორიული კონსეფციების ცვალებადობა კი იმას ნიშნავს, რომ მათ, ე.ი. ენის შესახებ თეორიებს თავისი ისტორია აქვს. ენობრივი თეორიები რომ არ იცვლებოდეს, მაშინ არც ენათმეცნიერების ისტორია გვექნებოდა. ენათმეცნიერების ისტორია ეს არის ენის განვითარების, ენის არსის, მისი სტრუქტურის შესახებ არსებული თეორიების განვითარების ისტორია. ენათმეცნიერებას ისტორია არ ექნებოდა, ის თავის საგანს უფრო და უფრო ღრმად რომ არ სწავლობდეს. ემპირიული მეცნიერების ობიექტის საიდუმლოებაში შეჭრა და დადგენა იმ კანონზომიერებებისა, რომლებიც ამ საგნის არსს განსაზღვრავს, შინაგან დაეჭირება შესაბამისი თეორიული და მეთოდოლოგიური მეცნიერების განვითარებასთან, თავის მხრივ კი, თეორიულ-მეთოდოლოგიური მეცნიერების განვითარება დამოკიდებულია ემპირიული მეცნიერების განვითარებაზე. ახალ-ახალი ემპირიული მასალის მეცნიერული დამუშავების კვალდაკვალ იცვლება თეორიული სისტემები, თეორიული პოსტულატები. თეორია არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ფუნდამენტი. ის იცვლება, ვითარდება და მიიღტვის აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ.

ეს უნივერსალური დებულებაა და, ბუნებრივია, ის ვრცელდება ლინგვისტურ თეორიებზეც. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“, როგორც მეცნიერებათა ერთ-ერთი დარგის, არსებობას.

ამრიგად, ენათა ზოგადი პრობლემების შესახებ არსებული მეცნიერული თეორიების ისტორია არის „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ ობიექტი. ამ თეორიების

სისტემაში მოყვანა და მათი ქრონოლოგიური ანალიზი არის „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ ფუნდამენტური ამოცანა.

ენათმეცნიერების ისტორიის ობიექტის ზემოთ წარმოდგენილი განმარტება, თავის მხრივ, სუამს ერთ კითხვას, რომელიც პასუხს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ თეორიულ ენათმეცნიერებას, როგორც ეს მიღებულია სათანადო ლიტერატურაში, საფუძველი ეყრება XIX საუკუნის დასაწყისში (1816 წ.). ამაზე ადრე გამოქვეყნებული ნაშრომები ემპირიული ხასიათისაა და ამდენად ეერ შეკლენ „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ კვლევის სფეროში. ამგვარი დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობს ენათმეცნიერების ისტორიის ობიექტის ზემოთ წარმოდგენილი გაგებიდან,

ამისდა კვალად, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს კიდევ, რომ ენის შესახებ მეცნიერება აღმოცენდა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც შემუშავდა ინდოევროპული ენების კვლევის კონკრეტული მეთოდიკა და თეორიული პრინციპები. აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, ენათა შესწავლის მთელი წინა პერიოდი წარმოადგენს წინარემეცნიერულს და მას რაიმე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ენის შესახებ თეორიული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

მართალია, ენათა ისტორიულ-შედარებით ასპექტში კვლევა და ამ მეთოდით მათი გენეტიკური ნათესაობის დადგენა უდიდესი შენაძენია ლინგვისტიკის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ამით დაწყება ენის შესახებ მეცნიერული აზროვნების ისტორიისა, უფიქრობთ, არ იქნება გამართლებული.

უდავოა, რომ ძველმა ინდურმა, კლასიკურმა, არაბულმა და ევროპულმა (XIX საუკუნემდე) გრამატიკებმა მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლინგვისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ფაქტობრივად

აღნიშნული პერიოდის გრამატიკული ნაშრომებით ჩაეყარა საფუძველი ენის შესახებ მეცნიერებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერების ისტორიის ე.წ. „წინარემეცნიერულ“ პერიოდში დამუშავდა ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორცაა ენის წარმოშობა, მეტყველების ნაწილებისა და წინადადების წევრების დადგენა, სიტყვის და მისი მნიშვნელობის ურთიერთმიმართების პრობლემა, ლოგიკური და გრამატიკული კატეგორიების თანაფარდობა...

მართალია, XIX საუკუნის წინა პერიოდში თეორიული ხასიათის ნაშრომები არ დაწერილა, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი ემპირიული გამოკვლევა იმპლიციტურად ემყარება რაიმე თეორიულ-მეთოდურ პოსტულატებს, რომლებიც ავტორს, შესაძლებელია, გაცნობიერებული არ ჰქონდეს, ანდა გაცნობიერებულიც ჰქონდეს, მაგრამ ნაშრომში ის მას ექსპლიციტურად არ გადმოსცემს. კვალიფიცირებული მკითხველი კი ადვილად ამოიცნობს იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლებიც წარმართავენ კვლევით პროცესს ამა თუ იმ აღწერით გამოკვლევაში... სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, ვილაპარაკოთ ენათმეცნიერების ისტორიის ე.წ. „წინარემეცნიერული“ პერიოდის ლინგვისტურ თეორიებზე, თუნდაც, მაგალითად, სახელდების თეორიაზე ანტიკურ ფილოსოფიაში.

აქედან გამომდინარე, „ლინგვისტური მოძღვრების ისტორიის“ დაყოფა მეცნიერულ და წინარემეცნიერულ პერიოდებად საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ენათმეცნიერების ისტორიის ორ პერიოდად დაყოფას მაინც ეერ გამოერიცხავთ, ოღონდ ეს პერიოდები უნდა კვალიფიცირდებოდეს სხვა კრიტერიუმებით და არა „მეცნიერული“ და „არამეცნიერული“ გერმინებით. ერთი სიტყვით, უდავოა, რომ ორივე პერიოდის ლინგვისტური გამოკვლევები თანაბრად განეკუთვნება ენის შესახებ მეცნიერებას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება

არ გაეხსენოთ დიდი ფრანგი ენათმეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის მეგაღ საგულისხმო გამონათქვამები ბერძნულ-ლათინური გრამატიკების მეცნიერული ღირებულების შესახებ: „კლასიკურ გარმატიკას საყვედურობენ იმაში, რომ ის არამეცნიერულია, ნამდვილად კი მისი მეცნიერული ზაზა უფრო ნაკლებადაა გასაკრიტიკებელი, ხოლო მისი საგანი უფრო უკეთესად არის გარკვეული, ვიდრე იმ ლინგვისტიკისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბოპმა“ (45, 115).

ოლონდ, ერთი კია, რომ ლინგვისტური ამროვნების ისტორიის პერიოდიზაციას რა კრიტიკრიუმიც არ უნდა დაეუღოთ საფუძელად, სადემარკაციო ხაზად, ყუიქრობო, მაინც დარჩება რასმუს რასკისა და ფრანც ბოპის ფუნდამენტური გამოკვლევები ინდოეუროპული ენების გენეტური მიმართებისა და ისტორიის შესახებ. ამ ნაშრომებმა კი, როგორც ცნობილია, საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას ენათმეცნიერების ისტორიაში.

ჩენი ამრით, უფრო ლოგიკური იქნება ლინგვისტიკის ისტორია დავიწყოთ იმ მომენტიდან, როცა მოაზროვნე ადამიანებმა სინამდვილის სხვა მოვლენებიდან ენა გამოყვეს ცალკე ფენომენად და დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტად აქციეს ის.

ენის რთული სტრუქტურის თავდაპირველი და ყველაზე უაქიმი ანალიზი კი (ქვეცნობიერი ანალიზი), ალბათ, იმ პიროვნებას მიეწერება, რომელმაც სათავე დაუღო ფონოლოგიურ დამწერლობას. ამით კი, ნებსით თუ უნებლიეთ, საფუძველი ეყრება მეცნიერების დარგს – ენათმეცნიერებას (რა თქმა უნდა, ამ ამრის გარკვეული შეზღუდვებით).

აქედან დაწყებული ენის მეცნიერული შემეცნების პროცესი ზოგად ხაზებში ერთნაირია და უწყვეტი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, „ლინგვისტურ მოძღვრებათნ ისტორიის“ ობიექტი შეიძლება ასე განესამღვროთ: „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ ობიექტი არის ენის შესახებ მეცნიერების ჩასახვისა და მისი

შემდგომი განვითარების შინაგანი კანონზომიერების ობიექტური ანალიზი. „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ ამოცანაა მოახდინოს სისტემატიზაცია იმ თეორიებისა, რომლებიც ენათმეცნიერების განვითარების ისტორიულ პროცესში შეიქმნა და განმარტოს ისინი ეპოქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში, ხოლო მათი შეფასების დროს წინა პლანზე წამოსწიოს ის სიახლე, რომელიც მნიშვნელოვანია შესაბამისი ეპოქის მეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით. ამგვარი ისტორიული მიდგომა ენის შემეცნების პროცესისადმი საშუალებას მოგვცემს, მეცნიერებას შევუნახოთ წინა პერიოდის მეცნიერთა მიღწევები. ეს კი დაგვაზღვევს ისეთი პარადოქსებისაგან, რასაც ადგილი ექნებოდა მეცნიერებათა ისტორიის გარეშე. მხედველობაში გვაქვს ასეთი რამ: მოგჯერ ხდება ისე, რომ კრისთელ აღმოჩენილს ხელმეორედ „აღმოაჩინენ“, ანდა მოგ თვალსაზრისს მოძველებულად მიიჩნევენ და ივიწყებენ. შემდგომ კი ირკვევა, რომ ამ მივიწყებულ თვალსაზრისს გარკვეული წვლილი შეუტანია ენის შესახებ მეცნიერების განვითარებაში. ასეთ გაუგებრობას კი ადგილი არ ექნება, თუ მეცნიერებას გვერდში ამოუდგება თავისი ისტორიის მეცნიერულად დამუშავებული კურსი. მეცნიერების ვერცერთი დარგი ვერ განვითარდება წარმატებით თავისი ისტორიის გარეშე. მეტნაკლებად ხანგრძლივი თუ ხანმოკლე ისტორია კი მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია. მეცნიერების განვითარების უწყვეტ პროცესში იბადება ახალ-ასალი თვალსაზრისები, თეორიები, სკოლები და მიმართულებები, რაც ლოგიკური შედეგია ახალი ფაქტობრივი მასალის შემოქმედებითი ათვისებისა, კვლევისა და ძველი მიღწევების კრიტიკული გადაფასებისა და გააზრებისა. ყველაფერი ეს კი თავმოყრილი და სისტემაშია მოყვანილი „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში“.

ამგვარად, მეცნიერების ისტორიის შესწავლა, მეცნიერული ცნებების განვითარება ამდღერებს შემეცნების თე-

ორიას, და, მაშასადამე, თვითონ მეცნიერებას. ამაშია ძირითადი მეცნიერული მნიშვნელობა მეცნიერების ისტორიისა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენათმეცნიერების ისტორია იყოფა ორ პერიოდად: 1. XIX საუკუნის დასაწყისამდე და 2. შემდგომი პერიოდი. აღნიშნული ორი პერიოდის შიგნით შეიძლება გამოიყოს კიდევ ენათმეცნიერების განვითარების ეტაპები. ეს ეტაპებია: I. სახელლების თეორია ანტიკური ეპოქის ფილოსოფიაში. მართალია, სახელლების თეორია არ გულისხმობს ენის შესახებ სპეციალიზებულ ცოდნას, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებელია ენათმეცნიერების საგნისა და მისი განვითარების რიგ თავისებურებათა გასაგებად. II. ანტიკური და საშუალო საუკუნეების გრამატიკული გრადიციები. ამ ეტაპზე იქმნება გრამატიკული თეორიები, რომლებიც საფუძვლად ედება ენის სისტემურ აღწერასა და ენათა წესების გამოყენებას. III. უნივერსალური გრამატიკა, რომელიც ენათა სისტემების ერთიანობას აღიარებს. IV. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა. V. სტრუქტურული ლინგვისტიკა.

წარმოდგენილი „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ კურსიც აღნიშნული ეტაპების თანმიმდევრულ ანალიზზე იქნება აკებული.

ამგვარად, „ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ კურსი მოწოდებულია გააფართოს და გააღრმავოს სკულენგთა ზოგადლინგვისტური აზროვნება და ხელი შეუწყოს ენათა დამოუკიდებელი კვლევის ჩვევათა გამომუშავებას.

ლინგვისტური აზროვნების საწყისებთან

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ენის ლინგვისტური ანალიზი იწყება ფონოლოგიური სისტემის ერთეულთა დადგენით. კვლევის ეს ეტაპი არის ენის მეგად რთულ იერარქიულ სტრუქტურაში მეცნიერული ორიენტაციის აუცილებელი საწყისი პირობა.

ენის ფონოლოგიური ანალიზი მოითხოვს კვლევის მეტად ფაქიზ ალღოსა და სათანადო მეთოდოლოგიურ მომზადებას. აღნიშნული პირობის გარეშე შეუძლებელია გაბმული მეტყველების სეგმენტაცია ისეთ უმცირეს ელემენტებად, რომელთა შემდგომი სეგმენტაცია გამოირიცხულია. ამავე დროს ეს სეგმენტები ანუ ფონემები დისკინქციური ფუნქციის მქონენი უნდა იყვნენ.

ამგვარად, ენის რთული იერარქიული სისტემიდან ფონოლოგიური ქვესისტემის გამოყოფა და შემდგომ მისი დანაწევრება ფონოლოგიურ ერთეულებად ლინგვისტური ანალიზის მეტად რთული და არსებითი ეტაპია.

ფონოლოგიური სისტემის დანაწევრება შესაბამის ერთეულებად დაკავშირებულია დამწერლობის ანბანური სისტემის შექმნასთან..

დამწერლობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ფინიკიელებმა თავიანთი ანბანური დამწერლობა შექმნეს დაახლოებით XII-XI საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით, ხოლო ბერძნებმა, გარდგჰაუშენის აზრით, არაუადრეს XI საუკუნისა (ძვ. წ.ა.).

უძველესი ქართული წარწერა აღმოაჩინა ცნობილმა იგალიელმა არქეოლოგმა ვირჯილო კორბომ 1952-1953 წლებში პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად ქართული მონასტრის ნანგრევებში. მეცნიერთა აზრით, ე. კორბოს მიერ აღმოჩენილი წარწერა მიეკუთვნება V საუკუნის პირველ ნახევარს, და, ამდენად, დღემდე ჩვენთვის ცნობილ ყველა ქართულ წერილობით ძეგლზე უძველესია. ქართული ანბანური დამწერლობა მუსტად ასახავს ქართული ენის ფონოლოგიურ სისტემას. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანური დამწერლობის აეგორს არ გააჩნდა ის ლინგვისტური მომზადება, რომელიც საჭიროა ენის ფონოლოგიური სისტემის ფონემებად სეგმენტაციისათვის (ეს გასაგებიცაა). ბუნებრივია, ისმის კითხვა, საშ როგორ შეძლო მან, ჩაეგარებინა ის საოცრად მუსტი ფონეტიკურ-ფონოლოგიური ანალიზი ქართული ენისა,

რომლის შედეგადაც მივიღეთ მონუმენტური ასომთავრული დამწერლობა, სადაც თითოეული გრაფემა ასახავს დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულს.

უდავოა, იმ დროისათვის ამგვარი მუსტი ფონოლოგიური სეგმენტაცია უნდა მიეაწეროთ მშობლიური ენის ღრმა პრაქტიკულ ცოდნას, საოცარ ენობრივ ინტუიციასა და ალ-ლოს. უნდა ეივარაუდოთ, რომ ანბანური დამწერლობით გამოხატული ფონოლოგიური სეგმენტაცია ემყარება სისტემაში შემავალ ელემენტთა ქვეცნობიერ აღქმას.

საერთოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ანბანური დამწერლობის წარმოშობას წინ უძღოდა დამწერლობის სხვა სახეები (პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული), რომელთაც საფუძველი შოამშაღეს წერის ფონემატური დამწერლობისათვის.

მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ანბანური დამწერლობის შექმნით საფუძველი ეყრება ენის რთული იერარქიული სტრუქტურის ფონემატურ სეგმენტაციას, ხოლო ეს ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ფაქტი ლინგვისტური ამროენების ისტორიაში, ვფიქრობთ, შეიძლება მივიჩნიოთ საწყის ეტაპად მეცნიერების ამ ღარვის განვითარებაში.

მითები ენის შესახებ

ენის საიდუმლოების ახსნის შესახებ აზრი ადამიანებს უძველესი დროიდანვე აღეძრათ. ეპებდნენ პასუხს ენის წარმოშობის საკითხებზე, მსჯელობდნენ საგანთა სახელდების პრინციპებზე. ამ მიმართულებით ფიქრმა შექმნა ძველი ებრაული მითები ენის წარმოშობის შესახებ. შემდგომში ამ მითებმა ერთიანი ჩამოყალიბებული სახე მიიღო ბიბლიაში. ბიბლიის პირველ თავში ვკითხულობთ: „და უწოდა ღრმერთმან ნათელსა ღღე და ბნელსა უწოდა ღამე... და უწოდა სამყაროსა ცა... და უწოდა ღმერთმან კმელსა

ქვეყანამ და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა მღუებ“ (5, 1, 10). ხოლო ბიბლიის მეორე თავში ეკითხულობთ: „... და დავე-ჰბადა უფალმან ყოველი მხეცი ველისაჲ და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად და ყოველთა მშუენიერთა ცხოველთა, რომელიცა უწოდა ადამ, იგი არს სახელი მათი, რაჲჲი უწოდოს მათ... და ყოველი, რომელი უწოდა მათ ადამ სახელები ყოველთა საცხოვართა და ყოველთა მფრინველთა ცისათა და ყოველთა მხეცთა ქვეყანანისათა, ხოლო ადამს არა ეპოვა შემწე მსგავსი მისი“ (5,2, 19-20).

როგორც ვხედავთ, ენის წარმოშობის შესახებ ბიბლიაში ორი განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილი: პირველი თვალსაზრისის მიხედვით, „ღმერთმა უწოდა ნათელსა ღღე და ბნელსა უწოდა ღამე“, ე.ი. ისე როგორც მთელი სამყარო, ენაც ღმერთმა შექმნა, ღმერთია ყოვლის შემოქმედი და მათ შორის ენისაც. ხოლო მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანია ენის პირველი შემოქმედი, ადამიანის წინაპარმა ადამმა უწოდა სინამდვილის საგნებს სახელები.

როცა ბიბლიის ავტორები ენის წარმოშობაზე წერდნენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰქონდათ ებრაული, მაგრამ მათ მხედველობიდან არ გამორჩენიათ სხვა ენებიც. ბიბლიაში მრავალენიანობა ასეა ახსნილი: წარდენის შემდეგ ადამიანებმა ჩაიღინეს საძაგელი, არგაგონილი საქმე. მათ გადაწყვიტეს ისეთი სიმაღლის კოშკი აეგოთ, რომელიც ცას მისწვდებოდა, რათა ღმერთთან ასულიყვნენ. ღმერთი კი ამას როგორ დაუშვებდა და მიიღო გადაამწყვეტი მომები: მან აურია მომუშავე ადამიანებს ენები, რამაც სრული გაუგებრობა გამოიწვია მშენებლებში და ბოლოს ჩაშალა მათი წამოწყება.

ასე წარმოიშვა სხვადასხვა ენა ბიბლიის მიხედვით.

რა თქმა უნდა, ენის თუ ენათა წარმოშობის ამგვარ მითოლოგიურ ახსნას. არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან, მაგრამ აქ მთავარი პრობლემის ახსნა კი არ არის,

არამედ დასმა. ამიგომ ბიბლიური ლეგენდები ენის თუ ენათა წარმოშობის შესახებ, მიუხედავად მათი აშკარა მითოლოგიური არსისა, ვარკვეულ ყურადღებას იმსახურებს და ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ.

ბერძნულ-რომაული ლინგვისტური მოძღვრება

სრულიად სხვა გზით წარიმართა ენობრივი პრობლემების კელევა ძველი მსოფლიოს ორ ცივილიზებულ სამყაროში – ბერძნულ-რომაულსა და ინდოეთში. აღნიშნულ ქვეყნებში ამროვნება ენის შესახებ მეცნიერულ საყრდენს ეძებს.

საკუთრივ ბერძნული ლინგვისტური ამროვნების ჩასახვა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს რომაულ ლინგვისტურ ამროვნებას. ეს უკანასკნელი პირველის საფუძველზე აღმოცენდა და მის გაგრძელებას წარმოადგენს.

ამგვარად, ბუნებრივია, რომ ბერძნული ლინგვისტური ამროვნების განვითარების ისტორიის განხილვა წინ უძღვის რომაული და ინდური ამროვნების ისტორიის ანალიზს.

ბერძნული ლინგვისტური ამროვნების ისტორიაში ორ პერიოდს გამოყოფენ: ფილოსოფიურსა და გრამატიკულს ანუ ალექსანდრიულს.

ფილოსოფიური პერიოდი

ბერძნული ლინგვისტური ამროვნების პირველ პერიოდში ენობრივ პრობლემებს ფილოსოფიურ ასპექტში განიხილავდნენ. ამის შესაბამისად, ენათმეცნიერული საკითხები შედიოდა ფილოსოფიურ საკითხთა ზოგად კომპლექსში, როგორც მისი შემადგენილი ნაწილი, და მუშავდებოდა ფილოსოფოსების მიერ.

ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელმაც ფილოსოფოსთა ყურადღება მიიქცია, იყო სიგყვისა და მისი მნიშ-

ენელობის, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართების საკითხი.

საკითხი ასე იდგა: როგორ გავიგოთ კავშირი სახელსა და საგანს შორის? როგორია ამ კავშირის ბუნება? საგნის სახელი საგნის ბუნებით არის განპირობებული თუ შემთხვევითია ის მის მიმართ, პირობითია.

იმის მიხედვით, თუ როგორი პასუხი გაიცა ამ კითხვაზე, შეიქმნა ორი თეორია. ერთი თეორიის მიხედვით, საგნის სახელი საგნის ბუნებით არის განპირობებული. ამ თეორიას ბუნებით (Phusei) თეორიას უწოდებენ (ამ სახელწოდებითაა ის ცნობილი ენათმეცნიერების ისტორიაში). მეორე თეორიის მიხედვით კი საგნების სახელები პირობითია, გარეგანია საგნის ბუნებისადმი. სახელი არ ასახავს საგნის თვისებას, მის არსს. ეს თეორია ცნობილია თესეის (Thesei – დადგენა) სახელწოდებით.

ჰერაკლიტე (540-480) ამტკიცებდა, რომ ყოველი სახელი განუყრელად არის დაკავშირებული იმ საგანთან, რომლის აღმნიშვნელიც ის არის. სახელებში, ამბობდა ფილოსოფოსი, მოცემულია საგნის არსი, სახელი გამოხატავს ნივთის ბუნებას ისე, როგორც, მაგალითად, ჩრდილი შესაბამის საგანს, ან კიდევ მდინარეში არეკლილი ხეები და შთები. აქედან გამომდინარე, საგნის სახელის შესწავლა დაგვეხმარებაო ამ საგნის არსის შეცნობაში.

ამგვარად, ჰერაკლიტე იცაუდა ე.წ. ფუსიეს თეორიას.

ანტიკური ეპოქის ცნობილი მოაზროვნე-მაგერიალისტი დემოკრიტე (460-370) თესეის თეორიას იცაუდა. ის ამტკიცებდა, რომ საგნებს სახელები დაერქვათ არა მათი ბუნების, თვისების მიხედვით, არამედ დადგენით, ჩვეულების მიხედვით. მისი აზრით, სახელი არ გამოხატავს საგნის ბუნებას. თავისი თვალსაზრისის სასარგებლოდ მას მოჰყავდა შემდეგი არგუმენტები: 1. ხდება ისე, რომ ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული საგნები ენაში აღინიშნებიან ერთი სახელით (დემოკრიტეს მხედველობაში აქვს

ომონიმები). სახელი რომ საგნის ბუნებით იყოს განპირობებული, მაშინ ასეთ მოვლენას ადგილი არ ექნებოდაო, ფიქრობს ფილოსოფოსი. 2. ენაში გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთაც სრულიად განსხვავებული ფონეტიკური შედგენილობა აქვთ, ხოლო მნიშვნელობა – ერთნაირი (იგულისხმება სინონიმური სიტყვები). ეს ფაქტი კი ფუსიეს თეორიის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. 3. ენაში მოგჯერ საგანს სახელი ეცვლება; ეს კი არ მოხდებოდა, სახელი რომ საგნის ბუნებით იყოს განპირობებული. 4. სინამდვილეში არსებობს ისეთი ცნობებიც რომელთა აღსანიშნავად ენას არ გააჩნია სიტყვა, ე. ი. სიტყვები უფრო ნაკლებია, ვიდრე ცნებები.

მაშასადამე, ასკენის ფილოსოფოსი, ერთ შემთხვევაში სიტყვები არასაკმარისია (ომონიმები), მეორე შემთხვევაში სიტყვები ზედმეტია (სინონიმები), მესამე შემთხვევაში სიტყვები ცვალებადია, ხოლო მეოთხე შემთხვევაში ენას საერთოდ არ გააჩნია ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები.

ასეთი ვითარება, დემოკრიტეს აზრით, გამოწვეულია ადამიანთა არასრულყოფილი ენობრივი შემოქმედებით. ამდენად, აქ საგნის ბუნება არაფერ შუაშია, – ასეთია მისი დასკვნა.

დემოკრიტეს თეორიაში ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

დემოკრიტე ამოდის თავის მაგერიალურ-აგომისტური თეორიიდან, და ამტკიცებს, რომ როგორც საგანი შედგება აგომებისაგან, ისე სიტყვაც შედგება ასოებისაგან (ბგერებისაგან). ერთი ასოს (ბგერის) შეცვალა იწვევს სიტყვის შეცვლას, ისე როგორც აგომთა შედგენილობაში ცვლილება იწვევს თვით საგნის შეცვლას. ცალკეული აგომებისაგან იქმნება ნივთი, საგანი, ხოლო მარტივი საგნებისაგან – რთული საგნები. ასევეა ენაშიც: ასოებისაგან (ბგერებისაგან) იქმნება მარცვალი, ხოლო მარცვლისაგან – სახელები.

თავის მხრივ, მეტყველებაც (logos) შედგება თავისებური ატომებისაგან: სახელის, გამოთქმისა და წინადადებებისაგან.

ენობრივ ერთეულია სგრუქტურასა და საგანთა სგრუქტურას შორის ამგვარი პარალელის გაყლება გარკვეულ ინტერესს იწვევს და თავისი დროისათვის ეს თეორია, ბუნებრივია, პროგრესული, დადებითი მოელენა იყო.

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ დემოკრიტეს პოზიცია ამ ორი თეორიის მიმართ მაინც თავისებურია. საქმე ის არის, რომ დემოკრიტე წარმოშობის მიხედვით სიგყვებს ორ ჯგუფად ყოფს: პირველად და მეორად სიგყვებად. ამგვარი დაყოფა ქრონოლოგიურ პრინციპს ემყარება.

პირველადი სიგყვები წარმოიშვნენ ბუნებრივი ვზით, საგანთა შემოქმედებით ადამიანზე, ამიგომ ისინი საგნის ბუნებას ასახავენ. ამ ჯგუფის სიგყვები, დემოკრიტეს განმარტებით, „სმიერ გამოსასულებას“ (звучащее изображение) გვაგონებენ, ისინი საგნის ბუნების ბგერობრივ გამოსასულებას წარმოადგენენ (34, 120).

რაც შეეხება რთულ სიგყვებს, რომლებიც ენის განვითარების მომდევნო პერიოდში შეიქმნენ, ფილოსოფოსის აზრით, ისინი ხელოვნურადაა შედგენილი და აქვთ „პირობითი“ მნიშვნელობა.

ერთი შეხედვით, დემოკრიტეს თოთქოს შუალედური პოზიცია უკაყია ორივე თეორიას შორის, მაგრამ სინამდვილეში მან თავისებურად განავითარა ანტიკურ ეპოქაში შექმნილი სახელდების თეორიები. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრიტემ ენის შესახებ თავის თეორიაში ერთგვარად გააერთიანა ორივე – თესეისა და ფუსიეს – თვალსაზრისი, მაგრამ საბოლოო ჯამში უპირატესობას მაინც თესეის თეორიას ანიჭებს (26, 60). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრიტეს თეორიის მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი მისი სახელდების თე-

ორიის შესახებ და იძლევიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს (34, 119).

საერთოდ, ძვ. წ. V საუკუნეში გამოჩენილ ბერძენ მოაზროვნეებთან დაკავშირებით როცა დგება საკითხი – ვინ რომელი თეორიის (ფუსიეს თუ თესეის) მომხრე იყო, ერთგვარი სიძნელეები იჩენს თავს. ერთი კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მოაზროვნეთა შორის, რომლებიც სახელსა და საგანს შორის კავშირს განიხილავენ, როგორც პირობითს, პირველ რიგში უნდა დასახელდეს დემოკრიტეს სახელი.

პლატონი (427-347). ლინგვისტური ამროვნების ისტორიის თვალსაზრისით, პლატონის ნაშრომებიდან ყველაზე მეტად ფასეულია მისი დიალოგი „კრატილი“. მართალია, „კრატილის“ ძირითადი პრობლემატიკა ფილოსოფიურია, მაგრამ მთელი მსჯელობა აგებულია ენობრივ მასალაზე. სათანადო ენობრივ მასალაზე მსჯელობის პროცესში პლატონი მეტად საინტერესო დაკვირვებებს იძლევა.



პლატონი

უნდა აღინიშნოს, რომ „კრატილი“ პლატონის ნაშრომთა შორის ერთ-ერთი რთული და ბუნდოვანი თხზულებაა. ამიგომბაა, რომ მის შესწავლა-განმარტებებს მრავალი შრომა მიეძღვნა. „კრატილის“ სირთულეს ხაზგასმით აღნიშნავს ფილოსოფიის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი ა. ფ. ლოსევი: „იმის გამო, რომ ამ დიალოგში მრავალი ბუნდოვანი ადგილია, ძნელია მისი ისეთი უნაკლო ანალიზის ჩატარება, რომ შემდგომ სერიოზული კრიტიკის ობიექტი არ ვახდეს ის“ (40, 59).

„კრატილის“ ყურადღების ცენტრში დგას საკითხი საგნისა და შესაბამისი სახელის ურთიერთმიმართების ხასიათის შესახებ. დიალოგს წარმართავენ სამი პერსონაჟი: კრატილი, პერმოგენი და სოკრატე. დიალოგი თავდაპირველად იმართება კრატილსა და პერმოგენს შორის. ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან. კრატილის აზრით, სახელი საგნის ბუნებით არის განპირობებული, თუმცა ის ამჩნევს ისეთ სახელებსაც, რომლებიც საგნის ბუნებას სულაც არ ასახავენ. ამ რიგის სახელებს კრატილი ნამდვილად სახელებად არ მიიჩნევს.

პერმოგენის აზრით, საგნებს სახელები ერქმევა შეთანხმებითა და ხელშეკრულებით. მისი რწმენით, არც ერთი სახელი არ შერქმეულა საგნის ბუნების თუ თვისების მიხედვით.

პერმოგენი და კრატილი კამათში ჩარევას სთხოვენ სოკრატეს. სოკრატე გამოხატავს დიალოგის აეგორის – პლატონის პოზიციას.

თავდაპირველად სოკრატე თითქოს კრატილის პოზიციას იცავს, რომლის მიხედვითაც სახელი შეესაბამება საგნის ბუნებას, სახელებს არქმევს ნომოტეგ-კანონმდებელი, რომელმაც იცის სახელის ბგერებსა და მარცვლებში როგორ აისახება საგნის ბუნება, თვისება.

ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ სოკრატე მიმართავს საკუთარ სახელთა „ეტიმოლოგიას“. მისი განმარტებით, მეფე ჰექტორის ეაფის სახელი – ასტიანაკს შედგება ორი ნაწილისაგან: ქალაქი (‘ΑΤΥΝ) და მეფე (ΑΥΑΞ), რაც სრულიად შეესაბამება მეფისწულს (32, 132).

გარდა აღნიშნულისა, სოკრატე იძლევა კიდევ მრავალი სიტყვის ეტიმოლოგიას, ხსნის მათ შინაგან ფორმას (იდეას) და ასახულებს სახელისა და საგნის, თანამედროვე გერმინებით რომ ეთქვათ, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის შინაგან კავშირს.

რა თქმა უნდა, სოკრატეს ეტიმოლოგიები შორს დგას თანამედროვე მეცნიერული ეტიმოლოგიებისაგან. სიტყვის გენეზისის რკვევა თავისუფალ სემანტიკურ-ფორმალურ ოპერაციებს ემყარება. უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ დიალოგის ეტიმოლოგიური ნაწილი პაროდირების ელემენტებსაც კი შეიცავს მისი თანამედროვე ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდების მიმართ. ამიტომ, მკითხველისათვის მთლად ნათელი არ არის სოკრატეს (პლატონის) პოზიცია. გაურკვეველია, ის მოჩვენებით უჭერს მხარს კრატილს თუ სინამდვილეში ირონიზებულა მისი თეალსამრისი.

დაბოლოს, სოკრატეს მსჯელობაში დგება ისეთი მომენტიც, როცა მას უჭირს ამა თუ იმ სიტყვის გენეზისის ახსნა (ასეთი სიტყვები ენაში უამრავი აღმოჩნდება). აქ სოკრატე გამოსავალს ხედავს იმაში, რომ უშეებს ენაში სიტყვათა ორ ჯგუფს – პირველად ანუ მარტივ და მეორედ ანუ ნაწარმოებ სიტყვებს (32, 133). სიტყვების ეს ორი ჯგუფი ქრონოლოგიურ მიმართებაშია ერთმანეთთან. მეორე ჯგუფის სიტყვები ნაწარმოებია პირველადი სიტყვებისაგან. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი: როგორ წარმოიშენენ „პირველი“, მარტივი სიტყვები? რა მიმართებაშია ეს სიტყვები შესაბამის საგნებთან და მოვლენებთან?

სოკრატეს აზრით, ამ რიგის სიტყვები წარმოიშენენ მიბაძვის გზით. საგნის გარკვეული თვისებები ასოცირდება ბგერებში. ეს ასოციაციები შესაძლებელია შემდგომში ქცეულიყო სიტყვის შექმნის სტიმულად.

როგორც ვხედავთ, აქ პლატონი მეტად ახლოს მიდის იმ პრობლემასთან, რომელსაც თანამედროვე ენათმეცნიერებაში ბგერით სიმბოლიზმს უწოდებენ. მაგალითად, ის ამბობს, რომ „რ“ მიაჩნია ყოველგვარი მოძრაობის გამოხატვის საშუალებად. ენის „კანონმდებელი“ ამ ბგერის წარმოქმნაში კარგად ხედავდა ენის მძლავრ მოძრაობას. „ი“

ბგერა გამოიყენებოდა თაეაზიანობის გამოსახატავად. პლაგონი ეხება სხვა ბგერებსაც.

პლაგონის ამგვარი მსჯელობა არ უნდა მივიჩნიოთ მთლად გულუბრყვილოდ თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც კი. „საკითხი ბგერასა და მნიშვნელობას შორის არანებისმიერი კავშირის არსებობის შესახებ იყო და რჩება გაუხველებული კამათის საგნად ლინგვისტიკაში“ (34, 134).

ბგერითი სიმბოლიზმის პრობლემა ამჟამად ინტენსიურად მუშავდება თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში.

მეცნიერთა აზრით, პლაგონს ეკუთვნის პრიორიტეტი ბგერებსა და საგანთა თვისებებს შორის ასოციაციური კავშირების არსებობის შესახებ იდეის წამოყენებაში. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია სხვა რამ. როგორც ვხედავთ, სოკრატე სერიოზულად უჭერს მხარს საგანსა და სახელს შორის შინაგანი კავშირის არსებობის თემისს. მაგრამ ბოლომდე რომ ჩავეყვით მსჯელობას, მის სახელდების თეორიაში აღმოვაჩინთ ახალ ეტაპს. საქმე ისაა, რომ მის მიერ დადგენილი ასოციაციები ბგერასა და საგნის ამა თუ იმ თვისებასთან ყოველთვის არ დასტურდება და მოჰყავს კიდევ შესაბამისი მაგალითები. ამის შემდეგ ის უკვე სკეპტიკურად აფასებს კრატილის თვალსაზრისს სახელისა და საგნის შინაგანი კავშირის შესახებ. სოკრატე კატეგორიულად უარყოფს კრატილის აზრს, რომლის მიხედვითაც საგნის შემეცნება შეიძლება სახელის შემეცნების საფუძველზე. მისი აზრით, სახელების მიხედვით, მათზე დაყრდნობით კი არ უნდა შევისწავლოთ საგნები, არამედ საგანი შეისწავლება მხოლოდ საგნის შინაგანი ბუნებიდან ამოსვლით (34, 135).

კლასიკური ფილოლოგიის გამოჩენილი მკვლევარი ი. მ. გრონსკი წერს: „დიאלოგი „კრატილი“ მიძღვნილია ენობრივი პრობლემებისადმი, მაგრამ მისი ძირითადი ამოცანაა, აჩვენოს, რომ სახელები არ წარმოადგენენ საგანთა შემეცნების

იარაღს. სახელთა კვლევა ვერ დაეხმარება აზრს, რომელიც მიისწრაფვის „მარადიულის“ შემეცნებისაკენ. პლატონს, როგორც ეს ხშირად ხდება მის დიალოგებში, მკითხველი მიჰყავს ჯერ მცდარი გზით. ის ასაბუთებს საგნის შემეცნების შესაძლებლობას სახელის მეშვეობით და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახელი გამოხატავს საგნის „იდეას“ „ასობისა“ და „მარცელების“ მეშვეობით. ამ აზრს ის აკონკრეტებს ეტიმოლოგიების მთელი სერიებით, რაც ხშირ შემთხვევაში პერიოდებსაც შეიცავს, და უმაღლეს წერტილს აღწევს ბერის სემანტიკის ატომისტური ჰიპოთეზის ვადმოცემაში: „სახელი წარმოადგენს საგნის ბუნების მიბაძვას. მაგრამ შემდგომი მსჯელობა აჩვენებს, რომ ყველა ეს დასკვნა მცდარია“ (34, 137).

ამრიგად, დიალოგი „კრატილი“ არის ძირითადი წყარო, სადაც ვადმოცემულია პლატონის შეხედულებები ენის შესახებ. თუმცა ცალკეული გამონათქვამები ენის ამა თუ იმ მოვლენაზე გვხვდება მის სხვა თხზულებებშიც.

არისტოტელე (384-322). ლინგვისტური მეცნიერება ისგორიულად ძირითადად ემყარება ბერძნულ და ლათინურ გრამატიკებს. ეს უკანასკნელნი კი არსებითად წარმოადგენენ წინა აზიისა და ეგვიპტის უძველესი კულტურის მემკვიდრეებს. ბერძნული დამწერლობა სათავეს იღებს სწორედ წინა აზიისა და ფინიკიური დამწერლობისაგან. ბერძნებმა მათგან ვადმოიღეს დამწერლობის გრაფიკული სისტემა და შექმნეს საკუთარი ენის დახვეწილი დამწერლობა. მათგან განსხვავებით, ხმოვნების აღსანიშნავადაც შექმნეს სპეციალური გრაფემები და წერა დაიწყეს ერთ ხაზზე – მარცხნიდან მარჯენივ.



არისტოტელე

ვ/ ბერძნული გრამატიკული მოძღვრების მეორე მნიშვნელოვანი ნიშანი ის არის, რომ აღმოცენდა პირდაპირ ფილოსოფიური გრაქტაგებიდან, თითქმის ყველა ფილოსოფიური სკოლა პეგ-ნაკლებად მუშაობდა ენის, სამწერლო ენის პრობლემებზე. როგორც ცნობილია, ინდურ ფილოსოფიას არავითარი წელილი არ მიუძღვის ინდოეთში გრამატიკული აზროვნების ჩასახვასა და განვითარებაში.

არისტოტელეს მდიდარ მემკვიდრეობაში, სადაც იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგი აისახა, არ მოიპოვება ენის პრობლემისადმი მიძღვნილი არც ერთი ნაშრომი. ლინგვისტიკის თეალსაზრისით საყურადღებოა ლოგიკის პრობლემათა კვლევასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები ენის ამა თუ იმ მოვლენებზე. არისტოტელემ ამ გამონათქვამებითაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ენის შესახებ აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს სიკყვის განმარტება. სიკყეა, არისტოტელეს აზრით, არის ჩვენს სულში მოცემული წარმოდგენის გამომხატველი, ხოლო დამწერლობა სიკყვის სიმბოლოა. სქემატურად ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: საგანი → წარმოდგენა → ბგერა → გრაფემა.

არისტოტელეს აზრით, თუ ენების მიხედვით სიკყეები განსხვავებულია ერთმანეთისაგან, სამაგიეროდ, საგანი და წარმოდგენა, რომელთაც ეს სიკყეები გამოხატავენ, ერთი და იგივეა. ეს ანგარიშგასაწევი აზრია. აქედან გამოდის სიკყვის როგორც ენობრივი ნიშნის ბილატერალური ხასიათი. ვარდა ამისა, ნიშანი არ არის მოტივირებული საგნით, რამდენადაც სხეადასხვა ენაში ნიშანი (სიკყეა) განსხვავებულია. ნიშნის პირობითობა სრულებითაც არ უმლის ხელს ენას, შეასრულოს თავისი საკომუნიკაციო ფუნქცია.

სიკყვის ლეფინიციის შემდეგ არისტოტელე სვამს საკითხს მისი მცდარობა-ჭეშმარიტების შესახებ. სიკყვისადმი

ამდაგვარი პოზიცია განპირობებულია ენისადმი ლოგიკის-
ტური მიდგომით. ენობრივი გამონათქვამი ხომ ლოგიკას
პირველ რიგში აინტერესებს მასში გადმოცემული აზრის
მცდარობა-ჭეშმარიტების თვალსაზრისით.

არისტოტელეს აზრით, სიგყვა თავისთავად არ შეიძ-
ლება ან ჭეშმარიტი იყოს, ან მცდარი, რადგანაც ჭეშ-
მარიტება და მცდარობა მხოლოდ სიგყვათა შეერთებით
შეიძლება გამოიხატოს.

აი, აქედან იღებს სათავეს ლინგვისტური და ლოგიკური
ცოდნა. თუ ჩვენ სიგყვათა შეერთებას ან „განცალკევებას“
განვიხილავთ მცდარობა-ჭეშმარიტების თვალსაზრისით,
მაშინ ლოგიკურ თვალსაზრისთან გვექნება საქმე, ხოლო,
თუ სიგყვებს განვიხილავთ თავისთავად, ჭეშმარიტებისა და
მცდარობის გათვალისწინების გარეშე, მაშინ ლინგვისტურ
პოზიციაზე აღმოვჩნდებით და საქმე გვექნება გრამატიკულ
ხელოვნებასთან.

არისტოტელემ პირველ თვალსაზრისზე დამყარებით გა-
ნაუთარა ლოგიკური მოძღვრება. გრამატიკული საკითხები
მან განიხილა იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო ლოგიკის
აუგებისათვის.

არისტოტელეს დამსახურება გრამატიკული აზროვნების
განვითრების ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანია. მარ-
თალია, მან ენობრივი საკითხები ლოგიკის ინტერესებიდან
ამოსვლით განიხილა, მაგრამ მის მსჯელობაში ენობრივი
ანალიზში მოცემულია ენობრივი ფორმების, ენობრივი
ერთეულების მეტად საყურადღებო კლასიფიკაცია, რაც
შემდგომ გამოიყენეს გრამატიკულ ლიტერატურაში. მაგა-
ლითად, არისტოტელემ შემოიტანა სახელის ცნება და მოგ-
ვეა მისი ასეთი განმარტება: „სახელი არის სიგყვა, რომელ-
საც თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, დროის გაგება კი არა
აქვს“ (34, 17). ან კიდევ: „ზმნა არის სიგყვა, რომელსაც აქვს
თავისთავადი მნიშვნელობა და დროს გამოხატავს, ზმნა
ყოველთვის სხვის შესახებ რაღაცას აღნიშნავს“ (35, 17).

ამრიგად, არისტოტელეს შემოაქვს სახელისა და გმნის ცნებები და იძლევა მათ დეფინიციებს. როგორც შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, არისტოტელე სახელსა და გმნას ერთმანეთისაგან მიჯნავს როგორც მსჯელობის სუბიექტსა და პრედიკატს. ეს სავესებით ვასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ არისტოტელეს პოზიციას ენობრივი მასალის შესწავლისადმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არისტოტელემ ენის გრამატიკული ანალიზისათვის შემოიტანა ორი მეტად მნიშვნელოვანი ცნება – სახელისა და გმნისა.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს აგრეთვე „ბრუნეის“ ცნების შემოტანაც სახელთა და გმნათა კატეგორიებითან დაკავშირებით. „ბრუნვაში“ არისტოტელე გულისხმობს სახელთა და გმნათა ირიბ ფორმებს. მაგალითად: კაცს, კაცის... ეკითხულობ, კითხულობ, კითხულობს...

არისტოტელე იძლევა სხვა გრამატიკულ ცნებებსაც: კავშირისა, არტიკლისა, მარცელისა...

როგორც ვხედავთ, არისტოტელემ გრამატიკულ ლიგურაგურაში შემოიტანა გარკვეული ცნებები და შესაბამისი ტერმინებიც, რომლებიც მეტნაკლები ტრანსფორმაციით გამოიყენეს შემდგომ წმინდა ლინგვისტურ კელევა-ძიებაში.

არისტოტელეს დაკვირვებები ენის შესახებ მიმოხილულია მის სხვადასხვა თხზულებაში („პოეტიკა“, „მეტაფიზიკა“...), სადაც დასმულია და განმარტებულია მრავალი ენობრივი საკითხი. არისტოტელეს დამსახურება ენათმეცნიერების წინაშე ეჭვს არ იწვევს. რიგ მკვლევართა აზრით, „არისტოტელეს მიერ მოცემული ენის აღწერა არის საწყისი ეტაპი ლინგვისტური სისტემის აგებისა“ (27, 95).

სტოელები: ჩვენ გვერდს ვერ აუვლით სტოელთა მოძღვრებას ენის შესახებ, რადგანაც „ენობრივ მოვლენათა შესწავლის საქმეში მათ შორს მოიგოვეს თავიანთი წინამორბედები, მათ შორის ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: პლატონი და არისტოტელე. ევროპის მეც-

ნიერულ გრადიციამი სტოელები გვეელინებთან ენის შესახებ მოძღვრების ნამდვილ ფუძემდებლებად“ (32, 181).

სტოელებმა შექმნეს დიდი ფილოსოფიური სკოლა ძველ საბერძნეთში. ამ სკოლის ფუძემდებელი იყო ძენონი (336-264), ყველაზე დიდი წარმომადგენელი კი – ქრიზიპე (280-207). მის შესახებ დიოგენე ლაერტი წერდა: „ღმერთებს რომ დიალექტიკისათვის მიეყოთ ხელი, ქრიზიპეს დიალექტიკას გამოიყენებდნენ“. იმავე დიოგენეს ცნობით, ქრიზიპეს 705 წიგნი დაუწერია, დღემი სისგემატურად – 500 პწკარი. ქრიზიპეს თავისი განსწავლულობით არისტოტელეს აღარებენ.

სტოელებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ენის შემეცნების განვითარებაში. მათ ენობრივი პრობლემების დამუშავება დაუახლოვეს გრამატიკულ ასპექტს. სტოელთა ფილოსოფიაში გარკვეულ ინტერესს იწვევს ალმნიშენელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართების პრობლემა. ამ მიმართულებით კვლევისას მათ შექმნეს სიმბოლოების „თეორია“, რომლის მიხედვითაც სახელი მიჩნეულია საგნის სიმბოლოდ. შემოიგანეს ცნებები: ალმნიშენელი და აღსანიშნი, ფორმა და შინაარსი. სტოელები ეძებენ კავშირს ფორმასა (სახელსა) და შინაარსს შორის. ამით ისინი თითქოს უბრუნდებიან სახელდების ბუნებით თეორიას, მაგრამ განსხვავებული ფორმით, კერძოდ, სტოელები პარალელს აეღებენ შინაარსისა და ფორმის სტრუქტურას შორის. ამგვარი ძიებით საფუძველი ეყრება ეტიმოლოგიური ძიების თავისებურ გაგებას. თუმცა მას საერთო არაფერი აქვს ეტიმოლოგიის თანამედროვე ენათმეცნიერულ გაგებასთან.

როგორც პლატონი „კრატილში“, ასევე სტოელებიც ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ „პირველად სიტყვებსა“ და მეორად ანუ პირველადი სიტყვებისაგან ნაწარმოებ სიტყვებს. მეორადი სიტყვები, მათი აზრით, ნაწარმოებია პირველადი სიტყვებისაგან ბგერითი ფორმისა და მნიშვნელობის შეცვლით და აგრეთვე სიტყვათა შეერთების გზით. სახელსა და საგანს შორის შინაგანი კავშირი დამახასი-

ათებულია მხოლოდ „პირველადი სიგყეებისათვის“, რომლებიც შექმნილია უძველესი ადამიანების მიერ. საყურადღებოა, რომ ეს უძველესი ადამიანები თავიანთი მნეობრივი, სულიერი და ინტელექტუალური თვისებებით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე სტოელთა თანამედროვე ადამიანები.

ვარდა აღნიშნულისა, სტოელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეტყეელების ნაწილთა კლასიფიკაციის, გრამატიკულ კატეგორიათა დაღენის და მათი სახელწოდების შექმნის საქმეში.

სტოელებმა თავდაპირველად გამოყვეს მეტყეელების 4 ნაწილი: სახელი, მზნა, კავშირი და არტიკლი. მეტყეელების ნაწილებს ისინი უკავშირებენ ფილოსოფიურ კატეგორიებს: სახელი – სუბსტანცია, მზნა – მდგომარეობა, კავშირი, არტიკლი – კავშირი.

უფრო გვიან მათ არსებითი სახელი გაყვეს საკუთარ და ზოგად სახელებად. ასე მიიღეს მეტყეელების 5 ნაწილი.

სტოელებმა გამოყვეს მეორე რიგის კატეგორიებიც: რიცხვისა და (სახელისა და მზნისა) სქესისა, ბრუნვისა (სახელთან), გეარისა და ღროისა (მზნაში). მათი დამსახურებაა ბერძნული ენის ბრუნების სისტემის ჩამოყალიბება. გერმინი ბრუნვა მათ ისესხეს არისტოტელესაგან, თუქმა ამ გერმინს მისცეს განსხვავებული შინაარსი. თუ არისტოტელესთან „ბრუნვა“ აღნიშნავდა სიგყვის (სახელისა და მზნისა) ირიბ ფორმებს, ე. ი. ამოსავალ ფორმათაგან განსხვავებულ ფორმებს, სტოელებთან „ბრუნვა“ გამოხატავს გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც მხოლოდ ბრუნებად სიგყვას, ე.ი. სახელს აქვს. სტოელებმა, არისტოტელესაგან განსხვავებით, სახელობითი ბრუნვის ფორმაც შეიტანეს ბრუნების სისტემაში. ბრუნვები გაყვეს პირდაპირ და ირიბ ბრუნებად. მათ მიერ შემოგანილი ბრუნვათა სახელწოდებანი საფუძელად დაედო სხვა ენებსაც. სტოელებმა გამოყვეს შემდეგი ბრუნვები: 1. სახელობითი ბრუნვა (პირდაპირი, ბუნებრივი ბრუნვა), 2. ნათესაობითი, 3. ბრალ-

დებითი, 4. წოდებითი. უკანასკნელ სამ ბრუნვას ირიბ ბრუნვებს უწოდებენ. საყურადღებოა, რომ სტოელები წოდებითს არ მიიჩნევენ სხვა ბრუნვების გოლფასად. ეს კი ქართული ენის გრამატიკის თვალსაზრისითაც საყურადღებო მინიშნებაა.

სტოელებმა დაამუშავეს აგრეთვე წინადადებათა გიჟების კლასიფიკაცია. ძირითად გიჟებად მიიჩნიეს თხრობითი წინადადება – აქსიომა (ἀξίωμα). თხრობითი წინადადება, განსხვავებით დანარჩენისაგან, შეიცავს ჭეშმარიტებას ან მცდარობას: „აქსიომა არის ისეთი წინადადება, რომელიც ან მცდარია, ან ჭეშმარიტი“ (34, 202). ამის გარდა სტოელებმა გამოყვეს კითხვითი წინადადების ორი გიჟი. მხედველობიდან არ გამორჩენიათ არც ბრძანებითი წინადადება და კიდევ ზოგიერთი სხვა გიჟის წინადადებებიც, რომლებიც პირველთაგან განსხვავდებიან გამონათქვამის მიზნის მიხედვით.

წინადადებათა მოცემული კლასიფიკაცია ემყარება არა ფორმალურ-გრამატიკულ, არამედ აზრობრივ, სემანტიკურ კრიტერიუმებს. სტოელებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ არც რთული წინადადებები. ამ გიჟის წინადადებასა გამოყოფითა და გამოკვლევით „სტოელებმა სათავე დაუდეს რთულ წინადადებათა გიჟების შესწავლას“ (ი. გრონსკი).

ამგვარად, სინტაქსურ მოვლენათა შესწავლის საქმეში სტოელთა მიღწევა მეტად მნიშვნელოვანია.

ალექსანდრიული პერიოდი

ბერძნული ლინგვისტური აზროვნების ისტორიის (ანტიკურ ეპოქაში) მეორე პერიოდს უწოდებენ ალექსანდრიულ პერიოდს. ალექსანდრიულს უწოდებენ იმიტომ,

რომ ამ პერიოდში საკუთრივ ლინგვისტური კელევა-ძიება ჩაისახა და ფართოდ გაიშალა ქალაქ ალექსანდრიაში, აქ დაარსებულ ბიბლიოთეკასა და მუზეუმში.

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან ქ. ალექსანდრია გახდა მეცნიერებისა და კულტურის ცენტრი. ამ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ბიბლიოთეკა, რომელიც დააარსა ფარაონმა პტოლომემ III-II საუკუნეებში ჩვენს ერამდე. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მასშტაბურობის შესახებ ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ის ფაქტი, რომ 250 წლისათვის იქ ინახებოდა 800 ათასამდე ხელნაწერი.

ალექსანდრია მთელი ათი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე მას არაბები დაანგრეედნენ (642 წ.), იყო კულტურისა და მეცნიერების ცენტრი ელინისტურ სამყაროში.

ალექსანდრიულ პერიოდში ენის პრობლემების დამუშავება გამოეყო ფილოსოფიურ ასპექტს და ლინგვისტური აზროვნება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დისციპლინად. ამ პერიოდს განეკუთვნება დიონისე თრაკიელის (დაბ. დაახლ. 170-90 წ. ჩვენს ერამდე) ბერძნული ენის ცნობილი გრამატიკა „გრამატიკული ხელოვნება“ (Techne gramatike). ეს გრამატიკა დაიწერა II-I საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენს ერამდე.

რამ შეუწყო ხელი ალექსანდრიულ პერიოდში ლინგვისტური აზროვნების ჩასახვასა და განვითარებას და რა მიზნებს ისახავდა ის?

როგორც ცნობილია, ცოცხალი, სამეცყველო ენა დროთა მსვლელობაში იცვლება, ვითარდება, ხოლო სამწერლო ენა უცვლელი რჩება და თანდათან გაუგებარი ხდება ფართო მასისათვის. ამიგომ ჩნდება ხელნაწერების სახით შემონახული ძველი ლიტერატურული ძეგლების ენის განმარტების, ახსნისა და ბუნდოვანი ადგილების გამოფერის საჭიროება. ამ მიზნით გარდება ფილოლოგიური მუშაობა, რომელიც, ძველი ტექსტების ახსნა-განმარტებასთან ერთად,

ითვალისწინებს ძველი ბერძნული ენის ლიტერატურული გრადიციების შენახვასა და შენარჩუნებას.

ამგვარმა მუშაობამ ხელი შეუწყო ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებას, მას შემდგომში გამოეყო გრამატიკა, ამ სიტყვის სპეციალური გაგებით.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ფილოლოგიურ გრამატიკას. ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკა ემპირიულ ხასიათს აგარებს. ისე როგორც ძველი ინდური გრამატიკა (პანინისა), ბერძნული გრამატიკაც მიზნად ისახავდა წერილობითი ძეგლების შესწავლას. ამ მხრივ ისინი ერთმანეთს მისდევენ. განსხვავებას ქმნის მათი წარმომავლობის გზები: ბერძნული ენის გრამატიკის საფუძვლები ფილოსოფიური აზროვნების სფეროში შემზადდა, ფილოსოფიური საკითხების გადაჭრის საჭიროებამ მიიყვანა ბერძნული აზროვნება ენის პრობლემის დამუშავების აუცილებლობამდე. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პირველი გრამატიკული ცნებები: სახელი, ზმნა, ბრუნვა და სხვა ბერძნულმა ფილოსოფიამ დაამუშავა. ხოლო, რაც შეეხება ინდურ ფილოსოფიას, როგორც ამას ქვემოთაც აღვნიშნავთ, არავითარი გაუღენა არ მოუხდენია ინდური გრამატიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ინდური ლინგვისტური კვლევა-ძიება თაეიდანვე ენობრივი ფაქტიდან ამოდიოდა. მას სხვა მიზანი არ ჰქონდა, გარდა წმინდა ენობრივი ანალიზისა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ინდური ფილოლოგიური გრამატიკა ენობრივი ფაქტის ანალიზის მხრივ უფრო მაღალ დონეზე აღმოჩნდა, ვიდრე ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკა. სამაგიეროდ, ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკა დაედო საფუძვლად ევროპის ლინგვისტური აზროვნების შემდგომ განვითარებას.

ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენთ ბერძნული ფილოლოგიური გრამატიკის ძირითად ნიშნებს, რაც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის იმდროინდელი გრამატიკული აზროვნების დონის შესახებ.

ლიონისე თრაკიელი გრამატიკის დანიშნულებას ასე განმარტავს: „გრამატიკა არის უმთავრესად პრაქტიკული ცოდნა ყოველივე იმისა, რასაც წერენ პოეტები და პროზაიკოსები“ (34, 216).

აღნიშნულ გრამატიკაში წარმოდგენილია ბერძნული ენის როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური ანალიზი.

ბგერათა დახასიათებაში წინა პლანზე წამოწეულია აკუსტიკური თვისებები, თუმცა გათვალისწინებულია ბგერის ფიზიოლოგიური ასპექტიც. ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის ასო და ბგერა. ხმოვანთა და თანხმოვანთა ანალიზი ცალ-ცალკეა მოცემული. ავტორის აზრით, ხმოვანი თავისთავადი სრული ბგერაა. ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე. ნაშრომში მოცემულია აგრეთვე დიფთონგების აღწერილობაც. ლიონისე თრაკიელს ფონეტიკაში სულ გამოყოფილი აქვს 24 ბგერა, აქედან შეიდი ხმოვანია.

შემდეგ ლიონისე ახასიათებს თანხმოვნებს, მოცემულია თანხმოვანთა კლასიფიკაცია, არსებითად მკლერობისა და ჩქამიერობის ხარისხის მიხედვით.

ლიონისე თრაკიელი უფრო ერცლად განიხილავს მორფოლოგიას. აქ ის იძლევა სიგყვისა და წინადადების დეფინიციას. „სიგყვა, – ავტორის განმარტებით, – ეს არის წინადადების უმცირესი ნაწილი“... „წინადადება არის სიგყვათა შეერთება, რომელიც გამოხატავს დამთავრებულ აზრს“ (34, 216). სიგყვა განიხილება როგორც წინადადების შემადგენელი ნაწილი, ხოლო წინადადება – როგორც სიგყვათა შეერთება, ე.ი. სინტაქსური თვალსაზრისით. სიგყვა შეიძლება დამოუკიდებელიც იყოს, წინადადების გარეშე კჭონდეს გარკვეული მნიშვნელობა. სიგყვები ხასიათდება მორფოლოგიური და სემანტიკური ნიშნების მიხედვით.

სიგყვა და წინადადება ალექსანდრიულ სკოლაში განმარტებულია ლინგვისტური თვალსაზრისით, რითაც ისინი ამკარად განსხვავდებიან სტოელებისაგან. ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი სტოელებთან შედარებით, რომლებიც

ორიენტირებულნი იყვნენ ლოგიკაზე. ალექსანდრიელთა სიტყვისა და წინადადების განმარტება საერთოდ მიღებული და აღიარებული იყო ანტიკურ ეპოქაში.

ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია. ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა გამოყვეს მეტყველების რვა ნაწილი: სახელი, მმნა, მიმღეობა, არტიკლი (ნაწვეარი), ნაცვალსახელი, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი. მეტყველების ნაწილთა ასეთ დახასიათებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ამიტომ ინგერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქვე წარმოვადგენთ მათ: სახელი არის მეტყველების ბრუნებადი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს როგორც ზოგადს (მაგ., კაცი), ასევე კერძოს (მაგ., სოკრატე). სახელთა კატეგორიაშია შეტანილი გელსართავი სახელებიც. სახელი იცვლება ბრუნვებისა და რიცხვის მიხედვით. ერთი მხრივ, სახელი წარმოადგენს მეტყველების ნაწილს, რომელიც იცვლება ბრუნვათა მიხედვით, ხოლო, მეორე მხრივ, სახელს აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ამრიგად, სახელი განსამღვრულია მორფოლოგიური და სემანტიკური პრინციპების მიხედვით. ამავე პრინციპითაა განსამღვრული მმნაც: მმნა არის მეტყველების უბრუნველი ნაწილი, რომელსაც აქვს დრო, პირი, რიცხვი და გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას. მმნას აქვს ხუთი კილო: თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი, დაქვემდებარებითი და განუსამღვრელობითი. გვარი სამია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. რიცხვი სამია: მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი. სამი პირია: პირველი პირი (მეტყველება ვისგანაც მოდის), მეორე პირი (მეტყველება ვისკენაც არის მიმართული), მესამე პირი (ვის შესასებაც არის საუბარი). დრო სამია: აწმყო, წარსული და მყოფადი. წარსულ დროს აქვს თავისი ოთხი ნაირსახეობაო, წერს დიონისე თრაკიელი. მიმღეობა არის მეტყველების ნაწილი, რომელსაც აქვს როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშ-

ნები, გარდა პირისა და კილოსი. ნაწევარი არის მეტყველებების ბრუნებადი ნაწილი, რომელიც ბრუნებად სახელს ან წინ უძღვის, ან მოსდევს. ნაწევარს აქვს სქესი, რიცხვისა და ბრუნების კატეგორია. ნაცუალსახელი არის სიტყვა, რომელიც სახელის მაგიერ იხმარება და მიუთითებს განსამდგურულ პირზე. თანდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც მეტყველების ყველა ნაწილს წინ უძღვის როგორც სიტყვაში, ისე წინადადებაში. ზმნისართი არის მეტყველების უბრუნებელი ნაწილი, რომელიც ზმნას ახლავს.

როგორც წარმოდგენილი ინტერპრეტაციებიდან ჩანს, ალექსანდრიულმა გრამატიკამ მოგვცა სინქრონული აღწერითი გრამატიკის პრაქტიკულად ამომწურავი სისტემა.

გავიდა ორი საუკუნე დიონისე თრაკიელის გრამატიკის დაწერის შემდეგ და ბერძნული გრამატიკული ამროვნების ისტორიაში ჩნდება საინტერესო ნაშრომი „მეტყველების ნაწილთა სინტაქსის შესახებ“; რომლის ავტორიც არის აპოლონიოს დისკოლოსი. ეს ნაშრომი ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ აქ პირველადაა წარმოდგენილი მოძღვრება სინტაქსზე, რომელიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იყო გაბატონებული. აპოლონიოს დისკოლოსი წინადადებას განიხილავს როგორც მორფოლოგიურ ერთეულთა (მეტყველების ნაწილთა) ჯამს. მეტყველების ნაწილები და წინადადების წევრები აღნიშნულ ნაშრომში არ არის ერთმანეთისაგან გამორჩეული. აპოლონიოს დისკოლოსის განმარტებით, სინტაქსის ძირითადი ამოცანაა იმის გარკვევა, თუ როგორ ერთიანდებიან ცალკეული სიტყვები წინადადებაში. მისი აზრით, როგორც არ ხდება შემთხვევით ბგერების მარცვლებში, მარცვლების სიტყვებში გაერთიანება, ისე წინადადებაში სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან გარკვეული კანონზომიერების დაცვით. სწორედ სიტყვათა შეერთების წესების შესწავლა წარმოადგენს სინტაქსის ძირითად ამოცანას. აპო-

ლონიოს დისკოლოსის ყურადღების ცენტრშია მეცყეელების ნაწილთა (ე.ი. წინადადების წვერთა) სინგაქსური თავისებურებანი, სინგაქსური ფუნქციები. აღსანიშნავია, რომ დისკოლოსმა არ იცის გერმინები „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, როცა წერს, რომ არ არის წინადადება სახელისა და გმნის ვარეშე, აქ ის სახელსა და გმნაში გულისსმობს წინადადების ქვემდებარესა და შემასმენელს. ასევე არ ვხვდებით ამ ნაშრომში წინადადების სხვა წვერების აღმნიშვნელ გერმინებსაც. აპოლონიოს დისკოლოსი თავის ნაშრომში საუბრობს აგრეთვე სხვა სინგაქსურ ერთეულებზედაც. მისი ძირითადი ამოცანა იყო წინადადებაში სიგყვათა შეერთების კანონების დადგენა და ახსნა. მისმა სინგაქსურმა მოძღვრებამ უდიდესი გავლენა მოახდინა რომაული გრამატიკული მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

ამგვარად, ალექსანდრიელმა ფილოლოგებმა საკმაოდ საფუძვლიანად დაამუშავეს ბერძნული ენის მორფოლოგიის და სინგაქსის საკითხები. შექმნეს მოძღვრება მეცყეელების ნაწილებზე. მათი დაშსახურებაა მრავალი ახალი გრამატიკული გერმინის შემოგაჩა ლინგვისტიკაში. ალექსანდრიული გრამატიკის გერმინები თანამედროვე სამეცნიერო გრამატიკულ გერმინოლოგიას რომ შევადაროთ, აღვილად დავრწმუნდებით, რომ თანამედროვე გრამატიკული გერმინები ძირითადად მომდინარეობს ალექსანდრიული გერმინოლოგიური სისტემიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიონისე თრაკიელის გრამატიკა „გრამატიკული ხელოვნება“ საფუძვლად დაედო მრავალი ენის გრამატიკას. უფრო მეტიც, დიონისე თრაკიელის გრამატიკა წარმოადგენს ყველა ევროპული ენების გრამატიკების მშობელს, რუსულის ჩათვლით. ჩვენ კი ამას დაუემაგებდით სომხურისა და ქართული ენების პირველ გრამატიკებს.

ენათმეცნიერება ძველ რომში

როგორც ცნობილია, III-II საუკუნეებში ძვ. წელთაღრიცხვით შეიქმნა რომის უზარმაზარი იმპერია. რომაელებმა შექმნეს ახალი ორიგინალური ცივილიზაცია, თუმცა მისი კულტურის შექმნის საქმეში დიდი წვლილი შეიგანა ელადის ცივილიზაციამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ლათინური ენის ანბანი შეიქმნა ბერძნული ანბანის საფუძველზე. ელინური კულტურის გავლენა რომაულ სამყაროში განსაკუთრებით გაძლიერდა რომაელების მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომაული კულტურა მაინც არ არის ბერძნული კულტურის უბრალო მიბაძვა ან მისი ასლი. მართალია, რომაელებმა ბევრი რამ ისწავლეს ბერძნებისაგან, მაგრამ თავადაც შექმნეს მეტად მაღალი ორიგინალური ნაციონალური კულტურა, ამ სიგყვის ფართო მნიშვნელობით.

რაც შეეხება გრამატიკული ამროვნების სფეროს, აქ რომაელები მართლაც არიან დავალებულნი ბერძნული გრამატიკული ამროვნებისაგან. მათ გრამატიკულ ნაშრომებს აკლია ორიგინალობა; ისინი არსებითად ემყარებიან ბერძნულ გრამატიკებს. ძირითადი ლინგვისტური ცნებები და შესაბამისი ტერმინები აღებულია ბერძნული გრამატიკებიდან და შეხამებულია ლათინური ენის სტრუქტურის სინამდვილესთან.

ფილოლოგია რომში, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, წარმოიშვა ძვ. წელთაღრიცხვით II საუკუნის შუა ხანებში. საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის დაგროვდა მოუგვარებელი საკითხები ორთოგრაფიაში, ლექსიკა გადაიგვირთა ბერძნობებითა და დიალექტიკებით; თავი იჩინა ენის სოციალურმა დიფერენციაციამ. ასეთ ვითარებაში დაისვა რთული ამოცანა ენის ნორმალიზაციის შესახებ. როგორც გემოთაყ აღვნიშნეთ, რომში ფილო-

ლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ხელი შეუწყო ბერძნული მეცნიერებისა და კულტურის გაცნობამ. ამ დროს რომაელები უფრო ახლოს ეცნობიან ბერძნულ ენას, ლიგერატურას, რიგორიკას და ფილოსოფიას. ბერძენი მეცნიერები ხშირად ჩადიან რომში და ზოგი მათგანი იქაც კი რჩება სამუშაოდ. 168 წელს რომში ჩაეიდა გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი და გრამატიკოსი კრატეგი, მალიდან. მის ლექციებს ფილოლოგიაში უმარმაზარი წარმატებები ჰქონდა რომაელთა შორის, რამაც მძლავრი სტიმული მისცა ადგილობრივ სწავლეულებს, ემუშავათ მშობლიურ ენასა და ლიგერატურაში. უფრო მეტიც, რომაელთა გადმოცემით, რომში გრამატიკული (ფილოლოგიური) მეცნიერება შეიგანა კრატეგმა.

ამ დროს რომშიც ბერძნების გავლენით დაიწყო გაცხოველებული კამათი ანომალისტებსა და ანალოგისტებს შორის.

ანომალისტები ამტკიცებდნენ, რომ ენაში ჭარბობს ანომალიები — წინააღმდეგობა გრამატიკასა და ლოგიკას შორის, შეუსაბამობა ფორმასა და შინაარსს შორის, სხვადასხვაგვარი გამოინაკლისები და მერყევი ფორმები. მათი აზრით, ენის „შესწორების“ იდეა და ცდა რეალობას მოკლებულია.

განსხვავებული პოზიცია ეკავათ ანალოგისტებს. მათი აზრით, ენაში ბაგონობს კანონზომიერი მოვლენები. ანომალიური მოვლენები შეგნებული ჩარევის გზით შეიძლება მოიხსნას. ანალოგიზმის ცენტრი იყო ქალაქი ალექსანდრია, ხოლო ანომალიზმისა — პერგამი.

დიდი ინტერესი გამოიჩინეს რომაელებმა ენის წარმოშობის პრობლემისადმი. ზოგი იცავდა ენის ბუნებითს თეორიას, რომლის მიხედვითაც სიგყვები ასახავენ საგნის ბუნებას, ხოლო მეორე თეორიის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ სიგყვასა და საგანს შორის კავშირი პირობითია, ნებისმიერია.

რომაულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მარკუს ტერენციუს ვარონს (ძვ. წ. 116-27). ვარონი საინგერესო ბიოგრაფიის მქონე მოღვაწეა. ცხოვრობდა რომში, შემდეგ ათენში. იყო სახალხო გრიბუნი და პოპულუსის დაახლოებული პირი. იბრძოდა იულიუს კეისრის წინააღმდეგ ესპანეთში. შემდეგ შეურიგდა მას და კეისრის დაქალებით რომში დააარსა საჯარო ბიბლიოთეკა.

იულიუს კეისრის სიკვდილის შემდეგ იგი მთელი ცხოვრება მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. ეარონი ერთნაირად იყო დაინტერესებული პოეზიის, ისტორიის, ლიტერატურის ისტორიის, რიგორიკის, იურისპრუდენციის და სოფლის მეურნეობის საკითხებით. იგი 74-მდე სხვადასხვა ხასიათის შრომის ავტორია. მისი ერთ-ერთი მთავარი თხზულებაა 41 წიგნად შედგენილი „ძველთა საერო და საღვთო საქმენი“, სადაც აღწერილია რომაელთა ისტორია და რელიგიური ყოფა უძველესი დროიდან.

ეარონის მრავალ ნაშრომთა შორის ჩვენთვის საინტერესოა ლინგვისტური გამოკვლევა „ლათინური ენა“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: ეტიმოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან. ეტიმოლოგიურ ძიებაში ეარონი უპირატესად ემყარება სტოელთა თეორიასა და პრაქტიკას, კერძოდ კი, სიკყეის კვლევისას ამოდიოდა საგანთა ბუნებიდან. ამიგომ, ფიქრობდა ის, სიკყეის შემეცნებას მივყავართ საგნის შემეცნებისაქენ. სიკყვათა ეტიმოლოგიურ ძიებას ლექსიკური ჯგუფების მიხედვით აგარებს ეარონი. ლექსიკის ჯგუფებად დაყოფა კი ემყარება საგანთა კლასიფიკაციას გარკვეული ნიშნის მიხედვით. ეარონი გამოყოფს საგანთა ოთხ ჯგუფს. აქედან გამომდინარე კი, სიკყეებიც ოთხ ჯგუფს ქმნიან: 1. სიკყეები, რომლებიც სხეულს აღნიშნავენ, 2. სიკყეები, რომლებიც დროს აღნიშნავენ, 3. სიკყეები, რომლებიც მოვლენებს აღნიშნავენ, 4. სიკყეები, რომლებიც სივრცეს აღნიშნავენ.

ვარონი იმასაც კარგად ამჩნევს, რომ საგანთა ჯგუფებსა და შესაბამის სიტყვათა ჯგუფებს შორის შესატყვისობა ყოველთვის ვერ დასტურდება. ამის საილუსტრაციოდ მოყავს მაგალითები (34, 237).

ვარონი იმასაც ამბობს, რომ შეუძლებელია ენის ნებისმიერი სიტყვის ეტიმოლოგია. ამის ხუთი მიზეზს ასახელებს. აქედან სამ მიზეზს სიტყვის ცვალებადობაში ხედავს. მისი ამრით, დროთა მსვლელობაში ზოგი სიტყვა ფორმასაც იცვლის და მნიშვნელობასაც; მაგალითად, სიტყვა *hostis* „მტერი“, ძველად ნიშნავდა „უცხოელს“. ხდება ისეც, რომ ამოსავალი, თაუდაპირველი სიტყვა იკარგება, ხოლო მის მონაცვლე ახალ სიტყვას არავითარი კავშირი არა აქვს თაუდაპირველ სიტყვასთან ფორმის მიხედვით. მეოთხე მიზეზი, რომელიც აძნელებს სიტყვის ეტიმოლოგიას, მდგომარეობს მის უცხო წარმომავლობაში. დაბოლოს, მეხუთე მიზეზად ითვლება სიტყვის შემოქმედთა შეცდომები, უზუსტობანი.

ვარონი მონაწილეობს ანომალისტებისა და ანალოგისტების დისკუსიაში. ის თავის ნაშრომში საკმაოდ ვრცლად ჩერდება ამ დისკუსიის მსვლელობაზე. დისკუსიის ობიექტთან დაკავშირებით ის ყურადღებას ამახვილებს სიტყვათცვალეობაზე (ფლექსიაზე) და სიტყვათწარმოქმნაზე (დერივაციაზე). ამ ორივე პროცესს ვარონი ბრუნებას (*declinatio*) უწოდებს. სახელებთან მისთვის ამოსავალი ფორმაა სახელობითი ბრუნვის მსოლობითი რიცხვის ფორმა. ხოლო გმნის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს პირველი პირის მსოლობითი რიცხვის ფორმას აწმყოში.

ვარონი ანალოგისტების პოზიციას იცავს და ანომალისტებს საყვედურობს იმაში, რომ ისინი აერთიანებენ სხვადასხვა, არამსგავს მოვლენებს და დაასკენიან ენაში ანომალური მოვლენების არსებობას. მათ მხედველობის გარეშე რჩებათ მსგავსი მოვლენები, რომელნიც არსებობენ ენაში. ენობრივ მოვლენებში წესრიგი რომ დაინახო, ამი-

სათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მოელენები მსგავსი ნიშნის მიხედვით. მაგალითად, ერთმანეთისაგან უნდა გამოიყოს ბრუნებადი და უბრუნველი სიგყეები, როგორცაა noX „ღამე“ და mox „მალე“, რადგანაც noX იცვლება ბრუნვების მიხედვით, mox კი - არა.

ყველაზე ცხარე კამათი ანომალისგებსა და ანალოგისგებს შორის მიმდინარეობდა რიცხვის, სქესის, ბრუნებისა და უღვლილების გრამატიკული კატეგორიების გარშემო. თუ ლექსიკის დონეზე ანომალისგებს სუსტი პოზიციები ჰქონდათ, აქ ისინი საკმაოდ მძიმე კითხვებს უსვამენ ანალოგისგებს, რომელზეც პასუხის გაცემა საკმაოდ უჭირთ მოქაუქრებს. მაგალითად, ანომალისგები სვამენ ასეთ კითხვას: რაგომაა, რომ მამაკაცის სახელს აქვს მღედრობითი სქესის ფორმა? რაგომაა, რომ უსულო საგანთა სახელები ხშირად განეკუთვნებიან მამრობით ან მღედრობით სქესს?

იმისათვის, რომ ანალოგიზმის პოზიციები უფრო მარჯედ დაიყვას, ვარონს მორფოლოგიის სფეროდან კამათი გადააქვს სინგაქსის სფეროში, შესიგყეებების სფეროში. მაგალითად, ის წერს, რომ მამრობითი სიგყეების მსგავსება გამოწვეულია იმით, რომ ისინი იერთებენ ნაცვალსახელებს hic „ეს“ და hi „ესენი“, მღედრობით სიგყეთა მსგავსებას განსამღვრავს ნაცვალსახელები haec „ეს“ და hae „ესენი“, ხოლო სამუალო სქესის სიგყეებს აერთიანებს ნაცვალსახელები hoc „ეს“ „ჰო“ და haec „ესენი“.

ანომალისგები რიცხვის კატეგორიაშიც ხედადნენ შეუსაბამობას. მაგალითად, ისინი სვამდნენ კითხვას: რაგომ არა აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა შემღევ სიგყეებს: acetum „ძმარი“, plumbum „გყვია“, cicer „ბარდა, ცერცი“.

აღნიშნულ სიგყეებთან მრავლობითი რიცხვის ფორმის უქონლობას ვარონი სრულიად სამართლიანად უკავშირებს მათ სემანტიკურ თავისებურებებს. მისი განმარტებით, მრავ-

ვლობითი რიცხვის ფორმები აქეთ სიგყვებს, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ საგნებს, რომელთა დათვლა შეუძლებელია. ხოლო სიგყვებს, რომელთა დათვლა არ შეუძლებელია, მრავლობითის ფორმები არა აქვთ. ასეთი საგნები, რომლებიც შეუძლებელია გაიმომოს ან აიწონოს.

1 ვარონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლათინური ენის ბრუნებისა და უღვლილების სისტემის შესწავლაში. მაგალითად, მის სახელთანაა დაკავშირებული „დაწყებითი“, „დაშორებითი“ (აბლატივის) ბრუნვის დადგენა. ვარონის ამრით, ამ ბრუნვის დაბოლოების მიხედვით შეიძლება არსებით სახელთა და ზედსართავთა ბრუნების გიჟის დადგენა.

გმნის უღვლილების გიჟის დადგენასაც მოუნახა ვარონმა კრიტიკრიუმში. ეს არის მხოლოდით რიცხვში ქეორე პირის დაბოლოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ვარონი საერთოდ არ უარყოფდა ანომალიების არსებობას სიგყვათუეალებაში (ფლექსიაში), მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ ამგვარი გადახვევები ენის ნორმიდან ძალზე მცირეა (34, 242). ენაში არსებული ანომალიები უნდა შესწორდეს. ანომალიები დროთა მსვლელობაში იკარგება, მაგრამ ახალიც ჩნდება. აი. რას წერს ამის თაობაზე ვარონი: „მეცყეელების წესები მუდმივ მოძრაობაშია, ამიგომ კარგი წესი შეიძლება გაუარესდეს, ხოლო ცუდი უკეთესი გახდეს“ (34, 242). ანომალიები შეიძლება შესწორდეს, მაგრამ ეს პროცესი უნდა ჩაგარდეს ფრთხილად და ნელა. საყურადღებოა ვარონის ერთი მოსაზრება: ენობრივი რეფორმის ჩაგარებაში უნდა მონაწილეობდნენ პოეტები, განსაკურებით კი ის პოეტები, რომლებიც სცენისათვის წერენ. თუ სიგყვათუეალებაში (ფლექსიაში) ვარონი მოითხოვდა ანომალიების გასწორებას, სამაგიეროდ, შესაძლებლად მიაჩნდა ისინი სიგყვათუეარმოქმნის (დერიეაიის) სფეროში. საბოლოოდ კი იმ დასკე-

ნამღე მივიდა, რომ „არ უნდა უკუვაგლოთ არც ანომალია და არც ანალოგია“ (34, 242).

მკვლევართა აზრით, რომაულ ენათმეცნიერებაში და, საერთოდ, რომაულ მეცნიერებაში ვარონი იყო ნათელი ფიგურა. მან შეძლო ყველაზე უკეთ და საფუძვლიანად განეხილა და წარმოედგინა ანალოგიზმისა და ანომალიზმის თეორიული დებულებები. ის მიისწრაფოდა ფლექსიის შინაგანი კანონზომიერების დადგენისაკენ და ამ მხრივ მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწია. დიდია აგრეთვე ვარონის დამსახურება ლათინური ენის ნორმატიულ-აღწერიითი გრამატიკის შექმნაში.

არაჩვეულებრივი წარმატება ხელა წილად ელიუს დონატუსის ნაშრომს „გრამატიკის სახელმძღვანელო“, რომელიც VI საუკუნის ნახევარში დაიწერა. ამ გრამატიკამ დიდხანს გაუძლო გამოცდას – XV საუკუნის დასაწყისამდე ის იყო ძირითადი სახელმძღვანელო ევროპის სკოლებში, მისი გადაშუშავებული გამოცემები კი იხმარებოდა XVIII საუკუნის დასასრულამდე. დონატუსის გრამატიკამ უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ევროპული ენების სასკოლო სახელმძღვანელოებისა და გრამატიკული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში.

დონატუსის გრამატიკა შედგება ორი ნაწილისაგან „Ars minor“ – „მოკლე სახელმძღვანელო“, მეორე კი – „Ars maior“ „გრძელი სახელმძღვანელო“. პირველი ნაწილი გათვალისწინებულია დაწყებითი სწავლებისათვის, მეორე კი – ენის უფრო ღრმად შესწავლისათვის. „Ars maior“ სასკოლო გრამატიკის სრული კურსია და შეიცავს ფონეტიკას, დამწერლობას, ლექსთწყობას, სტილისტიკასა და სწავლებას მეტყველების ნაწილების შესახებ.

„Ars minor“-ში განხილულია მხოლოდ მეტყველების ნაწილები. სათანადო მასალა კითხვა-პასუხის სახითაა დალაგებული. მაგალითად: რამდენია მეტყველების ნაწილი? რვა. დამისახელეთ ისინი: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა,

გმნისართი, მიმლეობა, კავშირი, თანდებული, შორისდებული...

„Ars maior“-ში, ე. ი. „ერეულ გრამატიკაში“ დონატუსი არ იფარგლება მეტყველების ნაწილთა მხოლოდ ჩამოთვლით, როგორც ამას აკეთებს „მცირე გრამატიკაში“, აქ ის უფრო ღრმად შედის მეტყველების ნაწილთა ანალიზში. მაგალითად, წერს, რომ სახელი და ზმნა მეტყველების მთავარი ნაწილებია, ანდა: სახელი, ნაცვალსახელი და მიმლეობა იცვლება ბრუნვების მიხედვით, ე. ი. იბრუნვიან. ნაშრომში ავტორი იძლევა აგრეთვე მეტყველების ნაწილთა დეფინიციებსაც: ...სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც იბრუნვის და აღნიშნავს საგანს. სახელი შეიძლება იყოს საკუთარი, მაგალითად, რომი, გიბრი..., ან ზოგადი, მაგალითად, ქალაქი, მდინარე... (34, 251). ცალკეა გამოყოფილი აბსტრაქტული სახელები: ღირსება (dignitas), სამართლიანობა (iustitia)...

იმის გამო, რომ ზედსართავი სახელი მორფოლოგიურად სახელის მსგავსია, დონატუსი მას ცალკე არ გამოყოფს, როგორც მეტყველების ნაწილს. ზმნას ასე საზღვრავს „Ars maior“-ის ავტორი: „ზმნა არის მეტყველების ნაწილი, რომელსაც აქვს დრო, პირი, ბრუნვა არა აქვს, გამოსატავს მოქმედებას ან ვნებას“ (34, 252). ამის შემდეგ ჩამოთვლილია ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები. საყურადღებოა მიმლეობის განსაზღვრება: მიმლეობა არის მეტყველების ნაწილი, რომელსაც აქვს როგორც სახელის, ასევე ზმნის თვისებები. მაგალითად, სახელთან მას აკავშირებს სქესი და ბრუნვა, ხოლო ზმნასთან – დრო და გვარი.

შემდეგ დონატუსს განმარტებული აქვს მეტყველების დანარჩენი ნაწილებიც და თანაც ილუსტრირებული აქვს სათანადო მაგალითებით.

დონატუსის „გრამატიკის სახელმძღვანელომ“ ანტიკურ ეპოქაშივე პოვა ფართო აღიარება. ეს სახელმძღვანელო ყურადღებას იქცევს თავისი სტრუქტურითაც, საკითხები ამ

ნაშრომში დალაგებულია ცნობილი პრინციპის მიხედვით – მარტივიდან რთულისაკენ.

დონაგუსის ნაშრომის წარმატებას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ის იყო ქრისტიანობის უდიდესი მწერლის იერონიმას (340-420) მასწავლებელი. ამის გამო ქრისტიანული სამყარო მისი სახელმძღვანელოს მიმართ კეთილგანწყობილებას იჩენდა. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილმა მოღვაწემ VI საუკუნეში კასიოდორმა (480-575) დონაგუსის გრამატიკას რეკომენდაცია მისცა გამოეყენებინათ ის, როგორც ლათინური ენის ძირითადი სახელმძღვანელო საშრონად სკოლებში. ამ ფაქტმა კი დიდი რეზონანსი მისცა დონაგუსის გრამატიკას და ხელი შეუწყო მის გავრცელებას ევროპის ქვეყნებში.

330 წელს რომის იმპერიის დედაქალაქი გახდა კონსტანტინოპოლი, რომელიც მალევე გახდა რომაული კულტურისა და მეცნიერების ცენტრი. ხანგრძლივი დროის მანძილზე მას ახალ რომს უწოდებდნენ. ეს არის ის ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის ერთგვარი შენელებისა და ანტიკურიდან შუა საუკუნეებისაკენ გარდამავალი პერიოდი, რომელიც შემდგომ ორგანულად შეერწყა ევროპის ცივილიზაციის აღორძინების ეპოქას. IV-VI საუკუნეებში კონსტანტინოპოლში მუშაობდა ლათინური ენის მრავალი დიდი სპეციალისტი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა პრისციანეს, რომელმაც VI საუკუნის პირველ ათეულ წლებში შექმნა ლათინური ენის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა „გრამატიკული კურსი“ (*Institutiones grammaticae*). პრისციანე თავის „გრამატიკის კურსში“ ძირითადად ემყარება ალექსანდრიული გრამატიკული სკოლის პრინციპებს. მისი აღნიშნული ნაშრომი შედგება 18 წიგნისაგან. აქედან ხუთი წიგნი ეძღვნება სახელს, სამი – გმნას, ორი – ნაცვალსახელს, თითო წიგნი ეძღვნება მიმღეობას, თანდებულსა და კავშირს, ერთი წიგნი – მგნისართსა და შორისდებულს. სხვა გრადიციული გრამატიკებისაგან განსხვავე-

ბით, პრისციანეს თავის გრამატიკაში არა აქვს შეტანილი სტილისტიკა, სამაგიეროდ, დამოუკიდებელი ნაწილი ეძღვნება სინტაქსს, რომელსაც ბოლო ორი წიგნი უკავია.

პრისციანე წინადადებას ასე განმარტავს: „წინადადება არის სათანადოდ მოწესრიგებული სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ დამთავრებულ აზრს“ (34, 255). ყურადსაღებია ისიც, რომ წინადადების სტრუქტურას ავტორი აღწერს მეტყველების ნაწილთა გერმინებში. წინადადების წევრთა ცნება, თანამედროვე გაგებით, პრისციანესთან, ისევე როგორც მის წინამორბედებთან, არ ვხვდება. მისი აზრით, წინადადების მთავარი წევრებია სახელი და გმნა. ამას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ მათ გარეშე წინადადება არ არსებობს როგორც სინტაქსურად დასრულებული ერთეული.

პრისციანე სვამს საკითხს სახელისა და გმნის იერარქიული მიმართების შესახებაც. მისი დასკვნით, წინადადების წევრთა იერარქიულ კიბეზე სახელს უფრო მაღალი ადგილი უკავია, სახელი მთავარი და ძირითადი წევრია წინადადებისა, ვინემ გმნა. ამას ის იმით ასაბუთებს, რომ „მოქმედება და ვნება დამახასიათებელია სუბსტანციისათვის, ე. ი. სახელისათვის, სახელი ქმნის გმნის თვისებას, ე. ი. მოქმედებასა და ვნებას“ (34, 256).

პრისციანემ ერთგვარად შეაჯამა ანტიკური გრამატიკული აზროვნების ძირითადი მიღწევები. შუა საუკუნეებში მისი „კურსი“, დონაგუსის გრამატიკის შემდეგ, იყო ლათინური ენის ყველაზე გავრცელებული სახელმძღვანელო. როგორც ენათმეცნიერების ისტორიკოსები წერენ, პრისციანეს გრამატიკა XIV საუკუნის ბოლომდე იყო დასაყდრებული ევროპის ქვეყნების ლინგვისტური თეორიების საფუძველი. დონაგუსისა და, განსაკუთრებით კი, პრისციანეს გრამატიკამ საბოლოოდ დაამკვიდრეს ლათინური ენის გრამატიკული შედგენილობა. აღნიშნულ გრამატიკოსთა დიდმა ავტორიტეტმა გაუძლო მთელ შუა საუკუნეებს.

დასკენის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული გრამატიკა, რომელიც გარდაისახა ლათინური ენის გრამატიკაში თავისი გერმინოლოგიითა და რომაული დამატებებით, ორი ათასი წლის შემდეგაც განაგრძობს არსებობას ჩვენი სასკოლო გრამატიკის სახით.

ინდური გრამატიკული მოძღვრება

ინდოეთი არის ის კლასიკური ქვეყანა, სადაც, ჯერ კიდევ III საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით, ლინგვისტურმა აზროვნებამ მიაღწია იმ დონეს, რომელზეც ევროპამ, ცნობილი დანიელი ენათმეცნიერის ვ. გომსონის სიგყვებით რომ ეთქვათ, მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს მიაღწია, ისიც მაშინ, როცა გაეცნო ინდოელთა გრამატიკულ ნაშრომებს.

რა ფაქტორმა შეუწყო ხელი ლინგვისტური აზროვნების ჩასახვასა და განვითარებას ინდოეთში?

დაახლოებით XV საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით ინდოეთში შეიქმნა რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ძეგლები, რომელთაც ეწოდათ ვედები. ვედები დაწერილი იყო კლასიკურ სანსკრიტულ ენაზე.

სანსკრიტი უძველესი ინდური ენაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სამუალო საუკუნეებში და დღესაც იხმარება, თუმცა შედარებით შეზღუდულ ფორმებში. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატურის ენა. მასზე დაწერილია შესანიშნავი ეპიკური თხზულებანი და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე იგავ-არაკთა და მოთხრობათა კრებულები.

სანსკრიტი ფართოდ იხმარება ძველ ინდურ დრამატურგიაში, ლირიკასა და მხატვრული ლიტერატურის სხვა ჟანრებში. სანსკრისტულ ენაზე დაწერილი ძეგლები ინდური გრაქტაგები პოეტიკის შესახებ დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ხელოვნების თეორიაში.

სანსკრიტულ ენაზე არსებობს მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა მედიცინაში, მათემატიკაში და გრამატიკაში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ენის შესახებ მეცნიერების განვითარებაზე აზიაში, ევროპასა და ამერიკაში.

სანსკრიტულ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ლიტერატურა ფილოსოფიაში, რელიგიაში არა მარტო ინდოეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სანსკრიტი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იყო ინდოეთის მრავალი ენის ლექსიკის გამდიდრების წყარო, მათ შორის პინდი (ხინდი) ენისაც, რომელიც ამჟამად მსოფლიო მნიშვნელობას იძენს.

სანსკრიტის შესწავლამ ევროპელი ენათმეცნიერების მიერ ხელი შეუწყო ინდოევროპული ენების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შექმნას და ამასთან ზოგადი ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დაფუძნებას.

დიდა სანსკრიტის მნიშვნელობა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი მითოლოგიის შექმნაში.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო კულტურის ისტორიის შესწავლა კაცობრიობის ერთ-ერთი დიდი კულტურული ენის – სანსკრიტის კვლევის გარეშე შეუძლებელი იქნება (ე. ვ. ივანოვი, ე. ნ. გოპოროვი).

ე. წ. ვედურ სანსკრიტზე შექმნილ ველებს ძველ ინდოეთში განსაკუთრებული ყურადღებითა და მოკრძალებით ეკიდებოდნენ. როგორც რელიგიური შინაარსის ჰიმნებს, მათ ასრულებდნენ საკულტო დღესასწაულების დროს. ამ ჰიმნების გექსტის ენის დამახინჯება დაუშვებელი იყო. ამის გამო ველების ენა, როგორც ფიქსირებული ენა, უცვლელი რჩებოდა და თანდათან უფრო შორდებოდა სახალხო სალაპარაკო ენას, რაც დრო გადიოდა, ის უფრო გაუგებარი ხდებოდა ფართო მასისათვის.

ველებს ინდური რელიგიური რიგუალების შესრულებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიგომ შექმნილი ვითარება მოითხოვდა ველების ტექსტის ფილოლოგიურ შესწავლასა და დამუშავებას. ამ მიმართულებით ჩაგარებულმა ფილოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ძველ ინდოეთში საფუძველი ჩაუყარა განვითარებულ მეცნიერებას ენის შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანი გრამატიკა, რომელიც ინდოელებმა შექმნეს და ჩვენამდე მოაღწია, არის პანინის კლასიკური სანსკრიტის გრამატიკა. მეცნიერები მას მიაკუთვნებენ IV საუკუნეს.

რა თქმა უნდა, პანინის გრამატიკა ცარიელ ადგილზე არ შექმნილა. მას წინ უძღოდა ლინგვისტური კვლევა-ძიების მდიდარი ტრადიცია. არსებობს ცნობები, რომელთა მიხედვითაც პანინამდე არსებობდა საშოცდაათამდე სანსკრიტული ენის გრამატიკა. სამწუხაროდ, ისტორიამ მხოლოდ პანინის გრამატიკა შემოგვინახა. ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ პანინის გრამატიკა წინამორბედ მკვლევართა გრამატიკული აზროვნების ლოგიკური გაგრძელება იქნება. უფრო მეტიც, შესაძლებელია ის ერთგვარი შეჯამება იყოს ძველი ინდური ლინგვისტური აზროვნებისა.

თუ ეს ასეა, მაშინ პანინის გრამატიკის გაცნობა ერთგვარ წარმოდგენას შეგვიქმნის იმდროინდელი ინდური ლინგვისტური აზროვნების დონის შესახებ.

პანინის გრამატიკა შედგება ოთხი ნაწილისაგან და რვა თავისაგან. პირველ ნაწილში განმარტებულია გრამატიკული ტერმინები, მეორე ნაწილში – ბრუნების სისტემა და უღვილეება. მესამე ნაწილში საუბარია ძირებისა და ფუძეების შესახებ. მეოთხე ნაწილი კი ეძღვნება ფონეტიკური ცნებების განმარტებას.

მეგაღ თავისებურია პანინის გრამატიკული ანალიზის მეთოდი. ნაშრომი დაწერილია სუტრების (წესების) სახით. იგი შედგება 3996 სუტრისაგან (წესისაგან). ეს სუტრები თა-

ვისთაეად, ახსნის გარეშე გაუგებარია, მაგრამ ისეა აცხადებული და დალაგებული, რომ მათი დახსოვება ადვილია.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს გრამატიკული ანალიზის მაქსიმალური ეკონომია. გრამატიკული წესების გადმოცემისას პანიჩი იყენებს სხვადასხვა შემოკლებასა და მნიშვნელოვან ხერხს სიტყვათა ფორმებისა და გრამატიკული მორფემების პირობითი აღნიშვნისათვის. ასე მაგალითად, გერმინით ბაჟურები ის აღნიშნავენ ისეთ როულ სიტყვებს, რომელთა პირველი ნაწილი ზედსართავი ან რიცხვითი სახელია, მეორე კი – არსებითი სახელი, ხოლო მთლიანად სიტყვა ზედსართავია და გამოყენებულია რომელიმე არსებითი სახელის მსაზღვრელად. ამგვარი ხერხის წყალობით პანიჩის გრამატიკა მეტად შეკუმშული და მოკლეა მოცულობით. კომენტარების გარეშე ის შეიცავს 150 გვერდს.

ამის გამოა, რომ პანიჩის გრამატიკა მეტად ლაკონურად, შეკუმშული სახითაა დაწერილი, მასში გამოყენებულია პირობითი გერმინოლოგია. ამიტომ ის დიდხანს გაუგებარი დარჩა ევროპელებისათვის. პირველად მის შინაარსს ჩასწვდა და ახსნა იგი რუსმა ინდოლოგმა ო. ბეთლინგმა.

პანიჩის გრამატიკაში ამომწურავად არის მოცემული კლასიკური სანსკრიტის გრამატიკული სისტემა. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პანიჩი ენას განიხილავს როგორც სისტემას, შემოაქვს ცნება ნულოვანი მორფემისა (ი. ე. ლოია). ენის რთულ სისტემაში მან გამოყო მეტყველების ნაწილები, სიტყვის ფუძე, ძირი, შინაგანი ფლექსია, მაჩვილი და ინგონაცია.

ყურადღებას იქცევს ენობრივი ანალიზის თანმიმდევრობაც. პანიჩის აზრით, სიტყვას არა აქვს დამოუკიდებლობა არც შინაარსისა და არც ფორმის მხრივ. ამიტომ ის საანალიზოდ, როგორც ენობრივ ერთეულს, იღებს წინადადებას და ჰყოფს მას შემადგენელ ნაწილებად. პანიჩი სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაში გამოყოფს ფლექსიას, ფუძესა და ძირს.

მკვლევართა აზრით, პანინი იძლევა სანსკრიტის მორფოლოგიური წყობის საოცრად მუსტ ანალიზს. შესაძლებელია ინდურ გრამატიკაში გაანალიზებული ენობრივი მასალა არ იყოს მთლად მუსტი, მაგრამ მაინც ვაკვირვებას იწვევს ის გონებაბახილობა და კვლევის პროცედურის თანმიმდევრობა, რომელიც ძველმა ინდოელებმა გამოაქვლინეს თავიანთ შრომებში.

ვ. გომსენის აზრით, ინდოელებმა გრამატიკული აზროვნება მეტად მაღალ დონეზე აიყვანეს. ევროპულმა ენათმეცნიერებამ ამ დონეს XIX საუკუნის დასაწყისში მიაღწია. ისიც მაშინ, როცა გაეცნენ ინდურ გრამატიკულ ლიტერატურას (47, 46).

ინდურ გრამატიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბგერათა ფიზიოლოგიური ანალიზის მაღალი დონე. ამ მხრივ ინდური გრამატიკა გაცილებით მაღლა დგას ბერძნულ და რომაულ გრამატიკებზე. მაგალითად, იქ დაწერილებითაა განხილული და აღწერილი ბგერათა არტიკულაცია და ის სამეცნიერო ორგანო, რომელიც მონაწილეობს ამა თუ იმ ბგერის წარმოებაში, ე. ი. დადგენილია თითოეული ბგერის არტიკულატორი. ერცლად არის აღწერილი ბგერათგადასვლების (აბლაუგის) მაგალითები (vid – „ცოდნა“, vedmi – „ეიცი“, vaidja – „მცოდნე“).

მორფოლოგიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მეცნიერების ნაწილთა (სახელი, გმნა, თანდებული, ნაწილაკი) გამოყოფა და მათი დეფინიციები. ასე მაგალითად: ა) გმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, ბ) სახელი არის სუბსტანციის იღვის აღმნიშვნელი სიტყვა, გ) თანდებულის ფუნქცია არის განსამდგროს გმნისა და სახელის მნიშვნელობა.

ნაწილაკები იყოფა სამ ჯგუფად: ა) შემაერთებელი, ბ) შედარებითი, გ) მნიშვნელობის არმქონე ნაწილაკები, რომლებიც იხმარება ლექსებში როგორც ფორმალური ელემენტები.

ნაცვალსახელებსა და გმნისართებს ცალკე არ გამოყოფენ. ისინი განაწილებულია სახელსა და გმნას შორის.

საკმაოდ სრული სახითაა წარმოდგენილი ბრუნების სისტემა. გამოყოფილია შვიდი ბრუნვა: სახელობითი, ნათესაობითი, გამოსვლითი (აბლატივი), მიცემითი, ბრალდებითი, მოქმედებითი და ადგილობითი (ლოკატივი). ოღონდ ბრუნვებს სახელები არ აქვთ, იწოდებიან ჩამოთვლით: პირველი, მეორე, მესამე და ა. შ.

ერთი სიტყვით, პანიჩის გრამატიკაში წარმოდგენილია სანსკრიტული ენის გრამატიკული სტრუქტურის მეგაღ მოკლე, მაგრამ ამომწურავი აღწერა, რომელიც ოთხი ათასი წესისაგან (სუტრისაგან) შედგება (ე. ივანოვი, ვ. გოპოროვი).

მეგაღ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინდოელები ლექსიკონების შედგენამდე მუშაობდნენ. მაგალითად, მათ შეადგინეს „ვედებში“ წარმოდგენილი ვაუგებარი ლექსიკური ერთეულების სიტყვიანი. დაახლოებით V-VI საუკუნეებში ლინგვისტმა ამარამ გამოსცა სანსკრიტული ენის ლექსიკონი, რომელსაც ეწოდება ამარაკოშა (ამარას ლექსიკონი). ამ ლექსიკონს ფართოდ იყენებდნენ ევროპის სანსკრიტოლოგები. ყურადღებას იქცევს სალექსიკონო ერთეულთა გამოყოფის მეთოდიც. ლექსიკონში წარმოდგენილი იყო სიტყვის ძირი, ლექსიკური მორფემა. მაგალითად, ვიდ „ყოღნა“, ტუღ (თუღ) „დაჯახება“... ასევე სახელებიც წარმოდგენილია ძირის სახით ბრუნვის ნიშნის გარეშე.

როგორც აღენიშნეთ, ინდოელი გრამატიკოსების ყურადღების ცენტრში იყო სანსკრიტი, ძველი საკრალური (ხელოვნური ლიტერატურული) ენა. ახალი ინდური ენებისადმი ინგერესი ვადვივდა მხოლოდ მეოცე საუკუნეში, ინდოეთში ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებასთან დაკავშირებით.

ინდოელთა ლინგვისტური მიღწევები მეგად დიდი იყო. მათ გაელენა მოახდინეს აგრეთვე ჩინურ და არაბულ გრამატიკულ აზროვნებაზე.

განსაკუთრებით დიდია ინდური ენათმეცნიერების გაელენა ევროპულ ლინგვისტიკაზე. ამას კი ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა დაარსდა „აზიური საზოგადოება“ (1784 წ.) ინდოეთში და ევროპელები გაეცნენ სანსკრიტსა და პანინის გრამატიკას.

მაგრამ ყველაზე დიდი მონაპოვარი მსოფლიო ლინგვისტიკისთვის იყო თავად სანსკრიტული ენა, რომლის გაცნობაც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წარმოშობის სტიმული გახდა.

შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერება

საშუალო საუკუნეების ენათმეცნიერების ისტორია აღინიშნება მნიშვნელოვანი მოვლენებით. ამ დროს ჩნდება ახალი სალიგერაგურო ენები, იქმნება დამწერლობა ე. წ. „არასწორ“ ან „ეულგარულ“ ენებზე. იწერება გრამატიკული ნაშრომები ამ „ახალი“ ენების შესახებ. ეს ნაშრომები არ წარმოადგენენ ანტიკური გრამატიკების უბრალო ასლებს. ამასთანავე იქმნება ორიგინალური გრამატიკული თეორიები. სამწუხაროდ, საშუალო საუკუნეების ეს გრამატიკული თეორიები ენათმეცნიერების სუსტად შესწავლილ უბანს წარმოადგენს.

არაბული ენის გრამატიკულ ნაშრომებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ენათმეცნიერების ისტორიაში. ეს არც არის შემთხვევითი, რადგანაც არაბული ენის გრამატიკა სხვა ენათა გრამატიკებისაგან გამოირჩევა აგების მეთოდით და, აქედან გამომდინარე, იძლევა ენის გრამატიკული აღწერის დამოუკიდებელ ტრადიციას. ეს ორიგინალური ტრადიციები შემდგომ ვრცელდება გიპოლოგიურად განს-

ხეაყებულ ენებზეც, მაგალითად, თურქულ და სპარსულ ენებზე, რასაც ლინგვისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაინტერესდნენ არაბები თაჟიანთი ენით. უნდა ვიფიქროთ, რომ არაბული ენის შესწავლა დაკავშირებულია მისი დამწერლობის შექმნასთან. არაბული დამწერლობის შექმნა კი წინ უნდა უსწრებდეს ისლამის წარმოშობას, მაგრამ იმდროინდელი რაიმე ლინგვისტური სკუდიები ისტორიულ წყაროებში არ შემორჩენილა.

არაბული ენა გრამატიკული შესწავლის ობიექტად უფრო გვიან იქცა. მისდამი ლინგვისტური ინტერესის გაჩენა დაკავშირებულია ისლამის რელიგიის წარმოშობასა და აღორძინებასთან. ამას კი ადგილი ჰქონდა VII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა მუჰამედმა დაიწყო ახალი რელიგიის ქადაგება, რომელიც ჩაიწერეს მისმა მიმდევრებმა. ეს ჩანაწერები, სათანადო დამუშავებისა და სისტემატიზაციის შემდეგ, ისლამის ძირითადი კანონიკური ტექსტის – ყურანის საფუძველი გახდა.

ისლამი ძალზე სწრაფად ვრცელდება და უშოკლეს ხანაში ისლამურ ქვეყნებად იქცევიან ახლო და შუა აღმოსავლეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ჩრდილოეთ აფრიკა და პირინეის ნახევარკუნძული. ეს ქვეყნები კი განვითარების სრულიად სხვადასხვა დონეზე იდგნენ. ამ კონგლომერატს აერთიანებდა ყურანი, რომლის თარგმნა სხვა ენებზე აკრძალული იყო.

არაბული ენა დაპყრობილ ქვეყნებში ვრცელდებოდა როგორც საკრალური ტექსტების ენა. ხალიფა ოსმანმა (მისი მმართველობის წლებია 644-656) განახორციელა ყურანის საკრალიზაციის აქტი და გაამრავლა იგი. ამავე დროს იგრძნეს, რომ საჭიროა ყურანის ტექსტის ფილოლოგიური დამუშავება, არაბული ენის წესების უცოდინარები ამახინჯებდნენ სალიტერატურო ენას. განსაკუთრებით დიდი გუ-

ლისტიკივით აღიქვამდნენ ყურანის გექსგის ამრობრიე და ორთოგრაფიულ-ორთოეპიულ დამახინჯებას.

როგორც გადმოცემა გეაუწყებს, მუჰამედის სიძემ, ხალიფა აღიმ დააეალა სწავლულს აბუ-ლ-ასეადს ყურანის გექსგის დამუშავება. ამ დამუშავების შემდეგ ყურანის ენა ხდება კანონიკურ ენად, რომლის ლინგვისტურ ინტერპრეტაციასაც ქონდა არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ – რელიგიურიც.

არაბული ენათმეცნიერების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია VIII-XIII საუკუნეები, ე. ი. იგი გრძელდება არაბების მონღოლების მიერ დაპყრობამდე. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები საშუალო საუკუნეების არაბულ ენათმეცნიერებაში.

პირველი არაბული გრამატიკა „ალ-ქითაბ“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, დაწერა სიბაეაიხიმ, გომით სპარსმა. ამ გრამატიკის არსს ჯეროვნად ვერ გავიგებთ, თუ არ გავეცანით იმ დროს არაბეთში არსებულ ორ ლინგვისტურ სკოლას. ეს არის ქალაქების – ბასრისა და ქუფას სკოლები.

ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად არაბეთში ჩამოყალიბდა რამდენიმე სკოლა, რომლებმაც გამოიმუშავეს არაბული ენის პრობლემების შესწავლისადმი მიდგომის ორიგინალური პრინციპები. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს სკოლები შეიქმნა ბასრასა და ქუფაში. ბასრის სკოლა უფრო ადრე ჩამოყალიბდა. ის წამყვან როლს ასრულებდა ინდოეთთან და ჩინეთთან ვაჭრობაში. ამ ქალაქებში ცხოვრობდა სხვადასხვა ენის, სხვადასხვა კულტურული გრადიციებისა და იდეის მაგარებელი ხალხი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისა. ამ ფაქტმაც ერთგვარი როლი შეასრულა ბასრაში ლინგვისტური ამროვნების ჩასახვასა და განვითარებაში. საყურადღებოა, რომ შემდგომში ბასრის ენათმეცნიერთა კონცეფციებმა დიდი

აეგორიგეგი მოიპოვა და ყველაზე მეტად გაერყელდა არაბთა შორის.

ქ. ბასრა დაარსდა ისლამის წარმოშობის პირველსავე წლებში (636 წ.).

ბასრის სკოლის დაარსებიდან ცოტა მოგვიანებით შეიქმნა ქუფის სკოლა. ქუფაც მალევე გახდა ახალი არაბული პროვინციის კულტურის ცენტრი. ამ ორი ქალაქის ენათმეცნიერთა შორის გაიმართა მწვავე კამათი არაბული ენის გრამატიკის საკითხებზე. ამრთა სხვადასხვაობა განპირობებული იყო იმ დროს ამ ქალაქებში გაბატონებული სრულიად განსხვავებული თეორიული შეხედულებებით ენობრივ საკითხებზე.

მწვავე პოლემიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო სიკვყათწარმოებისა და ღერივაციის ფორმათა ამოსავალი ერთეულის დადგენა. ბასრის სკოლა გმნის ამოსავალ ფორმად მიიჩნევდა მოქმედების სახელს – მასდარს. ქუფის სკოლის ამრით კი, გმნის ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ წარსული დროის გმნური ფორმა.

არაბულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ცოცხალ სალაპარაკო მეტყველებაზე ორიენტაციის აღება სალიგერატურო ენის ნორმათა დადგენის დროს. ამიგომ, ორივე სკოლის ფილოლოგები სალხში გრი-ალეზდნენ და გულდასმით სწავლობდნენ მათ მეტყველებას. მეტი უპირატესობით სარგებლობდა შიჯამისა და ქ. მექის მეტყველება, საიდანაც იყო წარმოშობით ისლამის ფუძემდებელი მუჰამედი.

ამდენად, არაბი ენათმეცნიერები ენობრივი ნორმების დადგენისას ამოდიოდნენ საყრდენი, „მთავარი“ დიალექტიდან, რაც საყურადღებო ფაქტია ლინგვისტური ამროვნების ისტორიაში. ამ მიმართულებით ძიების შედეგად არაბი ენათმეცნიერების ნაშრომებში დაგროვდა დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნე-

ლობა ენიჭება არაბული ენის ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხთა შესწავლისათვის.

ქვემოთ ჩვენ მოკლედ შევეხებით არაბულ ენათმეცნიერებაში დაყენებულ მოგ თეორიულ პრობლემასა და არაბული ენის გრამატიკის სტრუქტურის საკითხებს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიგანეს ლინგვისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში საერთოდ.

არაბული ენათმეცნიერების პრობლემები

არაბული ლინგვისტური თეორიის ძირითადი პრობლემებია: ენის წარმოშობა, ენის ფუნქცია, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება, სალიგურაგურო ენისა და დიალექტთა ურთიერთმიმართება, სხვა ენებიდან ნასესხობა და სხვ.

არაბული ენის გრამატიკებში განხილულია ამ ენის სტრუქტურის შემდეგი კონკრეტული საკითხები: სინტაქსი, მორფოლოგია, სიგყვათწარმოება, ეტიმოლოგია, ფონეტიკა, ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია.

არაბული ლინგვისტიკისა და მუსლიმური თეოლოგიის ერთ-ერთი პოპულარული პრობლემა იყო ენის წარმოშობის თეორია. ეს თეორია ყველაზე ინტენსიურად მუშავდებოდა IX-XI საუკუნეებში. ამ საკითხის ინტერპრეტაციის მიხედვით, არაბი ენათმეცნიერები გაიყვნენ ორ ბანაკად: ერთი აღიარებდნენ ენის ღვთაებრივი წარმოშობის იდეას, ხოლო მეორე ენის წარმოშობას უკავშირებდნენ სამოგადოებას. მათი აზრით, ენა შეიქმნა სამოგადოების წევრთა შეთანხმებით, ხელშეკრულებით.

ენის ღვთაებრივი წარმოშობის მომხრენი თავიანთ დებულებებს ასე აფორმულირებდნენ: 1. არაბული ენა (რომელიც, იგულისხმება, კაცობრიობის პირველი ენა იყო) მთლიანად შექმნილია ღმერთის მიერ. მან ენის მთელი სიმდიდრე გადასცა ადამიანთა მოდგმის წინაპარს – ადამს.

2. მართალია, არაბული ენა ღვთაებრივი ზემოაგონების ნაყოფია, მაგრამ ის უცბად, ერთბაშად არ შექმნილა. არაბული ენის საფუძვლები ლექსიკის განსაზღვრული რაოდენობით ღმერთმა ჯერ ადამს, შემდეგ უფრო გამდიდრებული სახით წინასწარმეტყველებს ასწავლა, ხოლო ენის მთელი სიმდიდრე მხოლოდ მუჰამედს აცნობა.

3. ენა დასაბამიდანვე არ იყო ღვთაებრივი წარმოშობისა, მაგრამ მისი საბოლოო სრულყოფა ღვთაების ჩარევის შედეგია.

მეორე ბანაკი გამორიცხავს ენის ღვთაებრივი წარმოშობის იდეას. მათი აზრით, ენა ადამიანთა შემოქმედების პროდუქტია, ადამიანთა შრომის შედეგია.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ას-სიქიია ალ-ჰარასის (გარდ. 1110 წ.) შეხედულება ენის წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, ენა წარმოიშვა საზოგადოებაში საგნებისა და ცნებების აღნიშვნის საჭიროებისათვის, ეს კი აუცილებელი პირობა იყო იმისათვის, რომ ერთმანეთისათვის გადაეცათ ინფორმაცია საგნებისა და ცნებების შესახებ. თავდაპირველად ენა შედგებოდა მხოლოდ სიგნალებისაგან. ეს სიგნალები მოიცაჲდა ცალკეულ თანხმოვნებს ხმის თანხლებით. შემდგომში ადამიანებმა შექმნეს უფრო რთული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შედგებოდა ერთი, ორი. სამი, ოთხი ან ხუთი თანხმოვნისა და შესაბამისი ხმოვნებისა და აფიქსებისაგან. ამის შედეგად შეიქმნა ენა.

ამგვარად, ამ თეალსაზრის მიხედვით ენა მთელმა საზოგადოებამ შექმნა, რაც მათ ერთად ცხოვრების პირობებში სჭირდებოდათ, როგორც საკომუნიკაციო საშუალება.

მეტად საყურადღებოა არაბი მეცნიერების აზრი ენის დანიშნულების შესახებ. მათი განმარტებით, ენას ორი ფუნქცია აქვს – კომუნიკაციური და ექსპრესიული.

აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით არაბულ ენათმეცნიერებაში წარმოიშვა ორი მიმდინარეობა. ერთი მიმდინარეობის

მიხედვით სახელსა და საგანს, ე. ი. აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, არსებობს ბუნებრივი კავშირი, სიგყვის ბგერითი გარსი შეესაბამება საგნის არსს, მის ბუნებას.

ეს მიმართულება არაბ მეცნიერთა შორის არ იყო პოპულარული. მეცნიერთა ძირითადი ნაწილი აღიარებდა საწინააღმდეგო თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი შემთხვევითია. ამ მეორე თეორიის თანახმად, კავშირი სიგყვასა და საგანს, ცნებას შორის ადამიანთა ურთიერთშეთანხმების შედეგია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქრობენ არაბი მეცნიერები, ე. ი. სიგყვასა და საგანს შორის ბუნებრივი კავშირი რომ დავუშვათ, მაშინ ენებს შორის არ იქნებოდა განსხვავება და არაბული ენა ყველა ხალხისათვის გასაგები გახდებოდა. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის.

ამასთან დაკავშირებით არაბი მეცნიერები ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც სვამენ – ენაში არსებულ სიგყვებსა და ობიექტურ სინამდვილეში არსებულ მნიშვნელობათა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა არაბი ენათმეცნიერი ერთ პოზიციამდე დგას. მათი აზრით, მნიშვნელობათა რაოდენობა არ შეესაბამება ენაში არსებულ სიგყვათა რაოდენობას, რადგანაც მნიშვნელობები, ცნებები განუსაზღვრელი რაოდენობისაა, ხოლო სიგყვების რაოდენობა განსაზღვრულია, რამდენადაც ისინი შედგენილნი არიან გარკვეული რაოდენობის ბგერებისაგან. აქედან გამომდინარეობს დებულება, რომლის თანახმადაც ერთი სიგყვა არ შეიძლება მიმაგრდეს მხოლოდ ერთ მნიშვნელობაზე და, პირიქით, არც ცალკეულ მნიშვნელობებს ექნებათ თავიანთი საკუთარი აღმნიშვნელი ცალკეულ სიგყვათა სახით.

არაბული ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების გარკვევა. ბასრის სკოლა ამოდიოდა პურისგული გენდენციებიდან და თავგამოდებით

იცავდა სალიგერატურო ენას დიალექტურ ფორმათა შეკრისაგან.

ქუყულები, მართალია, ნაკლებ სიმკაცრეს ავლენდნენ ამ მიმართულებით, მაგრამ ისინიც საზღვარს ავლებდნენ სალიგერატურო ენასა და დიალექტებს შორის. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ არაბი ენათმეცნიერები ამა თუ იმ გრამატიკული ფორმის, სინტაქსური კონსტრუქციის, ან სიყვეის წარმოთქმის სისწორის შესამოწმებლად მიმართავენ დიალექტთა მონაცემებს. რა თქმა უნდა, ამისათვის ყველა დიალექტი არ გამოდგებოდა. მაგალითად, არაბული ორთოეპიის ეტალონად ითვლებოდა ხიჯაზის დიალექტი.

საერთოდ, არაბი ენათმეცნიერები დიალექტოლოგიური ფაქტების მართივლ შეფასებას იძლეოდნენ.

არაბული გრამატიკის სტრუქტურა

არაბი ენათმეცნიერები გრამატიკას აღნიშნავენ ტერმინით „ნაჰუ“. ეს ტერმინი იხმარება ორი მნიშვნელობით: 1) გრამატიკა ყველა თავისი ნაწილით და 2) სინტაქსი.

არაბული გრამატიკა იყოფა სამ ნაწილად: 1) სინტაქსი, 2) მორფოლოგია, 3) ფონეტიკა. ეს სამივე ნაწილი წარმოდგენილია არაბული ენის პირველივე გრამატიკაში, რომლის ავტორიც არის ტომით სპარსი სიბაუაიხი. თუმცა თანამედროვე სამეცნიერო ლიგერატურაში არსებობს აზრი, რომ მორფოლოგია, როგორც გრამატიკის დამოუკიდებელი დარგი, გამოიყო X საუკუნეში, მაგრამ არაბული წყაროების მონაცემები ეწინააღმდეგება ამ დებულებას (ე. ახელედ-დიანი).

არაბულ გრამატიკაში დიდი ადგილი ეთმობა სიყვეათ-წარმოებას, რომელსაც არაბულად ეწოდება *istiqaq*. ეს ტერმინი თანამედროვე სამეცნიერო ლიგერატურაში ითარ-

გმნება როგორც „ეგიმოლოგია“. ამ გერმინის ძირითადი მნიშვნელობა სინამდელილეში ემთხვევა სიგყვათწარმოებას, მაგრამ არაბულ გრამატიკაში სიგყვათწარმოება გულისხმობდა ეგიმოლოგიის ელემენტებსაც, კერძოდ, იყო ძირის თავედაპირული სახის რეკონსტრუქციის მცდელობა.

შემდგომში კი, დაწყებული XI საუკუნიდან, ძირის პრობლემის კვლევა აიყვანეს უფრო მაღალ საფეხურზე. მაგალითად, იბნ ჯინი ამუშაებს ძირის ორთანსმოვნიანობის თეორიას, რის შედეგადაც არაბულ ენათმეცნიერებაში ჩნდება ახალი ცნება *al-istiḳāq al-akbar* „დიდი ეგიმოლოგია“. არაბული ენათმეცნიერების სწორედ ეს ახალი დარგი წარმოადგენს საშუალო საუკუნეების არაბ ენათმეცნიერთა ეგიმოლოგიური კვლევის მწვერვალს.

არაბი ენათმეცნიერების ამრით, გრამატიკის საგანია არაბული სალიგერატურო ენის წესების გამოვლენა და დადგენა. იბნ ჯინი ასე განსაზღვრავდა გრამატიკის არსსა და დანიშნულებას: „გრამატიკა არის სახელმძღვანელო არაბული ენის ცვალებადობის წესების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, ორობითი და მრავლობითი რიცხვის, მიმართებითი სახელების, რთული სიგყეებისა და სხვ. წარმოება“ (35, 67). იბნ ჯინის ამრით, ამ წესების ცოდნა, პირველ რიგში, აუცილებელია იმათთვის, ვინც არ იცის არაბული ენა, რომ ამ ენის კანონების ცოდნით და, საბოლოო ჯამში, მისი სრულყოფილი დაუფლებით გაუთანაბრდნენ იმ ადამიანებს, რომლებმაც იციან არაბული ენა.

როგორც აღვსიშნეთ, არაბული ენის გრამატიკის სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშანია სინგაქსის, მორფოლოგიისა და ფონეტიკის საკითხთა თანმიმდევრული გადმოცემა. რაგომდაც ამ წესს არღვევს გამახშარი, რომელიც თავის ნაშრომში „*Al-Mufaṣṣal*“ გრამატიკის საკითხებს განიხილავს მეგყველების ნაწილთა მიხედვით. ამ ნაშრომის თითოეულ ნაწილში განიხილულია როგორც სინგაქსის,

ასევე მორფოლოგიის საკითხები. ბოლოში მოცემულია ფონეტიკის საკითხები.

არაბ ენათმეცნიერთა ლინგვისტური კონცეფციის ქვაკუთხედია ორი ცნება – qijas და Aagdir. ამიგომ მათი მეოთხედიანი გასარკვევად საჭიროა ამ ორი ძირითადი ცნების განსაზღვრა.

Qijas სპეციალურ ლიგერაგურაში თარგმნილია როგორც „ანალოგია“; რამდენადაც ეს ცნება განსაკუთრებით ეფექტურად იხმარებოდა ბასრის სკოლაში, ამიგომ მათ ეძახდნენ „ანალოგისტებს“. ზოგი მკვლევარი qijās-ს განიხილავდა როგორც უფრო ფართო ცნებას. ე. როიშელის აზრით, „ანალოგია“ (qijās) გვაქვს მამინ, როცა ფორმები რეგულარულად იწარმოება. ის არ არის დამხმარე საშუალება არასწორი ფორმების ასახსნელად, როგორც ეს თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიაჩნიათ. გრამატიკული არგუმენტაციის ამ „მეთოდით“ არაბ გრამატიკოსებს შეუძლიათ ახსნან თითქმის ყველა ენობრივი მოვლენა, რომლებიც საერთო წესის გარეთ დგანან როგორც „რეგულარულები“.

სინამდვილეში კი qijās გერმინის მნიშვნელობა გულისხმობს სიგყვების, ფორმების, წინადადებების წარმოებას სალიგერაგურო ენის წესების, რეალურად არსებული ენობრივი მოდელის შესაბამისად.

ხოლო tagdir არის ამ მოდელის ახსნის საშუალება. ამ გერმინის მნიშვნელობაა „ის, რაც იგულისხმება, ვირტუალური“. მაშასადამე, ეს არის წინადადების წვერი, რომელიც იგულისხმება, რომლის საშუალებითაც ხდება წინადადების რეალურად წარმოდგენილი ზოგი წვერის ინტერპრეტირება.

სინგაქსი

სინგაქსის საგანია წინადადების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. „წინადადება არის დასრულებული აზრის სიტყვიერი გამოხატულება დადგენილი წესების მიხედვით“. წინადადება შედგება არანაკლებ ორი სიტყვისა, ორი სახელისა ან სახელისა და გმნისაგან, რომელთა შორისაც მყარდება სუბიექტურ-პრედიკატული მიმართება.

შედგენილობით წინადადება შეიძლება იყოს დიდი (gymna kubra) ან პატარა (gymna sugra). ეს ცნებები შეფარდებითია. პატარაა წინადადება, რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან (ქვემდებარისა და შემასმენლისაგან) ან „დიდი წინადადების“ ნაწილია.

აგებულების მიხედვით წინადადებები შეიძლება იყოს სახელური, გმნური და საგარემოებითი. სახელურია წინადადება, რომელიც იწყება სახელით, როგორცაა „მეილი ღვას“. გმნურია წინადადება, რომელიც გმნით იწყება: „ღვას მეილი“ და ა.შ.

ამის შემდეგ არაბი ენათმეცნიერები ცალ-ცალკე იხილავენ წინადადების წევრებს: ქვემდებარეს, შემასმენელს და დამატების სხვადასხვა სახეს. გამოყოფენ დამატების ხუთ სახეობას: აბსოლუტურ, პირდაპირ და დროისა და ადგილის დამატებას

არაბული სინგაქსის საფუძველია მოძღვრება ფლექსიის შესახებ. ფლექსია რეალიზდება ორგვარად – ფორმალურად და ვირტუალურად (taqdir). ამ უკანასკნელს ადგილი აქვს ისეთ სახელებთან, რომლებიც არ იცელებიან ბრუნვების მიხედვით და, აგრეთვე, პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცეალსახელურ ნაწილაკიან იზაფეგურ კონსტრუქციებში. ფლექსია ახასიათებს სახელებსა და გმნებს აწმყო-მყოფადობის დროის ფორმაში.

ნაწილაკებსა და წარსული დროის გმნურ ფორმებს ფლექსია არ ახასიათებს, რადგანაც ნაწილაკები საერთოდ

არ იცვლიან ფორმას, ხოლო წარსული დროის გმნას კილოს მიხედვით არ გააჩნია შესაპირისპირებელი ფორმები.

არაბები საკმაო სისრულით განიხილავენ წინადადებაში სიგყვათა სინგაქსურ კავშირებს – შეთანხმებას, მართვასა და მირთვას.

არაბულ სინგაქსს საფუძველი ჩაუყარეს სიბაჟაიპის წინამორბედებმა. შემდგომში სიბაჟაიპიმ მოგვცა არაბული სინგაქსის უფრო ფართო და ღრმა გამოკვლევა. მომდევნო ავტორებმა, განსაკუთრებით X-XII საუკუნეების ენათმეცნიერებმა, მოგვცეს სინგაქსური პრობლემების დალაგებული, თანმიმდევრული გამოკვლევები, სადაც წამოყენებული იყო ორიგინალური შეხედულებებიც (ვ. ახვლედიანი).

ბასრისა და ქუფის სკოლებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ სინგაქსის საკითხებშიც. ეს სხვაობა გამოვლინდა ორი მიმართულებით: 1) სინგაქსურ კონსტრუქციებს, რომლებსაც ქუფელები მიიჩნევდნენ კანონიერად, ბასრელები ლიგერატურული ენისათვის მიუღებლად თელიდნენ. 2) მოგჯერ, თუ ამ ორი სკოლის წარმომადგენლები ამა თუ იმ ფორმის სისწორის შესახებ ერთ თვალსაზრისზე იდგნენ, სამაგიეროდ, ასეთ სინგაქსურ კონსტრუქციებს განსხვავებულ თეორიულ შეფასებას აძლევდნენ.

მორფოლოგია

მორფოლოგიაში არაბი ენათმეცნიერები განიხილავენ მეტყველების ნაწილებსა და მათ ფორმაწარმოებას. გრამატიკის ეს ნაწილი დეგალურად დამუშავებული აქვს სიბაჟაიპს. კერძოდ კი: 1) მეტყველების ნაწილები, 2) ძირის აგებულება, 3) სახელები და მათი კლასიფიკაცია, 4) გმნა და მისი ფორმები, 5) ორ-და სამბრუნვიანი სახელები, 6) მიმართებითი სახელების წარმოება, 7) კომპოზიციები, 8) რიცხვისა და სქესის კატეგორიების წარმოება და სხვა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სიბავაიპის ნაშრომში ხშირად გვხვდება ამა თუ იმ მორფოლოგიური მოვლენის გამაზოგადებელი ფორმულირება. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია მისი მსჯელობა ორბრუნვიანი და სამბრუნვიანი სახელების შესახებ.

არაბული ენის ლექსიკურ ფონდს სამ ჯგუფად ყოფენ: სახელები, მმნები და ნაწილაკები.

სახელთა ჯგუფში გამოყოფენ – არსებით სახელებს, გედსართავ სახელებს, პირის ნაცვალსახელებს, ჩვენებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ნაცვალსახელებს.

არსებითი სახელები, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად: საკუთარი და საზოგადო სახელები, ეს უკანასკნელი კი – კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად. არსებითი სახელები უმრავლეს შემთხვევაში იწარმოებიან მმნური ფუძეებისაგან. ამასთან დაკავშირებით საკამათოა მასდარის საკითხი. ბასრის სკოლის მიხედვით, ის არის მმნის ამოსავალი ფორმა, წინააღმდეგ ქუფის სკოლისა, რომელიც მმნის ამოსავალ ფორმად წარსული ღროის ფორმას მიიჩნევს.

არაბები გედსართავ სახელებსაც ორ ჯგუფად ყოფენ – ნამმნარი სახელები და ნასახელარი ანუ სახელისაგან ნაწარმოები გედსართავი სახელები. ნამმნარი გედსართავი იწარმოება მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობებისაგან.

არაბული ენის მორფოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია სახელთა კლასიფიკაცია ბრუნვათა ფორმების რაოდენობის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ე. როიშელი წერს: „ხალილის სხვადასხვა გამონათქვამი იძლევა თითქმის დასრულებულ სურათს ჩვენთვის ცნობილ ორბრუნვიან და სამბრუნვიან სახელთა წესების განმარტებისა“ (35,76). ეს საკითხი განსაკუთრებით სრული სახით აქვს დამუშავებული სიბავაიპის.

არაბულ გრამატიკებში დამუშავებულია სქემების კატეგორიაც. ავტორთა აზრით, მამრობით სქესს არა აქვს თა-

ეისი ნიშანი, ხოლო მდედრობითი სქესი ორი სახის დაბოლოებით გამოიხატება: პირველს ის სახელები განეკუთვნება, რომლებიც მდედრობითი სქესის არსებებს აღნიშნავენ, ხოლო მეორეს – სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ საგნებს, რომლებიც დადგენით, შეთანხმებით მიეკუთვნებიან მდედრობითი სქესის სახელებს, მაგალითად, იá სიი „სანდალი“, zulumatus „წყვილიაღი, სიბნელე“.

რიცხვის კატეგორიაში გამოყოფენ სამ ფორმას: მხოლობითს, ორობითსა და მრავლობითს. მხოლობითს არ გააჩნია ნიშანი, ორობითის ნიშანია შიი და აჟიი. მრავლობითი რიცხვი ორი სახისაა: სწორი (რომელიც მამრობით სქესში დაირთავს uia და ina სუფიქსებს) და მსხერეული მრავლობითი.

არაბი ენათმეცნიერები განიხილავენ შეგყველების სხვა ნაწილებსაც, რომლებიც სახელებს განეკუთვნებიან. მაგალითად, სიბავაიპი დაწერილებით აღწერს რაოდენობრივ და რიგობით რიცხვით სახელებს, მათი შეურთების წესებს. არაბი ენათმეცნიერის მამახშარის ამრით, არაბულ ენაში ძირითადი რიცხვითი სახელებია პირველი ათეულისა (ერთი, ორი, სამი...) და ასისა და ათასის აღმნიშვნელი სახელები. ეს თორმეტი სახელი ქმნის არაბული ენის თვლის მთელ სისტემას.

ნაცვალსახელებს სამ ჯგუფად ყოფენ: პირის, ჩეენებითი და მიმართებითი. ეს უკანასკნელი იხმარება კითხვითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც.

არაბი ენათმეცნიერების ნაშრომებში გმნის მორფოლოგიურ ანალიზს ცენტრალური ადგილი უკავია.

სიბავაიპი გამოყოფს გმნის სამ ფორმას: წარსული დრო (mādin), აწყმო-მომავალი დრო (mudāric) და ბრძანებითი კილო ('amr). შესაბამის ნაშრომში მოცემულია ამ სამივე ფორმის დროთა დახასიათება. მისი განმარტებით, წარსული დრო არის „ის, რაც იყო“, აწყმო-მომავალი დროა „ის, რის

შესახებაც მიდის საუბარი და რაც არ წყდება“, ბრძანებითია „ის, რაც არ მომსდარა, მაგრამ მოხდება“.

სიბავაიპი იძლევა აგრეთვე გმნის მორფოლოგიური კატეგორიების ანალიზს: გარდამავლობის, გარდაუვალობის, ვეარის, პირის, რიცხვისა და სქესის. ამასთანავე გამოყოფს აღნიშნულ მორფოლოგიურ კატეგორიათა შესაბამის გრამატიკულ მორფემებს.

დაბოლოს, სიბავაიპი აღწერს და აანალიზებს სამ- და ოთხთანხმოენიან გმნურ ძირებს.

არაბი ენათმეცნიერები გამოყოფენ ნაწილაკთა 27 სახეს. მათი დაკვირვებით ნაწილაკს არა აქვს სახელისა და გმნის თვისებები, არ ახასიათებთ ფლექსია და არც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ.

სპეციალისტების აზრით, მორფოლოგია არაბ ენათმეცნიერთა გრამატიკული თეორიის ყველაზე ორიგინალური ნაწილია მათ ლინგვისტურ მოძღვრებაში. ამ ნაწილში არ ჩანს სხვა ხალხთა (ინდოელების, ბერძნების) გრამატიკული თეორიების გავლენა, როგორც ეს შეიძლება დაეუშვათ ფონეტიკასა და ნაწილობრივ ლექსიკოლოგიაში.

როგორც ცნობილია, არაბული ენისათვის დამახასიათებელია სამთანხმოენიანი ძირები. არაბმა გრამატიკოსებმა მაქსიმალური სიმუსტით შეძლეს მათი დადგენა. ასევე მუსტად შეისწავლეს ხმოვანთა ფლექსია და აფიქსაცია, რამაც შემდგომში ღიდი გავლენა მოახდინა ევროპულ ენათმეცნიერებაზე და კერძოდ – ფრ. ბოპზე.

ამგვარად, არაბი ენათმეცნიერების გრამატიკული თეორია არის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი, რომელიც ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ არაბული ენის სტრუქტურის სპეციფიკას.

ფონეტიკა

ფონეტიკური პრობლემების დამუშავებაში არაბმა ენათმეცნიერებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ენათმეცნიერების ამ დარგში მათ შექმნეს ორი მიმართულება. ერთს ხალილმა ჩაუყარა საფუძველი, ხოლო მეორეს – მისმა მოწაფემ სიბავაიჰიმ. შემდგომში სიბავაიჰის შეხედულებებმა უფრო ფართო აღიარება პოვა და გავრცელდა სამუალო საუკუნეების არაბ ენათმეცნიერთა შორის.

როგორც კ. ფოლერსი წერს, ამ დროისათვის „არსებობდა მხოლოდ ორი ცივილიზაცია – ინდოელთა და ელინთა, რომელთაც ჰქონდათ ნამდვილად ფასეული ფილოლოგიური სისტემები“ (35, 80). ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ არაბმა მეცნიერებმა გაითვალისწინეს აღნიშნულ ხალხთა მეცნიერების მიღწევები. კ. ფოლერსმა შენიშნა კიდევ ეს ფაქტი. მისი აზრით, გავლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა ხალილის ფონეტიკურ თეორიაში, კერძოდ კი მის თანხმოვანთა კლასიფიკაციაში წარმოების ადგილის მიხედვით. ხალილსაც, ისე როგორც ინდოელებს, წარმოების ადგილის მიხედვით გამოყოფილი აქვს თანხმოვანთა რვა ჯგუფი.

შემდგომში თანხმოვანთა ეს კლასიფიკაცია დააბზუსტა სამუალო საუკუნეების დიდმა მოაზროვნემ, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ბრწყინვალე მცოდნემ აბუალი იბნ-სინამ (ავიცენა 980-1037). მან ღეგალურად აღწერა თანხმოვანთა არგტიკულაცია და წარმოების ადგილის მიხედვით მოახდინა მათი კლასიფიკაცია, მიიღო სულ ცხრა ჯგუფი.

ხალილის თანხმოვანთა კლასიფიკაციის ნაკლოვანებანი კარგად შენიშნა სიბავაიჰიმ და წარმოადგინა ახალი კლასიფიკაცია, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. არაბული ენის ფონეტიკური სისტემის შესწავლისათვის. წარმოების ადგილის მიხედვით სიბავაიჰიმ დაადგინა არაბული ენის ბგერათა 16 ჯგუფი. ამისდა

მიხედვით მუსკად აქვს აღწერილი ცალკეულ ბგერათა არტიკულაცია და მათი სხვადასხვა კომბინატორული ცვლილება. საყურადღებოა, რომ არაბი ენათმეცნიერები ბგერის წარმოქმნის სამ წყაროს ასახელებენ: 1) ჰაერის ტალღებს, 2) სამეცყეულო აპარატის სხვადასხვა წერტილში შექმნილ დაბრკოლებებს, რომლებიც აკაეებს ფილტვებიდან ამოსულ ჰაერს, 3) რემონატორს, რომელიც სხვადასხვა აკუსტიკურ ეფექტს ქმნის.

ბგერათა დასასიათებისას არაბები ძირითადად თვითდაკვირვებისა და შედარების მეთოდს იყენებენ. მათ მხედველობიდან არ რჩებათ არც ბგერათა სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილება, როგორცაა, მაგალითად, გემინაცია, ასიმილაცია, ბგერათა ჩანაცვლება, მეტათეზისი და სხვ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არაბული ენის ფონეტიკური სისტემა საშუალო საუკუნეების არაბულ ენათმეცნიერებაში შედარებით მაღალ დონეზეა დამუშავებული. ეს უაქტი ნაწილობრივ განპირობებულია ყურანის ორთოეპიის საკითხების აქტუალობითაც.

ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია

არაბული ენის ლექსიკური შედგენილობის შესწავლა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო არაბულ ენათმეცნიერებაში. არაბები სწავლობდნენ როგორც სალიტერატურო ენის, ასევე დიალექტების ლექსიკას. თუმცა ამ უკანასკნელს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და თავისთავადი შესწავლის ობიექტი ის არ გამხდარა.

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ჰიტყვათა კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით: სიტყვის სტრუქტურა, სემანტიკა, წარმომავლობა და ხმარების სიხშირე.

არაბებმა საფუძვლიანად დაამუშავეს ძირის თეორია. ამ თეორიის თანახმად, არაბული სიტყვების ძირები ორი, სამი, ოთხი და ხუთი თანხმოენისაგან შედგება. სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა დაკავშირებულია ძირეულ თანხმოვნებთან. თუ სიტყვა მრავალთანხმოენიანია, მაშინ ის ან უცხო წარმოშობისაა, ანდა მიანიშნებს, რომ აქ აფიქსებია წარმოდგენილი.

არაბმა ენათმეცნიერებმა მუსგად გამოთვალეს არაბულ ენაში ძირთა შესაძლებელი რაოდენობა. ეს რიცხვი რამდენიმე მილიონს აღწევს, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ ენაში რეალურად არსებობს ძირების გაცილებით ნაკლები რაოდენობა. მათი დაკვირვებით არაბულ ენაში ყველაზე მეტი რაოდენობისაა სამთანხმოენიანი ძირები, საერთოდ, ძირთა სიმრავლეს მლუდავს ის ფაქტორი, რომ არაბული ენის სიტყვათა ძირები ვერ ითავებს თანხმოენითა კომპლექსებს.

თანხმოენანთა შეთავსებადობის პრობლემა გულდასმით აქვთ დამუშავებული არაბ ლექსიკოლოგებს. მეგად საგულისხმოა, რომ მათ დადგენილი აქვთ თანხმოენანთა შეერთების წესები, ე. ი. რა და რა თანხმოენანი შეიძლება შეთავსდეს ძირში და რა და რა – არა. ამგვარად, ენის თეორიული შესაძლებლობიდან ამოსვლით ძირები ხმარების თვალსაზრისით იქნებიან შესაძლებელი და შეუძლებელი. სწორედ ამ ნიშანს ემყარება არაბულ ლექსიკოლოგიაში სიტყვათა დაყოფა – სახმარი და უხმარი (ან გამოყენებული და გამოუყენებელი). ამ მიმართულებით არაბ ლექსიკოლოგებს ჩაგარებული აქვთ მეგად საინგერესო კელევა-ძიება, რომელსაც ჩვენ აქ ვეღარ შევხებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ არაბები იშვიათად ხმარებულ სიტყვათა შესწავლას. არაბული ლექსიკოლოგიის ისტორიაში ჩვენ გვხვდება ამ იშვიათი სიტყვებისადმი მიძღვნილი უამრავი ლექსიკონები და გამოკვლევები. მათ მხედველობიდან არ გამოორჩენიათ არც არ-

ქაული სიკვებები, რომლებიც ისლამამდე იხმარებოდა ენაში, მაგალითად, კვირის დღეების და თვეთა სახელები და სხვ.

არაბული ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ნასესხები სიკვებები. ისინი ნასესხებ სიკვებებს სამ ჯგუფად ყოფენ: 1) პირველ ჯგუფში შედიან ის სიკვებები, რომლებიც არაბული ენის სიკვებათწარმოებისა და ფორმათწარმოების წესებს ექვემდებარებიან, 2) მეორე ჯგუფს ქმნიან ისეთი სიკვებები, რომლებიც გარეგნულად იცვლებიან, მაგრამ არაბული ენის წესებს არ ექვემდებარებიან, 3) მესამე ჯგუფში აერთიანებენ ისეთ სიკვებებს, რომლებიც არც არაბული ენის სიკვებათწარმოების წესებს ექვემდებარებიან და არც გარეგნულ სახეს იცვლიან.

რა შემთხვევაში სესხულობს არაბული უცხო ენებიდან სიკვებებს?

სესხება ხდება მაშინ, როცა არაბულ ენას ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოსახატავად არ გააჩნია საკუთარი სიკვება, ანდა აქვს ძველი სიკვება, მაგრამ იშვიათად ხმარების გამო გზას უთმობს უცხო სიკვებას.

არაბმა ლექსიკოლოგებმა დასვეს სიკვების მნიშვნელობის პრობლემა. მათ ეს პრობლემა აინტერესებდათ როგორც თეორიული საკითხების, ასევე არაბული ენის ლექსიკური შედგენილობის შესწავლის თვალსაზრისით. დისკუსია წარიმართა იმის გარშემო, თუ რას აღნიშნავდა სიკვება – საგანს თუ ამ საგნის ამრობრივ სახეს, წარმოდგენას. ამ საკითხთან დაკავშირებით გაჩნდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი. მეცნიერების ნაწილი ამტკიცებდა, რომ სიკვება საგანს აღნიშნავს, საგანთან უშუალო მიმართებაშია მისი მნიშვნელობა (მაგ., აბუ ისხაკ აბ-შირაბი). ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ფახრ ად-დინ არ რაბი და ასნაეი თვლიდნენ, რომ სიკვება არის ამრობრივი სახის, წარმოდგენის ნიშანი.

როგორც ამ პრობლემის ამა თუ იმ დებულების სასარგებლოდ მოტანილი საბუთებიდან ჩანს, განსხვავებული

თვალსაზრისის საფუძველია სხვადასხვა ფილოსოფიური წანამძღვარი, რომლებსაც ისინი ემყარებოდნენ.

ეს ორი მიმდინარეობა დიდხანს განაგრძობდა არსებობას საშუალო საუკუნეების არაბულ ენათმეცნიერებაში და ძნელია იმის თქმა, მათგან რომელმა მოიპოვა უპირატესობა.

არაბ ლექსიკოლოგებს მხედველობიდან არ გამოორჩენიათ ენაში არსებული მონოსემიური და პოლისემიური სიტყვები. მათი აზრით, სიტყვის პოლისემიურობა გამოწვეულია ერთი და იმავე სიტყვის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული მნიშვნელობით ხმარებით, რაც საბოლოო ჯამში ქმნიდა პოლისემიას.

საგულისხმოა, რომ არაბები ამგვარი სიტყვების სპეციალურ ლექსიკონებსაც აღგენდნენ. ამ რიგის ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსიკონია იბნ დახხანამისა (გარდ. 1173 წ.)

არაბებს აღნიშნული აქვთ სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების ან დავიწროების პროცესი. დიდი ალგილი ეთმობა აგრეთვე სინონიმებისა და ომონიმების დახასიათებას. ლექსიკოლოგთა აზრით, სინონიმები შეიძლება იყოს აბსოლუტური ან შეფარდებითი. ეს კი საგულისხმო მიგნებაა იმ დროისთვის. სინონიმების წარმოშობის ერთ-ერთ წყაროდ არაბები ძირეულ თანხმობანთა მეტათემისს (hamida || madaha „ქება“) და სუბსტიტუციას (ajl||ajim „ცხოვრება“) თვლიან.

ლექსიკოლოგიაში არაბები განიხილავენ აგრეთვე კომპოზიციებს, „იდიომებს...“

დასასრულს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს არაბული ლექსიკოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი „Mizhar“, რომლის ავტორიც არის XI ს. ლექსიკოლოგი სუეიტი. ეს ნაშრომი არის სამაგიდო წიგნი ყველასათვის, ვინც მოისურვებს იმუშაოს არაბული ენის ლექსიკოლოგიაში.

დიდი მიღწევები აქვთ არაბებს ლექსიკოგრაფიაშიც. ისინი აღგენდნენ სალიტერატურო ენის ლექსიკონებს. თავისი

მისაარსით ლექსიკონები იყოფა ექვს ჯგუფად: 1) სრული განმარტებითი ლექსიკონები, 2) საგნობრივი ლექსიკონები, 3) სინონიმთა ლექსიკონები, 4) იშვიათ სიტყვათა ლექსიკონები, 5) ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონები, 6) თარგმნითი ლექსიკონები.

პირველი არაბული ლექსიკონი Kitab al-'ajj ეკუთვნის ხალილ იბნ აჰმადს. ამ ლექსიკონში სიტყვები დალაგებულია ფონეტიკური პრინციპის მიხედვით, კერძოდ კი, ბგერათა წარმოების ადგილთა თანმიმდევრობის მიხედვით. ხალილის ამრით, ყველაზე უკანა წარმოების ბგერაა 'ajj, ამიტომ მისი ლექსიკონი იწყება ამით. აღნიშნული ნიშნის გვერდით გათვალისწინებულია ძირის შედგენილობაც ასეთი თანმიმდევრობით: ორთანხმოვნიანი, სამთანხმოვნიანი და მრავალთანხმოვნიანი ძირები.

სპეციალურ ლიგერაგურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სიტყვათა განლაგება ძირის თანხმოვანთა რაოდენობის მიხედვით მოგიერთი სანსკრიტული ლექსიკონის რეზინისცენციაა, სადაც სიტყვები განლაგებულია მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. ხალილის მიერ შემუშავებული ლექსიკონების აღნიშნული მეთოდი არსებობდა დაახლოებით სამასი წელი.

X საუკუნის ბოლოს არაბულ ლექსიკოგრაფიაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა, რომელიც „რითმების მეთოდის“ სახელით არის ცნობილი. ამ მიმართულების ლექსიკოგრაფები სიტყვებს ალაგებდნენ ანბანის მიხედვით, ოღონდ ძირის ბოლო თანხმოვნის გათვალისწინებით. ამას ისინი აკეთებდნენ პოეზიის მოთხოვნილებიდან ამოსვლით. ამგვარი პირველი არაბული ლექსიკონის ავტორია ალ-ჯაუჰარი (გარდ. 1007 წ.).

ჯაუჰარის ლექსიკონმა გამოიწვია მრავალი კრიტიკული შენიშვნა მასში წარმოდგენილი ლექსიკის სისრულის თვალსაზრისით. ამის გამო გაჩნდა ამ ლექსიკონის „დამატებები“, ხოლო სიტყვათა განლაგების პრინციპი მომდევნო

საუკუნეების გამოჩენილ ლექსიკოგრაფთა ნაშრომებში უფრო დაიხეწა და სრულყოფილი გახდა.

არაბული ლექსიკოგრაფიის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს იბნ მანზურის (გარდ. 1311 წ.) ცნობილი ლექსიკონი „ლის ან ალ-არაბ“, რომელიც როგორც მოცულობით, ასევე თავისი სტრუქტურის ჩანაფიქრით ამ დარგში სამაგალითო თხზულებას წარმოადგენს.

იბნ მანზურის ლექსიკონი, რომელიც „რითმების შეიოდის მიხედვით“ არის შედგენილი, შეიცავს 80 ათას სალექსიკონო ერთეულს. ეს ლექსიკონი დღემდე რჩება არაბული ენის ლექსიკის სიმდიდრის შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

აღნიშნული მიმართულების განვითარების თითქმის ოთხსაუკუნოვან პერიოდს არაბულ ლექსიკოგრაფიაში აგვირგვინებს ფირუზაბადის (1326-1414) ლექსიკონი „Al-Qamus al-muhit“, რომელმაც აღმოსავლეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ის ითარგმნა სპარსულ და თურქულ ენებზე.

არაბული ლექსიკონების შედგენის თანამედროვე პრინციპების ფუძემდებელია X საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი იბნ ფარისი, რომელმაც თავის ორ სპეციალურ ლექსიკონში სიგყეები განალაგა ანბანის პრინციპის მიხედვით.

არაბულ ლექსიკოგრაფიაში ძირითადად ჭარბობს ერთენოვანი ლექსიკონები, მაგრამ გვხვდება თარგმნითი ლექსიკონების მაგალითებიც. ასეთია, გამახშარის არაბულ-სპარსული ლექსიკონი.

არაბულმა ლექსიკოგრაფიამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც აღმოსავლეთის ხალხთა (ირანი, თურქეთი, ნაწილობრივ ინდოეთი), ასევე ევროპის ლექსიკოგრაფიაზე. არაბმა ლექსიკოგრაფებმა შექმნეს მყარი ბაზა თანამედროვე ენათმეცნიერებაში ლექსიკოგრაფიის განვითარებისათვის (28, 53).

ასეთია საშუალო საუკუნეების არაბული ლინგვისტური აზროვნების განვითარების სქემატური სურათი.

ენათმეცნიერება აღორძინების ეპოქაში (XV-XVIII)

სქოლასტიკისა და თეოლოგიის ხანგრძლივი ბაგონობის შემდეგ ევროპაში იწყება ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნების აღორძინებისა და განვითარების ახალი ეპოქა.

რამ განაპირობა ადამიანის სულიერი კულტურის სფეროში ეს უდიდესი ძვრები?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აღორძინების ეპოქის დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები – ქრისტეფორე კოლუმბმა (1451-1506) აღმოაჩინა ამერიკა (1492 წ.), ფერნანდო მაგელანმა (1480-1521) კი პირველმა იმოგზაურა დედამიწის ირგვლივ (1519-1522 წწ.). ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენებმა არაჩვეულებრივად გააფართოვა კაცობრიობის ცოდნის ჰორიზონტი.

აღნიშნულ ეპოქასთანაა დაკავშირებული კაპიტალიზმის მძლავრი აღმავლობა, კაპიტალისტური წარმოების წესების სწრაფი განვითარება. ეს კი, თავის მხრივ, ამწეავებს ურთიერთობას ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის. წარმოების კაპიტალისტური წესი საწარმოო ძალების განვითარებას მოითხოვს, ხოლო ეს უკანასკნელი მეცნიერების განვითარებას აძლევს სტიმულს.

ამ ახალი ეპოქის დიდი შეილები არიან დიდი მეცნიერები: გალილეო გალილეი (1564-1642), ნიკოლოზ კოპერნიკი (1473-1543), რენე დეკარტი (1596-1650), ისააკ ნიუტონი (1643-1727), ვოლფგანგ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716), მისეილ ლომონოსოვი (1711-1765)...

მარქსიზმის ფუძემდებლები აღორძინების ეპოქას ასე ახასიათებენ: „ეს იყო უდიდესი პროგრესული გადაგრილება, როგორც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს იყო ეპოქა, რომელსაც გიგანები ესაჭიროებოდა და, რომელმაც დაბადა კიდევ გიგანები, გიგანები ამრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივი გან-

სწავლულობით... იმ დროს თითქმის არ ცხოვრობდა არც ერთი დიდი პიროვნება, რომელიც შორეულ მოგზაურობაში არ ყოფილიყოს, ოთხ-სუთ ენაზე ლაპარაკი არ შეძლებოდა და რამდენიმე სპეციალობაში ბრწყინვალედ არ გამოჩენილიყოს“ (6,8).

ლინგვისტური ამროვნების განვითარების თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია ეს ეპოქა, რადგანაც ევროპელები კოლონიზაციის პროცესთან დაკავშირებით ეცნობიან მსოფლიოს სრულიად სხვადასხვა სტრუქტურის ენას, რის შედეგადაც გროვდება უამრავი ენობრივი მასალა; ეს, თავის მხრივ, საფუძველს ამზადებს არსებული თეორიების ახლებური ინტერპრეტაციისათვის. ამ პროცესს ხელი შეუწყო აგრეთვე ძველი კლასიკური ენებისადმი – ბერძნულის, სემიტურის – მეცნიერული ინტერესების გაღვივებამ, რის შედეგადაც ვითარდება წყაროთმცოდნეობა, ე.ი. ანტიკური ტექსტების ფილოლოგიური დამუშავება და გამოცემა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ი. ც. სკალიგერს (1484-1558), რ. სტეფანუსს (1503-1559) და მის ეაჟს გ. სტეფანუსს (1528-1598).

თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ (1453 წ.) მრავალი ბერძენი სწავლული გაიქცა იტალიაში, რამაც უფრო გამარდა ევროპაში ბერძნული ენისა და კულტურისადმი მეცნიერული ინტერესი. ამან კი ხელი შეუწყო კლასიკური ფილოლოგიის აღმოცენებას. ბერძნული ფილოლოგიის პარალელურად იქმნება სემიტური ფილოლოგიაც, რომლის კვლევის ობიექტიც ხდება სემიტური ენები: ებრაული, არამეული, არაბული, ეთიოპიური და სხვ.

სემიტური ფილოლოგიის სათავეებთან დგანან ი. სკალიგერი და ი. რეიხლინი (1540-1609). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელმა თავისი ძველი ებრაული ენის გრამატიკაში (1506 წ.) პირველად იხმარა ტერმინი „აფიქსი“, რომელიც შემდგომ საყოველთაო ხმარებაში შევიდა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით იღვიძებს ნაციონალური შეგნება, რაც წინა პლანზე აყენებს ეროვნული ენის სტაგუსის პრობლემას კულტურისა და მეცნიერების სფეროში. ეს პრობლემა აქტუალური გახდა ბიბლიური წიგნებისა და განსაკუთრებით კი სახარების თარგმნის საჭიროებამ.

დადგა ენის გრამატიკულ წყობასთან დაკავშირებული რიგი თეორიული პრობლემების მოგვარების საკითხი, მავალითად: 1. ნაციონალური ენისა და მისი საერთო ნორმების დადგენის პრობლემა; 2. ნაციონალური გრამატიკის შექმნა; 3. შესაბამის ენათა დამწერლობის (წერის) შექმნა; 4. ორთოეპიული ნორმების უნიფიკაცია; 5. ნაციონალური ენის ლიტერატურული ნორმის შექმნა და სტილისტიკის პრობლემის გადაწყვეტა; 6. ნაციონალური ენის შედგენილობის ეტიმოლოგიური და ისტორიული გააზრება.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა, ბუნებრივია, შინაგან კავშირშია კონკრეტული ენების გრამატიკების შექმნასთან. ამიგომ ამ დროს იქმნება ევროპის ცოცხალი ნაციონალური ენების აღწერითი და ნორმატიული გრამატიკები. ეს ფაქტი კი იმის მაუწყებელია, რომ ამიერიდან ძველი კლასიკური ენების ადგილს ევროპის მეცნიერებასა, კულტურასა და ხელოვნებაში იკავებს ახალი ცოცხალი ნაციონალური ენები.

ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს გენიალური იტალიელი პოეტის დანტეს (1265-1321) დამსახურება, რომელმაც ნაშრომში „ხალხური მჭევრმეტყველების შესახებ“ (De vulgari eloquentia) დაასაბუთა ხალხური ენების უპირატესობა მეუღარი კლასიკური ენების წინაშე. მან ეს თეაღსაპრისი საქმითაც დაამტკიცა, თავისი სახელგანთქმული „ღვთაებრივი კომედია“ დაწერა არა კლასიკურ ლათინურზე, როგორც ეს იმ დროს იყო მიღებული, არამედ ხალხურ იტალიურ ენაზე.

XV საუკუნის ბოლოს გამოვიდა პირველი ესპანური გრამატიკა (1492 წ.) და პირველი ბრეტონული ენის გრამატიკა (1499 წ.).

XVI საუკუნეში მრავალი გრამატიკა დაიწერა: გერმანული ენის გრამატიკა (1527 წ.), ფრანგული ენის გრამატიკა (1531 წ.), ინგლისური ენის გრამატიკა (1538 წ.), უნგრული ენის გრამატიკა (1539 წ.), ჩეხური ენის გრამატიკა (1567 წ.), პოლონური ენის გრამატიკა (1568 წ.), ბასკური ენის გრამატიკა (1587 წ.), სლავური ენის გრამატიკა (1596 წ.).

1696 წელს ოქსფორდში გამოვიდა რუსული ენის გრამატიკა ლათინურ ენაზე.

მართალია, ნაციონალური ენების გრამატიკების შედგენისას ემყარებოდნენ ლათინური ენის გრამატიკას, მაგრამ საკელეე ენათა გრამატიკული თავისებურებანი მაინც იჩენდა თავს და სათანადო ასახვას პოულობდა შესაბამის ნაშრომებში, რაც ხელს უწყობდა გრამატიკული თეორიის გამდიდრებასა და განვითარებას.

ლინგვისტიკის ისტორიის თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ლექსიკოგრაფიული მუშაობა, რომელიც იმ დროს ევროპაში გაიშალა. ამ მიმართულებით მუშაობას ბიძგი მისცა კოლონიების უამრავ ენათა გაცნობამ, რამაც მეტად გააფართოვა შესასწავლ ენათა წრე. ახალი ენების პრაქტიკული და მეცნიერული შესწავლა მოითხოვდა ლექსიკონების შედგენას. ამ დროს შეადგინეს ე.წ. მრავალენოვანი ლექსიკონები. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსი მოგზაურისა და ბუნებისმეტყველის პალასის (1741-1811) მიერ პეტერბურგში 1786-1791 წლებში ოთხ გომად გამოქვეყნებული ლექსიკონი, რომელიც შეიცავდა 272 ენის მასალას.

მეორე ასეთი ლექსიკონი, სახელწოდებით „ცნობილ ხალხთა ენების კაგალოგი, მათი აღრიცხვა, სხვადასხვა დიალექტისა და კილოენის მიხედვით დაყოფა და კლასიფიკაცია“ გამოაქვეყნა ესპანელმა ბერმა ლორენცო გერ-

ვასმა 1800-1804 წლებში, მადრიდში. ამ ლექსიკონში მოცუ-
მულია ლექსიკური და გრამატიკული ცნობები 307 ენის შეს-
ახებ, მათ შორის წარმოდგენილია ამერიკელი ინდიელე-
ბისა და მალაიურ-პოლინეზიური ხალხების ენებიც. ა-
რიგის ლექსიკონებს შორის ყველაზე მეტად ცნობილია
გერმანელების იოჰან კრისტოფ ადელუნგისა (1731-1806) და
ი. ს. ფაგერის ლექსიკონი „მითრიდაგი ანუ ზოგადი ენათ-
მეცნიერება“, რომელიც გამოვიდა ბერლინში 1806-1817
წლებში. ამ ლექსიკონში მოცემულია ზოგადი ცნობები და
ბიბლიოგრაფიული მითითებანი 500 ენის შესახებ და
ავრეთვე თარგმანი ლოცვისა „მამაო ჩვენო“.

მართალია, აღნიშნული ლექსიკონების მეცნიერული
ღირებულება დიდი არ არის, მაგრამ მათ მაინც გარკვეული
როლი შეასრულეს ენათა შედარებით-შეპირისპირებით შეს-
წავლაში. ამ ლექსიკონთა წყალობით შესამჩნევად გაფარ-
თოვდა ენათმეცნიერთა გონების თვალსაწიერი. ამით ნელ-
ნელა მზადდებოდა ახალი ეტაპი ენათმეცნიერების განვი-
თარებაში.

ლინგვისტური ამროვნების განვითარების პროცესს
დააჩქარა ავრეთვე იოჰან გუტენბერგის (1399-1468) მიერ
XV საუკუნეში საბეჭდი მანქანის გამოგონებამ. წიგნის
ბეჭდვის გავრცელებით შესაძლებელი გახდა მსოფლიოს
ენათა შესახებ ერთდროული და უხვი ინფორმაციის მიღება.
რამაც უფრო გაუადვილა მეცნიერებს განსხვავებულ
სტრუქტურის მქონე ენათა შეპირისპირება, რის შედეგადაც
ნათლად გამოიკვეთა მსგავსება და სხვაობა ენებს შორის.

ლინგვისტური ამროვნების განვითარების ისტორიამ
ეს ეტაპი, ე. ი. ენათა სტრუქტურული მრავალფეროვ-
ნების შეცნობა და ამ მრავალფეროვნებაში საერ-
თოს, ზოგადის დანახვა, მეტად მნიშვნელოვანი
მომენტია აქედან გამომდინარე შედეგებით. „ამი-
ტომ სწორედ XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე იწყება

ახალი ერა ენათმეცნიერებაში, იბალება ახალი ენათმეცნიერება“ (27, 191).

ამ ახალი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა იმ დროის ფილოსოფიურმა აზროვნებამაც. ამ ფაქტმა კი განაპირობა მეცნიერულ-ლინგვისტურ სისგემებში – ფილოსოფიური და კონკრეტული, ემპირიული. ამის ბრწყინვალე მაგალითია „პორ-როიალის გრამატიკა“, რომლის შექმნაშიც დიდი როლი შეასრულა ფრანსის ბეკონის (1561-1626) ემპირიზმმა და რენე დეკარტის (1596-1650) რაციონალიზმმა ამიგომ, სანამ „პორ-როიალის“ გრამატიკას გავეცნობოდეთ, აუცილებელია, მოკლედ შევხვთ ბეკონისა და დეკარტის კონსეფციებს ენის ფილოსოფიის შესახებ, საერთოდ მეცნიერების აგებისა და, კერძოდ კი, გრამატიკის აგების შესახებ.

ემპირიზმი და რაციონალიზმი ენის ფილოსოფიაში (XVII-XVIII სს.)

XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში მეცნიერების განვითარებას გემს აძლევს სამი დიდი მოაზროვნე: ფრანსის ბეკონი – ინგლისში, რენე დეკარტი – საფრანგეთში, გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716) – გერმანიაში.

აღნიშნულ პერიოდში ახალმა აღმოჩენებმა გააფართოვა ადამიანის გონებრივი პორიზონტი, მოწინავე მოაზროვნე ადამიანებმა უმაღვე იგრძნეს, რომ შეუძლებელია ძველი ცოდნით დაკმაყოფილება. სირცხვილია, წერდა ბეკონი, ძველი ცოდნისა და ძველი აღმოჩენების საფუძველზე წინსვლა მეცნიერებაში. როგორც კი აღმოაჩინეს ახალი ქვეყნები, გამოიგონეს წიგნის ბეჭდვა, თოფის წამალი, კომპასი, დიდი გადაგრილება მოხდა ცხოვრების მრავალ სფეროში: წიგნის ბეჭდვამ შეცვალა მეცნიერება, თოფის წამალი – სამხედრო ხელოვნება, კომპასის მეშვეობით ადამი-

ანმა გადალასა ზღეები. ეს აღმოჩენები, ბეკონის აზრით, შემთხვევითი ხასიათისა იყო და, ამისდა მიუხედავად, მათ კაცობრიობის განვითარება საგრძობლად წასწიეს წინ. თუ შემთხვევითმა აღმოჩენებმა ასეთი დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარებაში, გასაგები გახდება პროგრესი, თუკი აღმოჩენებს მეცნიერება დაედება საფუძვლად. უნდა შეიქმნას ახალი მეცნიერება, რომელიც გზას გვიჩვენებს სისგემაგური აღმოჩენებისაკენ, აქამდე არსებული მეცნიერება, ბეკონის აზრით, ცხოვრებას იყო მოწყვეტილი. ახალ მეცნიერებას კი, რომელიც ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში უნდა განვითარდეს და მის სასარგებლოდ უნდა მუშაობდეს, სჭირდება ახალი მეთოდი.

ამრიგად, ბეკონი სინამდვილის მეცნიერული შემეცნების აუცილებელ პირობად აყენებს ახალი მეთოდის შექმნას.

ცოლნის ახალი მეთოდი ახალი მეცნიერებისა და ფილოსოფიის მთავარი პრობლემაა და რა ნაკლიც უნდა ახასიათებდეს ბეკონის ნააზრევს, ამ პრობლემის დაყენება მას ახალი ფილოსოფიის დამწყებთა რიგში აყენებს (კ. ბაქრაძე).



ურანსის ბეკონი

ბეკონმა შეიმუშავა სინამდვილის მოვლენათა შემეცნების ინდუქციური და ემპირიული მეთოდის პრინციპები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მაინც ვერ შექმნა მეცნიერებათა ნამდვილი, მეცნიერული მეთოდი, მიუხედავად მრავალი დადებითი დებულებისა, რომელიც მან წამოაყენა თავის „ახალ ორგანონში“. მეთოდი, რომელმაც ის დიდ იმედებს ამყარებდა მეცნიერებათა გადახალისებისათვის, იმთავითვე მცდარ პრინციპზე იყო აგებული (კ. ბაქრაძე).

ბეკონმა ინდუქციური და ემპირიული მეთოდი საფუძვლად დაუდო თავისი ფილოსოფიური გრამატიკის კონცეფციას, რაც მეტად ანგარიშგასაწევი ფაქტია თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ეინაიდან ლინგვისტიკის კანონზომიერებათა ამსახველი განზოგადებები შეიძლება მხოლოდ ინდუქციური მეთოდით დადგინდეს (არნ. ჩიქობავა).

ბეკონს ეკუთვნის იდეა, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეიქმნას შედარებითი გრამატიკა ყველა შესაძლებელი ენობრივი მოვლენების გათვალისწინებით. მისი აზრით, ასეთ გრამატიკაში აისახება ყოველი ენის ღირსება და ნაკლი. ამის ბაზაზე კი უნდა აიგოს კაცობრიობისათვის რაღაც საერთო და ერთიანი ენა, სადაც თავს მოიყრის ცალკეული ენებისათვის დამახასიათებელი მარჯვე, მარჯივი ენობრივი კატეგორიები. ამ გზით შექმნილი ენა, ბეკონის აზრით, იქნება იდეალური საკომუნიკაციო საშუალება, ადამიანთა აზრებისა და გრძნობების გამოხატვის უნივერსალური იარაღი.

როგორც ვხედავთ, ბეკონმა წამოაყენა ლინგვისტურად მეტად საყურადღებო დებულებები, რომლებიც შემდგომ სხვადასხვა ვარიაციით აისახა თეორიულ ენათმეცნიერებაში.

ახლა გავეცნოთ დეკარტის ფილოსოფიურ კონცეფციას, რამდენადაც „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორები თავიანთ თეორიულ წანამძღვრებში არსებითად ემყარებიან რაციონალისტურ ფილოსოფიას.

როგორც ცნობილია, მეცნიერული ცოდნის განვითარების პროცესში დგება დაგროვილი ცოდნის გადაფასებისა და მისი სისტემაში მოყვანის ეტაპი. ცოდნის პრობლემა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ერთ-ერთი მხარეა, იგი ყოველი განვითარებული ფილოსოფიური სისტემის არსებითი შემადგენელი ნაწილია.



რენე დეკარტი

ახალ დროში და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ცოდნის ღირებულების, სტრუქტურისა და მისი სისტემატური ხასიათის პრობლემა მეტად აქტუალური ხდება. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ამ პერიოდში, განსხვავებით ანტიკური ხანისაგან, როცა ფილოსოფია შერწყმული იყო მეცნიერულ ცოდნასთან, მეცნიერული ცოდნა ფილოსოფიისაგან დამოუკიდებელი ხდება

და მკვიდრ საფუძველზე დგება. მაგრამ ეს ახალი მეცნიერული ცოდნა სშირად დაკავშირებულია შუა საუკუნეების სქოლასტიკასთან, ჯერ კიდევ არ არის გადალახული თეოლოგიის ელემენტები, და, რაც მთავარია, მთელი ეს ახალი ცოდნა არაა მოყვანილი სისტემაში, არაა გამონახული პრინციპი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდება იმის გარკვევა, თუ რა არის ამ ახალ მეცნიერებაში ჭეშმარიტი და რა – მცდარი. ამისათვის კი საჭიროა გამოინახოს მეთოდი, რომელიც მთელ დაგროვილ ცოდნას შეაფასებს მისი ჭეშმარიტი ღირებულების მიხედვით და ამავე დროს სისტემაში მოიყვანს მას.

როგორც ვხედავთ, დეკარტეს წინაშე, ისე როგორც საერთოდ ახალი მეცნიერებისა და ფილოსოფიის წინაშე, დგება მეთოდის პრობლემა. დეკარტის მიზანია გამოინახოს ისეთი მეთოდი, რომელიც გაარკვევს მეცნიერული ცოდნის სისტემური ხასიათის პრინციპებს.

მეცნიერული ცოდნის აგების მეთოდი დეკარტთან რაციონალიზმს ემყარება, ბეკონისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემპირიზმის გზას დაადგა.

ამგვარად, ლეკარგი გვევლინება ახალ ფილოსოფიაში მკაცრი რაციონალიზმის შემქმნელად. რა არის რაციონალიზმი?

რაციონალიზმს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ყველაზე მარტივია ის განმარტება, რომლის მიხედვითაც შემეცნების ძირითადი წყაროა გონება. ეს განმარტება მარტივიც არის და ამავე დროს არც მცდარიც. ლეკარგის აზრით, შეგონებები, აღქმები შეცდომის წყაროა; შემეცნების საგანი – სინამდვილე თავისი მრავალყუროვნებით მხოლოდ აზროვნებით შეიცნობა. ადამიანის გონებას აქვს უნარი შექმნას ისეთი იდეები, რომლებიც სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ასახავს. მეცნიერულ ცოდნას ქმნის თავისუფალი აზროვნება. საგანთა არსებას, მის სტრუქტურასა და კანონზომიერებას საბოლოო ანგარიშით, აზროვნება აღმოაჩენს და დაადგენს.

ამგვარად, ლეკარგის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში ამკარაა აზრის პრიორიტეტი, მან აზროვნების სუვერენობის პრინციპი წამოაყენა. ამაშია მისი რაციონალისტური ფილოსოფიის გნოსეოლოგიური ძირები.

აღბათ, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის ნახევარში რაციონალიზმი იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ შეიჭრა მომიჯნავე დარგებშიც, კერძოდ – ლოგიკის დარგში.

რაციონალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, იდეების კავშირი ლოგიკური კავშირია, იდეების სისტემა – ლოგიკური სისტემა. სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კავშირი ამ ლოგიკურ კავშირს ემორჩილება. მიზეზისა და მოქმედების კავშირი იგივეა, რაც საფუძვლისა და შედეგის ლოგიკური კავშირი (კ. ბაქრაძე).

ლოგიკის გზით რაციონალიზმი შეიჭრა ენის თეორიის სფეროშიც.

ლეკარგის აზრით, ერთადერთი მეცნიერება, რომლის დებულებები სანდოა, არის მათემატიკა. ამიგომ, თუ ცოდნას

პრეტენზია აქვს იყოს ნამდვილი, ჭეშმარიტი, ის უნდა აიგოს მათემატიკის მეთოდის მიხედვით. ყოველი მეცნიერება, ლეკარგის აზრით, იმდენად არის ჭეშმარიტი, რამდენადაც მას მათემატიკური მეთოდი აქვს გამოყენებული.

როგორია მათემატიკური მეთოდის არსი?

მათემატიკისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იგი დაადგენს ერთ გარკვეულ საწყის დებულებას, რომელიც თავისთავად ცხადი და ნათელია, ჭეშმარიტია და აქედან დედუქციურად და სისტემატურად გამოჰყავს ყველა დანარჩენი დებულება. თუ საწყისი დებულება სწორია, ჭეშმარიტია, მთელი სისტემაც ჭეშმარიტი იქნება.

მამასადამე, უნდა აღმოეჩინოთ საწყისი დებულება და მის საფუძველზე ეაწარმოოთ დედუქციური მეთოდი. ეს საწყისი დებულება დედუქციის გარეშე დგას, მისი ამ გზით დასაბუთება არ შეიძლება. იგი უნდა იყოს უშუალო ჭეშმარიტება და მასზე უნდა აშენდეს ყველა დანარჩენი დებულება.

ისმის კითხვა: როგორღა მიიღება ეს „საწყისი დებულება?“

ამოსავალი საწყისი დებულება, ლეკარგის აზრით, უნდა იყოს დანახული, მაგრამ არა გრძნობის ორგანოების მეშვეობით, არაშედ აზროვნებით, ამოსავალი დებულება ინტელექტუალური ინტუიციის შედეგი უნდა იყოს. ინტელექტუალური ინტუიცია არ არის რაღაც მისტიკური, რაღაც ბებუნებრივი ჭერეცა, ის არის ადამიანის აზროვნების ჩვეულებრივი უნარი.

მამასადამე, საწყისი დებულება აზროვნებაში უნდა აღმოაჩინოს. მას ეს შეუძლია. ამის შემდეგ, საწყისი დებულებიდან დედუქციის გზით უნდა გამოვიყვანოთ ახალი დებულებები და ამ გზით აეაგოთ ჭეშმარიტი მეცნიერება.

მეთოდის შესახებ ლეკარგის ეს თვალსაზრისი გამოხატულებას პოულობს მის „ფილოსოფიურ ენაში“, რომლის აგებაც აღნიშნული მეთოდით შესაძლებლად მიაჩნია.

დეკარტს არა აქვს სპეციალური ნაშრომი ენის შესახებ. არც რომელიმე გამოკვლევაში მსჯელობს კონკრეტულ ენობრივ საკითხებზე, მაგრამ მან წამოაყენა ფილოსოფიური ენის, საყოველთაო ხელოვნური ენის ზოგადი სქემის იდეა, რომელსაც ის იძლევა აბაჯ მერსენისადმი მიწერილ წერილში. აქ ის ამოდის თაჟისი ზემოთ უკვე აღნიშნული მეთოდიდან, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს (აზროვნების გზით) საწყისი დებულება.

დეკარტის აზრით, ფილოსოფიურ ენას საფუძვლად უნდა დაედოს ამოსაეალი ცნებების გარკვეული რაოდენობა თავისი მიმართებით. ის ეარაუდობს, რომ ადამიანური ცნებების რთული სისტემა შეიძლება დაიყვანონ ელემენტარულ ერთეულთა შედარებით უმნიშვნელო რიცხვამდე, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება ამოსაეალ, განუყოფელ იდეებს. ამ იდეების კომბინაციებით იქმნება ადამიანური აზროვნების მთელი სიმდიდრე. დეკარტს მიაჩნია, რომ საჭიროა ყველა იდეის აღრიცხვა ისე, როგორც ეს დადგენილი წესის მიხედვით რიცხვთა ბუნებრივი რიგია.

ამის შემდეგ უნდა გამოინახოს თითოეული სიტყვის აგების შესაძლებლობა, რომელიც აუცილებელია იმის გამოსახატავად, რაც ხდება ადამიანის გონებაში. ასეთი ენის აღმოჩენა, დეკარტის აზრით, დამოკიდებულია ჭეშმარიტ ფილოსოფიაზე. მხოლოდ მას შეუძლია აღრიცხოს ადამიანთა აზრები, იდეები და დააღაგოს ისინი მწყობრად ისე, რომ იყოს ნათელი და მარტივი. ეს კი კვლავ დამოკიდებულია, დეკარტის აზრით, მარტივი იდეების აღმოჩენაზე, რომელთაგანაც ყალიბდება ყოველივე ის, რაც გონებას ქმნის.

ეს იქნებოდა იდეალური, ფილოსოფიური ენა. ასეთ ენას, დეკარტის აზრით, ექნებოდა მხოლოდ ერთი უღელილება, ბრუნება და სიტყვის აგებულება, ე. ი. ზეგად მარტივი გრამატიკული სტრუქტურა.

როგორც უხედავთ, დეკარტს ფილოსოფიური ენა წარმოდგენილი ჰქონდა მარტივ, ნათელი სტრუქტურის მქონე ენად, რომელიც ამავე დროს აღჭურვილი იქნებოდა უნივერსალური ექსპრესიული ფუნქციით.

აქ მთავარი მაინც ის არის, რომ დეკარტი ამოსაქვალში უშეუბრალებლად ცნებათა რაღაც საწყის ერთიანობას და მათ მიმართებას, რომლებიც ზოგადია, უნივერსალურია და ქმნიან ე.წ. ფილოსოფიურ ენას. ეს ფილოსოფიური ენა, ვფიქრობთ, ემყარება ინტელექტუალურ ინტუიციას, ადამიანის აზროვნებას, დეკარტის რაციონალისტურ ფილოსოფიას.

ბუნებრივია, ბეკონის, დეკარტის და სხვა გამოჩენილ მოაზროვნეთა მიერ ფორმულირებული უნივერსალიზმისა და რაციონალიზმის იდეებს გარკვეული გამოხმაურება ეპოვა „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა თეორიულ შეხედულებებში და, მაშასადამე, ასახულიყო კიდევ სათანადო გრანსფორმაციებით მათ ცნობილ ლინგვისტურ ნაშრომში, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „პორ-როიალის გრამატიკის“ „კარტეზიანული ლინგვისტიკის“ სინონიმად ხმარება (ნ. ხომსკი) გამართლებული არ იქნებოდა, რადგან გერმინი „კარტეზიანული ლინგვისტიკა“ მეტად მჭიდროდ ასოცირდება „კარტეზიანულ ფილოსოფიასთან“, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის დიდ გავლენას „პორ-როიალის გრამატიკაზე“. არსებითად ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი დამუშავა „პორ-როიალის გრამატიკაში“ წარმოდგენილი ზოგადენათმეცნიერული იდეების ერთგვარ გაუფასურებას იწვევს მათი ორიგინალებსა და თავისთავადობის თვალსაზრისით.

ამასთან დაკავშირებით მოკლედ უნდა ითქვას: რაციონალიზმი არსებითად მცდარი თეორიაა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რა ნაკლიც არ უნდა ჰქონოდა რაციონალ-

ისტორიული ფილოსოფიას და, კერძოდ, დეკარტის რაციონალიზმს, ეს მსოფლმხედველობა უაღრესად პროგრესული და ნაყოფიერი იყო იმ პერიოდში (კ. ბაქრაძე).

„პორ-როიალის გრამატიკა“ ლინგვისტური აზრის განვითარების ისტორიაში ისეთი მოვლენა იყო, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სფეროში ცოცხლდება და ხორცს ისხამს ის თეორიული მოსტულაგები, რომლებიც ამ გრამატიკას ელო საფუძვლად. კერძოდ, „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორების მიერ უნივერსალური ენობრივი მოვლენების ძიება და ამ მიმართულებით ჩატარებული მეტად საინტერესო კვლევა-ძიება სინქრონიულ ჭრილში გამოძახილს პოულობს თანამედროვე ტოპოლოგიურ ლინგვისტიკაში.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა კვლევის მეთოდის სოსიურისეული შეფასება: „ეგრეთ წოდებული „პორ-როიალის გრამატიკა“ ცდილობს ლუდოვიკო XIV ეპოქის ფრანგული ენის მდგომარეობის აღწერას და მის შემადგენელთა ღირებულებების განსაზღვრას. ამისათვის მას არ სჭირდება მიმართოს შუა საუკუნეების ფრანგულ ენას. ის მკაცრად მიხლევს ჰორიზონტალურ ღერძს და მისგან არასდროს უხვევს ასეთი მეთოდი სწორია“ (45, 115).

როგორც ვხედავთ, ფერდინანდ დე სოსიური „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა კვლევის მეთოდს დადებითად აფასებს. ეს კი ანგარიშვასაწვეი ფაქტია.

ლინგვისტური აზროვნების ისტორიის მკვლევრებიც თანამედროვე ეპოქის თვალთახედვით მეტად აქტუალურ გამოკვლევად მიიჩნევენ „პორ-როიალის გრამატიკას“. მათი აზრით: „პორ-როიალის გრამატიკამ“ გამოაუღინა თავისი დროისათვის დამახასიათებელი მისწრაფება, — რიგი კონკრეტული ენების ფაქტების განზოგადების საფუძველზე. ააგოს ყოვლისმომცველი გრამატიკული სისტემა. „პორ-როიალის გრამატიკა“ ნამდვილად ახალ ფურცელს შლის

ენათმეცნიერებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან იწყება ენის მეცნიერული შესწავლა. პირველად სწორედ აღნიშნულ გრამატიკაში გამოიკვეთა ლინგვისტური კელევის ობიექტი, აღჭურვილი ისეთი თვისებებით, რომლებიც ენის ზოგად თეორიას, ზოგად და შედარებით ენათმეცნიერებას ახასიათებს“ (27-204).

როგორც ამ შეფასებიდან ჩანს, „პორ-როიალის გრამატიკა“ ახალ ფურცელს შლის ლინგვისტური ამრის განვითარების ისტორიაში: აღნიშნულ ნაშრომში სრულიად ახლებურადაა დასმული ლინგვისტიკის კელევის ობიექტის პრობლემა.

რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს „პორ-როიალის გრამატიკის“ რამდენადმე სრულყოფილი აღწერა მისი შემადგენლობისა და თეორიული კონცეფციის თვალსაზრისით, ჩვენ ქვემოთ ვიძლევიტ მის შედარებით ვრცელ შინაარსს, რომელიც მკითხველს საშუალებას მისცემს თავად განსაზღვროს ამ უნიკალური ნაშრომის ადგილი და მნიშვნელობა ლინგვისტურ თეორიათა განვითარების ისტორიაში.

„პორ-როიალის გრამატიკა“

1660 წელს პარიზის ახლოს მდებარე პორ-როიალის მონასტერში გამოქვეყნდა გრამატიკა, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: „საყოველთაო თეორიულ-კრიტიკული გრამატიკა“, „უნივერსალური და რაციონალური გრამატიკა“, „საყოველთაო რაციონალური გრამატიკა“. მისი სრული სახელწოდება კი ავტორებთან ასეთი გახლავთ: „საყოველთაო რაციონალური მეტყველების ხელოვნების საფუძვლები; ლოგიკური საფუძვლები ყოველივე იმისა, რაც საერთოა ენებს შორის და ძირითადი სხვაობები მათ შორის, აგრეთვე მრავალი ახალი შენიშვნა ფრანგული ენის შესახებ“.

ენათმეცნიერების ისტორიაში აღნიშნული გრამატიკის სახელწოდებად დამკვიდრდა „პორ-როიალის გრამატიკა“. ქვემოთ ჩვენც ასე მოვიხსენიებთ მას.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „პორ-როიალის გრამატიკა“ დაიწერა სწორედ პორ-როიალის მონასტერში. XVII საუკუნეში ეს მონასტერი ვახდა განათლების უდიდესი ცენტრი საფრანგეთში. აქ არსებობდა ქალთა და ვაჟთა ცნობილი სკოლები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სწავლების მეტად მაღალი დონით. მოსწავლეებს თეოლოგიური განათლების გვერდით აძლევდნენ ფართო საერო განათლებასაც. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლიგერაგურის, ენებისა და ფილოსოფიის შესწავლას. სკოლების საჭიროებისათვის პორ-როიალში იქმნებოდა სხვადასხვა სასწავლო წიგნები, სახელმძღვანელოები.

სასკოლო განათლების გარდა, პორ-როიალი იყო აგრეთვე მსხვილი სამეცნიერო ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ და მოღვაწეობდნენ იმ დროისათვის მოწინაეუ იდეებითა და შეხედულებებით შეიარაღებული მეცნიერები. მაგალითად, აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი პასკალი (1623-1662).

თავისი პროგრესული მიმართულების გამო 1660 წელს დაიხურა ვაჟთა, ხოლო 1710 წელს – ქალთა სკოლა. 1712 წელს ლუდოვიკო XIV პორ-როიალის მონასტერი გადაწვა.

„პორ-როიალის გრამატიკის“ აეგორები არიან პროფესორები: ფილოსოფოსი და ლოგიკოსი ანტუან არნო, გრამატიკოსი და ფილოლოგი კლოდ ლანსლო.

ანტუან არნო დაიბადა პარიზში (1612-1694) ცნობილი ადვოკატის ოჯახში. არნო, როგორც მამამისი, დაუძინებელი მტერი იყო იეზუიტებისა. ამიგომ ის იძულებული ვახდა ეცხოვრა პარიზის გარეთ, პორ-როიალის სააბაგოში. შემდეგ საფრანგეთი სამუდამოდ მიატოვა და ცხოვრობდა ბრიუსელში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ანგუან არნო მრავალმხრივი მოღვაწეა. მისი შრომების სრული კრებული, რომელიც გამოიცა ლომანაში 1775-1781 წლებში 44 ტომისაგან შედგება.

კლოდ ლანსლო (1616-1695) დაიბადა და სწავლობდა პარიზში. მისი მგრის, კარდინალ რიშელიეს (1585-1642) სიკედილის შემდეგ პორ-როიალის სააბატოში მან შექმნა სკოლა, რომლის პირველი მასწავლებელი და ხელმძღვანელიც თავად იყო. კლოდ ლანსლოც უცხოებაში გარდაიცვალა. კლოდ ლანსლო აეგორიგეტი იყო კლასიკურსა და ახალ ენებში. მან მრავალი სახელმძღვანელო დაწერა პორ-როიალის სკოლისათვის ენათა შესწავლის შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება „პორ-როიალის გრამატიკის“ მოკლე ანალიზი, საიდანაც ნათელი გახდება მისი მიმართება დეკარტის რაციონალისტური ფილოსოფიისა და ბეკონის მაგერიალისტური ფილოსოფიის მეთოდოლოგიასთან – დედუქციურ და ინდუქციურ მეთოდებთან. რაც მთავარია, ნაჩვენები იქნება ის განსაკუთრებული ადგილი, რაც პორ-როიალის გრამატიკას უკავია ლინგვისტური ამროვნების განვითარების ისტორიაში.

„პორ-როიალის გრამატიკა“, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს თავისი აგებულებით, საკითხთა დალაგების თანმიმდევრობით. „პორ-როიალის გრამატიკა“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში, რომელიც ექვსი თავისაგან შედგება, განხილულია ბგერები და ასოები. აქვე წარმოდგენილია ლათინურის, ბერძნულის, ძველი ებრაულის და სხვა თანამედროვე ენების თანხმოვანთა გაბულა, აგრეთვე – მახვილისა და მარცვლის საკითხები.

მეორე ნაწილში, რომელიც 24 თავისაგან შედგება, განხილულია ის ზოგადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ტიპის სიტყვებსა და წინადადებებს... 23-ე თავი ეძღვნება მორფოლოგიის პრობლემებს. აქ განხილულია, მაგალითად, ისეთი გრამატიკული კატეგორიები, როგორიცაა: სქესი, რიცხვი, ბრუნვა, დრო, კილო.

ბოლო თავი ეძღვნება სინტაქსს.

რა ძირითადი ამოცანებია დასმული „ქორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა წინაშე?

1. სიტყვათა ბუნების, აგებულებისა და მათი სხვადასხვა თავისებურების დადგენა; სიტყვათა და მათ მნიშვნელობათა ურთიერთმიმართების საკითხების კვლევა. 2. კვლევის შედეგად მოგადი, უნივერსალური პრინციპების გამოვლენა. 3. იმ მოვლენების ახსნა, რომლებიც საფუძვლად უდევს ენის აგებულებასა და ფუნქციონირებას. 4. ენისა და ამროვნების კატეგორიებს შორის არსებული თანაფარდობების გამოვლენა.

როგორც ვხედავთ, საანალიზო გრამატიკის ავტორებს იმ დროისათვის (და, რა თქმა უნდა, ლინგვისტიკის განვითარების შემდგომი პერიოდისათვისაც) მეტად მნიშვნელოვანი ენობრივი პრობლემები აქვთ დასმული.

პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს გრამატიკის ობიექტის განმარტება. ნაშრომის ავტორთა აზრით, „გრამატიკა ეს არის მეტყველების ხელოვნება“. მეტყველება, ლაპარაკი ნიშნავს, გამოხატო ამრები იმ ნიშნების მეშვეობით, რომლებიც ადამიანებმა ამ მიზნით შექმნეს. ამისათვის ყველაზე მოსახერხებელი ნიშნებია ბგერები, სმა. იმის გამო, რომ ბგერები შეზღუდულია დროით და სიერცით, გამოიგონეს მათი აღმნიშვნელი ნიშნებიც – გრაფემები.

ამრიგად, აღნიშნული ნიშნები, ბგერები და გრაფემები, შეიძლება განიხილონ ორ ასპექტში: ერთი მხრივ, როგორც ბგერები და გრაფემები, ხოლო მეორე მხრივ, მათი მნიშვნელობის მიხედვით, ე.ი. როგორც ამრის გამოხატვის საშუალებანი.

ნაშრომის ავტორთა მიხედვით, ნიშანს ორი მხარე აქვს – გარეგანი და შინაგანი. პირველში იგულისხმება ბგერა და გრაფემები, ე.ი. აღმნიშვნელები; მეორე, ნიშნის შინაგანი

მხარე არის ის, რაც ალაშქრის მიერ გამოიხატება ამ ნიშნებით: აზრი, მნიშვნელობა.

ამრიგად, გრამატიკის აღნიშნული ნაწილი (პირველი ნაწილი) ეძღვნება ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემის განხილვას. ხმოვნები და თანხმოვნები მიჩნეულია სხვადასხვა ენობრივ ერთეულებად და ცალ-ცალკეა მოცემული. გამოყოფენ ხუთ ხმოვანს: ა, ე, ი, ო, უ. მათ გვერდით შესაძლებლად მიაჩნიათ გამოყონ შესაბამისი გრძელი და მოკლე კორელატებიც, რაც, ავტორთა აზრით, უფროართლებს ხმოვანთა სისტემას. ხმოვნები გამორჩეულია ერთმანეთისაგან ღიაობისა და დახურულობის მიხედვითაც.

ნაშრომში დასმულია მარცელის საკითხიც. ავტორთა აზრით, ერთ ხმოვანს შეუძლია შექმნას მხოლოდ ერთი მარცეალი. თანხმოვნებს თავისთავად არ შეუძლიათ მარცელის შექმნა. მარცეალი რომ შექმნას, თანხმოვანს უნდა ახლდეს ხმოვანი.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ნაშრომის IV თავი, სადაც საუბარია სიგყვის, როგორც რთული ერთეულის შესახებ. სიგყვა გამოიყოფა როგორც ზეპირ, ასევე წერილობით მეტყველებაში. სიგყვას თავდაპირველად გამოყოფენ მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე, როგორც რთულ ფონეტიკურ ერთეულს. სიგყვას უწოდებენ ისეთ ენობრივ ერთეულს, რომელიც ცალკე წარმოითქმის და იწერება ცალკე. სიგყვები არიან ერთმარცელიანები და მრავალმარცელიანები. სიგყვისათვის დამახასიათებელია მახვილი. მახვილი არის სიგყვის რომელიმე მარცეალზე ხმის აწევა, რომელიც შემდეგ დაიწევა. ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ლათინურსა და ბერძნულში არსებული გრძელი მარცელები, რომლებიც ხასიათდებიან ხმის აწევითა და დაწევით.

ნაშრომში საუბარია ძველი ებრაულის მახვილზედაც. რომელიც მეტად მრავალფეროვნებით ხასიათდება. საყურადღებოა, რომ ავტორები განარჩევენ ორი რიგის მახვილს:

ბუნებრივს ანუ გრამატიკულს და რიტორიკულს. პირველი ფიქსირდება ბოლო ან ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხოლო მეორე (რიტორიკული) წინა მარცვლებზე ფუნქციონირებს.

როგორც ვხედავთ, „პორ-როიალის გრამატიკაში“ ფონეტიკურ სიგყვას გამოყოფენ როგორც ტექსტის ნაწილს, მონაკეთს და იძლევიან მის საკმაოდ ფორმალისტულ განსაზღვრებას (შდრ. თანამედროვე გამოყენებით ლინგვისტიკაში სიგყვის განმარტება: სიგყვა არის ბგერათა თანმიმდევრობა, რომელიც შემოფარგულია პაუზით, დაწერაში კი – ინტერვალით).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ აეგორები ფონეტიკურ სიგყვას, რომელსაც ადასტურებენ მეგყველების დონეზე, უფარდებენ წერიტი ტექსტის შესაბამის ერთეულებს და მის საფუძველზე გამოყოფენ სიგყვებს გრაფიკულ დონეზეც.

ამგვარი მეთოდიკა გამომდინარეობს „პორ-როიალის გრამატიკის“ აეგორთა მიზნიდან, რომელიც ითვალისწინებდა ბგერითი სისტემის ერთეულთა და გრაფიკული სისტემის ერთეულთა თანაფარდობის დადგენას. ამას კი აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით პედაგოგიური თვალსაზრისით (გაეიხსენოთ, რომ ლანსლო პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა).

V თავში საუბარია გრაფიკული დონის ერთეულებზე. ეს თავი ასე იწოდება: „ასოების შესახებ, რომლებიც განიხილება როგორც დამწერლობის ნიშნები“. დამწერლობის ნიშნები (გრაფიკული დონე) ერთდროულად აღნიშნავენ როგორც ბგერებს, ასევე საგნებს, ე.ი. იმას, რასაც ბგერები (ბგერათა კომბინაციები) გამოხატავენ.

ამგვარად, დამწერლობის ნიშნები (გრაფემათა სისტემა) განიხილება ორი კუთხით, ერთი მხრივ, როგორც ბგერების აღმნიშვნელები, მეორე მხრივ, როგორც დამხმარე საშუალება ბგერებისა იმის გამოსახატავად, რასაც ბგერები აღნიშნავენ, ე.ი. დამწერლობის ნიშანი (გრაფემა, გრაფემათა

ვარკვეული თანმიმდევრობა) არა მარტო ბგერის სიმბოლოა, არამედ მასთან ერთად სინამდვილის მოუღენისაყ ამ სიგყყის ფართო გაგებით, ეს საგულისხმო დასკვნაა.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დამწერლობის ნიშნები (ასოები, გრაფემები)?

1. ყოველი გრაფემა უნდა აღნიშნაედეს რაღაც ბგერას, ე.ი. არ უნდა იწერებოდეს ის, რაც არ გამოითქმება. 2. ყოველი ბგერა უნდა აღინიშნოს გრაფემით, ე.ი. ის, რაც არ იწერება, არც უნდა წარმოითქვას. 3. ყოველი გრაფემა უნდა აღნიშნაედეს მხოლოდ ერთ ბგერას – მარჯივს ან ორმაგს. ორმაგი ბგერების არსებობა არ ეწინააღმდეგება დამწერლობის სრულყოფას, რადგანაც ეს თანხმონები აადვილებს წერას, ხდის მას უფრო ეკონომიურს. 4. ერთი და იგივე ბგერა არ უნდა აღინიშნოს სხვადასხვა გრაფემით.

მაშასადამე, აქ საუბარია ბგერითი სისტემისა და გრაფემათა სისტემის ადეკვატური შესაყყეისობის აუცილებლობის შესახებ, რაც თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია.

ნაშრომში ბგერები დახასიათებულია როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ფონოლოგიური (ამ ტერმინს ავტორები, რა თქმა უნდა, არ ხმარობენ) თვალსაზრისით. გამოყოფილი აქვთ 25-30 ბგერითი ერთეული, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ სიგყყათა უსაზღვრო რაოდენობა.

მეტად საყურადღებოა ავტორთა ინტერპრეტაციები ბგერის რაობის შესახებ. მათი ფონეტიკურ-ფონოლოგიური ანალიზიდან შესაძლებელია ასეთი დასკვნები გამოვიტანოთ: ბგერა დახასიათებულია როგორც ბგერა-ტიპი. „ქორ-როიალის გრამატიკა“ ავებულია განზოგადების, აბსტრაქციის საფუძველზე. ეს გზა სავსებით შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც მათ დაისახეს; მათი მიზანი კი იყო ენათა შესწავლაში ზოგადთეორიული შესავლის მომზადება. აბსტრაქციის გარეშე უნივერსალიზმი უაზრობაა, ისინი კი უნივერსალისტები არიან. ამიგომ, მათთვის

„ბგერა“ არის რეალური ბგერადობის აბსტრაქცია, ბგერის მოდელი. საყოველთაო გრამატიკის ფარგლებში, რომელიც მრავალ ენას ემყარება და ცდილობს, გამოყოფს ყველა ენისათვის საერთო (ზოგადი) ერთეულები ენის სხვადასხვა დონეზე, სხვანაირად შეუძლებელიცაა. ამიგომ, ისინი ბგერათა მოდელებს აღნიშნავენ ტერმინით „ასო“ (ბუკვა) და ამას არ აიგივებენ გრაფემასთან (ფიგურასთან), რის შესახებაც გარკვეულად აცხადებენ. აქედან გამომდინარე, ასოს, როგორც კონკრეტული ბგერადობისა და რიგ ფიგურათა მოხაზულობების აბსტრაქციას, მიაკუთვნებენ, ერთი მხრივ, ბგერათა, როგორც გიჟების დონეს (რეალიზაციის კლასები), სოლო მეორე მხრივ, დამწერლობის ნიშანთა. ფიგურათა გიჟების დონეს.

შემდეგ გრამატიკის ავტორები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებენ გამოხატულების პლანის ეს ერთეულები, აანალიზებენ მარცვალთა წარმოების მოდელს, ფონეტიკურ სიგყვას.

ყველა პროცედურა მიმდინარეობს გამოხატულების პლანის დონეზე, რის შემდეგაც იწყება შინაარსის პლანის დონის ანალიზი.

თუ გამოხატულების პლანი ავტორების მიერ მიჩნეულია რაღაც სუბსტანციური ბუნების მქონედ, შინაარსის პლანი - ეს არის ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის, მისი გონების არეალი, ადამიანის აზროვნების პროდუქტი ენაში: აზროვნება, მისი მექანიზმი ხორციელდება ენაში, ენის ფორმებში, ვინაიდან ეს უკანასკნელი (ე. ი. ენის ფორმები) არის აზრის ფორმათა გამოხატულება. აქ ავტორები ადამიანის ენის გრამატიკას ხელახლა ქმნიან და ახდენენ მის მოდელირებას.

ამ საკითხს ეძღვნება „პორ-როიალის გრამატიკის“ მეორე ნაწილი. ავტორები მიზნად ისახავენ; გაარკვიონ ის პრინციპები, რომლებსაც ემყარება სიგყვათა მნიშვნელობების განმასხვავებელი ფორმები. ისინი მიისწრაფვიან, მეც-

ნიერულად მიუღწენ ენობრივი მოვლენების აღწერას. გამოყენებითი და აღწერითი გრამატიკებისაგან განსხვავებით, უნივერსალური გრამატიკა ამოცანას ისახავდა, დაედგინა „მეცყველების ხელოვნების ბუნებრივი საფუძვლები“, ყველა ენისათვის მოგადი პრინციპები და „იმ ძირითადი განსხვავების მიზეზები, რომლებიც ამ ენებში გვხვდება“.

ავგორთა ამრით, რომელიმე კონკრეტული ენის გრამატიკისაგან განსხვავებით, უნივერსალური გრამატიკის დებულებები უცვლელია – არაა დამოკიდებული დროსა და სივრცეზე.

უნივერსალურ გრამატიკასა და ნებისმიერ კერძო გრამატიკას შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ პირველი მეცნიერებაა, მეორე – ხელოვნება. კონკრეტული ენის გრამატიკა არის რომელიმე მოცემული ენის აღწერისათვის მოგადი და მუდმივი პრინციპების გამოყენების ხელოვნება. უნივერსალური გრამატიკა კი არის მეცნიერება, რომელიც ემყარება მსოფლიოს ყველა ენის აგების (ზეპირ თუ წერილობით ფორმაში) მუდმივ (მედროულ) და მოგად პრინციპებს.

ამრიგად, XVII საუკუნეში უნივერსალური გრამატიკა გაგებულია როგორც გრამატიკული მეცნიერება.

„პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორები არკევედნენ, ეძიებდნენ ისეთი ენობრივი მოვლენების არსებობის მიზეზებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო მსოფლიოს ენათა უმრავლესობისათვის ან მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ენებისათვის.

აღნიშნული გრამატიკის ავგორთა საყრდენი დებულება ასეთი იყო: რამდენადაც ლოგიკის კანონები მთელი კაცობრიობისათვის ერთიანია, ამდენად ყველა ენისათვის არსებობს გრამატიკული წყობის ფუნქციონირების ერთიანი ფუნდამენტური წესები და ამიგომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა რომელიმე კონკრეტულ ენაში აღმოჩნდება ისეთივე კანონზომიერებანი და წესები, რაც სხვა ენებშიც დასტურ-

ღება. ეს ფაქტი არ გამოორიქხავს ცალკეულ ენათა სპეციფიკას კერძო (შელაპირულ) გამოვლინებებში.

ამ ძირითადი თეზისის შესაბამისად ცალკეული ენები წარმოადგენენ რაღაც უნივერსალური ენობრივი სქემის სხვადასხვაგვარ სახეცვლილებებს; ხოლო ეს სქემა თავისი ფუნდამენტური ნიშნების მიხედვით მიესადაგება ლოგიკურ სქემას, რომლის უნივერსალურობაც ეჭვს არ იწვევს.

მართალია, „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორები თავიანთი კელევის ძირითად ამოცანად ისახუდნენ ზედროული (ან საყოველთაო) ენობრივი კატეგორიების აღმოჩენას, რომლებიც შეესაბამებოდნენ ლოგიკის მუდმივ კატეგორიებს, მაგრამ, გადაჭარბებული და დამახინჯებულიც კია დამკვიდრებული აზრი, თითქოს ისინი გოლობის ნიშანს სემდნენ ლოგიკასა და გრამატიკას შორის, აიგივებდნენ ლოგიკურ და გრამატიკულ კატეგორიებს.

„პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა აზრით, თუ ფორმალური ლოგიკის ძირითადი ამოცანაა, ჩამოაყალიბოს კანონები და პრინციპები, რომელთა დაცვაც აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტი დასკვნების მისაღებად, მეცნიერული გრამატიკის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ჩამოაყალიბოს ისეთი კანონები და პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჭეშმარიტი ცოდნის შეძენას მსოფლიოს ყველა ენის ან ნებისმიერი ცალკეული ენის შესწავლის დროს. ამას კი, ავტორთა აზრით, შეიძლება მიაღწიონ მხოლოდ იმ გზებისა და საშუალებების გამოვლენით, რითაც აისახება აზროვნების აქტები ენაში.

აქედან გამომდინარე კი, იმის გამოსახვაგად, რაც ადამიანის გეინში მიმდინარეობს, ადამიანს სჭირდება ნიშნები. ასეთი ნიშნებია სიტყვები, რომლებიც ძირითადად ორ კლასს ქმნიან, ყველაზე არსებითი განსხვავება ამ კლასებს შორის ის არის, რომ, თუ ერთნი გამოხატავენ საგნებს, მეორენი – აზრის მიმდინარეობის წესს, მანერას. პირველი ტიპის სიტყვებს განეკუთვნებიან სუბსტანტივები, არტიკ-

ლები, ნაცვალსახელები, მიმღეობები, თანდებულები და მზნიშელები, ხოლო მეორე ტიპისას – მზნები, კავშირები და შორისდებულები.

ავგორები აქამდე სიგყვაში განიხილადენენ მხოლოდ მის მაგერიალურ მხარეს, რომელიც საერთოა ადამიანისა და თუთიყუშისათვის.

სიგყვის მაგერიალური ასპექტის განხილვის შემდეგ ავგორები იკელედენენ მის მნიშვნელობას, სიგყვისა და მისი მნიშვნელობის ურთიერთმიმართების საკითხს. მათი აზრით, ადამიანის საოცარი გამოგონებაა ის, რომ სულ რაღაც 25-30 ბერის კომბინაციით იქმნება უსასრულო რაოდენობის სიგყვები, რომლებიც სულაც არ ჰგეანან იმას, რაც ჩვენს ცნობიერებაშია მოცემული და რასაც ისინი გამოხატავენ. სწორედ სიგყვების მეშვეობით არის შესაძლებელი ჩვენი შინაგანი სულიერი სამყაროს მრავალფეროვანი ნიუანსების გაცნობიერება როგორც ჩვენი საკუთარი თავისათვის, ასევე სხვისათვის, მსმენელისათვის.

ამგვარად, სიგყვა შეიძლება ასე განისაზღვროს: სიგყვა არის მკაფიოდ, ნათლად დანაწევრებული ბგერები, რომლებისგანაც ადამიანებმა შეადგინეს ენობრივი ნიშნები თავიანთი აზრების გამოსახატავად.

შემდეგ ნამრომში საუბარია ლოგიკურ ერთეულებზე: ცნებაზე, მსჯელობაზე და დასკენაზე. განმარტებულია თითოეული მათგანი. ავგორთა აზრით, მსჯელობას, როგორცაა. მაგალითად, „დედამიწა მრგვალია“, ეწოდება წინადადება. ყოველ წინადადებას გააჩნია ორი წევრი: ქვემდებარე (სუბიექტი), ე. ი. ის, რომლის შესახებაც რაღაც მტკიცდება, და აგრიბუტი (განსაზღვრება), რომელიც რაღაცას ამტკიცებს, მაგალითად, „მრგვალია“. ამ ორ წევრს აერთიანებს კაეშირი „არის“.

ავგორები მეტად საყურადღებო პარალელს ავლებენ მსჯელობის ერთეულებსა და სინგაქსურ ერთეულებს შო-

რის, რაც ქმნის ენებს შორის იზომორფული მოვლენების (უნივერსალების) ძიების საფუძველს.

აღამიანის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების გადმოსატყობად, როგორც აღენიშნეთ, გამოიყენება სიგყვათა ორი ტიპი: პირველი ტიპის სიგყვებს განეკუთვნება სახელები, არტიკლები, ნაცეალსახელები, მიმღობები, თანდებულები, ზმნიზელები. მეორე ტიპი მოიცავს ზმნებს, კავშირებსა და შორისდებულებს. ესენი აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია იმ ბუნებრივი საშუალებებისა, რომელთა დახმარებითაც გამოვხატავთ ჩვენს აზრებს.

ნაშრომის მეორე თავში საუბარია ამ ორი ტიპის სიგყვათა ლოგიკურ ფუნქციებზე. ჯერ განხილულია სახელები – არსებითები და ზედსართავეები. ავტორთა აზრით, აღამიანის აზროვნების ობიექტებია ან საგნები, როგორცაა, მაგალითად: „მიწა“, „მზე“, „წყალი“, „ხე“ და სხვ. (ამ საგნებს ჩვეულებრივ უწოდებენ სუბსტანციებს), ანდა ამ საგანთა თავისებურებები: „წითელი“, „მაგარი“, „მრგვალი“ და სხვ. ამ მეორე ტიპის სახელებს უწოდებენ აქციდენციებს. სუბსტანციები და აქციდენციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველნი აღნიშნავენ საგნებს და არსებობენ თავისთავად, მაშინ, როდესაც აქციდენციები მხოლოდ სუბსტანციებში, სუბსტანციების მეშვეობით არსებობენ. ამით არის განპირობებული ის ძირითადი სხვაობა, რომელიც არსებობს აზრის აღმნიშვნელ სიგყვებს შორის. სიგყვებს, რომლებიც სუბსტანციას აღნიშნავენ, უწოდებენ არსებით სახელებს, ხოლო სიგყვებს, რომლებიც აქციდენციებს აღნიშნავენ, უწოდებენ ზედსართავ სახელებს.

ენის ლექსიკურ ერთეულთა მოცემული ინგერპრეტაციიდან ელინდება ის შინაგანი კავშირი, რომელიც „პორროიალის გრამატიკის“ ავტორთა აზრით, არსებობს ლოგიკურ და გრამატიკულ კატეგორიებს შორის. მათი აზრით, არსებითი სახელისა და ზედსართავი სახელის პირველი

წყაროა ლოგიკური ცნებები: სუბსტანცია და აქცი-
დენცია.

ესაა „კორ-როიალის გრამატიკის“ ერთი ძირითადი
დამახასიათებელი ნიშანი.

ნამრომში არსებითი სახელის შემდეგ დახასიათებულია
გმნა. ეს გრამატიკული ცნებაც ინტერპრეტირებულია ლოგი-
კური ცნებიდან ამოსვლით: გმნა არის სიგყვა, რომლის
ძირითადი ფუნქციაც მტკიცების აღნიშვნაა, ე.ი. იმის ჩვენ-
ება. რომ მეტყველება, სადაც ეს სიგყვა (გმნა) გვხვდება,
არა მარტო შეიცნობს საგანს, არამედ აღამიანი მის შესახებ
მსჯელობს და გამოყავს სათანადო დასკვნა.

ავგორები იმასაც აღნიშნავენ, რომ გმნის ფუნქციის ასე
ცალსახა დახასიათება ამომწურავი არ არის, რომ გმნის
ფორმაში გაერთიანებულია მრავალი მნიშვნელობა, მნიშ-
ვნელობათა ვარიანტები, რაც აძნელებს გმნის ბუნების
სრულ შეცნობას.

ინტერესს იწვევს ავგორთა კონცეფცია მეტყველების
წარმოქმნაზე. მათი განმარტებითი მეტყველება სამეტ-
ყველო აზროვნების ერთიანი (ორგანზომილებიანი) მექა-
ნიზმია. ეს უკანასკნელი, ე. ი. აზროვნების მექანიზმი არის
აზრის მეტყველებაში მაგერიალიზაციის რთული პროცესი.

როგორ გავიგოთ ეს? აზრის მაგერიალიზაციის პრო-
ცესი გულისხმობს უნივერსალური სემანტიკური არეალის
ერთეულთა კოდირებას მეტყველების ერთეულებში. ამ
მოვლენას შეიძლება ეწოდოს მნიშვნელობის ერთეულთა
განაწილება, დისგრიბუცია მეტყველების ერთეულებში, რის
შედეგადაც უნივერსალური სემანტიკური არეალის ერთე-
ულები ობიექტური არსებობის ფაქტად იქცევიან. ეს პროცე-
სები ხორციელდება ენის ბუნებიდან გამომდინარე მოგადი
კანონების შესაბამისად. როგორც კი აზრი მეტყველების
მეშვეობით ობიექტურ ფაქტად იქცევა, ის სხვა აღამიანთა
აქტმისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება.

ამგვარად, მეტყველების წარმოქმნის მექანიზმი დაკავშირებულია მნიშვნელობის (აზრის) ამოსაყალ ელემენტთა გადამუშავებისა და გარდაქმნის ფაქტთან ენობრივ შატყვრიაში.

გრამატიკის აეტორებს არ გამოჰპარვიათ არც ის ფაქტი, რომ მზნას მის ძირითად ფუნქციასთან – მტკიცებასთან – ერთად გააჩნია სხვა მნიშვნელობაც, კერძოდ, ლექსიკურ-გრამატიკული და გრამატიკული, ე. ი. ადგილი აქვს ერთ სიტყვაში მნიშვნელობათა კომპრესიას, რასაც აეტორები ენის ეკონომიისადმი მისწრაფების ხსნიან. ეს მეგად საყურადღებო დაკვირვებაა.

აეტორია აზრით, აზრის ერთეულთა განაწილება მეტყველების ერთეულებში ენების მიხედვით. განსხვავებულია. ამიტომ ისინი ეძებენ აზრის სტრუქტურის ერთეულების (სემანტიკური არეალის, ცნობიერების, სულის სფეროს ერთეულების) განაწილების გზებს სხვადასხვა ენის ერთეულებში.

მეგად საყურადღებოა ნაშრომის აეტორთა შემდეგი დებულებაც. მათი აზრით, შინაარსის პლანის ერთეულთა კოდირება გამოხატულების პლანის ერთეულებში (მეტყველების ერთეულებში) ყოველი ენისათვის განსხვავებულია, სპეციფიკურია, დამოკიდებულია ცალკეულ ენათა სტრუქტურულ თავისებურებებზე, მოცემული ენის მასალაზე. სხვადასხვა ენა აზრის ერთეულთა მეტყველების ერთეულებში განაწილების მოდელის გარკვეულ ჯგუფებს იძლევა. ეს ჯგუფები გარკვეულ ნაწილში ერთმანეთს მისდევენ, ხოლო გარკვეულ ნაწილში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამ ინდივიდუალურ-ენობრივი ჯგუფების შეპირისპირებითი ანალიზი თეორიულად აღნიშნული მოდელის უნივერსალური ნომენკლატურის გამოყოფის საფუძველს იძლევა. ეს ნომენკლატურა შეიძლება დავახასიათოთ, შესაძლებელი კავშირების დიაპაზონი „აზროვნება – ენა“.

ან სამეცყველო ამროვნების მოდელების სუეროში. ასეთ შემთხვევაში ცალკეული ენები შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც ამ შესაძლებლობათა კერძო ან უნივერსალური მოდელის რეალიზაციები.

ამრის მეცყველებაში გარდაქმნის მექანიზმი, ამრის ერთეულთა განაწილება მეცყველების ერთეულებში, როგორც ეს ფორმულირებულია არნოსა და ლანსლოს მიერ, რამდენაღმე მოიცავს წარმომშობი და გრანსფორმაციული გრამატიკების თანამედროვე თეორიის ფარგლებში მოცემული სილრმისეული და მედაპირული სტრუქტურების თანაფარდობას.

„ჟორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა კონცეფცია, აღნიშნული თეორიის გათვალისწინებით, შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად.

ენას აქვს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ასპექტი. ორივე ეს ასპექტი თანაბრადაა წარმოდგენილი ნებისმიერ გამონათქვამში, წინადადებაში. ამიგომ წინადადება შეიძლება განვიხილოთ მისი შინაგანი, ან მისი გარეგანი არსის, ხასიათის თვალსაზრისით. წინადადების შინაგანი დახასიათება გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორ ასახავს ის ამრს, როგორ ხდება მასში ამრის მაგერიალიზება. ამაში მდგომარეობს მისი შინაგანი, სილრმისეული სტრუქტურა.

ენის გარეგანი დახასიათება გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორ არის გაფორმებული ამრის მაგერიალური (ენობრივი) მხარე, ე. ი. როგორაა განაწილებული ამრი წინადადების ელემენტების მიხედვით, როგორაა ეს ელემენტები მოწესრიგებული, არანეირებული გამონათქვამებში და როგორ ხასიათდებიან ისინი დანაწევრებისა და ფორმების მიხედვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს წინადადების, როგორც კონკრეტული სამეცყველო სტრუქტურის, ლექსიკურ-სემანტიკურ, სინგაქსურ და ფონეტიკურ ინტერპრეტაციასთან.

ამაში მდგომარეობს მისი გარეგანი, ზედაპირული სტრუქტურა.

წინადადების სიღრმისეული ანუ შინაგანი სტრუქტურა არის აბსტრაქტული, ზედაპირული სტრუქტურა კი - კონკრეტული, აქტუალური, რომელიც წინადადების ენობრივ მაგერიამში ვლინდება.

წინადადების სიღრმისეული სტრუქტურა ყოველთვის ნათლად არ ვლინდება ფაქტობრივ წინადადებაში. უფრო მეტიც, სრულებით არ არის აუცილებელი სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები ერთმანეთს დაემთხვას. მეტყველებაში ელემენტთა არანაირების კანონები განსხვავებულია ენების მიხედვით. ასეთ სხვაობას აქვს ადგილი ერთი ენის ფარგლებშიც კი. ეს კი შეუძლებელს ხდის სიღრმისეულ და ზედაპირულ სტრუქტურათა დამთხვევას (გარდა იშვიათი და მარტივი შემთხვევებისა). ერთი და იმავე გამონათქვამის წინადადებების სახით რეალიზაციებში სხვადასხვა ენაში შესაძლებელია სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები დაემთხვეს ან არ დაემთხვეს. ამაში რომ დაერწმუნდეთ, საკმარისია, ერთმანეთს შეეუდაროთ ლათინურის, ფრანგულისა და რუსული ენების ისეთი წინადადებები, რომლებიც ერთი გამონათქვამის რეალიზაციებს წარმოადგენენ.

აქედან გამომდინარეობს საგულისხმო დასკვნა, რომლის მიხედვითაც სიღრმისეული სტრუქტურები ყველა ენაში ერთმანეთს ემთხვევა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე „პორ-როილის გრამატიკის“ ავტორთა აზრით, უნივერსალური გრამატიკის ობიექტია ენის უნივერსალური წესების გამოკვლევა და ჩამოყალიბება, იმ კანონზომიერებების აღმოჩენა და დადგენა, რომლებიც საფუძველად უდევს სამეტყველო აზროვნებას და ამის ბაზაზე სხვადასხვა ერის, ხალხთა სამეტყველო მოქმედების ტექნიკის განზოგადებას.

შემდეგ ავტორები წერენ, რომ სამეცყველო მოქმედების გექნიკის ანალიზი გეიჩვენებს, რომ სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების თანაჟარდობა ექვემდებარება გრანსფორმაციის წესებს, რომლებიც სიღრმისეულ სტრუქტურებს გარდაქმნიან ზედაპირულ სტრუქტურებად, მეცყველების აგებულების მექანიზმად, სადაც აბსტრაქტული მოდელები რეალიზდება ამა თუ იმ კონკრეტული ფრაზის ფორმაში. ამის შემდეგ „ჟორ-როიალის გრამატიკაში“ დასმულია მეგად რთული, მაგრამ ამავე დროს ძალზე საინტერესო პრობლემა: ენა – მეცყველების სფეროში სინთეზის მოდელების ცნობიერება – ამროვნების სფეროში სინთეზის მოდელებთან მიმართებების შესახებ.

ეს პრობლემა, ავტორთა აზრით, შეიძლება გადაწყდეს ლინგვისტიკის, ლოგიკისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა კვლევა-ძიების შედეგად.

დაბოლოს, „ჟორ-როიალის გრამატიკის“ დასკენითი თაეი ეძღვნება სინტაქსურ პრობლემებს. ამ თაეში ჩამოყალიბებულია ხუთი სინტაქსური წესი, რომლებიც, მათი აზრით, ენაში ფუნქციონირებს.

ამგეარად, ჟორ-როიალის გრამატიკის“ ავტორთა საბოლოო მიზანია, გაარკვიონ მეცყველების ელემენტთა და აზრის ელემენტთა ანალიზისა და სინთეზის სქემები, მათი ურთიერთმიმართება და ფორმალური გამოვლენა, როგორ და რამდენად გამოხატავენ მეცყველების ფორმები აზრის ფორმებს. ისინი უპირატესად დედუქციური გზით ცდილობენ შესატყვისობათა სისტემის გამოყვანას ორ იმანენტურ სტრუქტურას – გრამატიკულსა და ლოგიკურს – შორის. ე.ი. გრამატიკის ავტორები, საბოლოო ჯამში, ეძებენ შესატყვისობებს, ერთი მხრივ, ამროვნების კატეგორიებსა და კანონებს, ხოლო მეორე მხრივ, ენის კატეგორიებსა და კანონებს შორის. „ჟორ-როიალის გრამატიკაში“ მოქცეული მთელი ენობრივი მასალა ექვემდებარება აღნიშნული ორი

სტრუქტურის ურთიერთმიმართების მექანიზმის გახსნას, გარკვევას.

შეიძლება სხვადასხვანაირი შეფასება მიეცეს იმას, თუ რამდენად მოახერხეს საანალიზო ნაშრომის ავტორებმა დასმული ამოცანის გადაწყვეტა და რამდენად უნაკლო იყო კვლევის მეცნიერული აპარატი ან საანალიზო მასალა, მაგრამ ერთი რამ ეჭვს არ უნდა იწვევდეს: „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორებს უდიდესი დამსახურება მიუძღვით ენათმეცნიერების წინაშე, რადგანაც მათ აღძრეს დიდი თეორიული მნიშვნელობის მქონე კარდინალური მეცნიერული პრობლემები. უნდა ითქვას ისიც, რომ „პორ-როიალის გრამატიკამ“ შექმნა წანამძღვრები შედარებითი ენათმეცნიერებისათვის, რაც უთუოდ გასათვალისწინებელი ფაქტია ლინგვისტური ამროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

მიუხედავად გარკვეული მეთოდოლოგიურ-თეორიული ნაკლისა, რისგანაც, რა თქმა უნდა, დაზღვეული არ არის „პორ-როიალის გრამატიკა“, მან მაინც შექმნა ახალი ეტაპი ენათმეცნიერების განვითარებაში და ამავე დროს ხელი შეუწყო ენათმეცნიერების დამოუკიდებელ დარგად გამოყოფას.

„პორ-როიალის გრამატიკამ“, ისე როგორც ეპოქალური მნიშვნელობის მქონე ყოველმა ნაშრომმა, დასაწყისი მისცა ახალ ისტორიულ პერიოდს ენის თეორიის განვითარებაში. კერძოდ, ამ მომენტიდან იწყება ენათმეცნიერებაში აბსტრაქციულობის ეტაპი. გარდა ამისა, ეს გრამატიკა არის პირველი ლინგვისტური თხზულება, სადაც აღძრულია ისეთი ენათმეცნიერული პრობლემები, რომლებიც უკვე სამასი წელია ენის მეცნიერული კვლევის დღის წესრიგიდან არ იხსნება, ხოლო მრავალ მათგანს გარკვეული ადგილი უკავია თანამედროვე ენათმეცნიერების, ლოგიკისა და ფილოსოფიის ცენტრალურ პრობლემათა რიგში (27, 201).

ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერების სათავეები

ენათა ნათესაობის იდეა წარმოიშვა ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერების წარმომობამდე დიდი ხნით ადრე.

1538 წელს ფრანგმა მეცნიერმა გვილელმ პოსტელუსმა (1510-1581) გამოაქვეყნა შრომა „ენათა ნათესაობის შესახებ“, სადაც მოცემულია ენათა კლასიფიკაციის პირველი ცდა. 1599 წელს პოლანდიელმა მეცნიერმა იოსებ სკალიგერმა ნაშრომში „მსჯელობა ევროპული ენების შესახებ“ საკვლევი ენების კლასიფიკაციის შედეგად გამოყო 11 ჯგუფი. მისი აზრით, ყოველ ჯგუფს გააჩნია თავისი „ფუძე ენა“. ენათა ნათესაობას სკალიგერი ხედავს სიგყვითა იგივეობაში.

ენათა ნათესაობის პრობლემით დაინტერესებული იყო ვილჰელმ ლაიბნიცი. როცა შეიქმნება ყველა ენის ლექსიკონები და გრამატიკები, წერდა ლაიბნიცი, მხოლოდ მაშინ გადაწყდება ენათა ნათესაობისა და მათი კლასიფიკაციის რთული პრობლემა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლაიბნიცი ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდა მანამდე უცნობი ენების შესწავლის მიზნით. მას განსაკუთრებით აინტერესებდა რუსეთის იმპერიაში მოქცეული უამრავი ენა. ამ მიზნით ის დაუკავშირდა პეტრე პირველს და ურჩევდა მას რუსეთის მრავალრიცხოვანი ენების აღწერასა და ლექსიკონების შედგენას.



გოტ ფრიდ ვიქელმ
ლაიბნიცი

ენათა ნათესაობისა და წარმომობის პრობლემით დაინტერესებულია მ. ლომონოსოვიც (1711-1765). ის თავის ნაშრომში „როსი-

ისკაია გრამატიკა“ (1755 წ.) განიხილავს სლავურ ენებსაც და ასკენის, რომ რუსული, პოლონური, ბულგარული, ჩეხური... წარმოიშვენ საერთო-სლავური ენისაგან.

აღნიშნული მკვლევრები არ ითვალისწინებდნენ სანსკრიტის, ირანული და სხვა აღმოსავლური ენების მონაცემებს.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ევროპელები გაეცნენ სანსკრიტს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წარმოშობასა და განვითარებაში.

1767 წელს ფრანგმა მღვდელმა კორდუმ საფრანგეთის აკადემიას წარუდგინა წერილობითი მოხსენება, სადაც ის სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების მიხედვით ასაბუთებდა ლათინურის, ბერძნულისა და სანსკრიტის წარშობაელობას ერთი საერთო წყაროდან. ეს მოხსენება გამოქვეყნდა 1808 წელს.

ინგლისელმა აღმოსავლეთმცოდნემ და იურისგმა ვილიამ ჯოუნზმა (1746-1794) კალკუტაში სააზიო სამოგადოებას 1786 წელს წარუდგინა მოხსენება, სადაც ის ავითარებდა ამრს სანსკრიტის ნათესაობის შესახებ ბერძნულთან, ლათინურთან, კელტურთან, გოთურთან და ძველ სპარსულთან. ამ ენათა შედარების შედეგად ჯოუნზი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: არ უნდა იყოს შემთხვევითი აღნიშნულ ენებში ფუძეთა და გრამატიკულ ფორმათა მსგავსება. ეს მსგავსება უთუოდ მიუთითებს რაღაც საერთო წყაროდან მომდინარე ენათა ნათესაობაზე. შესაძლებელია ეს საერთო წყარო ამჟამად აღარც არსებობდეს. საყურადღებოა, რომ სანსკრიტი, ჯოუნზის ამრით, არ წარმოადგენს წინარე ენას, როგორც ამას უშვებდნენ შემდგომი პერიოდის მკვლევრები.

ჯოუნზი გაეცნო ხელნაწერებში სანსკრიტულ ენას და წერდა: „სანსკრიტული ენა, როგორც არ უნდა იყოს მისი სიძველე, ფლობს საოცარ სტრუქტურას, უფრო სრულს, ეი-

დრე ბერძნული ენა, უფრო მდიდარს, ვიდრე ლათინური. უფრო მშვენიერს, ვიდრე თითოეული მათგანი“ (27, 263).

ა. რეჟორმაგსკის აზრით, ჯოუნზის ამ დეკლარაციული. მაგრამ სწორი გამოხატულებით ჩაეყარა საფუძველი შედარებით ენათმეცნიერებას. ავსტრიელმა ბერმა პაულინო ა სანტო ბართოლომეომ (მისი საერო სახელია ი. ჟეებლინ), რომელიც 1776-1789 წლებში ცხოვრობდა ინდოეთში, შეადგინა სანსკრიტული ენის ორი გრამატიკა და ლექსიკონი. ჯოუნზის იდეების გავლენით დაწერა „ტრაქტატი სპარსულის, ინდურისა და გერმანული ენების სიძველისა და ნათესაობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1798 წელს.

ფრიდრიხ შლეგელმა (1772-1829) 1808 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წიგნი „ინდოელთა ენისა და სიბრძნის შესახებ“. ავტორი, როგორც რომანტიზმის წარმომადგენელი, ამ ნაშრომში აეითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სანსკრიტი ის წყაროა, რომლიდანაც შემდგომ განვითარდნენ სხვა ინდოევროპული ენები. ფ. შლეგელი ბერძნულის, ლათინურის, სპარსულისა და სხვა გერმანული ენების ნათესაობას სანსკრიტთან ასაბუთებდა არა მარტო ლექსიკის, არამედ გრამატიკული სტრუქტურის მიხედვითაც. მან პირველმა შემოიგანა ენათმეცნიერებაში ტერმინი „ინდო-გერმანული ენები“, რომლის სინონიმიც შემდგომში გახდა „ინდოევროპული ენები“.

ამგვარად, ლინგვისტებმა ენათა ნათესაობა შეამჩნიეს XIX საუკუნეებე აღრე, მაგრამ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხსნიდნენ ამ ფაქტს, ნათესაობის ცნებას, ე.ი. რით იყო განპირობებული და როგორ უნდა დასაბუთებულიყო ნათესაობა ენებს შორის.

XIX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებათა სისტემაში, მეცნიერულ კვლევა-ძიებაში იჭრება ისტორიზმის პრინციპები, ისტორიული თეალსაზრისი, რაც იმას ნიშნავს, რომ სინამდვილის ყოველი მოვლენა იცვლება და ვითარდება

გარკვეული შინაგანი და გარეგანი კანონზომიერების შესაბამისად, იწყება ახალი ეპოქა მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაში.

ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში ისტორიული თვალსაზრისისა და ისტორიული პრინციპების შეგანას ხელი შეუწყო სანსკრიტული ენის გაცნობამ. ევროპული გრამატიკული აზროვნების განვითარების პროცესი დაასქარა პანინის გრამატიკამაც, რომელსაც ევროპელები XVIII საუკუნის დასასრულს გაეცნენ.

სანსკრიტული ენის გრამატიკული სტრუქტურის გაცნობამ ევროპელები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აღნიშნული ენის ლექსიკურ-გრამატიკული მსგავსება ევროპულ ენებთან არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს მსგავსება განპირობებულია ამ ენათა ნათესაობით, მათი საერთო წყაროდან წარმომავლობით, ხოლო სხვაობა მეორეულია, დამოუკიდებელი განვითარების გზით მიღებული. ამიერიდან ლინგვისტიკის წინაშე დაისვა ახალი ფუნდამენტური ამოცანა, ისტორიული თანამიმდევრობით შეესწავლა ინდოევროპულ ენებში დადასტურებული მსგავსი ენობრივი მოვლენები, შედარებითი მეთოდის გამოყენებით ეკვლია ამ ენათა განვითარების ისტორიული პროცესი და შესაძლებლობის ფარგლებში მოეხდინა ამოსავალი ვითარების რეკონსტრუქცია.

ამ მიმართულებით კვლევის შედეგად შეიქმნა მონათესავე ცალკეულ ოჯახთა შედარებითი გრამატიკები: ინდოევროპული ენების, სემიტური ენების, თურქული ენებისა და ფინურ-უნგრული ენების.

ისგორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება

ისგორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლად ითვლებიან ცნობილი ლინგვისტები: ფრანც ბოპი, რასმუს რასკი, იაკობ გრიმი.

ფრანც ბოპი (1791-1867), დამკვიდრებული გრადიციის მიხედვით, ისგორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლად ითვლება. ენათმეცნიერებაში ბოპის ადგილის შესახებ ფ. ფ. ფორტუნაგოვი წერდა: „უნდა გვახსოვდეს, რომ ინდოევროპულ ენათა შედარებით შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ბოპმა და ის წარმატებები, რომლებიც ბოპის შემდეგ იქნა მიღწეული ენათმეცნიერებაში, პირველ რიგში, ბოპისაგან არის დაეალებული, რადგანაც მან აჩვენა ის მართებული გზა, რომლის მიხედვითაც ლინგვისტიკას შეუძლია თანდათან სრულყოფა“ (27, 267).

ფ. ბოპი დაიბადა ქ. მაინცში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში გამოავლინა მან დიდი ინტერესი ენების შესწავლისადმი. ის



ფრანც ბოპი

ეცნობა აღმოსავლურ ენებს, სწავლობს სანსკრიტს, სპარსულს, არაბულს, ძველბერძნულს. 1821 წლიდან ბოპი ბერლინის უნივერსიტეტში აღმოსავლური ლიგერატურისა და ზოგადი ენათმეცნიერების პროფესორია, ხოლო 1829 წლიდან ის აკადემიკოსია.

ფრანც ბოპის გამოკვლევებმა უდიდესი როლი შეასრულა ისგორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ბოპმა დასვა ორი დიდი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტასაც ნიუძღენა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევები. ეს

პრობლემებია: 1. ინდოევროპული ენების საფუძვლიანი შესწავლა და მათი ნათესაობის დასაბუთება, 2. ფლექსიის წარმოშობის საიდუმლოების ახსნა.

მეორე პრობლემის შესწავლასა და გადაწყვეტას მიუძღვნა ბოპმა ფუძემდებლური შრომა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში: „სანსკრიტული ენის უღვლილების სისტემის შესახებ შედარებით ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და გერმანულ ენებთან“. ეს გამოკვლევა გამოქვეყნდა მაინის ფრანკფურტში 1816 წელს. აღნიშნულ გამოკვლევაში ბოპმა ერთმანეთს შეუპირისპირა ხუთი ძველი ინდოევროპული ენის უღვლილების ელემენტები, სადაც ნაჩვენებია საანალიზო გრამატიკულ ერთეულთა მსგავსება და ზოგჯერ იგივეობრიობაც. ამგვარი ძიების საფუძველზე მან განხილული ენები მიიჩნია საერთო წარმოშობისად.

ბოპის განსაკუთრებული დამსახურება ლინგვისტიკის განვითარების ისტორიის წინაშე ისაა, რომ ენათა შედარებისას ემყარება შესადარებელ ენათა გრამატიკულ სტრუქტურას. ამ შემთხვევაში ის ამოდის იმ ჰუმანიტარული დებულებიდან, რომლის მიხედვითაც გრამატიკული ელემენტების შესება ერთი ენიდან მეორე ენაში შეუძლებელია, ანდა მეტად იშვიათია.

ბოპის მეცნიერულ მემკვიდრეობაში მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის ფუნდამენტურ გამოკვლევას: „სანსკრიტის, გენდის, სომხურის, ბერძნულის, ლათინურის, ლიგურის, გოთურის, ძველსლავურის და გერმანული ენების შედარებითი გრამატიკა“, რომელიც სამ გომად გამოიცა. მისი პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1833-1852 წლებში.

საყურადღებოა, რომ ბოპის კვლევის არეში თანდათან სხვა ენებიც შემოდიოდა. მაგალითად, მან სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ქართულ ენას, სახელწოდებით – „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“, რომელიც 1846 წელს დაიბეჭდა ბერლინის მეცნიერებათა

აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილების მემუარებში. ხოლო იგივე ნაშრომი 1847 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ამ სათაურით: „კავკასიური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახში“.

ბოპი ქართველურ ენებს (საკუთრივ ქართულს, მეგრულს, ლაზურს და სვანურს) უწოდებს „იბერიულს ანუ ქართულს“. ავტორი შესავალ ნაწილში გადმოგვცემს როზენის, კლაპროთის, სენმარტენის, ბროსეს შეხედულებებს ქართველურ ენათა შესახებ და შემდეგ ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს.

ფრანც ბოპის შრომის მიზანია ცხადი გასადოს, რომ ენობრივი ორგანიზმის ყველა ნაწილში – სახელთა ფლექსიაში, ზედსართავეებში, ნაცეალსახელების ფუძეებსა და ბრუნვაში, რიცხვით სახელებში, აგრეთვე ზმნის უღელიებაში – პირთა, რიცხვთა, დროთა და კილოთა მიხედვით – ქართული ენა ინდოევროპულ ენებთან ნათესაობას ავლენს (სანსკრიტთან და სხე.).

როგორც მოსალოდნელი იყო, ბოპის აღნიშნულ ნაშრომში არ არის ლაპარაკი ფონეტიკურ შესაგყვისობათა შესახებ; საკითხი განხილულია მხოლოდ მორფოლოგიისა და ლექსიკის ჩვენებათა მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოპის წიგნში წარმოდგენილი ენობრივი მასალა და შედარებები თავის არსებით ნაწილში დამარწმუნებელი არ არის, მაინც უნდა ითქვას, რომ მან გამოთქვა რიგი საინტერესო და უდავოდ სწორი დაკვირვება, რასაც ვარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის მორფოლოგიის კვლევის დარგში. ბოპის ნაშრომის კრიტიკული ანალიზი მოგვცა აკადემიკოსმა ბროსემ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ქართულს ინდოევროპულ მონათესავედ თვლიდა.

ქართული ენის გენეზისური ურთიერთობა სხვა ოჯახის კნებთან, ასე დაწერილებით, როგორც ბოპმა განიხილა,

არც ადრე განუხილავს ვინმეს და არც – შემდეგ; ამ მხრივ ბოპის ცდას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ბოპის მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით ფასეულია მისი გემოთ აღნიშნული ფუნდამენტური გამოკვლევა „შედარებითი გრამატიკა“. მიუსუდავად იმისა, რომ ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან გავიდა დიდი დრო, მას მაინც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. „შედარებით გრამატიკაში“ საფუძვლიანადაა დამუშავებული მორფოლოგია, ხოლო ფონეტიკა უგულებელყოფილია, სინტაქსს კი საერთოდ არ ეხება იგი.

ბოპის ლინგვისტური კონცეფციის ფორმულირებაზე დიდი გავლენა მოახდინა როგორც მისმა თანამედროვე ისტორიულ-ფილოლოგიურმა და ლინგვისტურმა კონცეფციებმა, ასევე ძველი ინდოელი გრამატიკოსების მოძღვრებამ. ინდოელთა გავლენა განსაკუთრებით ძირის საკითხებში ვლინდება. მისი ნაშრომის საფუძველია თავი „ძირების შესახებ“.

მისი თეორიის მიხედვით, ინდოეეროპულ ენათა ძირი თავდაპირველად ერთმარცვლიანი იყო. წარმომავლობის მიხედვით, ძირებს იგი ორ ჯგუფად ყოფს: 1. მზნური ძირები და 2. ნაცვალსახელური ძირები. პირველისაგან წარმოიშენნ მზნები და სახელები (არსებითი და ზედსართავი სახელები), ხოლო მეორე ჯგუფისაგან – ნაცვალსახელები, თანდებულები, კავშირები და ნაწილაკები.

ძირის თეორიის ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, ბოპი გამოყოფს ენათა სამ ძირითად კლასს (ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია):

1. ენები, რომელთაც არა აქვთ ნამდვილი ძირი და ამიგომ არცა აქვთ „ორგანიზმი“, ე.ი. გრამატიკა. ასეთ ენათა რიგს განეკუთვნება ჩინური ენა.

2. ერთმარცვლიანი ძირების მქონე ენები, რომელთაც აქვთ თავიანთი „ორგანიზმი“, გრამატიკა. ამ კლასის ენათა ძირითადი პრინციპი მდგომარეობს მზნური და

ნაცვალსახელური ძირების შეერთებაში. ასეთ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება

ინდოევროპული ენები.

3. ორმარცელიანი ძირის ენები, რომელთაც ძირში, როგორც წესი, სამი თანხმოვანი აქვთ. ენათა ამ კლასს განეკუთვნება სემიტური ენები. ეს ენები გრამატიკულ ფორმებს აწარმოებენ ძირის შინაგანი მოდულიკაციის გზით.

ძირთა ორი კლასის თეორიისა და მზნურ ფორმათა სამელემენტოვანი სტრუქტურის თეორიის საფუძველზე ფ. ბოპმა შექმნა თავისი ცნობილი აგლუტინაციის თეორია, რომლის მიხედვითაც სიგყვის მზნური ძირები რეალურ მნიშვნელობას გამოხატავენ, ხოლო ნაცვალსახელური ძირები, რომლებიც ფლექსიის წყაროს წარმოადგენენ, სუბიექტს გამოხატავენ.

ბოპი თავის აგლუტინაციურ თეორიას ასაბუთებდა იმით, რომ, მისი აზრით, ნებისმიერი ფლექსია – სახელური თუ მზნური – არის შედეგი სრულმნიშვნელოვანი სიგყვის შეერთებისა დამხმარე სიგყვასთან. პირის ნიშნები, ბოპის აზრით, მომდინარეობენ პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელებიდან.

ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ბოპი ასკენის, რომ ყველა აფიქსი მომდინარეობს თაუდაპირველად დამოუკიდებელი სიგყვებისაგან და აგლუტაციის პროცესის შედეგად გაფორმდნენ სათანადო აფიქსებად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოპის ეს პიპოთეზა (აგლუტინაციის თეორია) ამჟამად საბოლოოდ დასაბუთებული არ არის. მაგრამ არც უარყოფილია.

ბოპის „შედარებითი გრამატიკა“ აგლუტაციურ თეორიაზე დამყარებით მიზნად ისახავდა ინდოევროპული ენის ფლექსიის გენეზისის გარკვევას. ამ მიმართულებით მუშაობისას მან, მეიეს სიგყვებით რომ ვთქვათ, შექმნა შედარებითი გრამატიკა და ამით დაასაბუთა ინდოევროპულ

ენათა ნათესაობა, ისე როგორც კოლუმბმა ინდოეთის ქებნაში აღმოაჩინა ამერიკა.

ბოპის ამრით, ენები იცვლებიან მექანიკური და ფიზიკური კანონების გემოქმედებით.

მექანიკურ კანონებში ბოპი გულისხმობს „წონასწორობის“, „თანამუფარლების“ კანონებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძირის ძლიერ ფორმას მოსდევს სუსტი დაბოლოება და, პირიქით, ძირის სუსტ ფორმას მოსდევს ძლიერი დაბოლოება. მაგალითად: ძირისაგან *i* „სელა“, „სიარული“ იწარმოება *e-mi* „მე მიედივარ“, სადაც წარმოდგენილია ფუძის ძლიერი ფორმა (*e*) და დაბოლოების სუსტი ფორმა (*mi*), ხოლო ფორმაში *i-mas* „ჩვენ მივიდივართ“ სახეზეა სუსტი ანუ მსუბუქი ფორმა ძირისა და ძლიერი ანუ მძიმე ფორმა დაბოლოებისა (საქმე ისაა, რომ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საწყის ეტაპზე ხმოვნებს განარჩევდნენ ერთმანეთისაგან ტერმინებში: მძიმე, მსუბუქი, საშუალო) (27, 275).

ფიზიკურ კანონებში ბოპი საკუთრივ ბევრით, ფონეტიკურ კანონებს გულისხმობს: მაგალითად, მისწრაფება „კეთილხმოვანებისაკენ“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფიზიკური კანონები ბოპის მიერ არ არის სრულყოფილად გამოქვეყნული.

ბოპის ამრით, მექანიკური და ფიზიკური კანონები მოქმედებენ ენაში უფრო გვიან, ენის განვითარების იმ პერიოდში, როცა უკვე აღარ აღიქმება, აღარ იგრძნობა სიგყვის მედგენილობის სირთულე, ე.ი. მაშინ, როცა ცალკეულ ენებს უკვე აქვს განვითარების საკუთარი ისტორია, ეს ისტორია კი იწყება პირველ, საერთო წყაროდან.

საყურადღებოა, რომ ბოპის კონცეფციაში ერთგვარად ვლინდება საბუნებისმეტყველო მეცნიერების გაელენა. ეს განსაკუთრებით ჩანს მისი ტერმინოლოგიიდან: ენის „ორგანიზმი“, ენის „ანაგომია“, ენის „ფიზიოლოგია“ და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბოპთან ამ სიტყვებს უფრო ხატოვანი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე პირდაპირი.

როცა ბოპის ლინგვისტურ შეხედულებათა კონცეფციას ვიხილავთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ მას, პირველ რიგში, აინტერესებდა ცალკეული ენობრივი ფორმების გენეზისის საიდუმლოებაში ჩაწელობა. რამდენადაც ბოპი ენობრივი ფორმების ევოლუციას იკვლევს ადამიანის ვონების განვითარებასთან კავშირში, ამდენად ის მთელ ყურადღებას ამახვილებს სწორედ გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის პრობლემაზე.

ბოპის თეორია ფლექსიის წარმოშობის შესახებ ამჟამადაც იწვევს გარკვეულ ინტერესს. მისი თეორია თანამედროვეთა უმრავლესობამ აღიარა.

ბოპმა, მორფოლოგიაზე დაყრდნობით, მეცნიერულად დაასაბუთა ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მან შექმნა მწყობრი, სისტემატიზებული თეორია, ამ თეორიას საფუძვლად ედო დებულება, რომლის მიხედვითაც ინდოევროპულ ენებს გააჩნიათ არა მარტო ცალკეული მსგავსი მოვლენები, არამედ მათ აქვთ ერთიანი გრამატიკული სისტემაც, რომელიც ამჟამად კანონზომიერ მორფოლოგიურ შესაგყვისობებში ვლინდება.

ბოპის მიერ გამოყენებული მეთოდის არსებითი ნიშანი ის არის, რომ ერთი ენის ენობრივი ფორმები აიხსნება სხვა ენის ან ენათა ფორმებთან შედარების გზით. ეს კი სრულიად ახლებური მიდგომაა ენობრივი მოვლენების ევოლუციის გარკვევისადმი, და ენის რთული გრამატიკული სტრუქტურის ისტორიის ახსნის სწორედ ამ ახალი მეცნიერული მიდგომით ეყრება საფუძველი ისტორიულ-შედარებით მეთოდს.

ამ მეთოდის ნაკლი ის იყო, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ბგერათა კანონზომიერ შესაგყვისობებს. თუმცა ბოპი მონათესავე ენათა ბგერებსაც უღარებდა ერთ-

მანეთს. მის მიერ გამოყენებული მეთოდი იფარგლებოდა შესაღარებელ ენათა გმნურ და სახელურ ფლექსიათა შეღარებით.

ბოჰის მეცნიერული მემკვიდრეობის ისტორიული მნიშვნელობა, პირველ რიგში, ის არის, რომ მან შეარჩია და სისტემაში მოიყვანა ინდოევროპულ ენათა გრამატიკული სტრუქტურის საერთო გენეტიკური ელემენტები და ამით დაადგინა მათ შორის მორფოლოგიური შესაბამისობანი, რაც შემდგომ საფუძველად დაედო ინდოევროპულ ენათა შეღარებითი გრამატიკის დამუშავებას.

ბოჰის უზარმაზარი მეცნიერული შემოქმედების ეს მოკლე მიმოხილვა შეიძლება დავამთავროთ ბოჰის მისამართით ნათქვამი ბ. დელბრიუკის აღმართოვანებული სიტყვებით: „როცა ხედავ, რომ ერთმა კაცმა წარმოადგინა შეღარებითი განხილვა სანსკრიტისა, ძველი სპარსულისა, გენდურისა, სომხურისა, ბერძნულისა, იტალიურისა, კელტურისა, სლავურისა და გერმანული ენებისა, განვლო რა ეს უზარმაზარი უბანი, სამხრეთ ოკეანის ენებამდე, ძალაუნებურად გინდა მიაწერო ამ კაცს არაჩვეულებრივი, ყოველგვარ საზღვარს გადასული განსწავლულობა. მაგრამ უფრო ახლოს გაცნობისას დარწმუნდები, რომ მარგო განსწავლულობა არ არის ბოჰისათვის დამახასიათებელი. ბოჰის სიდიადე სხვა რამეშია, დამოუკიდებელი განსწავლულობისა და მეთოდისა, კერძოდ სახელდობრ იმაში. რასაც ჩვენ გენიალობას ვეძახით“ (27, 276).

ისტორიულ-შეღარებითი ენათმეცნიერების სათავეებთან ბოჰთან ერთად დგას დანიელი ენათმეცნიერი რასკი (1787-1832).

რ. რასკმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ისლანდიურ ენაში. ამ მიზნით ის ჩავიდა ისლანდიაში, სადაც ვააგარა სამი წელი (1813-1815წწ.). აქ მან დააარსა ლიტერატურული საზოგადოება.

სადაც გაიშალა ფილოლოგიური მუშაობა. აღმოსავლური ინდოეუროპული ენების შესწავლის მიზნით რასკმა იმოგზაურა აღმოსავლეთში და გაიარა გრძელი გზა: პეტერბურგი, მოსკოვი, კაუკასია და სპარსეთი. ჩავიდა ინდოეთში და გააგარა იქ ორი წელიწადი. აქვე გამოაქვეყნა მან გამოკვლევა ინგლისურ ენაზე აღმოსავლური ენების შესახებ.

1823 წლიდან რ. რასკი კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორია. რასკი აეგორია მრავალი გრამატიკისა. მათ შორის ესპანურის, შვედურის, ძველი ინდურისა და სხვ. ის ფლობდა 25 ენას.



რასკუს რასკი

რ. რასკის ძირითადი ნაშრომია „გამოკვლევა ძველი ჩრდილოური, ანუ ისლანდიური ენის წარმოშობის შესახებ, რომელიც 1814 წელს დაიწერა, ხოლო გამოქვეყნდა 1818 წელს. ეს ნაშრომი შემოკლებული სახით გერმანულად ითარგმნა და 1822 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „თრაკიული ენობრივი ჯგუფის შესახებ“.

ამ ნაშრომში რ. რასკი ასაბუთებს გოთური (ანუ გერმანული) ენების ნათესაობას

თრაკიულთან (ბერძნულთან და ლათინურთან). რასკის ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კელევის მეთოდისა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: რასკი ისლანდიურს უდარებს ჯერ იმ ენებს, რომლებიც გეოგრაფიულად მასთან უფრო ახლოს არიან, როგორცაა გრენლანდიური, კელტური, ბასკური, ფინური და სხვ. ამ შედარების შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ შესადარებულ ენებს შორის არ არის ნათესაური კავშირი.

ამის შემდეგ ის გადადის სლავეური და ლიტეური ენების შედარებით შესწავლაზე. არკვევს მათ ადგილს ინდოევრო-პულ ენათა შორის.

ბოლოს რასკი ისლანდიურს უდარებს ვოთურსა და თრაკიულს, რის შედეგადაც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ისლანდიური, ისე როგორც სლავეური და ბალტიური ენები, მომდინარეობს ძველი თრაკიულისაგან. ძველი თრაკიული კი რასკისათვის ის ენაა, რომლის უშუალო გაგრძელებასაც წარმოადგენენ ბერძნული და ლათინური. აქედან გამომდინარე, ბერძნული და ლათინური ისლანდიურის „წყაროა“.

როგორც ვხედავთ, რასკისათვის ისლანდიური ენა არის მთელი გერმანული ენების უძველესი ბირთვი, ხოლო თავად ისლანდიური სათავეს იღებს ბერძნულ-ლათინურიდან, რომლებიც, თავის მხრივ, მომდინარეობენ ძველი თრაკიულიდან.

რასკი ინდურსა და სპარსულ ენებს გამორიცხავს როგორც ამოსავალ წყაროს, რადგანაც ეს ენები გერიგორიულად მეტად დაშორებულნი არიან.

რასკის მსჯელობა ენათა ისტორიულ-გენეტიკური მიმართების შესახებ შეიძლება დასკვნის სახით ასე წარმოვადგინოთ; სკანდინავიური და გერმანული ენები ქმნიან ახლო მონათესავე შტოებს, ხოლო ისინი სლავეურთან და ბალტიურ ენებთან ერთად, მომდინარეობენ ერთი საერთო წყაროდან, „ძველი თრაკიული“ ენიდან, რომელსაც იგულისხმება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის წარარეისტორიული მკვდარი ენა. რადგანაც ბერძნული და ლათინური უძველესი ენებია და ამ მკვდარი ენის ერთადერთი ვადმონაშთებია, ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ისლანდიური ენის წყაროები.

რასკის ენათა გენეტიკური მიმართების კვლევის მეთოდოლოგიური ხერხი ასეთია: 1. პირველ რიგში შესაძარბებელ ენათა შორის უნდა დადგინდეს გრამატიკული შესაბამისობანი. გრამატიკული შესაბამისობა, რასკის


აზრით, არის ენათა ნათესაობის დამადასტურებელი არსებითი კრიტერიუმი. ლექსიკის მსგავსება ან იგივეობრიობა ენათა ნათესაობის დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება, რადგანაც ლექსიკური ერთეულები ადვილად გადადის ერთი ენიდან მეორეში.

2. თუ ენის ძირითადი, არსებითი ლექსიკა შესაღარებულ ენებში ერთნაირია, მსგავსია, მაშინ ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ შესაბამის ენათა ნათესაობის მაჩვენებელ კრიტერიუმად. რ. რასკი წერს: „ენა, რაც უნდა ნარევი იყოს, მიეკუთვნება იმ ენათა ჯგუფს, რომელთანაც საერთო აქვს ყველაზე არსებითი, აუცილებელი და თავდაპირველი სიტყვები, რომლებიც ენის საფუძველს ქმნიან“ (32, 28).

3. ენათა ნათესაობის დადგენის მესამე კრიტერიუმი არის ბგერათა კანონზომიერი შესაგყვისობანი, რასკის გერმინოლოგიით – „ასოთა გადასვლის წესები“.

ამ სამი კრიტერიუმიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე კრიტერიუმი, რომელიც შემდგომ ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებაში გამოიყენა. ი. გრიმი თავის ბგერათგადაწვეის კანონის ფორმულირებაში აშკარად ემყარებოდა რასკს და ავითარებდა მის აზრებს.

მეგაღ საყურადღებოა ა. შეიეს მიერ რასკისა და ბოპის შრომათა შედარებითი შეფასება: „რასკი შესამჩნევად ჩამორჩება ბოპს იმ მხრივ, რომ სანსკრიტს არ იყენებს, მაგრამ მითითებებს მსგავსი ენების უძველეს იგივეობრიობაზე ამოსავალი ფორმების ამაო ძიებით გაგაცების გარეშე. ის კმაყოფილდება, მაგალითად, იმის მტკიცებით, რომ ისლანდიური



იაკობ გრიმი

ენის ყოველი დაბოლოება შეიძლება მეტ-ნაკლები სიცხადით გამოიძებნოს ბერძნულსა და ლათინურში; ამ მხრივ მისი წიგნი უფრო მეცნიერულია და ნაკლებად დაძველებული, ვინემ ბოპის თხზულებები“ (44, 451).

იაკობ გრიმი (1785-1863) არის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გერმანული ენების პირველი ფუნდამენტური შედარებითი გრამატიკის ავტორი.

ი. გრიმი დაიბადა ქ. ჰანაუში. სწავლობდა ქ. კასელის ლიცეუმში, შემდეგ მარბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ მისი ნამდვილი მოწოდება იყო ფილოლოგია და ლიტერატურა, რასაც მიუძღვნა მთელი სიცოცხლე. 1830 წელს გრიმი გახდა გერმანული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე ვეტინგენის უნივერსიტეტში. 1837 წელს, ის სხვა შეიდ პროფესორთან ერთად, გაათავისუფლეს უნივერსიტეტიდან. 1840 წლიდან გრიმი ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორია.

გარდა ენათმეცნიერულისა, გრიმი ამუშავებდა ლიტერატურულ პრობლემებსაც. ამ მიმართულებით შექმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, სადაც ნათლად გამოვლინდა მისი რომანტიკული იდეები.

ენათმეცნიერების ისტორიაში ი. გრიმი შევიდა როგორც ავტორი ოთხტომეულისა — „გერმანული გრამატიკა“, რომლის პირველი ტომი გამოქვეყნდა 1819 წელს, ხოლო მეოთხე ტომი — 1837 წელს. პირველ ტომში განხილულია ფონეტიკური საკითხები, მეორეში მორფოლოგიური, მესამეში — სიგყვათა წარმოება, ხოლო მეოთხე ტომი ეძღვნება სინტაქსური საკითხების განხილვას.

ბოპის შრომებისაგან ი. გრიმის აღნიშნული ნაშრომი გამოირჩევა ფონეტიკისა და სინტაქსის პრობლემებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით. ამ ნაშრომს, როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი, საფუძვლად უდევს ყველა

გერმანული ენის მასალის (დაწყებული უძველესი წერილობითი ძეგლებით) შედარება.

ი. გრიმის „გერმანულმა გრამატიკამ“ უდიდესი გავლენა მოახდინა ენათა შედარებითი კვლევის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ი. გრიმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცოცხალი ენების შესწავლის აუცილებლობას ძველი სამწერლო ენების – სანსკრიტის, ძველი ბერძნულის და ლათინურის – გვერდით. გარდა ამისა, ი. გრიმი ლიტერატურული ენის გვერდით სწავლობდა დიალექტებსაც, რასაც ადგილი არ ჰქონდა ბოპისა და რასკის მეცნიერულ მემკვიდრეობაში. ამდენად, ი. გრიმმა, როგორც ისტორიული გრამატიკის შემქმნელმა, უდიდესი წვლილი შეიტანა დიალექტოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ი. გრიმი ენას განიხილავს როგორც მუდმივ ცვალებად პროცესს. მისი აზრით, ნებისმიერი ენის განვითარების გზების კვლევა, ეს არის ამავე დროს ზოგადად ენის განვითარების, მისი წარმოშობის გზების კვლევა.

ინდოევროპული ენების განვითარების ისტორიაში ი. გრიმი ხედავს ორ ერთმანეთის საპირისპირო პროცესს. პირველ პროცესში, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა მეორეს, იგულისხმება სიგყვათანაწილების შეერთების გზით ფლექსიის წარმოშობა, ხოლო მეორეში – ფლექსიის მოშლა. აქედან გამომდინარე, ი. გრიმი ენათა განვითარების ისტორიაში გამოყოფს სამ პერიოდს: 1. სიგყებისა და ძირების ჩამოყალიბების პერიოდს, 2. ფლექსიის სრულყოფისა და აყვავების პერიოდს, 3. ენაში აზრის სიცხადისაკენ მისწრაფების პერიოდს, რაც, თავის მხრივ, იწვევს ენაში ფლექსიის გაუჩინარებას და ანალიტიკური ფორმების დამკვიდრებას.

კონკრეტულად როგორ ხასიათდება თითოეული პერიოდის ენობრივი ფორმები? ენის განვითარების პირველ პერიოდში ნებისმიერი გრამატიკული მიმართების გამოსა-

ხატავად იხმარება ცალკეულ სიტყვათა უბრალო მეერთება, მეორე პერიოდისათვის დამახასიათებელია ფლექსია, სუფიქსები და სიტყვათწყობა, ხოლო მესამე პერიოდისათვის – თანდებულები და მკაფიოდ გამოხატული რთული სიტყვები.

განვითარების მეორე სტადიის ენებია, გრიმის აზრით, სანსკრიტი, ზენდური და ძველი ბერძნული. ეს ენები ხასიათდებიან ფორმათა საოცარი სრულყოფითა და სიმდიდრით. სწორედ ამ პერიოდში იქმნება ამ ენაზე ბრწყინვალე პოეტური ნაწარმოებები. ამის მაგალითია ძველი ინდური და ძველი ბერძნული უკვდავი პოეზია.

განვითარების მესამე სტადიას განეკუთვნება თანამედროვე ენები – ინდური, სპარსული, ახალი ბერძნული, რომანული ენები და უფრო ნაკლებად – გერმანული ენები. აღნიშნულმა ენებმა, გრიმის აზრით, ძირითადად დაკარგა „ფლექსიის შინაგანი მოქნილობა და ძალა“.

ამრიგად, თუ ენის განვითარების პირველ პერიოდში სიტყვისა და აზრის დაკავშირება პრიმიტიულად ხდებოდა, ხოლო მეორე პერიოდში აზრისა და სიტყვის კავშირმა მიაღწია იდეალურ ნიმუშს, შემდგომ, ე.ი. ენას განვითარების მესამე პერიოდში, გონების განვითარებასთან ერთად, ეს კავშირი უფრო გაცნობიერებული ხდება.

ყველა ამ დებულებაში ნათლად ელინდება ფ. შლეგელის (1772-1829) რომანტიკული კონცეფცია ენის ორი პერიოდის შესახებ, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ფ. შელინგის (1775-1854) და გ. ჰეგელის (1770-1831) „სულის“ განვითარების თეორიასთან.

ლინგვისტიკის ისტორიის თვალსაზრისით, გრიმის მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით ფასეულია ფონეტიკური საკითხებისადმი დიდი ყურადღება, რასაც ბოჰთან არ ვხვდებით. ამ საკითხებიდან (როგორც არსებითი მნიშვნელობის მქონე) ცალკეა გამოსაყოფი ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობა, რომელიც სპეციალურ ლიგ-

ერატურაში ცნობილია აბლაუგის ან აპოფონიის სახელით.

აბლაუგი, გრიმის ამრით, გერმანული ენის სტრუქტურის საფუძველია და განსაზღვრავს მის შინაგან სიტყვათწარმოებას. აბლაუგი არის „გერმანული ენის სულის გამოვლენის ფორმა“. სწორედ აბლაუგი აძლევს ენას სილამამებს, წერს გრიმი, რადგანაც მონაცვლეობაში ვლინდება ხმოვანთა კეთილხმოვნება. უფრო მეტიც, აბლაუგი არის გერმანული ენების სტრუქტურის მაორგანიზებელი, განმსაზღვრელი მომენტი. აბლაუგის წარმოშობა დაკავშირებულია გერმანულ მხნებთან, რომელთათვისაც ის, ე. ი. აბლაუგი ანუ ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობა, ძირითადი საშუალებაა გრამატიკული ფორმების წარმოებისათვის, ხოლო მზნა ხომ ყველა სიტყვის საფუძველია.

როგორც ვხედავთ, ი. გრიმი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აბლაუგს და მიაჩნია ის გერმანული და, საერთოდ, გერმანული ენების, მამოძრავებელ ძალად.

მართლაც, გრიმის დამსახურებაა ხმოვანთმონაცვლეობის და, საერთოდ, გერმანული ენების ისტორიული გრამატიკის ყველა პრობლემის მეცნიერული დამუშავება (ა. ე. დესნიცკაია). ი. გრიმის ყველაზე დიდი დამსახურება ისტორიულ-მედარებით ენათმეცნიერებაში არის ბგერათა „გადასვლების“ კანონზომიერებათა დადგენა. მან გამოავლინა ისტორიული თანაფარდობა თანხმოვნებს შორის, ერთი მხრივ, გერმანული ენებისა, და, მეორე მხრივ, კლასიკური ენების.

ი. გრიმის მიერ დადგენილი ბგერათშესაგყვისობა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ბგერათგადაწვევის სახელით, ზოგჯერ მას „გრიმის კანონსაც“ უწოდებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ბგერათა რეგულარული შესაგყვისობის შესახებ პირველად წამოაყენა რასმუს რასკმა.

„გრიმის კანონის“ მიხედვით, თანხმოვანთა საერთო-გერმანული გადაწევა (die erste Lautverschiebung) გამოიხატა შემდეგ ფონემურ გადასვლებში:

ი. - ე.	b d g	→	გერმ.	p t k
	bh dh gh	→		b d g
	p t k	→		ph th kh

ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქონდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. ამით გრიმმა გარკვეული წელიწადი შეიგანა იმდროინდელი თეორიული ენათმეცნიერების განვითარებაში.

აი, აქ უნდა დავარღვიოთ ამ წიგნის აგების კომპოზიციური მხარე, რომელსაც საფუძვლად უდევს საკითხთა დალაგების ქრონოლოგიური პრინციპი და შევებოთ თანამედროვე „გლოტალურ თეორიას“, რომელმაც არსებითად შეცვალა, გრიმის ცნობილი კანონი. ეს კანონი მთელი საუკუნეწახვეარი იყო გაბატონებული ინდოევროპეისტიკაში როგორც ერთადერთი მეცნიერული თეორია ზემოთ წარმოდგენილი ინდოევროპული ენის ხშულთა სამი სერიის სისტემის შესახებ.

„გლოტალური თეორიის“ ავტორები არიან თამაზ გამყრელიძე და ვიარჩესლავ ივანოვი, რომელთაც 1984 წელს თბილისში გამოაქვეყნეს მეტად მრავალპლანიანი უწინამდებური ნაშრომი „Индоевропейский язык и индосвропейцы.“

ამ ნაშრომს უმაღლეს შეფასებას აძლევს მსოფლიოში ცნობილი ლინგვისტი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, რ. იაკობსონი. აი, რას წერს ის: „По числу и масштабу заданных вопросов и предложенных ответов новое исследование занимает исключительное место. Доподлинно соответствуя вершинным предпосылкам современной теоретической мысли, книга в свою очередь, без сомнения, даст многоценные импульсы не только различного склада

исследователям языка и языков, но и работникам смежных дисциплин, в частности этнологам, историкам культуры и археологам. Немало плодотворных дискуссий вырастет международной науке из этого знаменательного труда " (4, XVI).

თ. გამყრელიძისა და ე. ივანოვის ამ მონოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია ინდოევროპული ფუძეების ხმულთა სისტემაში გლოტელთა პოსტულირება და მათი ისტორიული რეალობის დამაჯერებელი დასაბუთება სთანადო ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე. ამიტომ ეწოდა ამ ახალ აღმოჩენას „გლოტალური თეორია“.

ამ ახალი თეორიის მიხედვით, ინდოევროპული ფუძეების ხმულთა სისტემამ ასეთი სახე მიიღო:

I	II	III
(P')	b ⁿ	p ^h
t'	d ^h	t ⁿ
K'	g ⁿ	K ^h

გლოტალთა პოსტულირება ინდოევროპული ფუძეების ხმულთა სისტემაში მოულოდნელი აღმოჩნდა ლინგვისტური სამყაროსათვის. ხაგონად რომ ეთქვათ, ეს იყო მათთვის „მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი“.

„გლოტალური თეორიით“ იწყება ახალი ეტაპი ინდოევროპეისტიკაში, ხოლო მისი ავტორები, თ. გამყრელიძე და ე. ივანოვი, მონოგრაფიის „Индоевропейский язык и индоевропейцы“ გამოქვეყნებით თანამედროვე ლინგვისტური ამროვნების მწვერვალებს იპყრობენ.

თეორიული ენათმეცნიერების კონცეფციის წარმომბოძა

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835). ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი „ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებაა გერმანიისა“ (ე. ტომსენი), იგი მრავალმხრივ განათლებული მეცნიერი იყო. მოღვაწეობდა ენათმეცნიერებაში, ლიგურატურაში, ფილოსოფიაში, სახელმწიფო სამართალში, პოლიტიკასა და დიპლომატიაში. ამავე დროს მას ეკავა სარწმუნოებისა და სახალხო განათლების მინისტრის პოსტი (1808-1810 წლებში). ჰუმბოლდტი აქტიურად მონაწილეობდა საშუალო და უმაღლესი სკოლების რეორგანიზაციის საქმეში, შექმნა გერმანული მეცნიერების ახალი ცენტრი – ბერლინის უნივერსიტეტი.

ენათმეცნიერების ისტორიკოსები ჰუმბოლდტს თვლიან ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდეს ლინგვისტად. „ჰუმბოლდტი ზოგადი ენათმეცნიერების ფუძემდებელია“, – ასე ფიქრობს ცნობილი ენათმეცნიერი ვ. ზევეინკევი. სხვათა აზრით, „ის სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებლად და ენის ფილოსოფიის მონოლითური სისტემის შემქმნელად“. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც „ვ. ჰუმბოლდტის ენათმეცნიერული ნააზრევი ენის ფილოსოფიას განეკუთვნება“ (არნ. ჩიქობაყა). აღნიშნულ თვალსაზრისთა ფონზე საგულისხმოა შემდეგი გამონათქვამიც: „ზოგადი ენათმეცნიერება“ და „ენის



ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი

ფილოსოფია“ ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველი ორი გერმინია“ (გ. რამიშვილი).

ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი ენათმეცნიერი (ვარდა ბოპისა და სოსიურისა), რომელიც შეედრებოდეს ჰუმბოლდტს თავისი მეცნიერული აზროვნების სიღრმით და უზარმაზარე გავლენით ლინგვისტური აზროვნების განვითარებაზე. მას დიდი პატივისცემით იხსენიებს ბოპი, ხოლო გამოჩენილი ენათმეცნიერები: შლაისერი, შტაინთალი, ფოსლერი, პოტი, კერციუსი ჰუმბოლდტის მოწაფეებად და მიძღვერებად თვლიან თავს.

თუ ბოპი ძირითადად ენობრივი ფაქტების ურთიერთიმართებაზე მუშაობდა, ჰუმბოლდტი დაბადებული იყო თეორიული და ფილოსოფიური აზროვნებისათვის. მისი თეორიული აზროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებასთან პრაქტიკულ კვლევა-ძიებაში.

ჰუმბოლდტის ლინგვისტური თეორია იმდენად ფართო და ყოელისმომცველია, რომ მისგან იღებს სათავეს მრავალი მიმართულება ენათმეცნიერებაში.

ჰუმბოლდტი ფლობდა მრავალ ენას: ბასკურს, მალაიურ-პოლინეზურს, ამერიკის ინდიელთა ენებს და სხვა. ამ ფაქტმა კი განაპირობა მისი ფართო ლინგვისტური ღიაპაზონი და სათანადო დასკვნების სიზუსტე.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჰუმბოლდტი იმთავითვე გაემიჯნა ფილოლოგიური გრამატიკის ხანგრძლივ გრადიციას. როგორც ცნობილია, ფილოლოგიური გრამატიკის კვლევის ობიექტი იყო სალიტერატურო ენაში ფიქსირებული ნორმების სისტემაში მოყვანა და კლასიფიკაცია. ჰუმბოლდტის აზრით, ფილოლოგიური გრამატიკა, რომელსაც გექსტებში გაქვავებულ ენასთან აქვს საქმე, ენათმეცნიერებისათვის დამხმარე დისციპლინას წარმოადგენს. მან ეჭვქვეშ დააყენა ენის გრამატიკული ანალიზის ეს გრადიციული პრინციპები და დასვა ასალი

მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხი. ამ საკითხს მიუძღვნა მან საპროგრამო ხასიათის ნაშრომი „ენათა შედარებითი კელევის შესახებ მათი განვითარების სხვადასხვა ეპოქასთან მიმართებით“, რომელიც 1820 წელს წაიკითხა ბერლინის აკადემიაში. ამ ნაშრომში გადმოცემულია ენათმეცნიერების დარგში ჰუმბოლდტის კელევიით პროგრამა, ენათმეცნიერების პრობლემატიკა, შინაარსი და საზღვრები. ჰუმბოლდტის აზრით, ენათა შედარებითი კელევა ორ ამოცანას ისახავს: 1. ენათა ორგანიზმების გამოკვლევას და 2. მათი წარმოქმნის პროცესს (გ. რამიშვილი).

ლინგვისტური მოძღვრების ისგორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰუმბოლდტის სამგომიან ნაშრომს „კავი ენის შესახებ კუნძულ იაიაზე“, რომელიც გამოიცა მისი სიკვდილის შემდეგ, 1836-1839 წლებში.

ამ ფუნდამენტურ გამოკვლევებში, ზოგადად ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია შესავალი „აღამიანთა ენების განსხვავებული აგებულების და მისი გავლენის შესახებ კაცობრიობის სულიერ განვითარებაზე“. ამ ნაშრომშია ყველაზე სრულად გადმოცემული ჰუმბოლდტის თეორიული შეხედულებები ენის შესახებ. მისი ზოგადლინგვისტური იდეები გამომდინარეობს თავისავე ისგორიულ-ფილოსოფიური კონცეფციიდან, რომელიც ასახავს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დებულებებს. ამ მხრივ ის განსაკუთრებით დაეაღებულება კანტისაგან. „ე. ჰუმბოლდტის ფილოსოფიური პოზიცია მთლიანად განისაზღვრება კანტით“ (ე. ზვეგინცევი). სხვა თვალსაზრისის მიხედვით კი ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკის კელევაში ჰუმბოლდტი ავტონომიურია. „კანტის იდეების გავლენა შეიძლება დადასტურდეს ჰუმბოლდტის ისგორიის ფილოსოფიაში და არა ენის ფილოსოფიაში, რომელიც თანდათანობით ყალიბდებოდა და სრულიად გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში“ (გ. რამიშვილი).

ენათმეცნიერების ობიექტისა და მეთოდის პრობლემასთან დაკავშირებით ჰუმბოლდტს საკითხთა მთელი კომპლექსი აქვს განხილული. მისი აზრით, ენისა და ამროვნების ურთიერთობა ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური და რთული პრობლემაა.

ჰუმბოლდტის აზრით, ენა და ამროვნება მჭიდრო შინაგან კავშირშია. ენა ამროვნების გარეშე არ არსებობს, ამროვნება კი — ენის გარეშე. ამროვნება შესაძლებელია მხოლოდ ენის მეშვეობით. ენა იმდენად აუცილებელი, ორგანული ატრიბუტია ამროვნებისა, რომ თვით უხმო ამროვნებას კი შეუძლებელია მის გარეშე. ჰუმბოლდტის აზრით, „კიდევ რომ არ შევეხოთ ადამიანთა შორის გაგებინების საკითხს, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ენა აუცილებელი პირობაა ინდივიდის ამროვნებისათვის განმარტოებულ მდგომარეობაშია“ (13, 32). მითუმეტეს, ენა აუცილებელია ვერბალური კომუნიკაციის დროს, ამრის გამოხატვა და გადმოცემა მეტყველის მიერ მსმენელისადმი ენის გარეშე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ამროვნება თავისი არსით ვერბალურია და იგი არ იქნება „წმინდა ამრი“ არა მხოლოდ მაშინ, როცა ბგერითად არის გამოხატული, არამედ მაშინაც, როცა იგი არ არის ბგერითად გამოხატული.

„ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობის მოთხოვნილებასაც რომ არ შევეხოთ, შეიძლება ვამტკიცოთ, — წერს ჰუმბოლდტი, — რომ ენა ამროვნების აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის სრული იზოლაციის პირობებშიც კი“ (27, 337), ანდა, „ენა არის ამრის მაწარმოებელი ორგანო“. აქედან კი ლოგიკურად დავასკენით: „ამროვნების მოქმედება და ენა ერთმანეთისაგან განუყოფელია“ (32, 78).

ჰუმბოლდტმა პირველმა მიაქცია ყურადღება ენის სისტემურ ხასიათს. მისი აზრით, ენა არის ერთმანეთთან შინაგანად დაკავშირებული ორგანიზმი. ჰუმბოლდტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენაში არ არის ცალკეული ელემენტები,

მისი ყოველი ელემენტი ვლინდება როგორც მთელის ნაწილი“.

ჰუმბოლდტი სვამს ერთ საგულისხმო და საინტერესო საკითხსაც. მხედველობაში გვაქვს ენისა და ერის ურთიერთობის პრობლემა. მისი აზრით, ენა მთელი ერის წარმონაქმნია და არა ცალკეული ინდივიდისა. ენა ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა, „ენები, რამდენადაც მათ ყოველთვის ეროვნული ფორმა აქვთ, უმუალოდ და საკუთრივ ერების შემოქმედებაა“. აქედან გამომდინარე, ენა მჭიდრო შინაგან კავშირშია ერის ცნებასთან. ერის არსებითი ნიშანი არის ენა. „ერის ცნება უნდა დაემყაროს ენას“, – წერს ჰუმბოლდტი. მისი აზრით, ხალხისა და ერის შიგნით ადამიანთა ურთიერთობას საფუძველად უღვევს ენობრივი ერთიანობა; ხალხი და ერი არის ერთ ენაზე მეტყველ ადამიანთა ჯგუფი. „ხალხი“ და „ერი“ – ეს ორი ცნება არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული.

ამგვარად, ჰუმბოლდტი „ერის“ ცნების არსებით განმსაზღვრელ ნიშნად მიიჩნევს ენას“. ერი, ამ გაგებით, არის ამა თუ იმ ენით აღბეჭდილი გონითი ფორმა კაცობრიობისა – ინდივიდუალიზებული იდეალურ გოგალობასთან მიმართებაში.

აქედან გამომდინარე, თავს იჩენს მეტად რთული და ორიგინალური პრობლემა. ეს არის ენისა და „ეროვნული გონის“ ურთიერთმიმართების პრობლემა. რომელიც ჰუმბოლდტის მეცნიერულ მემკვიდრეობაში გამოირჩევა თავისი სირთულით. ჰუმბოლდტი კი მას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, „შედარებითი ენათმეცნიერება, ენათა განსხვავებულის დაბეჯითებითი გამოკვლევა მოკლებული იქნება ყოველგვარ ნამდვილ ინტერესს, თუ განხილული არ იქნება ენა ხალხის გონითი ძალის ფორმირებასთან კავშირში“.

ეს იმიტომ, რომ „ხალხის გონის თავისებურება და ენის აღნაგობა შინაგანად ისეა ურთიერთმერწყმული,

რომ, თუ ერთი იქნება მოცემული, მეორე გამოიყვანება მისგან მთლიანად“. უფრო მეტიც, კუმბოლდგის მტკიცებით: „ენა თითქოს ხალხთა გონის გამოვლინებაა; მათი ენა არის მათივე გონი და მათი გონი არის მათივე ენა“ (31, 68).

თუ ენის აღნაგობას, მის სტრუქტურას ადამიანის გონი განსაზღვრავს, მაშინ, ბუნებრივია, ღვება საკითხი ენათა განსხვავებულობის საფუძვლების კვლევის შესახებ, ე. ი. კვლევა იმისა, თუ რით არის განპირობებული ენათა სტრუქტურული მრავალფეროვნება.

კუმბოლდგი, ერთი მხრივ, მკითხველს სთავაზობს, ენათა სტრუქტურული სხვადასხვაობის ახსნას ერთა გონითი სხვადასხვაობით. მან ხომ შედარებით ენათმეცნიერებაში „ხალხის გონის“ ცნება იმ მიზნით შემოიტანა, რომ ენათა სხვაობა აეხსნა. მაგრამ აქ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგანაც „ხალხის გონი“ წმინდა სახით არ არსებობს, გამოსაგულების გარეშე, ენობრივი ფორმის გარეშე, ის გაურკვეველი ოდენობაა. ამიგომ მასზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. თუ მივიღებთ ღებულებას, რომ ენა „ხალხის გონის“ გამოხატულებაა, ხოლო ენა უშუალოდ გვეძლევა, მაშინ, პირიქით, გერჩება „ხალხის გონის“ ცნების ახსნის ერთადერთი გზა. ცოდნა „ხალხის გონის“ შესახებ უნდა მივიღოთ ენის ანალიზის გზით, ე.ი. ცნობილიდან უცნობისაკენ უნდა წავიდეთ.

ამდენად, ენა არა მხოლოდ საშუალებაა ხალხის გონის შესწავლისა, არამედ მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორიცაა. „აქ თითქოს შეიკრა მოჯადოებული წრე: ერთი მხრივ, ხალხის გონი, როგორც „მაღალი პრინციპი“, ცხადდება ენათა სხვაობისა და სპეციფიკის პრინციპად, მეორე მხრივ, ეს პრინციპი, როგორც შეუცნობელი და ამდენად გაურკვეველი, თვითონ მოითხოვს ენობრივი პრინციპით ახსნას“ (13, 43). ამას კუმბოლდგიც კარგად გრძნობს და ასეთ განმარტებას თაევაზობს მკითხველს: „არ იქნებოდა მოჯადოებული წრე, რომ ენა მიგვეჩნია ხალხის

გონითი ძალის პროდუქტად და ამავე დროს გვეყადა ხალხის გონის შეცნობა თვით ენის აღნაგობიდან ამოსვლით, რამდენადაც ყოველი სპეციფიკური ძალა (გონითი ძალა) ეითარდება ენის მეშვეობით და მხოლოდ მასზე დაყრდნობით, ამდენად მას (ამ გონის ძალას) არ შეიძლება პქონდეს სხვაგვარი „კონსტიტუცია, თუ არა ენობრივი“ (13, 43).

ამ განმარტებიდან აშკარაა ენობრივი ფორმის პრიორიტეტი ხალხის გონის მიმართ, გონი ენობრივი ბუნებისაა და ენობრივად არის ფორმირებული. აქედან გამომდინარე, ხალხის გონის დეფინიცია უნდა იყოს ენობრივი, ენობრივ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს.

„ხალხის გონის“ ცნება შეიძლებოდა გაცეცოლებინა თანამედროვე ენათმეცნიერებაში ხმარებულ ცნებასთან „ხალხის ენობრივი ცნობიერება“ ან „ენობრივი აზროვნება“. ამის ერთგვარ საფუძველს იძლევა ჰუმბოლდტის გამოცხადებულ „შესავლის“ პირველ თავში: „ენა თავის მთლიანობასა და შინაგან კავშირში მხოლოდ ხალხის ენობრივი ცნობიერების ქმედებაა“. ამ კონტექსტის მიხედვით. გერმანი „ხალხის ენობრივი ცნობიერება“ სრულიად აშკარად სინონიმია „ხალხის გონისა“ (13, 43).

ამგვარად, ჰუმბოლდტის მიხედვით ენა და ხალხის გონი მჭიდრო კავშირშია, თუ, ერთი მხრივ, ხალხის გონი გვევლინება ენის შემოქმედად, მეორე მხრივ, ენაა გონის შემქმნელი. ამდენად, ენისა და ხალხის გონის ცნებები „ორელატიურ მიმართებაშია ურთიერთთან და ისინი ერთმეორეს ეერ დასცილდება. ეს შინაგანი ერთიანობა ლოგიკური აუცილებლობით გამორიცხავს მათი ქრონოლოგიური მიმართების ქლანში განხილვას.

ენისა და ენობრივი ცნობიერების ერთიანობის ფაქტიდან ამოსვლით, ჰუმბოლდტი მეტად მნიშვნელოვანად ასკვნის: შედარებითმა ენათმეცნიერებამ „ყოველი ენის თავისებურება უნდა ეძიოს მისსავე აგებულებაში“. ეს აგებულება

კი არის ენის მთლიანი ფორმა, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი.

ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს ერთი მეგად რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა — ენის შინაგანი და გარეგანი ფორმის პრობლემა ჰუმბოლდტის ლინგვისტურ თეორიაში.

ჰუმბოლდტი, პირველ რიგში, განარჩევს გარეგან ფორმას, ანუ ბგერით ფორმას, და შინაგან ფორმას, რომელსაც ის ხშირად უბრალოდ ენის ფორმას ან ფორმას უწოდებს.

ორგვარი ფორმის გარჩევა. განპირობებული უნდა იყოს ორგვარი სუბსტანციის გარჩევით: გარეგანი ფორმა მოიცავს ბგერით მასალას, ხოლო შინაგანი ფორმა უნდა იყოს ფსიქიკური შინაარსების ფორმალური გადამუშავების შედეგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარეგანი ფორმა ამის ბგერითი სუბსტანციის ფორმალური ორგანიზაციაა და გულისხმობს ენის გარეგან, მაგერიალურ ასპექტს მთლიანად. ფორმას ექვემდებარება არა მხოლოდ მორფოლოგია, არამედ „შესაგყვისობაც“ და „სიგყვათწარმოებაც“.

შინაგანი ფორმა ფსიქიკური სუბსტანციის ფორმალური ორგანიზაციაა და მოიცავს ენის შინაგან, არამაგერიალურ („იდეალურ“, „ინტელექტუალურ“) ასპექტს, ანუ ენის შინაგან სტრუქტურას მთლიანად. ენა არის ამ ორი ფორმალური პლანის — მაგერიალურისა და იდეალურის — ერთიანობა. ენის ყოველი ერთეული, ყოველგვარი ენობრივი ოდენობა ამ ერთიანობის, სინთეზის გამოხატულებაა. სინთეზის საკითხი ჰუმბოლდტის ენის თეორიაში ცენტრალური მნიშვნელობისაა. „სინთეზის“ ცნების სათანადო დადგენა ნათელს მოჰფენს და უფრო გასაგებს გახდის როგორც ენისა და აზროვნების ურთიერთობის რთულ პრობლემას, ისე ენობრივი კატეგორიის აღმოცენების ფაქტს. მასვე უკავშირდება ფორმისა და სუბსტანციის ურთიერთობის საკითხიც.

ენის ფორმასთან დაკავშირებით ჰუმბოლდტი ეხება ერთ მნიშვნელოვან პრობლემასაც, რომელიც შინაგან კავშირშია მისი ენის ფორმის კონცეფციასთან. ჰუმბოლდტის აზრით, ენა არის მუდმივად ცვალებადობაში მყოფი ფენომენი. მისი ცნობილი თეზისია: ენა შემოქმედების პროდუქტი (ერგონ) კი არ არის, არამედ შემოქმედებაა (ენერჯია). უფრო კონკრეტულად რომ ეთქვათ: ენა ენერჯიაა და არა ერგონი. ამიგომ, ენა უნდა განვიხილოთ არა როგორც მკვდარი მასალა, არამედ როგორც შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ბევრით მაგერიას გარდაქმნის აზრის გამოხატულებაში. ამიგომ ენის ჭეშმარიტი განსაზღვრება შეიძლება მხოლოდ გენეზისური თეაღსაზრისიდან ამოსვლით.

ერთი შეხედვით შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ გერმინი „ენერჯია“ განხილულია „ენათა ფორმის“ თავში. თითქოს არაფერი საერთო არ უნდა იყოს „ენერჯიასა“ და „ფორმას“ შორის, რომელიც ჩვეულებრივ სგაგიკურად ვაიგება. მაგრამ ამ თავში წარმოდგენილი ჰუმბოლდტის გამონათქვამების განხილვა გვარწმუნებს, რომ მისი ენის ფორმის კონცეფცია აუცილებლობით დაკავშირებულია „ენერჯიის“ იდეასთან (გ. რამიშვილი). ფორმისა და ენერჯიის შესაძლო კორელაციის დადგენის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ერთი საერთო მომენტი: ეს არის ბვერისა და აზრის სინთეზი.

ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც უნდა ვაეხვას ხაში ჰუმბოლდტის მეცნიერული მემკვიდრეობის განხილვის დროს. ჰუმბოლდტი განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ცოცხალ ენებზე. მისი აზრით: „ცოცხალი მეტყველება არის ენის უპირველესი და ჭეშმარიტი მდგომარეობა. ეს არასდროს არ უნდა დავივიწყოთ ენის კელევის დროს, თუ გვინდა ენის არსში შესვლა“.

აქედან გამომდინარე, ჰუმბოლდტმა დაადგინა მეტყვე-
ლებისა და ენის ანტინომია, რამაც შემდგომ ენათმეცნიერე-
ბის განვითარებში უდიდესი როლი შეასრულა. აღნიშნული
ანტინომიიდან ამოსულით თეორიული საფუძველი ჩაეყარა
სხვადასხვა ენისა და დიალექტების მეცნიერულ
შესწავლას, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა დიალექ-
ტოლოგიისა და სიერცობრივი ლინგვისტიკის (пространств-
енная лингвистика) ჩამოყალიბება და განვითარება.

ენის მეტყველებისაგან გამოყოფამ და მისმა ცალკე
შესწავლამ დასეა საკითხი ენის როგორც აბსტრაქტული
სისტემის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია და ფუნ-
ქციონირებს სისტემათა კანონების შესაბამისად.

ჰუმბოლდტმა პირველმა მიაქცია ყურადღება ენის სის-
ტემურ ხასიათს. მისი აზრით, ენა არის შინაგანად ერთ-
მანეთთან დაკავშირებული ელემენტების ორგანიზმი. ენაში
არ არსებობს ცალკეული, დამოუკიდებელი ელემენტები.
ყოველი ენობრივი ელემენტი ერთი მთლიანის ნაწილია.
სისტემის ელემენტებია ენობრივი ნიშნები. ნიშანი შეიძლება
იყოს ნებისმიერი ან მოტივირებული.

სიტყვის ბგერითი გარსი და შესაბამისი ცნება, ჰუმ-
ბოლდტის მიხედვით, თავისი ბუნებით სრულიად განს-
ხვადება ერთმანეთისაგან. მეტყველების ნაკადის მონა-
კვეთები პირობითი წარმომადგენლებია გარე სამყაროს
საგნებისა და კავშირებისა. „სიტყვებში უნდა ვიგულისხმეთ
ცალკეულ ცნებათა ნიშნები“, სიტყვაში წარმოდგენილია
ბგერისა და ცნების ერთიანობა. ამის გამო სიტყვები იქცე-
ვიან მეტყველების ნამდვილ ელემენტებად.

ის, რაც ჩვენ აქ წარმოვადგინეთ, არის მხოლოდ არას-
რული სქემატური სურათი ჰუმბოლდტის უზარმაზარი და
მრავალპლანიანი ლინგვისტური მემკვიდრეობისა.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ჰუმბოლდტის მიერ
ენათმეცნიერებაში შემოგანილი საგულისხმო ცნება – ენა-

თა გიპოლოგიური ნათესაობა. კაცნელსონი ჰუმბოლდტის აღნიშნული ცნების ასეთ ინტერპრეტაციას იძლევა: „ენათა მოკადი ნათესაობის საფუძველი, ე.ი. გიპოლოგიური ნათესაობა, ჰუმბოლდტის აზრით, უნდა ვეძებოთ ენის შინაარსობრივ პლანში“. ჰუმბოლდტი აღიარებდა ყოველი ენის სპეციფიკურ თავისებურებებს როგორც ფორმის, ისე შინაარსის პლანში, ამასთან ერთად უშვებდა უნივერსალურ ენობრივ ელემენტებსაც. ის ხაზს უსვამდა ყველა ენის გიპოლოგიური ნათესაობის იდეას. ამის დასტურად იშველიებდა ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის შესაძლებლობას. მისი აზრით, თვით თარგმნის შესაძლებლობა იმის საწინდარია, რომ ყველა ენა მონათესაეა. აქ „ნათესაობის“ ცნებაში იგულისხმება გიპოლოგიური ნათესაობა, გიპოლოგიური მსგავსება.

სპეციალისტთა აზრით, ჰუმბოლდტმა თავისი ნაშრომებით ხელი შეუწყო თეორიული ენათმეცნიერების, როგორც ცალკე დისციპლინის, ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმბოლდტმა თეორიულად დაასაბუთა ისტორიზმის პრობლემა და ენათა ეროვნული თავისებურებანი. მან სცადა, გადაეღახა თავისი თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის დამასასიათებელი დოგმატიზმი ენობრივი კატეგორიების ინტერპრეტაციებში. ამით მან შექმნა წინაპირობა ლინგვისტური კვლევის მეთოდების თეორიის ჩამოყალიბებისათვის. ჰუმბოლდტის მრავალმა დებულებამ დიდი რემონანსი პოვა მეცნიერებაში. მისმა იდეებმა ხელი შეუწყო ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემების დასმას XIX და XX საუკუნის ენათმეცნიერებასა და ფილოსოფიაში. უნდა ითქვას, რომ სოსიურის თითქმის ყველა დებულება, ასე თუ ისე, ეხმაურება ჰუმბოლდტის მიერ წამოყენებულ იდეებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საგულისხმო ვარემოება - ჰუმბოლდტის იდეებმა ვერ მოახდინა ისეთი დიდი გავ-

ლენა თავის თანამედროვე თაობის ლინგვისტებზე, როგორც შემდგომი პერიოდის ენათმეცნიერებზე, ლინგვისტურ სკოლებზე. ამიგომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ კუმბოლდგის მიერ წამოყენებული მეცნიერული იდეები დღესაც რჩება ფიქრისა და მსჯელობის წყაროდ.

როგორც XIX-XX საუკუნეების ლინგვისტური ამრის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, კუმბოლდგი შეიძლება მივაკუთვნოთ იმ მოაზროვნეებს, რომელთა მეცნიერული კონცეფციები ძირითადად მეცნიერული განვითარების მომდევნო ეპოქებს უფრო ეკუთვნიან, ვიდრე თავის თანამედროვეს.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება XIX საუკუნის ნახევარში

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემოტანამ ენათა კელევაში ახალი ეპოქა შექმნა ლინგვისტიკის ისტორიაში. ამიერიდან ენათმეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემად იქცა ენათა ისტორიისა და მათი გენეტური მიმართების კელევა. ამ მიზანს ემსახურებოდა შედარებითი მეთოდი, რომლის ფუძემდებლებადაც ითვლებიან: ფ. ბოპი, ი. გრიმი, რ. რასკი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი აღნიშნულ ავტორთა შრომებში ჩამოყალიბდა როგორც კელევითი ხერხების (წესების) მთლიანი სისტემა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: 1. მონათესავე ენებში მსგავსი გრამატიკული მორფემების დადგენა (განსაკუთრებით გმნის პირის ნიშნებისა), 2. საერთო ლექსიკური ფენის დადგენა, 3. ბგერათშესაგყვისობების კანონზომიერებათა დადგენა.

XIX საუკუნის შუა წლებიდან ენათმეცნიერების კელევა-ძიება წარიმართა ამ კვლევითი ხერხების სრულყოფისა და აგრეთვე ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის უკეთ დამუშავებისაკენ. გარდა ამისა, გაფართოვდა ლინგვისტიკის სამეცნიერო პრობლემატიკა.

ამ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი კომპარატივისტები, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარებაში. ესენი იყვნენ: ა.ფ. პოტი (1802-1887), გ. კურციუსი (1820-1885), ა. კენი (1812-1881), გ. ბენფეი (1809-1991), ავგ. შლაიხერი (1821-1868)...

ავგ. შლაიხერი. აღნიშნულ ლინგვისტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკაეია ავგ. შლაიხერს. ის უდიდესი წარმომადგენელია კომპარატივისტიკისა. ამიგომ ბუნებრივია, თუ მის მეცნიერულ ნაამრევს ფაროო ადგილი ეთმობა ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიაში.

ენათმეცნიერების ისტორიაში ნატურალისტური მიმართულების დაფუძნება და განვითარება დაკავშირებულია ავგ. შლაიხერის სახელთან, რომლის მეცნიერული მოღვაწეობა ხასიათდება ფართო და მრავალფეროვანი პრობლემატიკით. ავგ. შლაიხერმა, საფუძვლიანი ფილოსოფიური განათლების მიღების შემდეგ, მთელი თავისი სიცოცხლე ენათმეცნიერებას მიუძღვნა. ის სწავლობდა სანსკრიტოლოგ ხ. ლასენტან, რომანისტ ფ. დიტან და კლასიკოს ფ. რიგლთან. 1846 წლიდან შლაიხერი დოცენტია ბო-



ავგუსტ შლაიხერი

ნის უნივერსიტეტში, ხოლო 1850 წლიდან – პრადის უნივერსიტეტში. 1857 წლიდან ავგ. შლაიხერი იენის უნივერსიტეტის პროფესორია. 1858 წელს მას ირჩევენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1856-1868 წლებში იგი ა. კუნთან ერთად სცემდა ჟურნალს „შრომები არიულ, კელტურ და სლავურ ენათა შედარებით ენათმეცნიერებაში“.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თეალსაზრისით, ა. შლაიხერის ნაშრომებიდან განსაკუთრებით ფასეულია: „საეკლესიო სლავური ენის მორფოლოგია“ (1852წ.), „ლიტვური ენის შესწავლის სახელმძღვანელო“ (1856-1857 წწ.), „ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის შესავალი“.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების პირველ ეტაპზე კომპარატივისტებმა დაადგინეს ინდოევროპულ ენათა წარმომავლობა. ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ არ არსებობდა ერთიანი აზრი ამოსავალი წყაროს შესახებ, საიდანაც განვითარდნენ ინდოევროპული ენები. მაგალითად, ჯოუნზი XVIII საუკუნის დასასრულს გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სანსკრიტი, ბერძნული და ლათინური სათავეს იღებდნენ რომელიღაც საერთო წყაროდან. ფ. ბოპი ჯერ ფიქრობდა, რომ სანსკრიტი იყო ამოსავალი წყარო, შემდეგ კი ამ მოსაზრებას კატეგორიულად აღარ იცავდა.

ფ. შლეგელმა წამოაყენა ჰიპოთეზა სანსკრიტის პირველადობის შესახებ. მისი აზრით, დანარჩენი ინდოევროპული ენები მომდინარეობდნენ მისგან.

მაგრამ შლაიხერის დროს კომპარატივისტთა უმრავლესობამ უკვე უარი თქვა ფ. შლეგელის კონცეფციაზე.

შლაიხერს ფართო ფილოსოფიურ განათლებასთან ერთად მიდრეკილება ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებისაკენ, ამიტომ ის იბრძოდა ენათმეცნიერების მუსგ მე-

ნიერებასთან დაახლოებისათვის. მისი აზრით, საჭირო იყო ფაქტების მკაცრი და ობიექტური ანალიზი ისტორიულ-შეღარებითი ენათმეცნიერების მეთოდის ფარგლებში. ამ მიზნით, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ბგერითი სისტემის ევოლუციის კანონზომიერებანი, რამდენადაც სწორედ ბგერითი სისტემაა სამეცნიერო მოქმედების საფუძველი.

შლაიხერის კონცეფციაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ენისადმი სისტემური მიდგომა. მან ენის სისტემურობის აღსანიშნად შემოიგანა ტერმინი „ორგანიზმი“.

ასევე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სამი ფაქტორი:

- ა) ბგერითი კანონზომიერება,
- ბ) მორფოლოგიური აგებულების თავისებურებანი,
- გ) სისტემური მიდგომა ენისადმი.

ამ სამი ფაქტორის შინაგანი კავშირის საფუძველზე იშლაიხერმა შეძლო:

1. შეემუშავებინა ენობრივი რეკონსტრუქციის მკაცრი პროცედურა, რამაც შესაძლებელი გახადა ენის ევოლუციის კანონზომიერების დადგენა.

2. წარმოედგინა ცალკეული ენა როგორც თვისთვითი ფაქტი, მთლიანი ფენომენი, რომელსაც აქვს რთული, კარმონიული და მიმანშეწონილი აგებულება.

3. დაედგინა ენათა ოჯახების ისტორიულ-ბუნებრივი სურათი, სადაც თითოეული ენობრივი სისტემა (ენობრივი „ორგანიზმი“) აღიწერება როგორც მთლიანი ერთეული გუნგურად მასთან დაკავშირებულ სხვა სისტემებთან („ორგანიზმებთან“) მიმართებაში.

ინდოევროპულ ენათა ამ მიმართულებით კვლევის პროცესში შლაიხერმა შექმნა თავისი გენეალოგიური ხის თეორია. ამ თეორიაში წამყვან როლს ასრულებს ცნება „წინარეენა“. შლაიხერის აზრით, ენები, რომლებიც მომდინარეობენ ერთი წინარეენიდან, ქმნიან ენობრივ მოღვმას


(ან ენობრივ ხეს), რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ენების ოჯახებად ანუ ენების შტოებად. წინარეენიდან დიფერენციაციის გზით წარმოშობილ ენებს შლაიხერი უწოდებს ფუძე-ენას. ფუძე-ენაც შემდგომ დიფერენცირდება, ცალკეულ დამოუკიდებელ ენებად, ხოლო ეს უკანასკნელი შეიძლება დაიშალოს დიალექტებად, დიალექტები კი – ქვედიალექტებად.

თავის ცნობილ ნაშრომში „ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის კომპენდიუმი“ ავგ. შლაიხერი იძლევა ინდოევროპულ ენათა გენეალოგიური ხის სქემას.

შლაიხერის აზრით, „გლოტიკის (ენათმეცნიერების) ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, დაადგინოს და აღწეროს ენათა ოჯახები, ე.ი. ის ენები, რომლებიც მომდინარეობენ ერთი და იმავე წინარეენისაგან“ (32, 89). რა თქმა უნდა, – წერს ავგორი, – შეუძლებელია ყველა ენისათვის ერთი საერთო წინარეენის დადგენა, რადგანაც იგულისხმება, საერთოდ, არა ერთი წინარეენის არსებობა ამოსავალში მსოფლიოს ენებისათვის, არამედ უფრო ლოგიკურია, ეივარაუდოთ ისგორიულად წინარეენთა სიმრავლე. ეს ნათლად ჩანს თანამედროვე ენათა შედარებითი შესწავლიდან.

ამრიგად, „ერთი წინარეენიდან მომდინარე ენები განეკუთვნებიან საერთო ენობრივ მოდგმას, ან ენობრივ ხეს, რომელიც შემდგომ იყოფა ენობრივ ოჯახებად, ან ენობრივ შტოებად“. (32,91).

ამ თავისი ზოგადი თეორიული მსჯელობის საილუსტრაციოდ ა. შლაიხერი იძლევა გენეალოგიური ხის სქემას, სადაც სქემატურად ასახულია მონათესავე ენათა დიფერენციაციის ქრონოლოგიური სურათი:



ა. შლაიხერის მოგადთეორიულ კონსეფუციაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემის – ენის რაობის ინტერპრეტაცია. ეს პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ამიგომ ლინგვისტიკის ისტორია გვერდს ეერ აუვლის აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებულ თეორიულ შეხედულებებს.

ა. შლაიხერი ენის რაობას ამროვნებასთან შინაგან კავშირში განმარტავს: „ენა არის ბკერებში გამოხატული ამროვნება“. ანდა, „ენა ამროვნების გამოხატვის საშუალებაა; ენა ისევე საჭიროა ამროვნებისათვის, როგორც სხეული გონისათვის; მხოლოდ ენის მეშვეობით შეიძლება ამროვნება“ (22,26).

როგორც აქ წარმოდგენილი განმარტებიდან ჩანს, ენა და ამროვნება მჭიდრო შინაგან კავშირშია, ისინი ერთ-

მანეთს გულისხმობენ, ე. ი. ენა და აზროვნება დიალექტიკურ ერთიანობაშია.

ამასთან დაკავშირებით მეგალ საყურადღებოა აზროვნებისა და ენის სტრუქტურული თანაფარდობის საკითხი. ა. შლაიხერი აზროვნებაში გამოყოფს მასალასა და ფორმას. მასალაა ცნებები და წარმოდგენები. ფორმას ქმნის ცნებათა და წარმოდგენათა ურთიერთმიმართება. აღნიშნული ორივე ელემენტი – ცნებები, წარმოდგენები და ფორმა – აუცილებლად არის მოცემული აზროვნებაში.

როგორია ამ მხრივ ვითარება ენაში?

აზროვნების პირველი ელემენტები – ცნებები და წარმოდგენები – ყველა ენაშია გამოსატყობი, ხოლო მეორე ელემენტები – მიმართებები – ზოგ ენაში გამოსატყობია, ზოგში არა (ანდა მეტ-ნაკლებად არის გამოსატყობი).

წარმოდგენებსა და ცნებებს, რამდენადაც მათ ბგერითი გამოსახულება ეძლევა, მნიშვნელობა ეწოდება. მნიშვნელობის გამომხატველ ბგერებს ან ბგერათა კომპლექსებს შლაიხერი უწოდებს ძირებს. მნიშვნელობები და მიმართებების გამომხატველ ბგერათა ერთობლიობა ქმნის სიტყვას, სიტყვები კი, თავის მხრივ, – ენას.

სიტყვებისა და ძირების მოცემული ინტერპრეტაციის შესაბამისად ენის რაობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორაა მასში ბგერითად გამოსახული მნიშვნელობა, ე.ი. ცნებები და წარმოდგენები და მიმართებები. აღნიშნული ნიშნის საფუძველზე შლაიხერი გამოყოფს ენათა სამ გიჟს:

პირველ გიჟს განეკუთვნება ის ენები, სადაც მხოლოდ მნიშვნელობაა გამოსატყობი. ამ გიჟის ენებში მიმართებას ბგერითი გამოსატყობება არა აქვს. სიტყვა აქ უსტრუქტურო მტკიცე ერთიანობაა და მოგვაგონებს კრისტალს (იგულისხმება მორფოლოგიური ღონე). ასეთია ერთმარცვლიანი ენები (მაგალითად, ჩინური). მეტყველების ნაწილები (სიტყვის კატეგორიები – Wortkategorien) ბგერითად არაა გარჩეული: ერთი და იმავე ბგერათა კომპლექსი შეიძლება

იყოს არსებითი სახელი, მშნა, ნაწილაკი, ნათესაობითი ბრუნვა, აწმყო, ნამყო, თბრობითი თუ კაეშირებითი კილო...

ამ გიპის ენებში მიმართებას (ე.ი. სიგყვის გრამატიკულ ფუნქციას) განსაზღვრავს, უპირატესად, სიგყვის აღგილმდებარეობა.

მეორე გიპს ქმნიან ის ენები, სადაც მნიშვნელობასთან ერთად, მიმართებაც არის გამოხატული. ასეთ ენათა სიგყეები სგრუქტურის მქონეა, იშლებიან ნაწილებად. ამაშია განსხვავება წინა გიპის ენებთან შედარებით. ეს ენები ქმნიან აგლუგინაციურ ენათა კლასს. აგლუგინაციურ ენათა სიგყეები მცენარეს მოგვაგონებს.

ა. შლაიხერის აზრით, მიმართების აღმნიშვნელი ბგერები წარმოშობით ძირეული მასალაა (Bedeutungslaute), მაგრამ ისეა შეცვლილი, რომ ხშირად ჭირს მათი ამოცნობა.

მესამე გიპის ენებში, განსხვავებით აგლუგინაციური ენებისაგან, სადაც მიმართება გამოხატულია, მაგრამ სიგყვას ერთიანობა აკლია; მიმართებაც გამოხატულია სათანადო ბგერებით და სიგყვის ერთიანობაც შენარჩუნებულია. ასეთი თავისებურება ახასიათებს ფლექსიურ ენებს. ფლექსიურობა, შლაიხერის აზრით, ენათა განვითარების უმაღლესი საფეხურია: „მხოლოდ აქაა სიგყვის ორგანიზმში განვითარებული ჭემპარიგი დანაწევრება, სიგყვა აქ არის ერთიანობა წვერთა მრავალფეროვნებაში“.

ასეთი აგებულების სიგყვა, შლაიხერის აზრით, ცხოველურ ორგანიზმს შეესაბამება.

ამრიგად, შლაიხერი ენის რაობას განსაზღვრავს ამროვნებასთან მჭიდრო კაეშირში. ენა მისთვის არის ამროვნება ბგერებში, ხოლო ამროვნებაში განარჩევს ორ ელემენტს – ერთი მხრივ, ცნებებსა და წარმოდგენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ფორმას (ე.ი. მათ შორის მიმართებებს).

თუ ენა არის ბგერებში ასახული ამროვნების პროცესი, მაშინ, აქედან გამომდინარე, ენის სგრუქტურაც უნდა

შედგებოდა ორი ელემენტისაგან ამროენების შესაბამისად. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ეს ასე არ არის. ენის აგებულება არ ემთხვევა ამრის აგებულებას. იმის მიხედვით, თუ როგორ არის ასახული ენაში ამროენების ზემოთ აღნიშნული ელემენტები, მსოფლიოს ენები იყოფა სამ კლასად, როგორც ეს ზემოთ უკვე აღნიშნეთ.

ავგ. შლაიხერის თეორიული კონცეფცია ენის რაობის შესახებ აქ არ ჩერდება. ის სევამს საკითხს ენათა აღნიშნული სამი კლასის დიაქრონიული მიმართების შესახებ. შლაიხერის ამრით, ენათა სამ კლასში მოცემულია ენათა განვითარების სამი ქრონოლოგიური საფეხური: განვითარების პირველ საფეხურს ქმნიან ერთმარცვლიანი ანუ ძირეული ენები, მეორე საფეხურს – აგლუგინაციური ენები, ხოლო მესამე საფეხურს – ფლექსიური ენები.

ენათა ევოლუციის ეს სხვადასხვა დიაქრონიული ეტაპი ამჟამად ერთმანეთის გვერდით არსებობს, ისე როგორც ბუნებაში ერთმანეთის გვერდით არსებობს დედამიწის განვითარების სამი სხვადასხვა სახეობა: კრისტალი, მცენარე, ცხოველი.

ენათა სამივე აღნიშნული კლასი შექმნილია წინაისგორიულ ხანაში: ერთმარცვლიანი ენები გაჩერდნენ განვითარების პირველ საფეხურზე, აგლუგინაციური ენები ერთმარცვლიანებისაგან განვითარდნენ, ფლექსიური ენებიც ამოსავალში ერთმარცვლიან ენებს გულისხმობენ, მაგრამ განვითარების აგლუგინაციური ეტაპის გავლით.

როგორც უხედავთ, შლაიხერის მიერ წარმოდგენილ ენათა შორის გიპოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს კრიტერიუმები გამობაგულების პლანში, კერძოდ კი, თუ როგორ არის ენაში გამობაგული მნიშვნელობები და მიმართებები.

შლაიხერის თეორიულ კონცეფციაში მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ენათა გენეტიური და გიპო-

ლოგიური ერთობა, გენეალოგიური „ხე“ და ენათა „კაე-შირები“, გენეგური და გეოგრაფიული ვარიაციები.

წინამორბედ ენათმეცნიერთაგან განსხვავებით, შლაიხერი დიდ ყურადღებას აქცევს ფონეტიკური საკითხების შესწავლას. თავის ნაშრომებში მას მოცემული აქვს ინდოევროპულ ენათა ბგერითი სისტემების განვითარების კანონების ზუსტ გერმინებში დადგენის ცდა. მისმა გამოკვლევებმა ფონეტიკაში გარკვეული კვალი დააჩნია შემდგომში ფონეტიკურ კანონზომიერებათა შესწავლის საქმეს, იგულისხმება ნეოგრამატიკოსთა გამოკვლევები.

უნდა აღინიშნოს, რომ შლაიხერმა, ჰუმბოლდტთან და „პორ-როიალის გრამატიკის“ ავტორებთან ერთად, გარკვეული წელიწადი შეიგანა ენობრივი უნივერსალების, საყოველთაო ენობრივი კანონების დადგენის საქმეში. ენობრივი უნივერსალების თანამედროვე კონსეფცია მათ ამდღაწლს ვერ უტყულებლყოფს.

ავგ. შლაიხერის მწყობრი თეორიული კონსეფციის სუსტადგილად უნდა მივიჩნიოთ ბიოლოგიური ორგანიზმისათვის დამახასიათებელი კანონების გადაგანა ენაზე. ბიოლოგიური ორგანიზმი იბადება, იზრდება, ბერდება და ბოლოს კედება. ეს არის მისი გარდაუვალი ლოგიკური დასასრული.

რა თქმა უნდა, ენაც წარმოიშობა, ვითარდება, მოგჯერ „კედება“ კიდევ, მაგრამ ეს არ არის ბიოლოგიური სიკვდილი, ეს არის „სიკვდილი“, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს აგარებს. ენის „სიკვდილი“ არის მისი ხმარებიდან გასვლა. ეს კი ხდება მაშინ, როცა სათანადო ენობრივი კოლექტივი, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, თავის მშობლიურ ენას ივიწყებს და გადადის სხვა ენაზე.

ერთი კია, რომ შლაიხერი ენის ბიოლოგიურ ორგანიზმთან შედარებით ხაზს უსვამს მის სისტემურ ხასიათს. ამდენად ენა-ორგანიზმი შლაიხერთან უფრო ხაგოვანი

მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით.

ნეოგრამატიკული მიმდინარეობა. ნეოგრამატიკოსთა სკოლის წარმოშობა

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ლინგვისტური აზროვნების ისტორიის ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელმაც შემდგომ აქტიური როლი შეასრულა ენის შესახებ მეცნიერების განვითარებაში. ამ თაობამ წამოაყენა ორიგინალური თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები და ამოცანები, რითაც დაუპირისპირდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის კომპარატივისტებს – ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლებს (ფ. ბოპს, რ. რასკს, აეგ. შლაიხერს, ი. გრიმს...)

გერმანელმა ფილოლოგმა ფრიდრიხ ცარნკემ ამ ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლებს ირონიულად უწოდა „Junggrammatiker“. რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მისი ეკვივალენტია „მლადოგრამატიკოსები“, თუმცა მოგჯერ „ნეოგრამატიკოსებსაც“ უწოდებენ. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს უკანასკნელი ტერმინი დამკვიდრდა და ჩვენც ამ სახელწოდებით აღვნიშნაეთ ამ ახალ სკოლას ენათმეცნიერებაში.

ასე ხუმრობით დარქმეული სახელი ახალგაზრდა ბრუგმანმა აიგაცა და ახალი ლინგვისტური სკოლის დრომად აქცია, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი თავადაც იყო. ტერმინს „ნეოგრამატიკოსები“ აქვს ორი მნიშვნელობა: შედარებით ვიწრო, რომელიც გამოიყენება ლაიფციგის წრის წევრების მიმართ, და უფრო ფართო, სადაც იგულისხმება ყველა ლინგვისტი, ვინც გაიზიარა ისტორიულ-შედარებითი კელევის მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის ახალი მიზანდასახულობა. თუმცა ლინგვისტურ ლიტერატურაში ნეო-


ვრამაგიკოსებს ხშირად აიგივებენ ლაიფცივის საენათმეცნიერო სკოლასთან, რადგანაც სწორედ ლაიფცივის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პირველად მთელი სისრულით ლინგვისტური კვლევის ახალი პრინციპები და ამოცანები, რომლებიც საფუძვლად დაედო ნეოგრამაგიკოსებს მეთოლოგიას.

ნეოგრამაგიკული მიმდინარეობის ჩამოყალიბება და მოუკიდებელ მიმდინარეობად დაკავშირებულია ისეთ დიდ გერმანელ მეცნიერთა სახელებთან, როგორცაა: ავგუსტ ლესკინი (1840-1916), ჰერმან ოსტროფი (1849-1918), ჰერმან ჯაული (1846-1921), კარლ ბრუგმანი (1849-1918), ბერგოლდ დელბრიუკი (1842-1922) და სხვ.

შემდგომ ეს მიმდინარეობა გაერცელდა მთელს ევროპასა და ამერიკაში. ამერიკაში მოღვაწეობდა ცნობილი ინდოლოგი ვილიამ დუაიგი ვ. უიგნი (1827-1894), დანიაში – კარლ ვერნერი (1846-1896), ვილჰელმ გომსენი (1842-1927), იტალიაში – გრაციადო ისაია ასკოლი (1829-1907), შვეიცარიაში – ფერდინანდ დე სოსიური (1857-1913), რუსეთში მოსკოვისა და ყაზანის ლინგვისტური სკოლები: ფილიპე ფორტუნაგოვისა (1848-1914) და ივანე ბოდუენ და კურტენეს (1845-1829) მეთაურობით.

ნეოგრამაგიკიზმის მეთოდოლოგიურ-თეორიული საფუძვლები

ნეოგრამაგიკული მიმდინარეობა თავისი მეცნიერული მსოფლმხედველობით იმთავითვე არ იყო ერთგვაროვანი. ის შეიცავდა მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრისებს რიგ თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, არსებითი სხვაობა შეიმჩნევა ამერიკის, იტალიისა და რუსების ნეოგრამაგიკოსთა თეორიულ



კარლ ბრუკმანი

შეხედულებებს შორის. მაგრამ, მიუხედავად მათი განსხვავებული შეხედულებებისა, ყველანი ერთიანდებიან ნეოგრამატიზმის სახელით ერთიან ლინგვისტიკურ მიმდინარეობაში, რომლის ძირითადი ბირთვი, რომელმაც ამ ახალ მიმდინარეობას ჩაუყარა საფუძველი, ლაიფციგის უნივერსიტეტის ენათმეცნიერები იყვნენ. სწორედ აქ შემუშავდა და ჩამოყალიბდა თავის კლასიკური სახით ის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც საფუძველად დაედო ნეოგრამატიზმს.

ნეოგრამატიკოსებმა წამოაყენეს სამი ფუძემდებლური ზოგადთეორიული დებულება. ესენია: 1. ფონეტიკურ წესებს გამონაკლისი არა აქვს; 2. ენობრივი ცვლის პროცესში დიდი როლი ენიჭება ანალოგიას; 3. ცოცხალი დიალექტური მეტყველება უნდა იყოს ენათმეცნიერების უპირატესი საგანი, რამდენადაც ასეთ მეტყველებაშია მოცემული ენის ბუნებრივი (შეუზღუდველი) განვითარება.

ბუნებრივია, ეს დებულებები საჭიროებენ უფრო დაწვრილებით ახსნას. ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, გავარკვიოთ, თუ როგორ ესმოდათ ენის არსი ნეოგრამატიკოსებს. ენა, ნეოგრამატიკოსების აზრით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ფსიქო-ფიზიკურ (ან ფსიქოფიზიოლოგიურ) შემოქმედებას: „აღამიანის სამეტყველო მექანიზმს ორი მხარე აქვს: ფსიქიკური და ფიზიკური. მთავარი მიზანი მეუწიერისა, რომელიც ენათა შედარებით შესწავლაში მუ-

მაობს, არის მოცემული მექანიზმის მოქმედების ხასიათისა და ბუნების ახსნა. მხოლოდ ამ ფსიქოფიზიკური მექანიზმის აგებულებისა და მოქმედების ხასიათის შესახებ ზუსტი და საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე შეუძლია მეცნიერს, წარმოდგენა იქონიოს იმის შესახებ, თუ რა არის შესაძლებელი ენაში (ოღონდ აქ არ იგულისხმება ენა ქალაქებში, რადგანაც ქალაქებში შეიძლება თითქმის ყველაფრის გაკეთება), აგრეთვე იმის შესახებაც, თუ, როგორ მკვიდრდება ენობრივ კოლექტივში ცალკეული ინდივიდებისაგან მომდინარე ენობრივი სიახლენი. საერთოდ, მეცნიერმა უნდა შექმნას მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ენის ისტორიის სფეროში პრაქტიკული კვლევა-ძიების დროს“ (32, 147).



ბერტოლდ დელბრიუკი

ენის მექანიზმის (სისტემის) ფიზიკურ მხარეს სწავლობდა ფიზიოლოგია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ამ მიმართულებით ენის კვლევის საქმეში. მაგრამ ნეოგრამატიკოსთა აზრით, სამეცნიერო მოქმედების სრულყოფილად შესწავლისათვის არ არის საკმარისი მისი მხოლოდ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა. უბრალო ბგერათცვლილებაც კი, როგორცაა, მაგალითად, იხ-იხ. ხი-იი გაუგებარი იქნება, თუ ჩვენ მათ განვიხილავთ მხოლოდ ბგერათა ფიზიოლოგიის თვალსაზრისით. ნეოგრამატიკოსებმა ბგერათცვლილების ახსნისათვის საჭიროდ მიიჩნიეს ენაში მოქმედი ფსიქიკური ფაქტორების მოშველიებაც. კერძოდ, მათ ამ მიზნით გამოიყენეს პ. შტაინთალის (1823-

1899) ცნობილი ნაშრომი „ასიმილაცია და ატრაქცია ფსიქოლოგიის თეალსაზრისით“, სადაც საუბარია ბგერათცვლილებაზე ფსიქიკური ფაქტორების ხასიათის შესახებ. ენის ისტორიის კელევის დროს ამ ასპექტს „ენათმეცნიერება და ბგერათა ფიზიოლოგია ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენო“, – წერენ პ. ოსტკოფი და კ. ბრუგმანი.

ამდენად, ნეოგრამატიკოსთა აზრით, შედარებითი ენათმეცნიერება, რომელიც მეტყველებას სწავლობდა მხოლოდ ფიზიოლოგიურად და არაეითარ ყურადღებას არ აქცევდა მეტყველების პროცესის ფსიქიკურ მხარეს, მრავალ შეცდომას უშვებდა. მათი ღრმა რწმენით, „თუ ისტორიული ენათმეცნიერება და ფსიქოლოგია უფრო მკიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, ეიდრე დღემდე პქონდა ამას ადგილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კაეშირის წყალობით აღმოჩენილი იქნება ისტორიული ენათმეცნიერების მრავალი მნიშვნელოვანი დებულება (32, 148).

ნეოგრამატიკოსთა აზრით, მხოლოდ ფსიქოლოგიაზე დამყარებით შეიძლება ენის მექანიზმის რთულ ისტორიულ პროცესში გარკვევა, რადგანაც ენა თავისი არსით ფსიქოფიზიკური ფენომენია, სამეტყველო წარმოდგენათა ფსიქიკური ორგანიზმია (პაული) და მასში მიმდინარე ფონეტიკურ გრანსფორმაციებში არსებით როლს ასრულებს ფსიქიკური ფაქტორები.

ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი როგორც ნეოგრამატიკოსების ლინგვისტური სისტემის საფუძველი

ნეოგრამატიკოსთა თეორეტიკოსია ჰერმან პაული, რომელმაც თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ენის ისტორიის პრინციპები“ სრულყოფილად დააღაგა ამ მიმდინარეობის თეორიული შეხედულებები, ქვემოთ სქემატურად წარმოვადგენთ მის ძირითად თეორიულ დებულებებს.

ნეოგრამატიკოსების თეორიულ შეხედულებებს საფუძველად უდევს ისტორიზმის პრინციპების აღიარება. შედარებითი ენათმეცნიერება მათ მიერ გააზრებულია როგორც ისტორიული ენათმეცნიერება. პაულისათვის ისტორიზმის პრინციპი მთელი თეორიული კონცეფციის საფუძველია. უფრო მეტიც, პაულისათვის ენათმეცნიერება იგივეა, რაც ენის ისტორია, მისთვის არაისტორიული, არამეცნიერულია.

აქედან გამომდინარე, პაულის აზრით, როგორც ისტორიული მეცნიერების ყოველ შგოს, ენათმეცნიერებასაც გვერდით უნდა ედგეს ისეთი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მისი განვითარების ზოგად პრინციპებს.

ასეთ მეცნიერებას პაული უწოდებს „პრინციპთმოდერებას“. ეს უკანასკნელი არის ისტორიული პროცესის მეცნიერული თეორია. ამ თეორიის ამოცანაა, ვაარკვიოს, „როგორ არის შესაძლებელი მუდმივ ძალთა მიმართებათა არსებობის პირობებში ისტორიული განვითარება, – წინსვლა უმარტივესი და ყველაზე პრიმიტიული ფორმებიდან ყველაზე ურთულესისაკენ?“ (22,70).

ისტორიულ მეცნიერებათა შორის პაული გამოყოფს ბუნების მეცნიერებებსა და კულტურის მეცნიერებებს. ენათმეცნიერება განეკუთვნება კულტურის მეცნიერებებს. კულტურის მეცნიერებათა ობიექტების ნიშანდობლივი თვისებაა

უსიქიკური ფაქტორების მონაწილეობა: „უსიქიკური ფაქტორი ყველაზე არსებითია ყოველი კულტურული მოძღვრებისა, ფაქტორი, რომლის გარშემოც ყველაფერი გრიალებს, და უსიქოლოგიაა. ამიგომ ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი კულტურის მეცნიერებისა“, — ასე ფიქრობს პაული (22,70).

მაგრამ წმინდა უსიქიკურ საფუძველზე შეუძლებელია მივიღოთ რაიმე კულტურა, მხოლოდ უსიქიკური და ფიზიკური ფაქტორების ერთიანობა ქმნის კულტურას. ამიგომ ისტორიული ფაქტის არსის გაგებისათვის აუცილებელია როგორც ერთის, ისე მეორის ცოდნა. უნდა ვიცოდეთ ის კანონები, რომელთა თანახმადაც ეითარლება როგორც ფიზიკური, ასევე უსიქიკური ფაქტორები.

ენათმეცნიერება, როგორც აღვნიშნეთ, კულტურისმეცნიერებათა რიგს განეკუთვნება. მას გვერდით უდგას ისტორიული პროცესის მეცნიერული თეორია — პრინციპთმოდერება, რომელიც არკვევს იმ ზოგად პირობებს, რომლებშიც უსიქიკური და ფიზიკური ფაქტორები, მისდევენ რა თავისებურ კანონებს, საერთო მიზანს ემსახურებიან.

შემდეგ პაული არკვევს ენათმეცნიერების ობიექტს, — ენის რაობას პრინციპთმოდერების თვალსაზრისით. უნდა გვახსოვდეს, რომ პრინციპთმოდერება განეითარების თეორიაა. ამიგომ ბუნებრივია, რომ ის ენის არსს განეითარების პროცესში ხედავს, ენა მისთვის ისტორიული ფენომენია და ამიგომ, მისი შემსწავლელი მეცნიერებაც, ენათმეცნიერება. ამ. კუთხით უნდა აშუქებდეს და სწავლობდეს თავის ობიექტს — ენას.

პაულის აზრით, „კულტურის არც ერთი დარგის განეითარების პირობები არ შეიძლება, ისეთი. სიმუსგით იქნეს შესწავლილი, როგორც ენის განეითარების პირობები; ამიგომაც არ არსებობს სხვა კულტურის მეცნიერება, რომლის

მეთოდის ისე სრულყოფილი იყოს, როგორც ენათმეცნიერებისა“ (22,76).

ნათქვამიდან უნდა დავასკვნათ: პრინციპთმოძღვრება განვითარების თეორიაა. ენათმეცნიერება ენის ისტორიაა. ესაა ამოსაყალი დებულება. ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანა არის ენის ისტორიული განვითარების პრინციპების ძიება. ამ ამოცანის გადაჭრაში მას სწორედ პრინციპთმოძღვრება დაეხმარება როგორც კულტურის მეცნიერებათა განვითარების ზოგადი თეორია.

ამის შემდეგ პაულის წინაშე დგება საკითხი: რა არის ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი? ე.ი. წარმოადგინოს ის, რაც ისტორიულ პროცესს ექვემდებარება ენაში. ენა ხომ ძალზე რთული ფსიქოფიზიკური მექანიზმია და მეცნიერების მთავარი ამოცანაც ის არის, რომ წარმოაჩინოს ამ მექანიზმის მოქმედების თავისებურებანი, როგორც ამას აღნიშნავენ ნეოგრამატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლები კ. ოსტროფი და კ. ბრუემანი.

პირველ რიგში, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფსიქიკური და ფიზიკური მომენტები ენაში; უნდა გაირკვეს, რომელი მათგანი ექვემდებარება განვითარების პროცესს. :ეგებ – ორივე?

ამასთან დაკავშირებით პაული წერს: „ენათმეცნიერების ჭეშმარიტ ობიექტს წარმოადგენს ენობრივი მოქმედების ყველა გამოვლენა ყველა ინდივიდში, მათი უროიერთობის პროცესში“. მაგრამ იქვე შენიშნავს: „თქმულს არა აქვს ისტორია როგორც ფიზიოლოგიური და ფიზიკური პროდუქტი – სიტყვა ქრება უკვალოდ როგორც კი ამობრავებული სამეცყველო ორგანოები დაუბრუნდება დაწყებით მდგომარეობას“ (22,79).“

ბუნებრივია, ენათმეცნიერების ობიექტი ვერ იქნება ის, რასაც ისტორია არა აქვს, ე.ი. იმას, რაც ფიზიკურია ჭნაში, ისტორია არა აქვს. სამეცყველო აქვს, მეცყველებას ისტორია არა აქვს. ის, როგორც კი თავის ფუნ-

ქციას შეასრულებს, მაშინვე უკეალოდ ქრება. ბუნებრივია სამეცყველო აქტი, მეცყველება (ფიზიკური ასპექტი ენისა) ენათმეცნიერების კვლევის ობიექტი ვერ იქნება. ენათმეცნიერების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ისტორია აქვს, განვითარებადია.

რა არის ეს?

პაულის აზრით, „ისტორიული განვითარების ერთადერთი მაგარებელი სამეცყველო წარმოდგენათა ფსიქიკური ორგანიზმებია, მხოლოდ მათი მეშვეობით ხდება შესაძლებელი მიმეზობრივი კავშირი, მხოლოდ მათში რჩება მომხდარის კვალი, მხოლოდ მათშია მოცემული ისტორიული განვითარების პირობები“ (22,79).

ბუნებრივია, ღგება საკითხი: რაღაა სამეცყველო წარმოდგენათა ეს ორგანიზმები? როგორ ინტერპრეტაციას ვეთაფაზობს პაული მათ შესახებ?

სამეცყველო წარმოდგენათა ორგანიზმები არის რთული ასოციაციური ხლართი აკუსტიკურ, მოგორულ და სხვა სამეცყველო წარმოდგენათა -- გაგონილისა და თქმულის -- დანალექი. აკუსტიკური და მოგორული წარმოდგენები ასოციაციურად უკავშირდება ერთმანეთს, აგრეთვე საგნებს, წარმოდგენებს, რომელთა სიმბოლოებადაც ისინი გვევლინებიან, სინგაქსურ კავშირთა წარმოდგენებს და ასე შემდეგ; ამ ასოციაციურ კავშირში შემოდის ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ბრუნვა, ერთი და იმავე გმნის სხვადასხვა დრო, კილო, პირი, შემდეგ სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიები და სხე.

პაულის აზრით, სამეცყველო წარმოდგენათა ეს ორგანიზმები არსებობენ ქვეცნობიერად და ცნობიერების ნათელ არეში შემოდიან მეცყველების პროცესში. აი, რას წერს პაული ამის თაობაზე: „უახლესი ფსიქოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი მდგომარეობს იმის შეცნობაში, რომ ფსიქიკურ პროცესთა დიდი რაოდენობა

მედიკლები მიმდინარეობდეს ისე, რომ არ იყოს ნათლად მეცნობილი და რომ ყველაფერი, რაც ოდესმე ყოფილა ცნობიერებაში, რჩება ქვეცნობიერებაში, რჩება ქვეცნობიერ სფეროში მოქმედი მომენტის სახით“ (22,79).

აქ კიდევ ჩნდება ერთი კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს. თუ ენის არსის საფუძველი, სამეცყველო წარმოდგენათა ორგანიზმები, ქვეცნობიერად არსებობს მოლაპარაკე ინდივიდში, მაშინ როგორღა ეწელებით მათ, როგორ არის შესაძლებელი ენის შესწავლა. ჩვენ ხომ ვსწავლობთ ენას, ჩვენ ხომ ეწელებით ამ სამეცყველო ორგანიზმებს. როგორ, რა გზით ხდება ყოველივე ეს? ისინი ხომ უმუალო დაკვირვების ობიექტი ვერ იქნებიან, რადგანაც „ისინი მოიპოვებიან სულში შეუცნობლად“.

პასუხი ასეთია: მართალია, სამეცყველო წარმოდგენათა ეს ორგანიზმები არსებობენ ჩვენს სულში ქვეცნობიერად, მაგრამ მათი მანიფესტაცია, რეალიზაცია ხდება მეცყველების პროცესში, სამეცყველო მოქმედების აქტებში. ამ ცალკეულ აქტებზე დაკვირვებით შესაძლებელია აღდგეს წარმოდგენათა ის ჯაჭვი, რომელიც ალაშიანის სულის ქვეცნობიერ სფეროში მიმდინარეობს: მხოლოდ მრავალგზის დასკვნების მეშვეობითაა შესაძლებელი, – წერს პაული, – ამ აქტების მიხედვით აღდგეს წარმოდგენათა იმ მასების სურათი, რომლებიც ქვეცნობიერ სფეროში მოიპოვება.

ამრიგად, მეცყველების აქტზე, ენის ფიზიკურ ფაქტზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელია მისი ფსიქიკური კორელაციის, სამეცყველო წარმოდგენათა ორგანიზმების შესახებ ცოდნის შექმნა.

ენის ფსიქიკურ ფენომენად გამოცხადების შემდეგ პაული გადადის ნეოგრაზმატიკული თეორიის ერთ-ერთი არსებითი საკითხის განხილვაზე: რა იწვევს ენობრივ ცვლილებებს?

ჯერ ერთი, პაული არ გამოირიცხავს შეგნებულ გემოქმედებას ენაზე, რის შედეგადაც ხდება გარკვეული ცვლილებები (გერმინოლოგიური, ვრამაგიკული წესები...), მაგრამ მთავარი ეს არ არის ენაში.

ადამიანის სამეცყველო აქტის ერთადერთი მიზანია ადრესატს რაიმე გააგებინოს, რაღაც ინფორმაცია გადასცეს. რაც ამ მიზანს ემსახურება, მხოლოდ ის რჩება ენაში, ხოლო ის, რაც აუცილებელი არ არის ამ მიზნისათვის (კომუნიკაციისათვის), იკარგება. ეს ცელილება უნებურია, არაგანზრახვითია.

ამასთან დაკავშირებით ერთი საკითხიც ჩნდება: ენის არსი, პაულის მისედეით, სამეცყველო წარმოდგენათა ორგანიზმშია. ეს ორგანიზმები კი ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაშია მოქცეული. აქედან გამომდინარე, იმდენი სამეცყველო ორგანიზმი არსებობს, რამდენი მოლაპარაკე ინდივიდიცაა ამა თუ იმ კოლექტივში. ეს თუ ასეა, მაშინ რეალურად მხოლოდ ინდივიდუალური ენები არსებულა. პაული ამ ამრს ასე აფორმებს: „აუცილებლად სწორია დებულება, რომ ყოველ ინდივიდს აქვს საკუთარი ენა და ყოველ ამ ენას აქვს საკუთარი ისტორია“.

ეს კი მეტად საგულისხმო დებულებაა, მაგრამ ამავე დროს სადავოც. ამ დებულებით მოცემულია, აგრეთვე, მრავალი დიალექტის წარმოშობის მიზეზიც (საფუძველიც). მაგრამ ამ გზით ენის დიფერენციაციის პროცესს წინ აღუდგება საწინააღმდეგო პროცესი – ენის გაერთიანოვნება.

ინდივიდუალური ენების დაშვებასთან დაკავშირებით ჩნდება ასეთი კითხვა: თუ მხოლოდ ინდივიდუალური ენები არსებობს, მაშინ როგორღა ხდება შესაძლებელი კომუნიკაცია?

ამას პაულიც კარგად გრძნობს და ამასთან დაკავშირებით შემოაქვს ცნება „ენობრივი ჩვევისა“ (უზუსტისა), რომელიც საფუძვლად უდევს ენის საკომუნიკაციო ფუნ-

ქიას. ეს უზუსტია, რომ ინდივიდუალურ ენას აქცევს გავების ნების სამუქალეზად.

ამგეარად, ჰაულის თეორიული კონცეფციის ფუქემდებლური პრინციპებია ფსიქოლოგიზმი და ინდივიდუალიზმი. ენის რაობის რევევისას ჰაული ამოდის ფსიქოლოგიზმიდან. მისთვის ხომ ენა სამეცყეულო აქტების ფსიქიკური სუბსტრატია, სამეცყეულო წარმოდგენათა ორგანიზმებია. ფსიქიკური სუბსტრატია, სამეცყეულო წარმოდგენათა ორგანიზმები კი მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებში არსებობს. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტი რეალობა მხოლოდ ინდივიდუალურ ენას აქვს. როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიზმა განსამღერა ინდივიდუალიზმი: ამოსავეალია ფსიქოლოგიზმი, მისი ლოგიკური გავრძელებაა ინდივიდუალიზმი. ასეთია ამ ორი საწყისის შინაგანი კავშირი ჰაულის კონცეფციაში, რომელიც შეიძლება დასასიათდეს როგორც ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი.

ე. ზვევინცევიც ნეოგრამატიკოსთა თეორიული კონცეფციის ანალოგიურ კლასიფიკაციას იძლევა: „ნეოგრამატიზმის კონცეფციის მიხედვით, ენა არის ფსიქოფიზიკური (ან ფსიქოფიზიოლოგიური) მოქმედება. ყოველი ენობრივი ცელილება, მლადლოგრამატიკოსთა აზრით, მიმდინარეობს ინდივიდის ჩეულებრივი სამეცყეულო მოქმედების დროს“ (32,145). ნ. კონდრაშოვის აზრით: „ენის არსის განსამღერიას ნეოგრამატიკოსთა ამოსავეალი დებულებაა ინდივიდუალიზმი და ფსიქოლოგიზმი“ (38,75).

მოძღვრება ბგერათა კანონებსა და ანალოგიაზე როგორც ენის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე

როგორც უკვე აღენიშნეთ, ნეოგრამატიკოსების აზრით, ენა მუდმივად ცვალებადი ფენომენია. ამ თვალსაზრისმა განაპირობა ენის შესწავლისადმი მათი ისტორიული მიდგომა. ვ. ბევეინსევი წერს: „ნეოგრამატიკოსებთან ისტორიული მიდგომა უნივერსალიზებულია და ამ მეთოდის გამოყენება, მათი აზრით, აუცილებელია ენობრივი მოვლენების შესწავლის დროს. უფრო ღრმად და დეტალურად შესწავლის მიზნით კი რეკომენდაციას იძლევიან ენობრივ მოვლენათა ცალკე, იზოლირებული განხილვის თაობაზე (ე.წ. „აგლომომი“ ნეოგრამატიკოსებისა) (32,245).

ლინგვისტური ანალიზის ერთადერთ მეცნიერულ პრინციპად ნეოგრამატიკოსები მიიჩნევენ მხოლოდ ისტორიზმს. მათთვის „ისტორიული“ არის „მეცნიერულის“ სინონიმი. ასე მაგალითად, კ. ბრუგმანი და ვ. შტრაიხბერგი წერდნენ: „ვინც ენის მეცნიერულ შესწავლას იწყებს; მის განკარგულებაშია ერთადერთი მეთოდი – ისტორიული“.

ისტორიზმის პრინციპის გაუნივერსალიზმებით იწყება ახალი პერიოდი ენათა შესწავლის ისტორიაში: „ენათმეცნიერება, – წერს ბ. დელბრიუკი, – ფილოსოფიური პერიოდიდან შევიდა ისტორიულში“.

ამგვარად, ისტორიზმის პრინციპი დაედო საფუძვლად ნეოგრამატიკოსთა თეორიულ კონსეფციას. მათი თეორიის ლაიტიმოტივი იყო ენის ისტორიული განვითარების კანონზომიერების კვლევა. ენის ისტორიული ცვალებადობა კი, პირველ რიგში, ასახვას პოულობს ფონეტიკა-ფონოლოგიის დონეზე. ამიგომ, ბუნებრივია, რომ ნეოგრამატიკოსებმა ისტორიულ-შეღარებითი კვლევის ყურადღების

ცენტრში დააყენეს ფონეტიკური პროცესების კელევა. ამ მიზნით მათ მთელი ყურადღება გადაიგანეს ცოცხალი თანამედროვე ენების კელევაზე, წინააღმდეგ წინამორბედ მკვლევარებისა, რომლებიც მთელი გატაცებით იკვლევდნენ ძველ სამწერლო ენებს და ამის საფუძველზე ფუძეენის აღდგენას ლამობდნენ. ნეოგრამატიკოსებმა უარყვეს ეს გზა. ისინი თავიანთ კოლეგებს მოუწოდებდნენ, რათა თავი დაენებებინათ მხოლოდ ძველი ენების შესწავლისა და ინდო-ევროპული წინარეენის რეკონსტრუქციით გატაცებისათვის. მათი აზრით, ცოცხალი ენები გაცილებით მეტ ფაქტობრივ მასალას იძლეოდნენ ენის განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად. თუ ჩვენ გვინდა მეცნიერული წარმოდგენა ვიქონიოთ ენის განვითარების ხასიათზე, თავი უნდა დავანებოთ წინარეენის ძიების უშედეგო ცდას და ორიენტირება ავიღოთ ცოცხალი ენების კელევაზე, – აცხადებენ ნეოგრამატიკოსები. ყველაზე ნათლად და კატეგორიულად ეს თვალსაზრისი გამოხატეს ჰ. ოსტროფმა და კ. ბრუგმანმა: „მეცნიერმა, რომელიც ენათა შედარებით შესწავლაში მუშაობს, თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს არა წინარეენას, არამედ თანამედროვე ენებს, თუ მას სურს, წარმოადგენა იქონიოს ენის განვითარების ხასიათზე“ (32, 150). ეს კი, თავის მხრივ, წინ წამოსწევს ფონეტიკური პრობლემატიკის ისტორიულ პლანში ღრმად და ამომწურავად დამუშავებას. ამასთან დაკავშირებით აი რას წერს ენათმეცნიერების გამომჩენილი ისტორიკოსი ვ. გომსენი: „ენის აგებულების არც ერთ ნაწილში კელევა ისე ღრმად არ წასულა, როგორც ფონეტიკაში. რამდენადაც ბგერები, რომლებსაც ადამიანთა სამეტყველო ორგანოები გამოსცემენ, წარმოადგენენ იმ მუშაშედეგს, რომელთა წყალობითაც ენა თავის გამოხატულებას პოულობს, რამდენადაც, ენობრივი განვითარების ისტორიული გაგებისათვის გასაღები მნიშვნელოვან წილად, დევს სწორედ მის ბგერით აგებულებაში“ (47,99).

ამიერიდან ენათმეცნიერებაში მეგად აქტუალური გახდა ფონეტიკური კანონების პრობლემატიკის დამუშავება. ამ მიზნით ნეოგრამატიკოსებმა მთელი ყურადღება გადაიტანეს ცოცხალი ენების შესწავლაზე, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ფონეტიკურ პროცესთა კანონზომიერების დადგენა. ისინი თავგამოდებით სწავლობდნენ ბგერების წარმოქმნის ფიზიოლოგიურ და აკუსტიკურ პირობებს, მეგყველების ნაკადში ბგერათა ურთიერთქმედებას, მათ ევალებადობას ისტორიულ ასპექტში. ამ მიმართულებით გაჩაღებულია მუშაობამ საფუძველი ჩაუყარა ენათმეცნიერების ახალ დარგს – ფონეტიკას. მან კი, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა ახალი თემისი ენაში ფონეტიკური კანონების არსებობის თაობაზე. როგორც ჯონ ლაიონზი წერს: „ისტორიულშედარებითმა ენათმეცნიერებამ მძაფრი ბიძგი მისცა ფონეტიკის განვითარებას, ხოლო, თავის მხრივ, ფონეტიკამ ხელი შეუწყო უფრო მოგადი და მუსიკი ბგერითი კანონების შემუშავებას“ (39, 52).

თუმცა ეს ისე არ უნდა გაეიგოს, თითქოს ნეოგრამატიკოსებმა პირველებმა წამოაყენეს ცნება „ბგერითი კანონი“. გერმინი „ბგერითი კანონი“ (Lautgesetz) პირველად შემოიტანა ფ. ბოპმა. ბგერითი კანონზე ლაპარაკობს ვ. ჰუმბოლდტიც და სხვებიც. მაგრამ ნეოგრამატიკოსთა შრომებში საბოლოოდ კრისტალდება საკუთარი კონცეფცია ფონეტიკური კანონების შესახებ.

ფონეტიკური კანონების რკვევას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ნეოგრამატიკოსები, რადგანაც, მათი ღრმა რწმენით, მხოლოდ ის ნაშრომებია ჭეშმარიტად მეცნიერული, რომლებიც ენობრივ ცელილებათა ახსნისას ეყარება ფონეტიკურ კანონს. ამ მხრივ საყურადღებოა ოსტოპოვისა და ბრუგმანის გამონათქვამები: „მხოლოდ ის ღვას თავის გამოკვლევებში მყარ მეცნიერულ ნიადაგზე, ვინც მუსგად

ითვალისწინებს ბევრით კანონებს, რომლებსაც ემყარება მთელი ჩვენი მეცნიერება“ (27,429).

როგორ ესმით ფონეტიკური კანონის მოქმედება ნეოგრამატიკოსებს?

ჩვენ ზემოთ უკვე ეთქვი, რომ ნეოგრამატიკოსებმა წამოაყენეს სამი ფუძემდებლური თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპი. ერთ-ერთი მათგანი ასეთი იყო: ფონეტიკურ წესებს გამონაკლისი არა აქვს.

როგორ გაეიგოთ ეს დებულება?

მოვესმინოთ თავად ავტორებს: „ყოველი ბევრითი ცვლილება, რამდენადაც ის მექანიკურად მიმდინარეობს, უგამონაკლისო კანონს ექვემდებარება, ე. ი. ბგერათცვლილების მიმართულება ერთნაირია ყველა ენობრივ ერთეულში, ყველა სიტყვაში, სადაც ერთნაირ პირობებში განიციდის ბგერა ფონეტიკურ ცვლილებებს, მონაწილეობს ამ პროცესში“ (ოსტროფი, ბრუკმანი) (32,154).

მაშასადამე, ფონეტიკურ კანონს გამონაკლისი არა აქვს. ესაა ნეოგრამატიკოსების უდიდესი დამსახურება. მათ ამ დებულებას მეცნიერული დასაბუთება მისცა კ. ვერნერის ისტორიულმა აღმოჩენამ. სანამ ვერნერის ამ აღმოჩენაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ ვიგყვიოთ, თუ რა მიზეზით ხსნიდნენ ნეოგრამატიკოსები ბგერათცვლილებებს.

ამ საკითხს ნეოგრამატიკოსებზე აღრე სხეებმაც მიაქციეს ყურადღება. მაგალითად, ფ. ბოპს მიაჩნდა, ბგერათცვლილებას საფუძვლად ედო მისწრაფება კეთილხმოვნებისაკენ. ის ამტკიცებდა, რომ „ა“ ყველა ხმოვანთა შორის არის ყველაზე ბუნებრივი და ლამაზი ხმოვანი. ფ. ბოპის აზრით, „რაც უფრო შორდებიან ენები თავიანთ პირველწყაროს, მით უფრო ძლიერ განიცდიან მისწრაფებას კეთილხმოვნებისაკენ“. კურციუსი თელიდა, რომ ბგერათცვლილებადობის მთავარი მიზეზია წარმოთქმის გაადვილება ნებისმიერ გარემოში. ეს გაადვილების სტიმული თავს იჩენს

ორი მიმართულებით: 1. არგიკულაციის ნაკლებად ხელსაყრელი ადგილის შეცვლა უფრო მოხერხებულთა და 2. ძნელად წარმოსათქმელი ბგერის შეცვლა შედარებით უფრო ადვილად წარმოსათქმელი ბგერით. „წარმოთქმის სიაღვილე წარმოადგენს ფონეტიკურ ცვლილებათა ძირითად მიზეზს ნებისმიერ გარემოში“ (კურციუსი).

ნეოგრამატიკოსები ამოდიოდნენ ენის რაობის ინდივიდუალისტურ-ფსიქოლოგიური თეორიიდან და ბგერათყვალებადობის მიზეზებს, საწყისებს ეძებდნენ ინდივიდში: მათი აზრით, ენა არ არის ისეთი საგანი, რომელიც ადამიანის გარეშე არსებობს. ის სინამდვილეში მხოლოდ ინდივიდში არსებობს. ამიგომ ყოველი ენობრივი ცვლილება მხოლოდ მოლაპარაკე ინდივიდებიდან მომდინარეობს. ბგერითი ცვლილებები, სამს უსვამენ ნეოგრამატიკოსები, იწყება ინდივიდიდან, რომელიც ეუფლება ბავშვობაში მშობლიურ ენას და რაიმე მიზეზის ძალით გამოთქმაში უშეებს უმუსგობას. ბოლოს ეს უკანასკნელი იქცევა მისი ინდივიდუალური წარმოთქმის თავისებურებად. შემდგომში, თუ მას ეს თავისებურება მოეწონება, შეიძლება დაიმკვიდროს ის. ხოლო ხალხმა დროთა მსუღელობაში ეს ინდივიდუალური თავისებურება შეიძლება მიიღოს და აქციოს საყოველთაო საკუთრებად, ჩვევად.

პაულის აზრით, ფონეტიკური ცვლილება შეუცნობლად, ნელ-ნელა მიმდინარეობს. თავდაპირველად ის იმდენად უმნიშვნელოა, რომ მოლაპარაკე ვერც კი გრძნობს მას. მაგრამ ეს მცირე ფონეტიკური გადახრა თანდათან ისე მაგულობს, რომ შედეგად წარმოიშობა ახალი, ამოსავლისაგან განსხვავებული ერთეული, რომელსაც ენობრივი კოლექტივის უმცროსი თაობა მიიჩნევს ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენად.

ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზების ძიებამ, საბოლოო ჯამში, ნეოგრამატიკოსები ფსიქოლოგიზმამდე მიიყვანა.

ამ მხრივ საგულისხმოა ფორტუნაგოვის შემდეგი სიტყვები: „ფონეტიკურ მოელენათა საბოლოო ახსნას ფსიქოლოგია იძლევა“. ასეთი დასკვნა საესებით ლოგიკურია, თუ გაითვალისწინებთ პ. პაულის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ენობრივ ცვლილებებს, ენის განვითარებას ადვილი აქვს სამეცყველო წარმოდგენათა ორგანიზმებში, ხოლო ეს უკანასკნელი ფსიქოლოგიური ცნებაა.

როგორც უკვე ზემოთ აღენიშნეთ, ნეოგრამატიკოსთა კონცეფციაში მეტად მნიშვნელოვანია დებულება – ფონეტიკური კანონი უგამონაკლისოა.

ნეოგრამატიკოსთა ეს დებულება მეცნიერების რანგში აიყვანა კ. ვერნერის ცნობილმა გამოკვლევამ, „ერთი გამონაკლისის შესახებ გრიმის კანონში“, რომელიც 1876 წელს გამოქვეყნდა.

კ. ვერნერის ბრწყინვალე მისევედრა ის იყო, რომ გუთურ შესაგყვისთა სხვაობა მახეილს დაუკავშირა. შესაგყვისობა დაცული აღმოჩნდა, როცა მახეილიანი მარცვლის შემდეგაა თანხმოვანი (bhrätar), ხოლო წესი ირღვევა მაშინ, თუ მახეილიანი მარცვლის წინაა თანხმოვანი (pitär, matär).

გაირკვა მეტად საინტერესო ეითარება, რამაც ახალი ეტაპი შექმნა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში. ფონეტიკური წესის დარღვევა აიხსნა და ამით წესის დარღვევა წესის პრინციპის დასაბუთებად იქცა (ა. ჩიქობავა). წესის დარღვევა თურმე გარკვეულ წესებს ექვემდებარება, წესიერია, კანონზომიერია წესიცა და მისი დარღვევაც, „გამონაკლისიც“. ეს ნიშნავს: გამონაკლისი მხოლოდ იმდენადაა გამონაკლისი, რამდენადაც არაა დადგენილი მისი გამომწვევი მიზეზები. კანონზომიერების პრინციპი შეუზღუდავია.

თავად ვერნერი კი თავისი გამოკვლევის შესახებ ასე წერს: „მართალია, შედარებითი ენათმეცნიერება სავსებით

ვერ უარყოფს შემთხვევითობას (den Zufall), მაგრამ მასობრივი ხასიათის შემთხვევითობა ისე, როგორც ეს აქაგეაქეს, სადაც სიგყვის შიგნით არაკანონზომიერი ვადაწვევის შემთხვევები თითქმის ისევე ხშირია, როგორც კანონზომიერისა, შედარებითმა ენათმეცნიერებამ არ შეიძლება დაუშვას (აღიაროს Zugestehen). ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს, ასე ვთქვათ, წესი წესის დარღვევისათვის; საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ეს წესი დადგინდეს“ (22,66).

ფონეტიკური წესის დარღვევა ამ გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება, ამას უფრო ადრე ვ. შერერიც აღნიშნავდა: „ბგერათა ცვლილებები, რომლებსაც ჩვენ ვადასტურებთ ენის ისტორიის ძეგლებში, ხორციელდება მტკიცე კანონების მიხედვით, ხოლო მოქმედი კანონის დარღვევა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მხოლოდ კანონზომიერი“ (27,431).

ამრიგად, კ. ვერნერის ზემოთ აღნიშნულმა გამოკვლევამ მეცნიერულად დაასაბუთა ნეოგრამატიკოსთა ცნობილი დებულება – ფონეტიკურ წესებს გამონაკლისი არა აქვს.

ნეოგრამატიკოსების მრწამსის მეორე მნიშვნელოვანი დებულებაა – ენობრივი ცვლის პროცესში დიდი როლი ენიჭება ანალოგიას. ამ დებულებას შინაგანი კავშირი აქვს პირველთან – ფონეტიკური წესების უგამონაკლისობის კანონთან. ეს კი იმას ნიშნავს, ყოველი ფონეტიკური პროცესი გარკვეულ ფონეტიკურ კანონს ექვემდებარება. მაგრამ გაირკვა, რომ ენის განვითარებაში დასტურდება ისეთი ენობრივი გარდაქმნაც, რომელიც ვერ აიხსნება ამა თუ იმ ფონეტიკური კანონით. ნეოგრამატიკოსების წინაშე დაისვა ამგვარი მოვლენების ახსნის საკითხი, გამოსავალი ნახეს ანალოგიის პრინციპში.

რა არის ანალოგია?

ანალოგია არის ენობრივი სისტემის მოთხოვნა – მოახდინოს უფრო ხშირად ხმარებული ფორმების მიხედვით ნაკლებად ხმარებული ფორმების ან გამონაკლისების უნიფიცირება, ფორმათა მორფოლოგიური გათანაბრება, ბრუნების და უღვლილების პარადიგმებში სიგყვის ბგერით ფორმებში არსებული სხვაობების მოსხნა (33,83).

მაშასადამე, ანალოგია ემყარება ფორმათა ასოციაციებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი ენობრივი ფორმა იცვლება (ან ემსგავსება) სემანტიკურად მსგავსი მეორე ფორმით. ასე რომ, ანალოგიის პროცესის მოქმედება ემყარება ენის ფსიქოლოგიურ არსს. მათი აზრით, მოლაპარაკის სულში სიგყვები ყოველთვის სხვა სიგყევითან მჭიდრო კავშირში წარმოიქმნება და არა განკერძოებულად, დამოუკიდებლად. ანალოგიით წარმოქმნილი ენობრივი ფორმები უდიდეს როლს ასრულებს ენის გამდიდრებაში: „რადგანაც ნათელია, რომ, – წერენ ისინი, – ფორმათა ასოციაცია, ე.ი. ანალოგიის მიხედვით ახალი ენობრივი ფორმების წარმოება, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი ენების ცხოვრებაში, მაშინ უყოყმანოდ უნდა ვაღიაროთ ენის გამდიდრების მნიშვნელობა როგორც ძველ, ასევე უძველეს პერიოდში; უნდა ვაღიაროთ არა მარტო ზოგადად, არამედ მოვლენათა ეს პრინციპი უნდა გამოვიყენოთ ისე, როგორც ის გამოიყენება გვიანდელი პერიოდის ენობრივი მოვლენის ახსნისათვის. სულაც არ უნდა გავიკვირდეს, თუ ეს ისტორიის ძველ და უძველეს პერიოდებში ანალოგიის მიხედვით ნაწარმოები ფორმები აღმოჩნდება. იმავე ან უფრო მეტი მოცულობისა (რაოდენობისა), რამდენიც გვიანდელ პერიოდებში დასტურდება“ (32,154).

როგორც უხედავთ, ნეოგრამატიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ანალოგიის როლს ენის განვითარებაში და მიაჩნიათ, რომ ანალოგიის პრინციპის გამოყენება კვლევის პროცესში დაგვეხმარება რიგი ენობრივი მოვლენების ასახ-

სნელად. თუმცა მოწინააღმდეგენი იმასაც უსაყვედურებდნენ ნეოგრამატიკოსებს, რომ ანალოგიის ცნებით ოპერირება შემთხვევით იძლევა სწორ დასკვნებს ამა თუ იმ ენობრივ მოვლენებზე. ასეთი შენიშვნა ნეოგრამატიკოსებს არ მიაჩნიათ მთლად უსაფუძელოდ, „შემთხვევითობას“ ისინი ითვალისწინებენ და ამიტომაც, რომ წერენ: „ჩვენ უმკაცრესად ვიცაეთ პრინციპს, რომლის თანახმადაც ანალოგიას უნდა მივმართოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას გვაიძულებს ბევრითი კანონები. ფორმათა ასოციაციები ჩვენთვის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს“ (32,157).

ანალოგიის პრინციპი რომ მართლაც მოქმედებს ენაში, ეს შეიძლება ეაჩვენოთ ქართული ენის მასალაზეც. მაგალითად: დაჯედ→დაჯექ (დ→ქ) – ადექ-ის ანალოგიით და სხვ.

საბოლოო ჯამში, ნეოგრამატიკოსების აზრით, ანალოგიას მივყავართ ფორმათა უნიფიკაციისკენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნეოგრამატიკოსებმა ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახეს ცოცხალი დიალექტური მეტყველების კვლევა. მათი აზრით, ენათა ბუნებრივ განვითარებაზე დაკვირვება და სათანადო ისტორიული დასკვნების გამოტანა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, მათ კარგად დაინახეს, რომ „გრამატიკული სტრუქტურის, წარმოთქმისა და ლექსიკის თვალსაზრისით დიალექტები ისევე სისტემურია და ისევე გამოსადეგია ურთიერთობისათვის (მათი გამოყენების საზღვრებში) როგორც სალიგურატურო ენა“ (9,52).

ამის გამო ისინი ძველ კომპარატივისტებს უსაყვედურებდნენ მკვდარი ენებით მეგისმეტ გატაცებას, რომელიც არაფერს იძლეოდა ენათა განვითარების კანონზომიერების შესახებ. იმისათვის, რომ გავიგოთ ენის არსი, ადამიანური მეტყველების უნარი, ფუძენა (რომელიც წმინდა ფიქციას წარმოადგენს), სრულებით არ არის სავალდებულო ძველი ინდოევროპული ენების შესწავლა. მთავარია, შევისწავლოთ

ცოცხალი ენები და მათი დიალექტები. ოსტოპოვი და ბრუგ-მანი მკაცრად ილაშქრებდნენ წინარე ინდოევროპული ენის ძიების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს სერიოზულად მუშაობდნენ ინდოევროპული ენის ცალკეული ელემენტების რეკონსტრუქციებზე. მათი აზრით, „მხოლოდ ის კომპარატივისტი-მეცნიერი, რომელიც მიაგოვებს შეხუთულ, ბურუსიანი ჰიპოთეზებით სავსე სახელოსნოს აგმოსფეროს, სადაც იბუქდებოდა ინდოევროპული წინაფორმები, და გამოვა სინამდვილისა და თანამედროვეობის სუფთა ჰაერზე, რათა შეიძინოს ის, რაც მიუღწეველია მშრალი თეორიის დახმარებით, მხოლოდ ის, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის ადრე მეტად გავრცელებულ (და ამჟამადაც რომ ვვხვდებთ) კელევის მეთოდზე, რომლის მიხედვითაც ენას მხოლოდ ქალაქდებ სწავლობენ, ყველაფერს გერმინოლოგიაში, ფორმულებსა და გრამატიკულ სქემებში ასახავენ იმიტომ, რომ თუ საგნის სახელი მიგნებულია, მოვლენის არსიცი შეცნობილია – მხოლოდ ასეთი მეცნიერი შეძლებს ენობრივი ფორმების გარდაქმნებისა და მისი სიცოცხლის ხასიათის მართებულ ამოცნობასა და გაგებას, ურომლისოდაც ენის ისტორიის შესახებ გამოკვლევებში, საერთოდ, შეუძლებელია დამაჯერებელი შედეგების მიღება და ეერც წინარეისტორიის პერიოდებში შეღწევა, ისე როგორც შეუძლებელია კომპასის გარეშე ზღვაზე სურვა“ (32,152).

ნეოგრამატიკოსები ხამგასმით აცხადებენ, რომ ცოცხალი ხალხური თქმების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიისათვის.

ნეოგრამატიკოსებმა მრავალი ენის აუარებელი ფაქტობრივი მასალა შეაგროვეს; დაამუშავეს ისინი და სისტემაში მოიყვანეს. ამგვარმა მუშაობამ კი ხელი შეუწყო ენათმეცნიერების გამოყენებითი ასპექტის განვითარებას, რამაც ახალი დარგების შექმნას მისცა ბიძგი.

სწორედ ნეოგრამატიკოსთა ნაშრომებში მიაღწია თავის უმაღლეს მწვერვალს ენათა გენეტიკური შედარების დიაქრონიულმა მეთოდმა. მათი დამსახურება იყო ისიც, რომ კელევის მთავარი ყურადღება ძველი ენებიდან თანამედროვე ენებზე გადაიტანეს. ნეოგრამატიკოსთა წყალობით აღმოცენდა დიალექტოლოგია, უფრო გვიან კი — ლინგვისტიკური გეოგრაფია, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფონეტიკაში, კერძოდ კი, ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში.

ნეოგრამატიკულმა მიმართულებამ დადებითი როლი შეასრულა ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის განვითარებაშიც. ფაქტობრივად მათ პირველებმა დასვეს საკითხი მკაცრი, ზუსტი ლინგვისტიკური მეთოდების შექმნის შესახებ, რაც ძალიან სჭირდებოდა ენათმეცნიერებას.

ამგეარად, ნეოგრამატიკოსთა მიერ შემოტანილი კელევის ახალი მეთოდები უდავოდ პროგრესია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში. მათ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი აღმოჩენა; ყველაზე საყურადღებოა: 1. ფონეტიკური კარონი უგამონაკლისოა. 2. ანალოგიის პრინციპის შემოტანა. 3. ცოცხალი სასალხო ენებისა და მათი დიალექტების შესწავლის უპირატესობა.

ნეოგრამატიკოსებმა უარყვეს წინამორბედ კომპარატივისტთა შეხედულება: 1. ფუძეების რეკონსტრუქციაზე, მათი აზრით, ეს არის ისეთი ამოცანა, რომლის შესრულება გამორიცხულია. 2. არ გაიზიარეს აგრეთვე ბოპის აგლუტინაციის თეორია.

ბრუგმანის აზრით, ფლექსიის წარმოშობა არ შეიძლება მივაკუთვნოთ მარგოლდენ წინარეისტორიულ ხანას. ფლექსია წარმოიქმნებოდა წარსულშიც და წარმოიქმნება მომავალშიც. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის აფიქსი წინამდინარეობს „ძირეული სიტყვებიდან“, რადგანაც, პირველ

ირიგმი, ენას არა აქვს უტყუარი მონაცემები „ძირეული სტიგეების ბუნებაზე“ და მეორეც, გმნურ დაბოლოებებს წინარეენის დაშლის პერიოდისათვის იმდენად ვრძელი ვზა .ქქონდა გავლილი, რომ საეჭვოა რაიმე რეალურის თქმა იმათი წარმომავლობის თაობაზე.

ნეოგრამატიკოსებისათვის მიუღებელია, ავრეთვე თემბი-სი ენის განვითარების ორი ეტაპის შესახებ. ისინი გადაჭ-რით უარყოფენ ენების განვითარებაში ორი პერიოდის კამოყოფას: „ახალგაზრდული ასაკის“, ე.ი. წინარეისგორი-ული პერიოდისა და „მოხუცებულობის ასაკისა“, ანუ ენის აგებულების დეგრადაციის ისგორიული პერიოდისა, აქედან კამომდინარე კი, უარყოფენ ენათა დაცემის ან დაშლის ეპოქის არსებობას, რომელსაც, თითქოს განიკდიან თანამე-დროეე ენები. ნეოგრამატიკოსები მოუწოდებენ ენათმეც-წნიერებს, დარჩნენ ენის რეალური ფაქტების წიადაგზე, კონკრეტულ ენათა ისგორიით ფიქსირებული ფაქტების წწიადაგზე.

მოსკოვის ლინგვისტური სკოლა

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მოსკოვის უწიეერ-სტიგეტან ჩამოყალიბდა ენათმეცწიერთა ჯგუფი, რომელმაც წმემდგომში მიიღო სასელწოდება „მოსკოვის ლინგვისტური სკოლა“. თაეისი ზოგადმეთოდოლოგიური მიზანდასახულო-ბით ეს სკოლა ახლოს დგას ლაიფციგის სკოლასთან, მა-ჯრამ, ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელია ენობრივი მწოელებების თავისებური გავება და კვლევითი ხერხების გარკეეული სპეციფიკა.

მოსკოვის სკოლა იზიარებს ინდივიდუალური ფიზიოლო-გეზმის ძირითად დებულებებს, როგორც წამყვან მეთო-დოლოგიურ კრედოს, მაგრამ მისი წარმომადგენლები თაეი-ანთ კონკრეტულ ლინგვისტურ გამოკვლევებში ხშირად ემი-

ჯნებიან ნეოგრამატიზმის ენის ორთოდოქსალურ ფილოსოფიას. ისინი უფრო ახლოს იდგნენ ამ მხრივ XX საუკუნის ლინგვისტურ მიმართულებასთან. აქედან გამომდინარეობს მათი სპეციფიკური მიდგომა კვლევის ობიექტისა და წამოყენებული ამოცანისადმი. მაგალითად, მოსკოვის სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენის როგორც სოციალური ფენომენის შესწავლას. ასევე დიდ ყურადღებას აქცევს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პრობლემას. მართალია, ძირითად ყურადღებას აქცევენ ენის ისტორიულ შესწავლას, მაგრამ რიგ ენობრივ მოვლენებს იკვლევენ სინქრონიულ პლანშიც.



ფილიპე თევდორეს ძე
ფორტუნაგოვი

რუსული ენათმეცნიერების ამ ახალი მიმდინარეობის დამაარსებელი და მეთაური

იყო ფილიპე თევდორეს ძე ფორტუნაგოვი (1848-1914).

ფ. ფორტუნაგოვმა 1868 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, რის შემდეგაც ის დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1871-1873 წლებში სამეცნიერო მიზნით იმყოფებოდა გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. აქ მან მიიღო ფართო ლინგვისტური განათლება. ლაიფციგში უსმენდა ლესკინსა და კურციუსს. 1875 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია. 1876 წელს ფორტუნაგოვმა დაიწყო ლექციების კითხვა მოსკოვის უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს კითხულობდა ზოგად ენათმეცნიერებას, ინდოევრო-

კულ ენათა შედარებით ფონეტიკასა და მორფოლოგიას, ძველ სლავურ ენას, ლიგურს, გოთურს, სანსკრიტს.

ფ. ფორტუნაგოვი ცოტას ბეჭდავდა. ის თავის იდეებს აეითარებდა ძირითადად სალექციო კურსებში. 1902 წელს ფორტუნაგოვი აირჩიეს აკადემიკოსად და გადავიდა პეტერ-ბურგში, სადაც ის ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილებას.

ფ. ფორტუნაგოვმა განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის პრობლემატიკის დამუშავებაში. ფორტუნაგოვმა შექმნა მწყობრი და თანმიმდევრული გრამატიკული თეორია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა რუსულ გრამატიკულ მეცნიერებაზე (ე. წ. ფორმალური მიმართულება). მისი ძირითადი ნაშრომებია: „შედარებითი ენათმეცნიერება“ (1898წ.), „ინდოევროპულ ენათა შედარებითი ფონეტიკა“ (1902წ.), „შედარებითი მორფოლოგია“ (1901წ.) და სხე.

თავის გამოკვლევებში ფორტუნაგოვი, პირველ რიგში, ყურადღებას აქცევდა ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდის სრულყოფას და, შესაბამისად, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის აგების ახალი პრინციპების დამუშავებას.

ფ. ფორტუნაგოვი შედარებითი ენათმეცნიერების ლექციებში სუამს ზოგადი ენათმეცნიერების საკითხსაც. ის ენას განიხილავს როგორც სიტყვათა და შესიტყვებათა ერთობლიობას; იძლევა სიტყვისა და შესიტყვების განსაზღვრებას, ამასთან დაკავშირებით არკვევს საკითხს ენათმეცნიერების სტრუქტურის შესახებ. ფორტუნაგოვი სიტყვის სტრუქტურაში განარჩევს რეალურ (ლექსიკურ მნიშვნელობას) და ფორმალურ მნიშვნელობას (გრამატიკულ მნიშვნელობას). ამისდა მიხედვით, სიტყვას სწავლობს ენათმეცნიერების ორი დარგი: ლექსიკოლოგია და გრამატიკა. პირველი

სწავლობს სიგყვის რეალურ (კონკრეტულ) მნიშვნელობას, ხოლო მეორე – ფორმალურ მნიშვნელობას (ე.ი. გრამატიკულ მნიშვნელობას). ლექსიკოლოგია სწავლობს აგრეთვე სიგყვათა იდიომატურ შეერთებებს. ფორტუნატოვს შემოაქვს ტერმინი „მორფოლოგია“, ნაცვლად ძველი სახელწოდებისა „ეტიმოლოგია“. მისი აზრით, მორფოლოგია სწავლობს ცალკეულ სიგყვათა ფორმებს, ხოლო სინტაქსი – შესიგყვების ფორმებს.

იგი მეტყველების ნაწილებს განსამდერაეს. როგორც სიგყვათა გრამატიკულ კლასებს, რომლებიც ხასიათდებიან ფორმალური გრამატიკული ნიშნებით.

სიგყვის სტრუქტურის ანალიზთან დაკავშირებით, ფორტუნატოვმა წამოაყენა ორიგინალური კონსეფცია ფორმის შესახებ ენაში, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა მომდევნო მკვლევრებზე. სიგყვის გრამატიკული ფორმა ფორტუნატოვს ესმის მორფოლოგიურად. მისი აზრით, სიგყვაში გამოიყოფა ფუძე და დაბოლოება (მდრ. *рук-а, рук-и, рук-е, рук-у, рук-ой, нес-у...*). ფორმის მიხედვით სიგყვები ორ ჯგუფად იყოფა: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიგყვები.

სინტაქსის ძირითადი ერთეულია შესიგყვება. სინტაქსი სწავლობს აღნიშნულ ერთეულთა ფორმებს.

ჟ. ფორტუნატოვი ენას განიხილავს როგორც საზოგადოებრივ მოვლენას. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ენის შინაგან კავშირს შესაბამის საზოგადოებრივი კოლექტივის განვითარებასთან. ის მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან ენის შინაგან და გარეგან ისტორიას. ენის განვითარების გარეგან ისტორიაში ფორტუნატოვი გულისხმობდა ენასა და საზოგადოებას შორის არსებულ მჭიდრო კავშირს. მისი აზრით, „ყოველი ენა განეკუთვნება ცნობილ საზოგადოებრივ კავშირს, ე.ი. ყოველი ენა ეკუთვნის ხალხს, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების წევრებს. ის ცვლილებები, რომ-

ლებიყ საზოგადოების შემადგენლობაში ხდება, შესაბამისად აისახება ენაშიყ. საზოგადოების დაყოფა ნაწილებად იწვეეს მისი ენის დაყოფას თქმებად, ხოლო საზოგადოების განვითარება იწვეეს ენის სხვადასხვა თქმის გაერთიანებას.

ენის შინაგანი ისგორია, ფორტუნატოვის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეულ ინდივიდზე, რადგანაც ის (ე.ი. ენის შინაგანი ისგორია) განისაზღვრება ამროვნებისა და მეტყველების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თანაფარდობით. ამ მხრივ ფორტუნატოვი ეკედლება ნეოგრამატიკოსებს. ის ამავე დროს ამუშავებდა და იკედლევა ბგერით კანონებსაც. იმ შემთხვევაში, თუ ბგერითი კანონი ეერ ხსნიდა მოვლენას, მიმართაედა ასოციაციურ ფსიქოლოგიას. ამით ის ხამს უსეამდა ენაში ანალოგიის პრინციპის მოქმედებას.

როგორც ცნობილია, კომპარატივისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა იყო ინდოევროპული წინარეენის რეკონსტრუქცია. ამ პრობლემის მიმართ ფორტუნატოვს თავისი პოზიცია ეკაევა. მისი რეკონსტრუქციის მეთოდი ის იყო, რომ ინდოევროპული ენის თითოეული ბგერის, თითოეული ენობრივი ფორმის დადგენისას და განსაზღვრისას ერთმანეთს უნდა შეუდარდეს ყველა ინდოევროპული ენის მონაცემები, ძეელიცა და ახალიც.

ფორტუნატოვი თავის ისგორიულ-შედარებით გამოკედლებში არ იფარგლებოდა ბგერათმესატყვისობათა უბრალო კონსტატაციით. ის ამავე დროს ცდილობდა, გამოედლინა ენის ისგორიული განვითარების რეალური გზა, ენობრივ ცვლილებათა შეფარდებითი ქრონოლოგია და თანმიმდევრობა.

ფ. ფორტუნატოვის სალექციო კურსებში დიდი ყურადღება ექცეოდა იმ რეალურ პროცესებს, რომლებიყ ენათმეცნიერების საფუძველს წარმოადგენდა: საკედლე ფაქტებს შორის მიმეზობრივ კავშირებს, ისგორიულ-შედარებითი გამოკედლებების უშუალო კავშირს ცალკეულ ენათა ისგო-

რიის შესწავლასთან, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის აგებისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის კელევის ახალი პრინციპების შემუშავებას (ფ.მ. ბერეზინი).

ფ. ფორტუნაგოვი მუშაობდა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის საკითხებზე. მან მსოფლიოს ენები დაყო ხუთ ძირითად გიპად: 1. ავლუგინაციური ენები, 2. ფლექსიურ-ავლუგინაციური ენები, 3. ფლექსიური ენები, 4. ძირეული ენები, 5. პოლისინთეზური ენები.

ფორტუნაგოვის აზრით, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს არა მარტო სიტყვის გარეგან აგებულებას, გარეგან ფორმას, არამედ მის მნიშვნელობასაც.

გრამატიკა არის მოძღვრება ენის ფორმების შესახებ. სიტყვის ფორმას სწავლობს მორფოლოგია, ხოლო შესიტყვების ფორმას – სინტაქსი. როგორ ესმის ფ. ფორტუნაგოვს ცნება შესიტყვება? მისი აზრით, „ისეთ შესიტყვებას, რომელშიც არ არის წარმოდგენილი გრამატიკული ქვემდებარე ან შემასმენელი, ეწოდება დაუმთავრებელი. დაუმთავრებელი შესიტყვებები ჩვეულებრივ დამთავრებული შესიტყვების ნაწილს წარმოადგენენ; დამთავრებული შესიტყვება კი არის გრამატიკული წინადადება“ (27, 451).

ფ. ფორტუნაგოვი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც სცადა, გამოეყვინა ფორმალური კრიტერიუმი, რითაც განსხვავდება სიტყვა სიტყვათშეერთებისაგან და მორფემისაგან. მან შექმნა ფორმალისტული მოძღვრება სიტყვათწარმოქმნასა და სიტყვათცვლილების ფორმებზე, რომელმაც თითქმის ერთსულოვანი აღიარება პოვა რუსულ ლინგვისტიკაში. ასევე დიდი გავლენა მოახდინა ფორტუნაგოვის სინტაქსურმა კონცეფციამ რუსული ენის სინტაქსის შესახებ მოძღვრების განვითარებაზე.

ფ. ფორტუნაგოვის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოწაფე იყო პეტერბურგის აკადემიის წევრი ა. შახმატოვი

(1864-1920). ა. შახმაგოვის უმარმაზარი მეცნიერული მეტყვი-
დროება შეიცავს როგორც საკუთრივ ლინგვისტურს, ასევე
ფილოლოგიურ-ლიტერატურულ ნაშრომებს. მას ეკუთვნის
მონუმენტური გამოკვლევები დიალექტოლოგიაში, ძველ
რუსულ ლიტერატურაში, ფოლკლორის პრობლემებში, ის-
ტორიასა და ეთნოგრაფიაში, ენათმეცნიერების ისტორიის
თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო გამოკვლევები აქვს
სინტაქსის სფეროში. მათ შორის გამოირჩევა „რუსული ენის
სინტაქსი“, სადაც მარტივ წინადადებათა ტიპების სრული
აღწერაა მოცემული. ამ აღწერას ახლავს უმდიდრესი
ფაქტობრივი მასალა. აღნიშნულ ნაშრომში შახმაგოვმა
პირველმა სცადა გამოეყენებინა სისტემა რუსული ენის მრავ-
ალფეროვან სინტაქსურ კონსტრუქციებში.

„რუსული ენის სინტაქსი“ რუსულ ენათმეცნიერებაში
უკავია საპატიო ადგილი არა მარტო კონკრეტული მასალის
ღრმა და შინაარსიანი ანალიზით, არამედ ავტორის მოკადა-
ნათმეცნიერულ შეხედულებათა გამოხატვითაც. საგულისხ-
მოა, რომ ა. შახმაგოვი რთულ წინადადებებს არ შეხებია.

განსხვავებით ფ. ფორტუნაგოვისაგან, რომელიც სინტაქ-
სის ობიექტად მიიჩნევდა მოძღვრებას შესიტყვების შეს-
ახებ, ა. შახმაგოვი სინტაქსის კელეის ობიექტად წინადა-
დებას იღებს.

ა. შახმაგოვი ნაყოფიერად მუშაობდა აგრეთვე ფონე-
ტიკის სფეროშიც, სადაც შექმნა მნიშვნელოვანი გამოკვლე-
ვები: „გამოკვლევები რუსული ენის ფონეტიკიდან“ (1894წ.),
„რუსული ენის ბგერათა ისტორისათვის“ (1903წ.). ა. შახ-
მაგოვი თავის გამოკვლევებში ღვას ისტორიულ-შედა-
რებითი მეთოდის პოზიციებზე და ცდილობს, ალაღვინოს საე-
რთო რუსული წინარეენა. ამ მიზნით ის ერთმანეთს უდა-
რებს ძველ და თანამედროვე რუსულ დიალექტებს, მოხმო-
ბილი აქვს აგრეთვე სხვა სლავური ენების მასალაც.

ა. შახმაგოვი, ისე როგორც ფ. ფორგუნაგოვი, ენას სოციალურ მოვლენად მიიჩნევს, თუმცა თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ნეოგრამატიკოსთა გავლენით ის ფიქრობდა, რომ ხალხის ენა მეცნიერული ფიქციაა და რეალური არსებობა აქვს მხოლოდ ინდივიდუალურ ენას. შემდეგ შახმაგოვმა ეს თვალსაზრისი შეცვალა. ის ხაზს უსვამს ენის სოციალურ ფუნქციას: „ენა წარმოიშვა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალება“, – წერს ის.

მეტად საყურადღებოა ა. შახმაგოვის თეორია წინადადების რაობის შესახებ. მისი აზრით, „ელემენტარული ენა ჩაისახა და განვითარდა წინადადების შიგნით, წინადადებაში, რადგანაც წინადადება წარმოადგენს სიტყვაში აზროვნების გამოხატვის ერთადერთ საშუალებას“ (48, 339). ენის ევოლუცია იწყება წინადადებით. შემდეგ ხდება წინადადების დანაწევრება, მისგან გამოიყოფა შესიტყვეება და სიტყვა, როგორც ენის დამოუკიდებელი ერთეულები.

წინადადების თეორიის საფუძველია მოძღვრება კომუნიკაციის შესახებ. კომუნიკაცია არის აზროვნების აქტი, რომლის მიზანია მსმენელს გადასცეს მოლაპარაკის აზროვნებაში არსებული წარმოდგენათა კავშირი. ა. შახმაგოვი კომუნიკაციას მიიჩნევს წინადადებათა ყველა სახესხეობის ფსიქოლოგიურ საფუძვლად. წინადადება არის აზროვნების ერთეულის ენობრივი გარსი: „წინადადება არის ენის საშუალებით კომუნიკაციის ასახვა“... „წინადადება არის მეტყველების ერთეული, რომელიც მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ აღიქმება როგორც გრამატიკული მთლიანობა და გამოიყენება აზროვნების ერთეულის სიტყვიერ ფორმებში გამოხატვისათვის“.

ამრიგად, ა. შახმაგოვი თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ლოგიკაზე დაყრდნობით ცდილობს, დაადგინოს წინადადების ლოგიკურ-ფსიქოლოგიური ბუნება.

საკითხთა წრე, რომელსაც მოსკოვის ლინგვისტური სკოლა ამუშავებდა, ძალზე ფართო იყო. ფ. ფორტუნაგოვის მიმღეერები ავითარებდნენ მის იდეებს სინტაქსისა და მორფოლოგიის სფეროში, დიდ ყურადღებას აქცევენ სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესის გაშუქებას, სემასიოლოგიის პრობლემებს და სხვ.


ყაზანის ლინგვისტური სკოლა

ყაზანის ლინგვისტური სკოლა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ყაზანის უნივერსიტეტში. ამ სკოლის ფუძემდებელი იყო იმ დროის გამოჩენილი ენათმეცნიერი ივანე ალექსანდრეს ძე ბოლუენ დე კურტენე.

ყაზანის სკოლა, რომელიც ნეოგრამატიკული მიმდინარეობის შიგნით აღმოცენდა, იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი ორიგინალური შეხედულებებით. ბოლუენ დე კურტენე ცდილობდა შემოქმედებითად მიდგომოდა ძირითად ენათმეცნიერული პრობლემების გადაწყვეტას. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყაზანის სკოლის იდეები გამოძახილს პოულობს შემდგომში სოსიურის ზოგადლინგვისტური თეორიისა და გრუბეცკოის ფონოლოგიური კონცეფციის რიგ დებულებებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიზმი ნეოგრამატიკოსთა ენის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ფსიქოლოგიზმი დამახასიათებელია ყაზანის ლინგვისტური თეორიისთვისაც, მაგრამ აქ ფსიქოლოგიზმი სოციალური ხასიათისაა. ყაზანის სკოლა ენას მიიჩნევდა ფსიქიკურ მოვლენად, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამდა მის სოციალურ ხასიათსაც.

ბოლუენ დე კურტენეს თეორიული შეხედულებები გაიზიარეს და მას გვერდში ამოუდგნენ გამოჩენილი ენათმეც-



ივანე ალექსანდრეს ძე
ბოდუენ დე კურტენე

ნიერები: ე. ა. ბოგოროდიკი (1857-1941), ნ.ე. კრუმევესკი (1851-1887) და სხვ.

გამოჩენილი პოლონელი ენათმეცნიერი ივანე ალექსანდრეს ძე ბოდუენ დე კურტენე თანამედროვე ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. მისი მეცნიერული მემკვიდრეობისადმი ასეთი დიდი ყურადღება გამოწვეულია იმით, რომ ბოდუენის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლო მესამედში და ჩვენი საუკუნის დასაწყისში პირველად, ან სხეუბისაგან დამოუკიდებლად, მრავალი თეორიული საკითხი იქნა დასმული და გამოკვლეული, რომლებიც XX საუკუნის ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებად იქცა. საყოველთაოდ აღიარებულია ბოდუენ დე კურტენეს დამსახურება ფონემის თეორიის შექმნისა და ფონოლოგიის დაფუძნების საქმეში. ბოდუენ დე კურტენე ითვლება პრადის სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ წინამორბედად.

ი. ა. ბოდუენ დე კურტენე დაიბადა 1845 წელს ვარშავის ახლოს. მისი წინაპრები საფრანგეთიდან ყოფილან გადმოსახლებულნი პოლონეთში. 1866 წელს დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის განყოფილება. 1867 წელს მივლინებული იყო სამღვარგარეთ: პრადაში, იენასა და ბერლინში. 1870 წელს პეტერბურგში მიიღო მაგისტრის ხარისხი ნაშრომისთვის „ძველი პოლონური ენის მესახებ XIV საუ-

კუნემდე“. 1872-1875 წლებში აესტრიასა და იტალიაში სწაე-
ლობს სამხრეთ სლავურ ენებს. მილანში გაეცნო ცნობილ
იტალიელ მეცნიერს გ. ასკოლის, ხოლო ლაიფციგში, პ. პა-
ულიან ერთად, უსმენდა ნეოგრამატიკოს ა. ლესკინის ლე-
ქციებს. 1874 წელს მიენიჭა შედარებითი ენათმეცნიერების
დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ნაშრომისათვის „რეზიული
დიალექტების ფონეტიკა“.

ბოდუენ დე კურტენე მეტად ფართო და ორიგინალური
აზროვნების მეცნიერი იყო. ის მუშაობდა ზოგად ენათმეც-
ნიერებაში, ინდოევროპულ ენებში, განსაკუთრებით კი სლავ-
ურსა და შედარებით ენათმეცნიერებაში. ბოდუენ დე კურ-
ტენე სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა ყაზანში
(1874-1883), იურეეში (1883-1893), კრაკოვში (1894-1899), პე-
ტერბურგში (1900-1918) და ვარშავაში (1918-1929).

ბოდუენი თავის ნაშრომებს წერდა რუსულ, პოლონურ,
ჩეხურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ლიტვურ ენებზე.
ის ხშირად იყო საზღვარგარეთ, სადაც უსმენდა სახელგან-
თქმულ ევროპელ ენათმეცნიერებს: შლაიხერს, ლესკინს,
ასკოლის და სხვებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ „ის არავისი
მოწაფე არ ყოფილა, არც ერთ სკოლას არ ეკუთვნოდა, თა-
ვისთავს უწოდებდა ავტოდიქტაგს და მთელი თავისი სი-
უცხლის განმავლობაში ყველა გადასაწყვეტ საკითხში
ეკავა საკუთარი, არაგრაფარეგული პოზიცია“ (32,192).

იმ მეცნიერულ პრობლემებს შორის, რომლებითაც დაინ-
ტერესებული იყო ბოდუენ დე კურტენე, განსაკუთრებული
ადგილი ეკავა ცენტრალურ ზოგადლინგვისტურ საკითხებს.
დასმული საკითხების კელევისას ის ხშირად ენათმეცნიერე-
ბის სამღერებს გარეთ გადის, კერძოდ კი – ფსიქოლოგიაში.
თუ თავდაპირველად ის ენას მიიჩნევდა ადამიანის ორ-
განიზმის ერთ-ერთ ფუნქციად და მას ახასიათებდა როგორც
ფიზიოლოგიურ მოვლენას, შემდგომში ბოდუენი დადგა იმ
თვალსაზრისზე, რომლის მიხედვითაც ენასთან უფრო ახლოა

ფსიქოლოგიური ასპექტი. ზოგჯერ ამეიალებდა კიდევ ფსიქოლოგიის მნიშვნელობას ენათმეცნიერებაში და ამტკიცებდა, თითქოს რეალურად არსებობენ მხოლოდ ცალკეულ პირთა ინდივიდუალური ენები, თითქოს ფონემა იყოს მხოლოდ ფსიქიკური წარმოდგენა.

ბოლუენ ღე კურტენეს მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ყაზანის პერიოდს – 70-80-იან წლებს. ამის გამოა, რომ ამ მიმდინარეობამ თავისი სახელწოდებაყ აქედან მიიღო.

XIX საუკუნის ლინგვისტური ამროენებისათვის ახალი მოვლენა იყო ბოლუენის მიერ ენის სტატიკური (აღწერითი) ანალიზის დიდი მნიშვნელობის აღიარება იმ დროს ენათმეცნიერებაში გაბატონებული ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საპირისპიროდ. ბოლუენი ხაზგასმით წერდა, რომ ენის მექანიზმის გახსნისათვის, ენობრივი სისტემის ანალიზისათვის უფრო წარმატებით გამოიყენება სტატიკური მეთოდი, ეიდრე ისტორიულ-შედარებითი, რადგანაც ენობრივი სისტემა არის ენობრივ კომპონენტთა მყარი მდგომარეობა. იმ დროისათვის ეს დებულება იყო ახალი და თანაც მეტად მნიშვნელოვანი. ამით ბოლუენ ღე კურტენე ეხმაურება სოსიურის ცნობილ იდეებს ენაში სინქრონიისა და დიაქრონიის მკაცრი გამიჯვნის, სინქრონიული და დიაქრონიული გამოკვლევების გარჩევის შესახებ. ოლონდ სოსიურისაგან განსხვავებით, ბოლუენი თვლიდა, რომ ენის მეცნიერული აღწერის აღწერითი და ისტორიული ასპექტები ერთმანეთს კი არ გამორიცხაეს, არამედ ერთი და იმავე ენის ორ ასპექტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში ბოლუენ ღე კურტენე საფუძველს უყრის ლინგვისტიკის ამ დარგების გამიჯვნას (სინქრონიისა და დიაქრონიისა), რაც განპირობებულია საკვლევი ობიექტის ბუნებით. ბოლუენი ერთმანეთისაგან განარჩევს ენის განვითარების კანონებსა და ენის მოცემული

მდგომარეობის კანონებს. ეს მეორე რიგის კანონები ენის მოცემული მდგომარეობის არსს გამოხატავენ. ენის სტატი-სტიკა, მისი მონაცემები ცალკეულ ადებულ მომენტში ისტორიული მოძრაობის (ევილუციის) მომენტია, მისი დინამიკის ელემენტი.

ბოლუენ დე კურტენე სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს ნეოგრამატიკოსთა ფრაგმენტულ ისტორიზმს იმაში, რომ ისინი ენას განიხილავენ მხოლოდ ისტორიულ ასპექტში. ბოლუენი მოითხოვს, რომ დიაქრონიული ანალიზის დროს გაითვალისწინონ ენის სისტემური ხასიათი. ეს არის თვისებრივად ახალი დებულება ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში.

ბოლუენ დე კურტენე ენის რაობის, ენის არსის გაგების საკითხში გაემიჯნა ავგ. შლაიხერსა და მის თანამოაზრეებს. მისი აზრით, „ენის ჩათვლა „ორგანიზმად“, ენათმეცნიერებისა კი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებად ცარიელი ფრაზაა ფაქტობრივი საფუძელის გარეშე“. ის საფუძვლიანად ეხება იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ენის ორგანიზმად მიჩნევას წინ ეღობება. ყველა ეს წინააღმდეგობა მოიხსნება, თუ ენას ორგანიზმად კი არ მივიჩნევთ, არამედ ორგანიზმის ფუნქციად.

ბოლუენის პოზიტიური თვალსაზრისი ენის რაობის შესახებ ასეთია: ენაში ორი მხარე გამოიყოფა – ფიზიკური ანუ ფიზიოლოგიური და ფსიქიკური. ის წერს: „ენაში ერთმანეთს მჭიდროდ ერწყმის ორი ელემენტი: ფიზიკური და ფსიქიკური...“: ენაში ჩვენ განვასხვავებთ ორ მხარეს – ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს, ცერბერაციასა და ფონაციას, სხეანაირად რომ ეთქვათ: 1) ენას, ამ სიკვების მუსტი მნიშვნელობით და 2) წარმოთქმას. ენის არსს, ბუნებრივია, შეადგენს ცერბერაცია, ე.ი. გვინის პროცესი, რომელიც მემკვიდრეობითია და შექმნილია ბოლოლოგიური განვითარების გზითა და გარემოს გავლენით, „სამოგალოებრივ

ცხოვრებასთან კავშირში (17, 51). ფონაცია კი, ბოლუენის აზრით. აუცილებელია როგორც ცერბერაციის საბოლოო ნიშანი, როგორც დამაკავშირებელი რგოლი სხვადასხვა ინდივიდთა ცერბერაციებს შორის, რომელთაც შეუძლიათ ენის დახმარებით ურთიერთობა.

ამრიგად, ყაზანის სკოლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ბოლუენს ენაში წმინდა ფონეტიკური (ფიზიოლოგიური) და ფსიქიკური ელემენტების გარჩევის აღიარება მიაჩნია. ამ ორი ელემენტიდან ენის არსს განსაზღვრავს ფსიქიკური მხარე. მას აძლევს უპირატესობას ბოლუენი. ენის არსს წარმოადგენს მხოლოდ ცერბერაცია (გვინის პროცესი). ენობრივი მოვლენები ფსიქიკურია. აქედან გამომდინარე, ენის არსებობა და განვითარება განპირობებულია წმინდა ფსიქიკური კანონებით. უფრო მეტიც, არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს მეტყველებაში ანუ ენაში არც ერთი მოვლენა, რომელიც იმავდროულად არ იყოს ფსიქიკური. ენის არსებობის საფუძველი ობიექტურად ფსიქიკურია.

ბოლუენი თავის თვალსაზრისს ასე ამოგადებს: ყოველ ენაში განასხვავებენ ორ მხარეს: ბგერითსა და ფსიქიკურს. საკუთრივ ენობრივი – ესაა საშუალება, რომლითაც ბგერითი მხარე უკავშირდება ფსიქიკურ შინაარსს. ბგერითი მხარე ფსიქიკურის გარეგანი გამოვლენაა, მისი რეალიზაციაა და, ამდენად, მას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ენა, მართალია, ერთეულთა ფსიქიკური ერთობლიობაა, მაგრამ ამ ერთეულთა გამოვლენისა და აღნიშვნის საშუალებანი ფიზიკურ სამყაროს განეკუთვნება, უფრო სწორად, ფიზიოლოგიურსა და ფიზიკურს.

ამრიგად, ენის რაობის, ენის არსის ვაგებაში „ბოლუენი დარწმუნებული ფსიქოლოგისგია და ამ თვალსაზრისს იგი იცავს თავის ყველაზე აღრინდელი ნაშრომებიდან მოყოლებული სულ უკანასკნელ გამოკვლევებამდე“ (17,53).

როგორც ცნობილია, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ფონემის ცნებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ენათმეცნიერებაში კარგადაა ცნობილი, რომ ფონემის ცნება, როგორც ბგერისაგან განსხვავებული ერთეულის ცნება, ლინგვისტიკაში დაამკვიდრა, ერთი მხრივ, ბოდუენ და კურტენემ და კრუშევესკიმ, ხოლო მეორე მხრივ, ფ. დე სოსიურმა.

ბოდუენის ფონემის თეორიას დეტალურად არ განვიხილავთ. ამჯერად წარმოვადგენთ ფონემის გაგების ძირითად მომენტებს ბოდუენტან. აქედან ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ფონემა, როგორც ბგერისაგან განსხვავებული ცნება, და ფონოლოგია, როგორც ფონემის შემსწავლელი დისციპლინა (ფონეტიკის საპირისპიროდ), ერთბაშად არ გაჩენილა. ამ მხრივ ბოდუენს, კრუშევესკისა და სოსიურს პყავდათ წინამორბედები (ი. ვინგელერი, პ. სუიტი, ე. მივერსი), მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუქმნია ფონემის თეორია.

ბოდუენ და კურტენეს დიდი დამსახურებაა ფონემის თეორიის შექმნა. მან მოგვცა ფონემის თეორიის მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე იგი ცდილობდა აეხსნა ენობრივი მოდელის არსი. ის იძლევა ფონემის სხვადასხვა განსაზღვრას. 1881 წელს მისთვის ფონემა იყო „სიგნის ცნობილი ფონეტიკური ნაწილის ანთროპოფონიკურ თვისებათა განზოგადებული ჯამი“. იმავე ნაშრომში ფონემას განსაზღვრავს როგორც „უბრალოდ ანთროპოფონიკულ თვისებათა განზოგადებას, როგორც „ფონეტიკურ ტიპს“. აღნიშნული ფორმულირების საფუძველზე ბოდუენს ფონემა შემდეგნაირად ესახება: 1) ფონემა რთული ერთეულია; 2) ის შედგება ელემენტარული ერთეულებისაგან (თვისებებისაგან); 3) ელემენტარულ ერთეულთა მოცემული ერთობლიობა ენაში ფუნქციონირებს როგორც განუყოფელი მიეული; 4) ფონემები.

რომლებიც უმარტივესი ელემენტებისაგან შედგებიან, ენის სისტემაში გამოდიან როგორც თანაფარდობის (კორელაციის) წევრები; 5) ფონემა – ეს არის აბსტრაქცია, ენობრივი განზოგადების შედეგი, მეტყველებაში რეალურად გამოვლენილი ბგერების ლინგვისტური აბსტრაქციის რეზულტატი.

ამგვარად, ყაზანში მოღვაწეობის პერიოდში ბოდუენ დე კურტენესათვის ფონემა არსებითად კონსტრუქტიაა, რაღაც მუდმივია, მრავალ ვარიანტთა შორის ინვარიანტია, ამავე დროს, როგორც აბსტრაქტული ერთეული, სისტემური ერთეულია. ფონემა არის ჩვენს ფსიქიკაში ბგერის შესახებ მუდმივად არსებული წარმოდგენა მოლაპარაკის ენობრივ ცნობიერებაში.

ფონემის წარმოდგენილი განსაზღვრა არის მოლაპარაკის პოზიციიდან, ხოლო ლინგვისტის პოზიციიდან ფონემა არის ფუნქციონალური მოდელი, რომელიც ფუნქციონალურ-ლინგვისტური თვალსაზრისით განუყოფელი ერთეულია. საბოლოოდ ბოდუენისათვის ფონემა მეტყველების ბგერების ერთიანი, არაწარმატებალი წარმოდგენებია.

ფონოლოგია, ბოდუენ დე კურტენეს აზრით, სწავლობს ფონემებს მნიშვნელობის მქონე ერთეულთა აგებაში მათი როლის თვალსაზრისით.

ბოდუენ დე კურტენეს ფონემის თეორიაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის ფონემას განიხილავს სისტემაში როგორც ენობრივი სტრუქტურის ელემენტს, რომელიც სიგყვათგანმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს.

ბოდუენ დე კურტენემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენათა კლასიფიკაციის პრობლემატიკის გარკვევაშიც. თავის გამოკვლევებში ის განიხილავს სამგვარ კლასიფიკაციას: 1. ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას, 2. ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას და 3. ენათა კავშირებს.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია ემყარება ენათა ნათესაობის ცნებას. ბოდუენ დე კურტენეს აზრით, მონათე-

სავე ენები განვითარდნენ ერთი და იმავე პირველყოფილი ენისაგან და, ამდენად, ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე თავდაპირველი მასალის სახეცვლილებებს სხვადასხვა პირობების გავლენით. ენათა ნათესაობა, ბოლუენის აზრით, მტკიცდება ბგერათშესაგყვისობათა დადგენით შესადარებელ ენათა შორის. ბგერათშესაგყვისობას ბოლუენი სხვანაირად უწოდებს ერთი ენიდან მეორეზე ფონეტიკურ თარგმანს. მისი აზრით, ენათა ნათესაობის გარეგან ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ერთი ენიდან მეორეზე ფონეტიკური თარგმნის შესაძლებლობა, ე.ი. იმის შესაძლებლობა, რომ თითოეული (არაშეთვისებული) სიტყვა ერთი ენისა წარმოვიდგინოთ მეორის ფორმით გარკვეული ბგერითი კანონებისა და ბგერათშესაგყვისობათა სახით.

მართალია, ბოლუენ დე კურტენე არსებითად აღიარებს ენათა ნათესაობის გრადიციულ თეორიას, მაგრამ ამავე დროს შეაქვს მასში გარკვეული კორექტივებიც. მაგალითად, მისი აზრით, ენებს შორის ბგერათშესაგყვისობები ყოველთვის არ დასტურდება. ასეთ შემთხვევაში ენათა მკაცრი, მეცნიერულად საბოლოოდ დამტკიცებული გენეგური კლასიფიკაცია შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში შეიძლება ვილაპარაკოთ არა გენეალოგიურ კლასიფიკაციაზე, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, არამედ ენათა ცალკეული ჯგუფების მეცნიერულ დახასიათებაზე. საყურადღებოა აგრეთვე ბოლუენ დე კურტენეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბგერათშესაგყვისობათა არარსებობა ჯერ კიდევ არ არის შესადარებელ ენათა სხვადასხვა წარმოშობის დასაბუთება.

ბოლუენ დე კურტენე ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ენათა ნარეობის საკითხსაც. მისი აზრით, ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას აძნელებს ნარევი ენები. ყოველი ნარევი ენა ერთდროულად სხვადასხვა ენას ენათესავება, მისი სხვადასხვა ჯგუფში შეტანა კი კლასიფიკაციის პრინციპს ეწინააღმდე-

გება. ნარევი ენები განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან. მაგალითად, ებრაულ-გერმანული კილო, ჩინურ-რუსული კილო კიახტაში, ჩინურ-ინგლისური კილო და ა.შ. ამ ენებს „ეარგონებს“ ეუწოდებთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი „ეარგონები“ ზოგჯერ მეტად საპატიო და ძლიერ ენებად ჩამოყალიბდება ხოლმე. ამის დასტურად საკმარისია დაეასახელოთ ინგლისური ენა.

ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ბოდუენ დე კურტენე ეხება თითოეული ენობრივი ოჯახისა და ენობრივი შტოს ეგრეთ წოდებულ პრაენების (Ursprachen) და პირველყოფილ, ძირითადი ენების (Grundsprachen) ცნებებსაც. მისი აზრით, ეს პიპოთემური ენები უნდა გავივოთ არა როგორც კონკრეტულ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. საგულისხმოა, აგრეთვე, ბოდუენ დე კურტენეს აზრი ფუძენის რეკონსტრუქციის საკითხზე. მისი აზრით, ფუძე-ენის რეკონსტრუქცია შეუძლებელია. ფუძე-ენა არის მეცნიერული კონსტრუქტი, რომელიც მეცნიერებას სჭირდება როგორც პიპოთემა, საიდანაც გარკვეული ისტორიული პროცესების მეშვეობით გამოიყვანება ისტორიული მონათესავე ენები.

შეიძლება დაეასკენათ, რომ ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, ბოდუენ დე კურტენეს ახალი და ანგარიშგასაწევი შეხედულებები აქვს გამოთქმული. ეს შეხედულებები ღღესაც ძალაშია და მათი დაცვა თანამედროვე ენათმეცნიერების ამოცანათა კომპლექსში შედის.

ბოდუენ დე კურტენე ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციასაც ეხება. ისიც წინამორბედ ენათმეცნიერთა კვალდაკვალ, მორფოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით ენებს სამ ჯგუფად ყოფს: ერთმარცვლოვანი ენები, აგლუგინაციური და ფლექსიური ენები. იგი ფიქრობს, რომ ძირითად მორფოლოგიურ ჯგუფებს შორის გიპოლოგიური სხვაობა

განპირობებულია შესაბამის ენობრივ კოლექტივთა თავდაპირველი მსოფლმხედველობის თავისებურებით.

ერთ ენაში ერთდროულად შეიძლება რამდენიმე მორფოლოგიური ტიპის ნიშნები შეგვხვდეს. ეს მოვლენა უსნობი არ ყოფილა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ავტორებისათვის. ეს გარემოება მათ ხელს არ უშლიდა ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ცალკეული ენა მიეკუთვნებინათ იმ მორფოლოგიური ტიპისათვის, რომლის დამახასიათებელი ნიშნებიც უფრო ჭარბად იყო წარმოდგენილი საკვლევე ენაში.

გარდა განხილულ ენათა კლასიფიკაციისა – გენეალოგიურის და მორფოლოგიურის – ბოლუენ დე კურტენეს შემოაქვს ახალი, ენათა მესამე კლასიფიკაცია, რომელიც გააერთიანებს გეოგრაფიულად მომიჯნავე ენებს, რომლებიც ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ასეთი გავლენის შედეგად სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ენებში ჩნდება ახალი საერთო მორფოლოგიური ნიშნები, რაც ქმნის ამ ენათა გენეტიკური ნათესაობის ილუზიას. სინამდვილეში კი ასეთი ენები მონათესავე კი არა, შემდგომ დანათესავებული ენებია, როგორც შედეგი ურთიერთგავლენისა.

ურთიერთგავლენის შედეგად „დანათესავებულ“ ენათა ჯგუფებს ბოლუენი უწოდებს ენათა კავშირებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიაჩნია ენათა შორის სამგვარი მსგავსების არსებობა და ამის საფუძველზე კი სამგვარი კლასიფიკაცია: 1) ისტორიული ნათესაობის, 2) გეოგრაფიული კონტაქტებით მიღებული საერთო ნიშნების და 3) საერთო-საკაცობრიო მსგავსებისა და განსხვავების მისეღვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენათა დაახლოების პროცესის საფუძველზე ენათა ახალი კლასიფიკაციის, ენათა კავშირის შექმნის იდეა ენათმეცნიერებაში ნ. გრუბეცკოის სახელთან არის დაკავშირებული (რ. იაკობსონი). ამ იდეამ საკ-

მაო გაერცელება პოვა ენათმეცნიერებაში და საკმაო მიმდევარიც შეიძინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის წამოყენებას რაღაც ობიექტური საფუძველი ჰქონდა და ამ საფუძველს ყველაზე ადრე ბოდუნ დე კურტენემ მიაგნო.

ბოდუნ დე კურტენეს დამსახურებაა აგრეთვე ენათა გიპოლოგიურ შედარებაზე ყურადღების გამახვილება, რაც მის გამოკვლევებში დაუკავშირდა ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას, ენათა დანათესავებას (ენათა კავშირებს) და სლავურ ენათა კლასიფიკაციას, რომელსაც სპეციალისტები დღესაც აქტუალურად მიიჩნევენ.

ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტური თეორია

XX საუკუნის ლინგვისტური ამროვნება სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მიმართულებები არსებითად მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა და ძირითადად XIX საუკუნის ლინგვისტური ამროვნების მიღწევებით იკვებებოდა.

XX საუკუნის ლინგვისტური ამროვნების განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ფრანგმა ენათმეცნიერმა ფერდინანდ დე სოსიურმა. ის სამართლიანად ითვლება თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად. მის სახელთანაა დაკავშირებული ენათმეცნიერებაში სოციოლოგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბება. უმუალოდ სოსიურის იდეებიდან ამოდის სტრუქტურალიზმის მრავალი დებულება. ასევე, მისმა ზოგადლინგვისტურმა იდეებმა ბიძგი მისცა თვისებრივად ახალი კვლევითი მეთოდის ჩამოყალიბებას შედარებით ენათმეცნიერებაში, კერძოდ კი, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის შექმნას.

XX საუკუნის ლინგვისტთა შორის სოსიურმა პირველმა მოგვცა მთლიანი და ნათლად ჩამოყალიბებული ზოგადლინგვისტური თეორია. ეს თეორია ზოგადად აჯამებს განვლილი ენათმეცნიერების განვითარებას და ასახავს ყველა იმ მიღწევას, რაც წინა სამი საუკუნის (XVII-XIX) განმავლობაში ლინგვისტიკას შეუქმნია.

ფერდინანდ დე სოსიური (1857-1913). ეროვნებით ფრანგი, დაიბადა შვეიცარიაში, ენევეაში, 1857 წელს. სწავლობდა ენევეაში, ლაიფციგში და ბერლინში. 1876 წელს სოსიური ლაიფციგში უსმენდა ლესკინს, ბრუგმანს, ოსტოფს... აქ,



ფერდინანდ დე სოსიური

ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, გამოაქვეყნა თავისი გახმაურებული ნაშრომი „გამოკვლევა ინდოევროპული ენების ხმოვანთა თავდაპირველი სისტემის შესახებ“.

1880 წლის თებერვალში ლაიფციგში დაიწყო სადოქტორო დისერტაცია. 1881 წლიდან 10 წლის განმავლობაში პარიზში კითხულობდა ლექციებს. 1891 წელს დაბრუნდა ენევეაში როგორც უნივერსიტეტის ექსტრაორდინალური პროფესორი. 1896 წლიდან სოსიური სანსკრიტისა და ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის ორდინალური პროფესორია. 1906 წლიდან სოსიური ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას ხელმძღვანელობს. 1906-1911 წლებში მან სამჯერ წაიკითხა „ზოგადი ენათმეცნიერების

კურსი“. აქ მას უსმენდნენ შარლ ბალი და ა. სემე, შემდგომში ცნობილი ენათმეცნიერები.

ფერდინანდ დე სოსიური გარდაიცვალა 1913 წელს. სოსიურის სიკვდილის შემდეგ მისმა მოწაფეებმა ბალიმ და სემემ გამოსცეს მისი ლექციების კურსი, სახელწოდებით – „მოგადი ლინგვისტიკის კურსი“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე.


როგორც აღვნიშნეთ, სოსიურის ფუნდამენტურ მონოგრაფიას – „მოგადი ლინგვისტიკის კურსი“ – წინ უძღოდა მისი ბრწყინვალე „გამოკვლევა ინდოევროპული ენების ხმოვანთა თავდაპირველი სისტემის შესახებ“, რომელმაც მაშინვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება (ამ დროს სოსიური იყო 21 წლის) და მისი ავტორი აღიარეს გამოჩენილ ინდოევროპეისტად. მართლაც, აღნიშნულ ნაშრომში გამოიყენეს იმ დროისათვის ანალიზის სრულიად ახალი მეთოდი. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში მოცემულია მისი თეორიის ძირითადი პოსტულატები: ენა განხილული უნდა იქნეს როგორც სისტემა, სადაც ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ერთმანეთით განპირობებული. ამგვარად, აღნიშნულ ნაშრომს საფუძვლად უდევს ენობრივი სისტემის ცნება და, აქედან გამომდინარე, სოსიურის დასკვნები ემყარება იმას, რომ ყველა ენობრივი მოვლენა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. საანალიზო ენობრივ ფაქტებთან ასეთი მიდგომის საფუძველზე სოსიურმა შეძლო ვოკალური სისტემის არა მარტო ბრწყინვალე აღწერა, არამედ ხმოვნების რეკონსტრუქცია, რომლებმაც ინდოევროპული ძირის ბგერით შედგენილობაზე გარკვეული გავლენა მოახდინეს, ხოლო შემდეგ კი გაქრნენ.

ენობრივი ფაქტის ანალიზისას სისტემური მიდგომა, ლინგვისტური კვლევის პოსტულატად ცნება სისტემის გამოცხადება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ლინგვისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში. თავის

ჟუნდამენგურ ნაწრომს – „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ სოსიურმა საფუძვლად დაუდო მეცნიერულად მკაცრად დეფინიცირებული ცნება – სისტემა. ამაზე ააშენა მან თავისი ლინგვისტური თეორია.

სოსიურის კონცეფციის საფუძველია სამი ლინგვისტური ცნება: მეტყველების უნარი (langue), ენა (langue) და მეტყველება (parole). პირველი (მეტყველების უნარი) ფართო ცნებაა, ზოგადი ფენომენია და თავისთავში შეიცავს დანარჩენ ორ კონკრეტულ ცნებას – ენასა (langue) და მეტყველებას (parole). ამიტომ, რომ სოსიური „მეტყველების უნარს“ საგანგებოდ არ განსაზღვრავს, არ იძლევა მის ინტერპრეტაციას. სოსიურისათვის „მეტყველების უნარი“ („სამეტყველო მოქმედება“) არის „მეტყველების წრებრუნვა მთლიანად ანუ ენისა და მეტყველების ერთობლიობა“ (ი. შარაძენიძე). ამასთან დაკავშირებით ის წერს: „სამეტყველო მოქმედებას აქვს ორი მხარე: ინდივიდუალური და სოციალური, ამასთანავე ერთის გაგება შეუძლებელია მეორის გარეშე“ (45, 47).

აღნიშნული სამი ცნების ურთიერთმიმართების სქემა სოსიურის მიხედვით ასეთია:



სოსიურის კონცეფციაში ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ცნების – ენისა და მეტყველების – ურთიერთობა. ის თავის ნაწრომში „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ იძლევა აღნიშნულ ცნებათა საფუძვლიან დახასიათებას.

როგორია სოსიურისეული გაგება – ენის ცნება?

ენა არის „ზოგადად სამეცყეულო მოქმედების სოციალური ელემენტი, გარეგანი ინდივიდის მიმართ, რომელსაც თავისთავად არ შეუძლია არც შექმნას ენა, არც შეცვალოს იგი“ (45, 52). ანდა: „ენა – ესაა საგანძური, რომელიც სამეცყეულო პრაქტიკის წყალობით დაილექება ყველაში, ვინც ეკუთვნის ერთ სამოგადოებრივ კოლექტივს, ესაა გრამატიკული სისტემა, პოტენციურად არსებული ყოველ გვინში ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ინდივიდთა მთელი ჯგუფის გვინში, ვინაიდან ენა სრულად არ არსებობს არც ერთ მათგანში, ის არსებობს სრული სახით მხოლოდ მასაში“ (45, 52). ენა „სისტემაა ნიშანთა, რომლებიც გამოსახავენ წარმოდგენებს (იდეებს). ენა თავისი ბუნებით ერთგვაროვანია – ესაა ნიშანთა სისტემა, რომელშიც ერთადერთ არსებითს წარმოადგენს აზრისა და აკუსტიკური სახის შეერთება, თანაც ეს ორივე კომპონენტი თანაბრად ფსიქიკურია“. იქვე: „კოლექტივის დასტურის მქონე ასოციაციები, რომელთა ერთობლიობასაც ენა წარმოადგენს, ესაა რეალობანი, რომელთა ადგილსამყოფელი გვინშია: (54, 53). საგულისხმოა სოსიურის აზრი მკვდარი ენების შესახებაც: „მეცყეულებას მოწყვეტილი ენა ცალკე შესწავლის საგანიცაა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ მკვდარ ენებზე, მაგრამ მშვენიერად შეიძლება დავეუფლოთ მათ ენობრივ ორგანიზმებს“ (45, 53).

რაღა მეცყეულება?

„მეცყეულება არის, – წერს სოსიური, – ჯამი ყველაფრისა, რასაც ლაპარაკობს ხალხი; ის შეიცავს: ა) მოლაპარაკის ენაზე დამოკიდებულ ინდივიდუალურ კომბინაციებს; ბ) ფონაციის აქტებს, რომლებიც ასევე მოლაპარაკის ენაზეა დამოკიდებული და აუცილებელია ამ კომბინაციათა რეალიზაციისათვის. ამგვარად, მეცყეულებაში არაფერია კოლექტიური“ (54, 57).

თუ ენა არსებობს ინდივიდთა მთელ კოლექტივში, მასაში, ამის საპირისპიროდ მეცყეულება ნებისა და გონების

ინდივიდუალური აქტია, რომელშიც უნდა გაირჩეს: 1) კომბინაციები, რომელთა საშუალებითაც მოლაპარაკე სუბიექტი სარგებლობს ენობრივი კოდექსით თავისი საკუთარი აზრის გამოსახატავად; 2) ფსიქოფიზიკური მექანიზმი, რომელიც მას ამ კომბინაციათა ობიექტივიზაციის უფლებას აძლევს (45, 52).

ამგვარად, სამეცყველო მოქმედებაში გამოიყოფა ორი ობიექტი – ენა და მეცყველება. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, სამეცყველო მოქმედების შემსწავლელი მეცნიერებაც გაიყოს ორ ნაწილად. ერთი მათგანი ძირითადია, მისი საგანია ენა, სოციალური თავისი ბუნებით, ინდივიდისგან დამოუკიდებელი. მეცნიერება, რომელიც ენას სწავლობს, წმინდა ფსიქიკურია. სამეცყველო მოქმედების შემსწავლელი მეორე მეცნიერების საგანია მეცყველება. მეცნიერება, რომელიც მეცყველებას სწავლობს ფსიქოფიზიკურია.

„უეჭველია, – წერს სოსიური, – ორივე ეს საგანი (ე.ი. ენა და მეცყველება – კ. ჭ.) ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთს გულისხმობენ: ენა აუცილებელია, რომ მეცყველება გასაგები და ამავე დროს ეფექტური იყოს; თავის მხრივ, მეცყველებაც აუცილებელია – იმისათვის, რომ ენა ჩამოყალიბდეს; მეცყველების აქტი ისტორიულად ყოველთვის წინ უსწრებდა ენას ...ამგვარად, ენასა და მეცყველებას შორის ღვინდება ურთიერთდამოკიდებულება: ენა ერთდროულად იარაღიცაა და მეცყველების პროდუქტიც. მაგრამ ყველაფერი ეს არ უშლის ხელს, რომ ენა და მეცყველება იყოს სრულიად სხვადასხვა საგანი“ (45, 57).

ერთგან სოსიური წერს: „ჩვენთვის ენა – ეს არის სამეცყველო მოქმედება მინუს მეცყველება“ (45, 109).

ეს გასაგებიცაა, რადგანაც სოსიურისათვის ენა სოციალური მოვლენაა თავისი არსით, ხოლო მეცყველება ინდივიდუალურია, თანაც პირველი (ენა) არსებითია, მეორე კი

(მეცყველება) – არარსებითი, მეგნაკლებად შემთხვევითი: „ენისა და მეცყველების გაყოფით ჩვენ გამოუყოფთ: 1) სოციალურს ინდივიდუალურისაგან; 2) არსებითს მეორეხარისხოვანისაგან და მეგნაკლებად შემთხვევითისაგან“ (45, 52), – წერს სოსიური.

აღნიშნული დიქოგომიის (ენისა და მეცყველების) შესაბამისად სოსიური გეთავაზობს ორ ლინგვისტიკას – ენისა და მეცყველების ლინგვისტიკას. თითოეულ მათგანს აქვს თავ-თავისი ობიექტი – პირეულის ობიექტია ენა, ხოლო მეორისა – მეცყველება. ორ ავგონომიურ ობიექტს ორი მეცნიერება უნდა სწავლობდეს, ასეთია ლოგიკური დასკვნა იმათთვის, ვინც ენისა და მეცყველების დიქოგომიას აღიარებს.

ფერდინანდ დე სოსიურმა თავის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ ძირითადად ენის ლინგვისტიკის პრობლემები გააანალიზა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მას არ აკმაყოფილებდა ინდივიდუალური მეცყველებისადმი ის განსაკუთრებული ყურადღება, რასაც იჩენდა იმ დროს ვაბაგონებული ნეოგრამატიკული მიმდინარეობა. სოსიური ყოველთვის მოითხოვდა „ენის თვალსაზრისზე დგომას“. და ამ პოზიციიდან განიხილავდა ენობრივ პრობლემებს. ის ფიქრობდა, შემდგომში ემუშავა მეცყველების ლინგვისტიკაში, მაგრამ ვერ მოასწრო განხორციელებინა ეს ჩანაფიქრი. სოსიური მხოლოდ ფრაგმენტულად შეეხო მეცყველების ლინგვისტიკის ზოგიერთ საკითხს: „ჩვენ განსაკუთრებით ამ უკანასკნელში (ე. ი. ენის ლინგვისტიკაში – კ. ჭ.) ვმუშაობთ, თუმცა ზოგჯერ გაკერით გვიხდება მეცყველების სფეროდანაც მოვიძიოთ ასსნა-განმარტება, ჩვენ ყოველთვის ვეცდებით, არავეითარ შემთხვევაში არ წავშალოთ მღვარი, რომელიც ამ ორ სფეროს ჰყოფს“ (45, 58).

სოსიურის თეორიულ კონცეფციაში ყურადღებას იქცევს ენობრივი ნიშნის თვისებებისა და რაობის ზოგადი ინტერ-

პრეგაცია. ეს საკითხი ლოგიკურად გამომდინარეობს ენისა და მეტყველების დიქტომიიდან. ენა, სოსიურის განმარტებით, „სისტემაა ნიშანთა, რომლებიც გამოხატავენ წარმოდგენებს (იდეებს)“, (45, 54). „ენა სისტემაა ნიშანთა, რომლებშიც ერთადერთ არსებითს წარმოადგენს ამრისა და აკუსტიკური სახის შეერთება“ (45, 53).

თუ ენა ნიშანთა სისტემაა, მაშინ ლოგიკურია, გაირკვეს ნიშნის თვისებებიც: რა თვისებები ახასიათებს ენობრივ ნიშანს? რა არის მისი ძირითადი თავისებურებანი?

სოსიურის ამრით, ენობრივი ნიშანი ნებისმიერია. ეს ნიშნავს იმას, რომ „კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ნებისმიერია“ (45, 100). „ნიშნის ნებისმიერობის პრინციპს, – წერს სოსიური, – არაეინ არ უარყოფს... ეს პრინციპი ენის მთელ ლინგვისტიკას იქვემდებარებს; მისი შედეგები აურაცხელია“ (45, 101).

მაგრამ სიტყვა „ნებისმიერი“ არ უნდა გაეიგოთ ისე, – გვაფრთხილებს სოსიური, – თითქოს მოლაპარაკეს შეეძლოს აღმნიშვნელის თავისუფლად შერჩევა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ აღმნიშვნელი მოგივირებული არ არის, ე. ი. ნებისმიერია მოცემული აღსანიშნის მიმართ, რომელთანაც მას სინამდელიეში არა აქვს არაეითარი ბუნებრივი კავშირი“ (45, 101).

თუ ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ, მაშინ, ბუნებრივია, ღვება საკითხი, რაგომ არა აქვს ადგილი ამგვარი ნიშნებისაგან შემდგარ ენაში საერიოთ და ერთბაშად უკლას?

სოსიური ამას ხსნის შემდეგი მიზეზებით: ა) ნიშანი ნებისმიერია... ნიშნისთვის ეს ნებისმიერობა იცავს ენას ყოველგვარი ცდისაგან, რომელიც მიმართული იქნებოდა მისი შეცელისაკენ. ბუნებრივია, რაკი ნიშანი ნებისმიერია, არ შეიძლება დაისევას საკითხი, რომელი მათგანია უფრო რაციონალური; მაგ., რუსული ნык, ქართული ხარი, გერმანული

ochs – გარკვეული ცხოველის პირობითი ნიშნებია. აქ არ დგას საკითხი, რომელი სახელია უკეთესი მათ შორის. აღნიშნული სახელები თიანაბრად ემსახურებიან შესაბამის ენობრივ კოლექტივებს კომუნიკაციაში.

ბ) ენობრივი ნიშნები მრავალია და ეს აძნელებს ნიშანთა ცვლას.

გ) ენობრივი სისტემა მეტად რთულია და მასში ცვლილების შეგანაც ძნელია. ენობრივი სისტემის რთულ მექანიზმში მხოლოდ სპეციალისტები ერკვევიან და მხოლოდ მათ თუ შეუძლიათ გარკვეული ცვლილება შეიგანონ მასში, ისიც მხოლოდ ისეთი, რაც ენობრივი სისტემის პოტენციას შეესაბამება, ამ სისტემით „სანქცირებულია“. თუმცა ამგვარ ჩარევასაც წარმატება არ ჰქონია.

დ) კოლექტივის ინერცია ეწინააღმდეგება ყოველ სიახლეს ენაში. ენა ენობრივი კოლექტივის ყველა წევრის კუთვნილებაა და ამიტომ ყოველგვარი ინდივიდუალური გადახვევა ტრადიციით დადგენილი ენობრივი ნორმიდან ენობრივი კოლექტივის მხრივ გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებულ წინააღმდეგობას აწყდება. ენობრივი კოლექტივი „კონსერვატიული ძალაა, რომელიც აიძულებს ცალკეულ ინდივიდებს ილაპარაკონ ისე, როგორც ლაპარაკობენ კოლექტივის სხვა დანარჩენი წევრები. ამ თვალსაზრისით ენა არსებითად განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისგან. ენაში შეუძლებელია რევოლუცია. ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტს შორის ინიციატივის გამოჩენა ყველაზე ნაკლებად ენაშია შესაძლებელი. ენა საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც თავისი ბუნებით ინერტულია და ამიტომ, პირველ ყოვლისა, გვეუბნება როგორც „კონსერვატიული“ ფაქტორი.

დაბოლოს, სოსიური ასკენის: „სწორედ იმიტომ, რომ ნიშანი ნებისმიერია, მან არ იცის სხვა კანონი ტრადიციის

კანონის გარდა და მხოლოდ იმიტომ შეიძლება იყოს იგი ნებისმიერი, რომ ემყარება გრადიციას“ (45, 107).

ამგვარად, ნიშანი ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ, მაგრამ ენობრივი კოლექტივის მიმართ, რომელიც ამ ნიშანს ხმარობს, ის თავისუფალი არ არის, თავს მოხვეულია. კოლექტივს არ შეუძლია ენის მიერ არჩეული ნიშნის შეცვლა. სოსიური წერს: „ენა თითქოს ამბობს: „ამოიღო ჩივი!“ მაგრამ იქვე უმაგებს: „...აი ეს ნიშანი, და არა სხვა!... საზოგადოება იღებს ენას ისეთს, როგორიც ის არის“ (45, 104).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოსიური ნიშნის ნებისმიერობის გვერდით უშუალოდ არანებისმიერ ნიშნებსაც, მისი ამრით, ნიშანი შეიძლება იყოს შედარებით მოტივირებული: „ყოველ ენაში არის ორგვარი ელემენტი – მთლიანად ნებისმიერი და შედარებით მოტივირებული, – მაგრამ მეტად განსხვავებული პროპორციით, ენათა ეს თავისებურება შეიძლება გამოიყენონ მათი კლასიფიკაციის დროს“ (45, 165).

ენობრივ ნიშანთან დაკავშირებით სოსიური სვამს საკითხს ამ ნიშნის რაობის, მისი ბუნების შესახებ. ის წერს: „ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხაგს. ეს უკანასკნელი არაა მაგერიალური, წმინდა ფიზიკური ბგერა, არამედ ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდია, წარმოდგენაა ჩვენი გრძნობითი ორგანოს მეშვეობით მიღებული, ესაა გრძნობითი სახე; თუ ჩვენ მას ეუწოდებთ „მაგერიალურს“, მხოლოდ ამ გაგებით და იმის გამო, რომ მას უპირისპირდება ასოციაციის მეორე მომენტი – ცნება, საერთოდ, უფრო განყენებული“ (45, 99).

აქედან გამომდინარე, სოსიური ასკენის: „ამგვარად ენობრივი ნიშანი არის ორმხრივი ფსიქიკური რაობა“, რომელიც სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



„ორივე ეს ელემენტი – ცნება და აკუსტიკური სახე – მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს გულისხმობს“ (45, 99).

თუ ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში გერმინი „ნიშანი“ ჩვეულებრივ გულისხმობს მხოლოდ აკუსტიკურ სახეს, სოსიურისათვის ნიშანი არის ცნებისა და აკუსტიკური სახის ერთიანობა, მათი კომბინაცია.

სოსიური საჭიროდ მიიჩნევს გერმინების – ცნება და აკუსტიკური – შემცვლელად შემოიგანოს ახალი გერმინები: აღმნიშვნელი და აღსანიშნი. „ჩვენ წინადადებას ვიძლეეთ, – წერს სოსიური, – შევყინათ სიტყვა ნიშანი მთლიანის აღსანიშნად და შესაბამისად შეეცვალოთ გერმინები „ცნება“ და „აკუსტიკური სახე“ გერმინებით აღსანიშნი და აღმნიშვნელი“ (45, 100).

„აღმნიშვნელი“ და „აღსანიშნი“ ორივე ფსიქიკური მონაცემებია... ამგვარი კომპონენტებისაგან შედგენილი ნიშანი, რა თქმა უნდა, შეიძლება მხოლოდ ფსიქიკური ოდენობა იყოს. ამას თავად სოსიურიც ხაზგასმით აღნიშნავს: „ენა, როგორც ჩვენ ის განვსაზღვრეთ, თავისი ბუნებით არის ერთგვაროვანი მოვლენა – ესაა ნიშანთა სისტემა, რომლის ერთადერთი არსებითი ნიშანია აზრისა და აკუსტიკური სახის შეერთება, ამასთანავე ნიშნის ეს ორივე ელემენტი თანაბრად ფსიქიკურია“ (45, 53).

ამგვარად, სამეცნიერო მოქმედება შედგება ენისა და მეცნიერებისაგან. ენა ნიშანთა სისტემაა. ნიშანი ფსიქიკური

ოღენობაა. აქედან გამომდინარე, ენაც ფსიქიკურ სფეროს განეკუთვნება.

ენობრივი ნიშნის სრულყოფილი მეცნიერული დახასიათებისათვის, სოსიურის აზრით, აუცილებელია მისი, როგორც ენობრივ ნიშანთა სისტემის წევრის, ინტერპრეტაცია. კვლევის ამ ასპექტში წარმოჩნდება ენობრივი ნიშნის ახალი შინაარსი, ახალი თვისება, რომელსაც სოსიური უწოდებს ნიშნის ღირებულებას. ამრიგად, ენობრივ ნიშანთან დაკავშირებით სოსიურის ლინგვისტურ თეორიაში შემოდის ახალი ცნება.

„ღირებულების“ ცნება სოსიურის ლინგვისტური თეორიის ქვაკუთხედიანია. ეს ცნება შინაგან კავშირშია „იგივეობისა“ და „რეალობის“ ცნებებთან. ამ ორი ცნების ინტერპრეტაცია წინ უძღვის „ღირებულების“ ცნების დახასიათებას. სოსიურის აზრით, „ენის მთელი მექანიზმი ემყარება მხოლოდ იგივეობრიობასა და განსხვავებულობას, ამასთანავე ეს უკანასკნელი პირველის შებრუნებული სახეა“ (45, 141).

იგივეობრიობის ცნებაში სოსიური არ გულისხმობს ენობრივ ერთეულთა მაგერიალურ იგივეობას, არამედ იმ განსაზღვრულ პირობებს, სადაც ეს ელემენტი თავის ფუნქციას ასრულებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: ორი სწრაფი მაგარებელი ენევა-პარიზი 24 საათის ინტერვალით გადის რეგულარულად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მაგარებელი მთელი თავისი შემადგენლობითაც სხეადასხვაა, ჩვენ მათ ორივეს ვუწოდებთ ენევა-პარიზის სწრაფ მაგარებულს.

მეორე ასეთი მაგალითი მოჰყავს სოსიურს: ქუჩიდან აიღეს ყველა სახლი. შემდეგ იქვე ააშენეს ახალი სახლები. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქუჩიდან მაგერიალურად არაფერი დარჩა, ჩვენ მას მაინც იმავე ქუჩად აღვიქვამთ. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ის, რაც მას ამ ქუჩად ქმნის

და არა სხვა ქუჩად, არ არის წმინდა მაგერიალური. მის არსს ქმნის რაღაც პირობები, რომლებისთვისაც სულ ერთია მისი შემთხვევითი მასალა, მაგალითად, მისი მდებარეობა სხვა ქუჩების მიმართ.

რით არის ეს განპირობებული?

მთავარი აქ ის არის, რომ ფაქტორი, რაც ამ ორ მაგარებელს აიგივებს, ანდა სახლების შეცვლით, ქუჩის ცნებას არ ცვლის, არ არის მაგერიალური ოდენობა. სოსიური წერს: „რაც მას ქმნის (ე. ი. იგივეობრიობას – კ. ჯ.) არ წარმოადგენს წმინდა მაგერიალურს. მისი არსი განისაზღვრება გარკვეული პირობებით და არა მასალით, რომლისგანაც ის შედგება. მაგალითად, მისი ადგილმდებარეობა სხვა ქუჩების მიმართ. ასევე იქმნება ერთი და იგივე წარმოდგენა სხვადასხვა მაგარებლის შესახებ მისი გამგზავრების დროის, მარშრუტისა და საერთოდ სხვა გარემოებათა მიხედვით, რომლებიც მას განასხვავებს დანარჩენი მაგარებლებისაგან. ყოველთვის, როცა კი ერთი და იგივე პირობები ხორციელდება, ვიღებთ ერთ და იმავე არსს (сущности). ამასთან ერთად ეს არსი (сущности) არ არის აბსტრაქტული იმიტომ, რომ ქუჩა ან სწრაფი მაგარებელი ვერ წარმოიდგინება მაგერიალური რეალიზაციის გარეშე (45, 141).

ენობრივი ნიშანი ხასიათდება არა მარტო იგივეობის, არამედ დიფერენციალური ნიშნების მიხედვითაც. ამ ორი თვისების – სხვაობის და იგივეობის – საფუძველზე ენის სისტემაში ყალიბდება ენობრივ ელემენტთა მთელი რიგი ჯგუფები (სიგყეების, მორფემების).

ენობრივი ნიშნის რაობის ცნებასთან შინაგან კავშირში სოსიური სვამს ნიშნის „ღირებულების“ პრობლემასაც (ენობრივი ნიშნის რაობის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი).

თუ ენობრივი ნიშნის არსი აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთიანობით განისაზღვრება, იმავე ნიშნის „ღირე-

ბულება“ კვალიფიცირდება მოცემული სისტემის სხვა წევრებთან მიმართებაში. ნიშანი სისტემის წევრია. სისტემაში განისაზღვრება მისი „ღირებულება“, სისტემის სხვა წევრებთან მიმართებაში იკვეთება ენობრივი ნიშნის შინაარსი, ე. ი. „ღირებულება“. ამდენად, ნიშანი როგორც სისიტემის წევრი ქმნის „ღირებულებას“ ცნებას.

ენობრივი ნიშნის უფრო ნათლად წარმოსაჩენად სოსიური პარალელს აელებს ჭადრაკის ფიგურებთან. ის წერს: „ავილოთ ცხენი. წარმოადგენს თუ არა ის თავისთავად თამაშის ელემენტს? რა თქმა უნდა, არა. იმიტომ, რომ ის მხოლოდ თავისი მაგერიალობით სათამაშო დაფისა და თამაშის სხვა პირობების გარეშე მოთამაშისათვის არაფერს წარმოადგენს. ცხენი რეალურ და კონკრეტულ ელემენტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა თამაშში აღიჭურვება „ღირებულებით“ და მას განუყოფლად დაუკავშირდება. დაუშვათ, თამაშის დროს აღნიშნული ფიგურა გაგყდა ან დაიკარგა, მაშინ შეიძლება თუ არა მისი შეცვლა სხვა რამით? რა თქმა უნდა, შეიძლება. არა მარტო ცხენის ფიგურით, არაპედ ნებისმიერი საგნით, რომელსაც ცხენის ფიგურასთან არაფერი მსგავსება არ ექნება. მაგრამ ის უნდა გათანაბრდეს ცხენთან და მიეცეს მას იგივე „ღირებულება“, რაც ცხენის ფიგურას აკისრია ჭადრაკის თამაშის სისტემაში. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სემიოლოგიურ სისტემებში, როგორც, მაგალითად, ენაში, სადაც ყველა ელემენტი ერთმანეთთან დაკავშირებულია და გარკვეული წესების შესაბამისად ქმნის წონასწორობას, იგივეობის ცნება ერწყმის ღირებულების ცნებას და, პირიქით.

აი რაგომაა, რომ ღირებულების ცნება, საბოლოო ჯამში, ფარავს როგორც ერთეულის ცნებას, ასევე კონკრეტულ ენობრივ არსს და ენობრივი რეალობის ცნებას“ (45, 143).

ღირებულების ცნების რაობას სოსიური, პირველ რიგში, ლექსიკური ერთეულის მიმართ ადგენს. ლექსიკური ერთე-

ული, სოსიურის აზრით, არის ენის მექანიზმის ცენტრალური ფიგურა. ამასთან დაკავშირებით გასარკვევია სიგყვის „ღირებულებისა“ და „მისი“ „მნიშვნელობის“ ურთიერთმიმართების საკითხი. როდესაც სიგყვის ღირებულებაზე საუბარი, ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვთ სოლმე მისი „მნიშვნელობა“, რომელიც ენობრივი „ღირებულების“ ერთ-ერთი ასპექტია. „მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ რითიღა განსხვავდება ღირებულება იმისაგან, რასაც ჩვენში „მნიშვნელობას“ ვუწოდებთ? – სეამს სოსიური კითხვას. იგი უფრო შორსაც მიდის: „ეს ორი სიგყვა სინონიმებს ხომ არ წარმოადგენს? ჩვენ ამას არ ვფიქრობთ (ხაზი ჩვენია – ე. ჯ.), თუმცა მათი აღრევა ადვილია, რადგანაც ამას ხელს უწყობს არა იმდენად ტერმინთა მსგავსება (значимость, значение), რამდენადაც აღსანიშნთა უმნიშვნელო სხვაობა“ (45, 146).

სიგყვის „მნიშვნელობისა“ და „ღირებულების“ ცნებათა უფრო ნათლად გამიჯვნის მიზნით სოსიური მიმართავს სქემატურ გამოსახულებას:




როგორც ისრები გვიჩვენებენ სქემაზე, მნიშვნელობა არის ის, რაც აკუსტიკურ ხატს შეესაბამება. მაშასადამე, აღსანიშნო არის ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა. აკუსტიკური ხატისა და შესაბამისი ცნების ერთიანობა ამ შემთხვევაში წარმოდგენილია სიგყვის ფარგლებში. „მნიშვნელობა“, როგორც ცნება, სიგყვის ფარგლებიდან არ ვადის, „მნიშვნელობა“ სიგყვაშია მოცემული. ეს ფაქტორი განმსაზღვრელია „მნიშვნელობის“ არსის დეფინიციის დროს. მაგრამ ენა ხომ ნიშანთა სისტემაა. ენობრივი ნიშანი არ

არის ენის უბრალო ფაქტი, ის სისტემის შემადგენელი ელემენტია. სისტემა კი მთლიანობაა. სისტემაში შემაჯავალი ყოველი ელემენტის ფუნქცია, სოსიურის მიხედვით, განისაზღვრება სისტემის კომპონენტების ურთიერთმიმართებით. სისტემის წევრს აქვს არა მარტო „მნიშვნელობა“, არამედ „ღირებულება“: „სისტემაში სიტყვას აქვს არა მარტო მნიშვნელობა, არამედ, რაც მთავარია, მას აქვს ღირებულება, ეს კი, სრულიად სხვა რამეა“ (45, 148). ნიშნის „ღირებულება“ იქმნება სისტემის სხვა კომპონენტებთან დაპირისპირებაში. ამდენად, „ღირებულების“ ცნება, ენის როგორც სისტემის, საკვანძო ცნებაა. უფრო მეტიც: „ენა არის ღირებულებათა სისტემა“ (45, 113).

როგორც ვხედავთ, ღირებულების ცნებას ქმნის სისტემაში ენობრივ ელემენტთა დაპირისპირება. ამის ნათელსაყოფად სოსიურს მოჰყავს ანალოგია ჭადრაკის ფიგურებთან. ის წერს: „როგორც დაფაზე ჭადრაკის ფიგურათა ღირებულება დამოკიდებულია მოცემულ მომენტში მათ მდებარეობაზე, ასევე ენაშიც ყოველი ელემენტის ღირებულება დამოკიდებულია მის დაპირისპირებაზე სისტემის სხვა ელემენტებთან“ (45, 121).

ღირებულების თვალსაზრისით სისტემის წევრთა (ლექსიკის დონეზე) დაპირისპირებას სოსიური სქემატურად ასე გამობხაგავს:



ამ სქემის მიხედვით, ლექსიკური სისტემის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან თავიანთი „მნიშვნელობით“, რაც ნაჩვენებია ისრებით. სწორედ ასეთი დაპირისპირება

ქმნის მათ ღირებულებას. ამ ამრის საილუსტრაციოდ სოსიურს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ფრანგული სიტყვა mouton „ცხვარი“, „ცხვრის ხორცი“ თავისი მნიშვნელობით შეიძლება დაემთხვეს ინგლისურ სიტყვას sheep „ცხვარი“. მაგრამ თავისი ღირებულებით ეს ორი სიტყვა – ფრანგული და ინგლისური – ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგანაც მაგიდაზე კერძის სახით მიგანილ ხორცს ინგლისელი უწოდებს mutton და არა – sheep. ინგლისურ sheep და ფრანგულ mouton სიტყვებს შორის ღირებულების მიხედვით სხვაობა მით არის გამოწვეული, რომ ინგლისურ sheep-ის გვერდით აქვს კიდევ სხვა სიტყვა, რაც ფრანგულს არ გააჩნია. ღირებულების ცნება აქ განხილულია ლექსიკის დონეზე. სოსიურის ამრით: „შემოთ სიტყვების შესახებ ნათქვამი ვრცელდება ენის ნებისმიერ მოუღებებზე, მაგალითად, გრამატიკულ კატეგორიებზე“ (45, 149). ამასთან დაკავშირებით სოსიურს ილუსტრირებული აქვს რიცხვის კატეგორია ფრანგულისა და სანსკრიტულ ენებში ჩვენ აქ წარმოვადგენთ ქართულის და რუსულის მაგალითებს ბრუნების კატეგორიიდან. მაგალითად, სახელობითი ბრუნვა ქართულსაც აქვს და რუსულსაც. ეს ბრუნვა სუბიექტის ბრუნვაა რუსულში და გარკვეულ პოზიციებში ის ქართულშიც სუბიექტს გამოხატავს. ამის მიხედვით თითქოს შესაძლებელი უნდა იყოს მათი გათანაბრება. მაგრამ, თუ აღნიშნულ ბრუნვას განვიხილავთ სისტემაში, როგორც სისტემის წევრს, მაშინ გაირკვევა, რომ მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა და ეს სხვაობა სწორედ მათ ღირებულებაში ვლინდება. საქმე ისაა, რომ, თუ რუსულში სახელობითი ბრუნვა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა, სულ სხვა ვითარება ვლინდება ამ მხრივ ქართულში. სახელობითის გარდა სუბიექტის ბრუნვებია მოთხრობითი და მიყვებითი. უფრო მეტიც, ქართულში სახელობითი ობიექტის ბრუნვაცაა გარდამავალ მზნებთან II და III სერიებში.

ამდენად, ნათელია, რომ ქართული სახელობითი ბრუნვის გრამატიკული შინაარსის „ღირებულება“ არსებითად განსხვავდება რუსული შესაბამისი ბრუნვის „ღირებულებისაგან“. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ქართული ენის ბრუნების სისტემა თავისი სტრუქტურით, წვერთა ფუნქციური დაპირისპირებით განსხვავებულია რუსული ენის ბრუნების სისტემისაგან.

როგორც უხედავთ, ღირებულების ცნება განისაზღვრება ენის სისტემურიდან ამოსვლით, სისტემის გარეშე „ღირებულების“ ცნება არ არსებობს. ენის სისტემურობა კი სოსიურის მთელი ლინგვისტური ენობრივი ნიშნის ფუნქციას განსაზღვრავს, წარმოადგენს ფერდინანდ დე სოსიურის თეორიის ერთ-ერთ საკვანძო ცნებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სოსიურის შემდეგ ენობრივი ნიშნის ეს ორი ძირითადი სემიოტიკური ცნება – „მნიშვნელობა“ და „ღირებულება“ – იხმარება გაუდიფერენცირებლად, ანდა ურთიერთგამომრიცხველ ცნებებადაც. მეცნიერთა ერთი წყება ენობრივი ნიშნის მნიშვნელობის გადმოსაცემად ხმარობს მხოლოდ „ღირებულების“ ცნებას, ხოლო მეორენი მხოლოდ – „მნიშვნელობის“ ცნებას. ამ ორი ძირითადი სემიოტიკური ცნების მიმართ ასეთი გაურკვეველობა გამოწვეულია იმით, რომ „ღირებულებას“ მიაკუთვნებენ მხოლოდ ენას, ხოლო „მნიშვნელობას“ – მეტყველების ერთეულებს.

სინქრონიული ლინგვისტიკა და დიაქრონიული ლინგვისტიკა

მეტყველებისა და ენის დიქოტომიასთან, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ლოგიკურ კავშირშია ენათმეცნიერებაში სინქრონიისა და დიაქრონიის დიქოტომია.

ამასთან დაკავშირებით სოსიური წერს: „ამგეარად, ლინგვისტიკა მიადგა თავის მეორე დიქოგომიას. პირველად ჩვენ მოგვიხდა ენისა და მეტყველების გარჩევა. ახლა ვიმყოფებით მეორე გზაჯვარედინზე, საიდანაც გადის ორი გზა: ერთი – დიაქრონიაში, მეორე – სინქრონიაში“ (45, 130). აქ სოსიური აყენებს გერმინის საკითხს: რა ეწოდოს ამ ორ ლინგვისტიკას. მისი აზრით, მუსტი იქნებოდა მათთვის გვეწოდებინა ევოლუციური ლინგვისტიკა და სტატიკური ლინგვისტიკა.

მაგრამ ბოლოს წერს: „ჩვენ ვამჯობინებთ, ვილაპარაკოთ სინქრონიული ლინგვისტიკისა და დიაქრონიული ლინგვისტიკის შესახებ. სინქრონიულია ყველაფერი, რაც ჩვენი მეცნიერების სტატიკურ ასპექტს განეკუთვნება, დიაქრონიულია ყველაფერი, რაც ევოლუციას ეხება. ხოლო არსებითად სინქრონია და დიაქრონია შესაბამისად აღნიშნავენ ენის მდგომარეობას და ევოლუციის ფაზას“ (45,114).

განსხვავება სინქრონიასა და დიაქრონიას შორის ყველგან ვლინდება. სინქრონიულ ასპექტს სოსიური უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე დიაქრონიულს, რადგანაც მოლაპარაკე მასისათვის მხოლოდ ის არის ნამდვილი და ბუნებრივი რეალობა. ორივე ლინგვისტიკის მეთოდები განსხვავებულია: „სინქრონიამ იცის მხოლოდ ერთი, მოლაპარაკე სუბიექტის პერსპექტივა, და მთელი მისი მეთოდი მდგომარეობს მათგან ფაქტების შეგროვებაში.. პირუკუ, დიაქრონიულმა ენათმეცნიერებამ უნდა განასხვავოს ორი პერსპექტივა: ერთია პროსპექტული, რომელიც მისდევს ღროის მიმდინარეობას, და მეორე, რეტროსპექტული უკუმიმართულებისა (45,123). ეს უკანასკნელიც დაფუძნებულია შედარებაზე.

დიაქრონიული ენათმეცნიერებისთვის – სოსიურის მიხედვით – ძირითადია რეტროსპექტული მეთოდი. ეს უკანასკნელი მოითხოვს რეკონსტრუქციის მეთოდს.

გარდა აღნიშნული განსხვავებისა, სინქრონია და დიაქრონია ერთმანეთისაგან განსხვავდება კიდევ იმ მასალის მოცულობით, რომელსაც ისინი სწავლობენ. სინქრონიის ობიექტია ცალკეულ ენათა ფაქტების ერთობლიობა დროის გარკვეულ მონაკვეთში აღებული. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაითვალისწინონ დიალექტური მონაცემებიც.

ხოლო „ზოგადი სინქრონიული ლინგვისტიკის ამოცანა არის იმ პრინციპების დადგენა, რომლებიც საფუძვლად უდევს ნებისმიერ სისტემას დროის მოცემულ მომენტში და გამოავლინოს ენის ნებისმიერი მდგომარეობის კონსტიტუციური ფაქტორები“ (45, 1330).

სოსიურის აზრით, სინქრონიულ ლინგვისტიკაში მუშაობა გაცილებით ძნელია, ვიდრე დიაქრონიულ ლინგვისტიკაში. ის წერს: „საერთოდ, რომ ვთქვათ, სტატიკურ ლინგვისტიკაში მუშაობა უფრო ძნელია, ვიდრე ენის ისტორიაში (45, 1330).

ხოლო დიაქრონიული ლინგვისტიკა უარყოფს ასეთ სპეციალიზაციას. არ არის აუცილებელი, რომ მის მიერ განხილული ელემენტები ერთ რომელიმე ენას ეკუთვნოდეს. ორი ფორმის შედარებისათვის საკმარისია მათ შორის კავშირი.

სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ძირითადი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები სოსიურთან ასეა ფორმირებული: „სინქრონიული ენათმეცნიერება შეისწავლის იმ ლოგიკურსა და ფსიქოლოგიურ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებენ თანაარსებულ ელემენტებს და ქმნიან სისტემას, რომელიც აღიქმნება ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ.

დიაქრონიული ენათმეცნიერება, პირუკუ, შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც აკავშირებენ ელემენტებს დროში თანმიმდევრობის მიხედვით, და არა როგორც ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერების მიერ აღქმულს, ე. ი. ელუ-

მენტებს, რომლებიც თანმიმდევრულად დროში ერთიმეორეს ცვლიან, თავის ერთობლიობაში კი სისტემას არ ქმნიან (45, 132).


სხვაგან სოსიური წერს: „დიაქრონიული ლინგვისტიკა სწავლობს არა ენის მოცემული მდგომარეობის თანაარსებულ ელემენტთა შორის მიმართებებს, არამედ თანმიმდევრულ, დროში ერთიმეორის მონაცვლე ელემენტთა მიმართებებს (45, 173).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, სოსიურის აზრით, დიაქრონიული ლინგვისტიკის ობიექტს, პირველ რიგში, წარმოადგენს ფონეტიკა, ფონეტიკა მთლიანად.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სოსიური ასკვნის: „ამგვარად, სინქრონიულ მოვლენას არაფერი აქვს საერთო დიაქრონიულთან. პირველი არის დროში თანაარსებულ ელემენტთა შორის მიმართება, მეორე – დროში ერთი ელემენტის შეცვლა მეორეთი“ (45, 124).

ამგვარად, „ორი თვალსაზრისის – სინქრონიულისა და დიაქრონიულის – დაპირისპირება სრულიად აბსოლუტურია და არ ითმენს არავითარ კომპრომისს“ (45, 116).

დაბოლოს, სოსიური იძლევა სქემას, რომელიც გამოხატავს ლინგვისტურ მეცნიერებას:



იმის შესახებ, თუ რომელი უფრო მნიშვნელოვანია, სინქრონიული თუ დიაქრონიული ენათმეცნიერება, სოსიური წერს: „პირველ ყოვლისა (ჩვენ ვიწყებთ ყველაზე ცხადი მოვლენიდან), ისინი ენისათვის არ არიან ერთნაირი მნიშვნელობისა. სრულიად ცხადია, რომ სინქრონიული ასპექტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დიაქრონიული, რადგანაც

მოლაპარაკე მასის თვალსაზრისით მხოლოდ ისაა ნამდვილი და ერთადერთი რეალობა. იგივე ეხება ენათმეცნიერსაც: თუ ის მიიღებს დიაქრონიულ პერსპექტივას, დაინახავს არა ენას, არამედ მხოლოდ მოვლენათა რიგს, რომლებიც ენას სახეს უცვლიან. ხშირად ამტკიცებენ, რომ არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მოცემული მდგომარეობის გენეზისის შეცნობა; ეს ერთგვარად მართალიცაა; ის პირობები, რომლებმაც შექმნეს მოცემული მდგომარეობა, ცხადს ხდიან მის ნამდვილ ბუნებას და გვიყავენ ერთგვარი ილუზიებისაგან; მაგრამ ამით მხოლოდ ის ამტკიცდება, რომ დიაქრონია არ არის თეითმიზანი“ (45, 123).

სინქრონიული ენათმეცნიერების უპირატესობას სოსიური სხვა ადგილას კიდევ უსვამს ხაზს: „პირველი, რაც გვაოცებს, როცა ენის შესწავლას იწყებ, ისაა, რომ მოლაპარაკისათვის ენობრივ ფაქტთა თანმიმდევრობა დროში არ არსებობს. მოლაპარაკეს უშუალოდ ეძლევა მხოლოდ ენობრივი ფაქტების მდგომარეობა. ამიგომ ლინგვისტმაც, რომელსაც სურს გაიგოს ეს მოცემული მდგომარეობა, თვალი უნდა დახუჭოს იმაზე, თუ როგორ არის მიღებული ის და უგულებელყოს დიაქრონია. ისტორიაში შეჭრა ლინგვისტს მხოლოდ თავგმას აუბნევს“ (45, 114).

ამგვარად, ენისა და მეტყველების დიქტომიის შემდეგ სოსიურს შემოაქვს ენათმეცნიერებაში მეორე დიქტომია – სინქრონიისა და დიაქრონიისა. ამ ორმაგი კლასიფიკაციის ჯამოყენების საფუძველზე სოსიური ფიქრობს, რომ ყველაფერი დიაქრონიული ენაში ვლინდება მეტყველებაშიც. ყოველი ცვალებადობის წყარო მეტყველებაშია. ინოვაციური მოვლენების ისტორიაში ორი მომენტი გასათვალისწინებელი: 1) სიახლის გამოვლენის მომენტი ინდივიდში, 2) ამ სიახლის ენის ფაქტად გადაქცევის მომენტი. ამას კი ადგილი მაშინა აქვს, როცა მთელი ენობრივი კოლექტივი მიიღებს მას და აღიარებს როგორც ნორმას.

სინქრონიის ობიექტი, სოსიურის მისედვით, ასე განი-
სამღვრება: სინქრონიული ლინგვისტიკა სწავლობს ლოგი-
კურ და გრამატიკულ მიმართებებს, რომლებიც თანაარსე-
ბულ ფაქტებს აკაეშირებს და აწარმოებს სისტემას; სწავ-
ლობს მათ ისე, როგორც აღიქმებიან ისინი ერთი და იმავე
კოლექტიური ცნობიერებით. დიაქრონიული ლინგვისტიკა კი,
პირუკუ, ისეთ მიმართებებს სწავლობს, რომლებიც ენობრივ
ელემენტებს დროში თანმიმდევრულად აკაეშირებს და არ
აღიქმებიან ისინი ერთი და იმავე კოლექტიური ცნობიერე-
ბით. რაც მთავარია, რამდენადაც ეს ელემენტები დროში
მონაცულენი არიან, ამდენად ისინი სისტემას არ ქმნიან.

როგორც ვხედავთ, სინქრონიისა და დიაქრონიის გარ-
ჩევა სოსიურთან წარმოადგენს მისი ძირითადი დიქოტომიის
– ენა და მეტყველება – ლოგიკურ გაგრძელებას. სოსიურის
მიერ ილუსტრირებული და გაანალიზებული ფაქტები
სარწმუნოს ხდის, ერთი მხრივ, ენაში სინქრონიული და
დიაქრონიული ასპექტების, ხოლო მეორე მხრივ, ორი
ლინგვისტიკის – ენისა და მეტყველების ლინგვისტიკის –
გარჩევას. დიდია სოსიურის წელილი ენათმეცნიერების
საგნის ფორმულირებაში. მნიშვნელოვნად გააფართოვა მან
შესასწავლი ობიექტის ონტოლოგიური სურათი და სცადა
ენის შესახებ მეცნიერების ობიექტი განესამღვრა.

სოსიურის მიერ შემოგანილი დიქოტომიები, ამა თუ იმ
მოდიფიკაციით, მიიღეს სტრუქტურული ლინგვისტიკის მი-
მართულებათა მიერ. მისი „ზოგადი ენათმეცნიერების
კურსში“ მოცემულია სტრუქტურული ლინგვისტიკის ესკი-
მი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი თემისებისა და ცნებე-
ბის დიდი ნაწილი აგარებს მეტად ზოგად ხასიათს, მათი
დამუსტება და გაამზება დღესაც არ არის დამთავრებული.
ისინი, შეიძლება ითქვას, პროგრამულ ხასიათს აგარებენ
ენის ზოგადი თეორიის შექმნისათვის.

სავსებით მართებულად წერს ვ. ზევეინცევი: „ფერდინანდ დე სოსიურმა მრავალი ახალი პრობლემა აღძრა ენათმეცნიერებაში, გამოავლინა რიგი მნიშვნელოვანი ასპექტები ენის შესწავლაში, ხელი შეუწყო ენის სპეციფიკის უფრო ღრმად გაგებაში“ (32, 325). ამის გამოა, რომ ჩვენს ღრმში იშვიათად თუ მოინახება ისეთი ლინგვისტი, რომელიც რაიმეთი არ იყოს დაეალებული სოსიურისაგან, ასევე ძნელად თუ მოინახება ენის ისეთი ზოგადი თეორია, რომელშიც მისი სახელი არ იხსენიებოდეს.

სოსიურის შემდგომ ენათმეცნიერების განვითარება მოდის ენის სისტემის და სტრუქტურის შესახებ ცოდნის გაღრმავების გზაზე და ეძებს მეთოდებს მისი ცალკეული ფრაგმენტების შესასწავლად.

ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტური მოძღვრებიდან საათავეს იღებს სამი მიმდინარეობა: პირველს განეკუთვნებიან თავიანთი მასწავლებლის ლინგვისტური კონცეფციის ერთგული მოწაფეები ა. სეშე და ი. ბალი (ძირითადი ნაშრომი ბალისა „ზოგადი ლინგვისტიკა და ფრანგული ენის საკითხები“, რუსულ ენაზე გამოიცა 1955 წ.). მეორე მიმდინარეობას განეკუთვნებიან ის ენათმეცნიერები, რომლებმაც სოსიურის მოძღვრებიდან სოციოლოგიური ელემენტები აითვისეს. ესენი არიან: ა. მეიე, ე. ვანდრიესი, ე. ბენჟენისტი და სხვ. მესამე მიმდინარეობას ქმნის სტრუქტურალიზმის სხვადასხვა განშტოება (ე. ზევეინცევი).

ქართველოლოგიის სათავეებთან

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ენის მეცნიერული შესწავლა იწყება მისი ფონოლოგიური სისტემის დადგენით, რაც შესაბამის გრაფიკულ სისტემაში აისახება. ენის ადეკვატური ფონოლოგიური სისტემის დადგენა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში,

აუცილებელი პირობაა საანალიზო ენის საფუძვლიანი პრაქტიკული ცოდნა, აგრეთვე სხვა ენათა ანბანური სისტემის შესწავლა და გათვალისწინება. რა თქმა უნდა, გათვალისწინება არ გულისხმობს სხვა ენათა ანბანური სისტემის ავტომატურ გადმოღებას და საკელევი ენის ფონემატურ სტრუქტურასთან შეხამებას. პრინციპში, ეს შეუძლებელიც არის, რადგანაც ყოველ ცალკეულ ენას გააჩნია საკუთარი, განუმეორებელი ფონემატური სტრუქტურა.

დიდი ფრანგი ენათმეცნიერი ანტუან მეიე (1866-1936) წერდა: „პიროვნება, რომელმაც გამოიგონა დამწერლობა და სრულყო იგი, წარმოადგენს უდიდეს ლინგვისტს“. თუ ეს ასეა, მაშინ პირველ ქართველოლოგად უნდა მიეიჩნით ის პიროვნება, რომელმაც შექმნა ქართული მონუმენტური ანბანური სისტემა. თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რომ ქართული ანბანი ადეკვატურად ასახავს ქართული ენის ფონოლოგიურ სისტემას და, რაც მთავარია, წარმოთქმისა და გრაფიკული სისტემის შესატყვისობა უნიკალურია, მაშინ, ცხადია, მისი ავტორი თავისი დროისათვის მეტად განათლებული და მშობლიური ენის საუკეთესო მცოდნე ყოფილა.

თუ ლინგვისტური ამროვნების ისტორიის საწყის ეტაპად ანბანის შექმნას მიეიჩნევთ, ბუნებრივია, ქართველოლოგიის წინაშე დგება ქართული ანბანის ისტორიის დათარიღების საკითხი. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემაა, რადგანაც ყოველი მეცნიერების დარგის ისტორია მისი სათავეების დადგენას, ვარკვევას გულისხმობს.

ამიგომ, ქართველოლოგიის წინაშე დგება ურთულესი პრობლემა, გაარკვიოს, როდის შეიქმნა ქართული ანბანური დამწერლობა და ვინ იყო ამ უნიკალური და მონუმენტური ანბანის ავტორი?

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ამ ანბანის პროტოტიპებად თელიდნენ ბერძნულს, არამეულს, ფალაურს, ავესტას, დევა-ნაგარს, სომხურს ((კ.კ.ე.ელიძე). როგორც ცნობილია, ქართულს აქვს ორგვარი ანბანი: ხუცური და მხედრული. ამ ორი ანბანით არის წარმოდგენილი ჩვენი ძველი ლიტერატურული ძეგლები. ხუცური ანბანი, თავის მხრივ, ორნაირია: ასომთავრული და წუსხური. უკანასკნელი, როგორც ღღეს საბოლოოდაა გარკვეული პალეოგრაფიაში, პირველისგანაა განვითარებული. მეთუ საუკუნის ბოლომდე ქართული ძეგლები უპირატესად ასომთავრულით იწერებოდა, მეთერთმეტე საუკუნიდან კი, როდესაც მხედრულის ჩანასახი იჩენს თავს, ზაგონობს წუსხური, რომლის ელემენტებს მეცხრე საუკუნეში ვხვდებით (სინას მთის 864 წლის „მრავალთაი“).

ქართული დამწერლობის წარმოშობაზე ცნობები გვხვდება როგორც ქართულ, ასევე სომხურ ისტორიულ წყაროებში.



ანგუან მევი

XI საუკუნის ქართველი მემადიანის ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ანბანი შექმნა ფარნაოზ მეფემ. ამის თაობაზე ის წერს: „ესე ფარნაეაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაერცო ენა ქართული, და არღარა იმრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (1, 626).

როგორც ცნობილია, ფარნაოზი მეფობდა IV-III საუკუნეთა მიჯნაზე. ასე რომ, ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით, ქართული დამწერლობა

შექმნილია IV-III საუკუნეთა მიჯნაზე. ერთი სხვა ცნობის მიხედვით, ქართველებს დამწერლობა ჰქონდათ ფარნაევამ მეფემდე. აი საგულისხმო ცნობა ამის თაობაზე: „არა უწიგნურნი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ქამთა შინა, ვიდრე ფარნაევამამდე წერდნენ უხუცესთა წერილითა. ესე იგი ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და კევის ბერთა უხმობენ, ივინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წელილი ესე ხუცური ჩვენი. ფარნაევამა წერილითა მათგან განჰყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ კელით წერილი განჰყოფილი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა ქამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსაცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“ (თეიმურაზ ბაგრატიონი“).

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ქართველებს ასომთავრული (მრგლოვანი) დამწერლობა უძველეს დროშივე, IV საუკუნეზე ადრე, შეუქმნიათ და მას ხმარობდნენ ქართველი ქურუმები. ეს ცნობა ინგერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ აქ ქართული ანბანის წარმოშობა ებრაულ და ქალდეურ დამწერლობასთან არის დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელ პერიოდში წარმოშობას მოგიერთი სომხური წყაროც უჭერს მხარს. მაგალითად, XIII საუკუნის სომეხი მემადგიანე მხითარ აირივანეცი თავის ნაშრომში „ქრონოგრაფიული ისტორია“, რომელიც სხვადასხვა მემადგიანის მონაცემებზეა აგებული (სამუელ ანეცი, ვარდან აღმოსაველელი, კირაკოს განჩაკელი და სხვ.) გვაწვდის ასეთ საყურადღებო ცნობას: „პირველმა ქართველმა მეფე ფარნაევამა ექვსი ენისაგან შექმნა ქართული ენა, მანვე შეუქმნა დამწერლობა ამ ხალხს“ (12, 22).

ქართული ანაბანის წარმოშობა წარმართულ ეპოქაში გადააქვს სულხან-საბა ორბელიანსაყ: „ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული და განრქვეული ფარნაეაზ ქართულთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“ (10, 32). ამავე აზრს იცავს ვახუშტი ბატონიშვილი: „ესე ფარნაეაზ იყო პირველი მეფე ქართლისა, ამან აღაშენა და განავსნა ქუეყანა თვისი, მოზღულნა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, და შექმნა წიგნი ქართული და განავრცელა ენა ქართული“ (2, 57).

აკად. მარი ბროსეს აზრით, ფარნაეაზ მეფემ შექმნა მხედრული დამწერლობა, ხოლო ხუცური დამწერლობა ქრისტიანობის პერიოდისაა და მამგოცის დამსახურებაა. საგულისხმოა, რომ ნიკო მარი მხედრულ დამწერლობას წარმართული კულტურის მონაპოვრად თვლიდა, ხოლო ხუცურს – ქრისტიანულსა.

როგორც ზემოთ მოგანილი ცნობებიდან ჩანს, მკვლევართა ერთ ნაწილს ქართული დამწერლობის წარმოშობა გადააქვს წარმართულ ეპოქაში და ფარნაეაზ მეფის დამსახურებად მიიჩნევს. განსხვავებული აზრი სუფევს ხუცურსა და მხედრულის ქრონოლოგიური მიმართების შესახებაც.

მეხუთე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კორიუნი თავის თხზულებაში „მამგოცის ცხოვრება“ ქართული ანაბანის შექმნას მიაწერს მესროპ მამგოცს (დაახ. 361-440).

ივ. ჯაფახიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ცნობა მამგოცის მიერ ქართული ანაბანის შექმნის შესახებ მერმინდელი ჩანართია, კერძოდ კი – VI საუკუნის მიწურულისა. საგულისხმოა, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლამარი ფარქეცი, რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას, მამგოცს მიიჩნევს მხოლოდ სომხური ანაბანის შემქმნელად. ქართული და სომხური ანაბანის საფუძვლიანი შედარების შედეგად იეანე ჯაფახიშვილი ასკენის: „ცხადია.

ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ასეთი თვალსაჩინო, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მერმინდელ მწერლობაში კორიუნის გადამკეთებელი და მოსე ხორენელი ამტკიცებდნენ“ (24, 199).

ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ქართული დამწერლობა უნდა შექმნილიყო არა უგვიანეს VII საუკუნისა ძვ. წელთაღრიცხვით. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერს: „ერთი მხრით, ჯერხანად ცნობილი VI საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოცხა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი. მეორე მხრივ, ქართული ანბანის ასოთა რიგობითი მიმდევნობა ფინიკურ-სემური ანბანისას მშვენიერად იცავს, რაც აგრეთვე მისი სიძველის მომასწავლებელია“ (24, 235). უნდა ითქვას, რომ დიდი მეცნიერი მისთვის ჩვეულ სიფრთხილეს იჩენს და მკითხველსაც აფრთხილებს: „მაინც მეცნიერული სიფრთხილე სჯობია და სანამ ქართული დამწერლობის VI ს-ზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გაარკვევს. ვფიქრობ, მხოლოდ, რომ ახლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V ს-ში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიამი და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“ (24, 236).

რამაშ პაგარიძემ ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნა ქართული დამწერლობის ისტორიას. სათანადო ისტორიულ

წყაროთა გამოწვლილეთ შესწავლის შედეგად ის ასეთ დასკვნამდე მიდის: „ამგეარად, უნდა დაეასკენათ, რომ ქართულ და სომხურ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით ქართული დამწერლობა შექმნილია წარმართულ ხანაში და შემოდებულია ქართველთა პირველი მეფის ფარნავაზის მიერ“ (12, 485). დაბოლოს, მეგაღორიგინა-ლური მეთოდის მომარჯვებით და მასზე დამყარებული „ეულევა-ძიების შემდეგ ის წერს: „სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი იშექმნილია ძველი წელთაღრიცხვის 430-400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდში. ამავე დროს, რაკი ქართულ ანბანში პითაგორიანული საიდუმლო მათემატიკური ცოდნა დასტურდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის შემქმნელი ქართველი პითაგორელია (ხაზი ჩენია – კ. ჭ.). ქართველი პითაგორელის მოღვაწეობა კი საქართველოში იმავე 430-400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდზე უნდა მოდიოდეს“ (12, 485).

ქართული ანბანის წარმოშობასთან შინაგან კავშირშია მეორე პრობლემაც. როგორც ცნობილია, ქართულ ენას გააჩნია სამი გიჰის დამწერლობა: 1. ასომთავრული ანუ მრგვლოვანი, 2. ნუსხური და 3. მხედრული.

ბუნებრივია, ღვება საკითხი, ამ სამი გიჰის ანბანიდან ქრონოლოგიურად რომელი რომელს უსწრებს. მეცნიერთა უმრავლესობა ამგვიცებს, რომ ამოსაეალია მრგვლოვანი ანბანი, როგორც ეს დასაბუთებული აქვს ივანე ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული პალეოგრაფია“ (თბ., 1949). არსებობს ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სამი გიჰის დამწერლობიდან უძველესია მხედრული ანბანური დამწერლობა (დ. კარიჭაშვილი, მ. ბროსე, ნ. მარი...).

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანი დამოუკიდებლად, გარეგანი სტიმულირების გარეშე, არ შეიქ-

მნებოდა. ამიგომ უნდა დაეუშვათ, რომ ქართული ანბანი შეიქმნა მანამდე უკვე არსებული რომელიღაც ენის ანბანის საფუძველზე. ასეთი დაშვება, ეფიქრობთ, საესებით ლოგიკური იქნება.

ივანე ჯავახიშვილის ამრით, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართული ანბანის წარმომავლობა შესაძლებელია დაუკავშირდეს ფინიკიურ-სემურ ანბანს, მას ეს შეხედულება ჰიპოთეზის სახით აქვს წამოყენებული.

გიორგი წერეთელს შესაძლებლად მიაჩნია ქართული ანბანის არამეულთან დაკავშირება. ის წერს: „შესაძლებელია, ქართულსაცა და არმაზულსაც საფუძელად დაედო ძველი არამეული დამწერლობის თავისებური შგო, რომელთანაც ხშირად არმაზული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, ზოგჯერ კი, პირიქით“ (23, 14).

ბერძნული პალეოგრაფიის ცნობილი სპეციალისტი ვ. გარგაუზენი 1876 წელს აღნიშნაედა, რომ ქართული ანბანი ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს. ანალოგიურ თვალსაზრისს იყავენ სხვა მკვლევრებიც: დ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, პ. ინგოროყეა, თ. გამყრელიძე, ე. ბოედერი, თ. ჩხენკელი...

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკად. თ. გამყრელიძე წერს: „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის სისტემური შეპირისპირება ჩრდილო-დასავლურ სემიგურ (ფინიკიურ, არამეულ) დამწერლობასა და ბერძნულ დამწერლობასთან, ავლენს ქართული დამწერლობის სტრუქტურულ თანხვედრას არქაულ ბერძნულ წერით სისტემასთან შედარებით. ის გადახრები ძველი სემიგური (ფინიკიური) დამწერლობიდან, რამაც თავი იჩინა ბერძნულ სისტემაში მისი ფინიკიურის ნიადაგზე შექმნის დროს და აგრეთვე შემდგომი განვითარების პროცესში, და, რაც გასაგებია, ბერძნული ენის თავისებურებათა თვალსაზრისით, მთლიანად და უკლებლივ ასახულია ძველ ქართულ ასომთავრულ

დამწერლობაში. ეს არის უცყუარი ნიშანი ქართული დამწერლობის არქაულ ბერძნულ დამწერლობასთან მჭიდრო კავშირისა, ქართული ასომთავრული დამწერლობის შემთხვევისა არქაული ბერძნული წერითი ნიმუშის (ანბანის) მიხედვით. ძველი ქართული დამწერლობის უშუალოდ სემიგურიდან მომდინარეობის შემთხვევაში ქართულ ანბანს სულ სხვა რიგი და შინაგანი სტრუქტურა ექნებოდა“ (4, 180).

თ. გამყრელიძემ მონოგრაფია მიუძღვნა საერთოდ წერის ანბანური სისტემის წარმოშობასა და ძველი ქართული დამწერლობის ისტორიას, სადაც ის საყურადღებოდ დაასკვნის წერითი სისტემის შექმნის მნიშვნელობის შესახებ ლინგვისტურ კვლევაში: „ყოველი წერითი სისტემა და განსაკუთრებით ანბანური დამწერლობა გულისხმობს იმპლიციტურად ჩატარებულ საკმაოდ მაღალი დონის ფონემურ ანალიზს, და შესაბამისად ყოველი დამწერლობა წარმოადგენს სათანადო ენის ლინგვისტური კვლევის პირველ ნიმუშს“ (4, 118).

აქედან გამომდინარე, იმთავითვე ქართველოლოგების ყურადღების ცენტრში დგას ქართული ანბანური სისტემის წარმოშობის ურთულესი პრობლემა, ანბანური სისტემის შექმნა კი შინაგან კავშირშია ენის ბგერითი სისტემის სემანტიკურებასთან ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომელიც შემდგომ აისახება გრაფიკული სიმბოლოებით.

თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ანბანური სისტემის შემქმნელი „სრულად და ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბგერათა (ფონემათა) ინენგარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის“ (4, 129).

ამის შემდეგ, ბუნებრივია, დგება საკითხი წერილობითი პროტოტიპის შესახებ. ეს არის არსებითი პრობლემა. ე.ი. საკითხი ასე დგას: რომელ წერილობით სისტემას ემყარება ქართული დამწერლობა როგორც ნიმუშს, როგორც პრო-

ტოტიკულ მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მის წყობასა და პარადიგმატიკას (თ. გამყრელიძე).

თ. გამყრელიძე ქართული დამწერლობის სხვადასხვა ენის წერილობით სისტემებთან შედარების საფუძველზე ასკენის: „ქართული ანბანის შექმნისას ბერძნული (და არა სემიტური) წერითი სისტემა იქნა გამოყენებული როგორც წერითი ნიმუში, როგორც პროტოტიპი, რომლის მიხედვითაც გამოიყო ბგერითი ერთეულები ქართულში, გაიწყო ანბანი და განისაზღვრა მისი „ძირითადი“ და „დანართი“ ნაწილების შედგენილობა და სტრუქტურა“. (4, 132).

თ. გამყრელიძე იქვე დაბეჯითებით წერს: „ძველი ქართული დამწერლობის მთელი რიგი სტრუქტურული თავისებურებანი აიხსნება ბერძნული დამწერლობის საშუალებით; ისინი ბერძნული დამწერლობის სტრუქტურულ მახასიათებლებს იმეორებენ“.

ამის შემდეგ ლოგიკურად დგება საკითხი ძე. ქართული ანბანური სისტემის წარმოშობის დათარიღების შესახებ. თ. გამყრელიძე ასომთავრული ანბანის შექმნას უკავშირებს ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში. როგორც ცნობილია, აღმოსავლური ქრისტიანობა, განსხვავებით დასავლურისაგან, მწიგნობრული რელიგიაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული რელიგია ხელს უწყობდა ადგილობრივ ნაციონალურ ენებზე დამწერლობის შექმნას.

აქედან გამომდინარე, თ. გამყრელიძე წერს: „ძველი ქართული ასომთავრული ანბანის ქრისტიანულ დამწერლობად მიჩნევა განსაზღვრავს მისი შექმნის ხანას ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნით, როდესაც ქრისტიანობა საქართველოში სასელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული“ (4, 196). თუმცა იქვე შენიშნავს, „რომ ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შესაძლებელია არც წარმოადგენს ქართული ენისათვის დამწერლობის შექმნის პირველ ცდას, და ქრისტიანობამდელ საქართველოში საეა-

რაულოა არსებულიყო კიდევ უფრო ძველი წერილობითი გრაფიციები“ (4, 197).

ასევე გასათვალისწინებელია თ. გამყრელიძის შემდეგი ვარაუდი: „არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ასალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (ან გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა“ (4, 197)

თ. გამყრელიძე თავის მონოგრაფიაში სუამს კითხვას ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შემქნელის ვინაობის შესახებაც. მისი აზრით, საერთოდ ახალი დამწერლობის შექმნის წინაპირობაა საკელევი ენის საფუძვლიანი პრაქტიკული ეოდნა; მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ენის ფონეტიკური სისტემის დანაწევრება ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც გამოისაგება სათანადო გრაფიკული ნიშნებით.

მესროპ-მამსოცემა, რომელსაც სომხური ისტორიული წყაროები მიაწერენ ძველი ქართული ანბანის შექმნას, არ იყო დაუფლებული ქართულს, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნას.

შეუძლებელია კონკრეტული ენის დამწერლობა შეექმნას ისეთ პირს, რომელიც ამ ენას ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუგარებია“ (4, 195).

თ. გამყრელიძის დასკვნით, სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე არ ვიცით დანამდვილებით სახელი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედისა, ისე როგორც არ ვიცნობთ ქრისტიანული კოპტური ანბანის შემქმნელის სახელს.

თ. გამყრელიძის აღნიშნული ნაშრომის ერთ პარაგრაფს ასეთი სათაური აქვს: „მწიგნობრობა ქართული“ და ქართული „ალოგლოგოგრაფია“. ამის შემდეგ ამას მოსდევს

ეპიგრაფი ქართლის ცხოვრებიდან: „ესე ფარნაეაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავეთაგანი. ამან განაწერცო ენა ქართული და არღარა იმრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ლეონტი მროველი

ჩვენი აზრით, ამ წანამძღვარის მოგანა აქ შემთხვევითი არ არის. როგორც ცნობილია, შესიგყვება „მწიგნობრობა ქართული“ იმთავითვე იქცა მოჯადოებული შინაარსის მქონე სიგყვებად ყველა ქართველოლოგისათვის.

მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნულ სიგყვებში გულისხმობდა ანბანური სისტემის დამწერლობის შექმნას ფარნაეაზის მიერ. ბუნებრივია, დამწერლობის შექმნა კი გამოწვეული იქნებოდა ლიტერატურულ-ისტორიული ძეგლების ფიქსაციის საჭიროებისათვის. ოღონდ გაუგებრობას იწვევდა ის გარემოება, რომ დღემდე არ შემოგვენახა არც ერთი ნიმუში ფარნაეაზის მიერ შექმნილი „მწიგნობრობით“ შესრულებული. ისიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ამ სიგყვების – „ამან (ე.ი. ფარნაეაზმა – კ.ჭ.) შექმნა მწიგნობრობით ქართული“ – აეგორი მაღალი რანგის სასულიერო პიროვნებაა და მტკიცედ დაიცავედა ბიბლიის მცნებას „არა იცრუო“, აქედან გამომდინარე, ლეონტი მროველი სახელოვან მეფეს, ფარნაეაზს, უნდა ვიფიქროთ, რომ ასე იოლად არ მიაწერდა მოგონილ ან შეთხზულ ამბავს.

მეცნიერებისათვის კი „პური არსობისა“ არის ფაქტი, რაც ქართველოლოგებს დღემდე ვერ მოუპოვებიათ. ამდენად, ლეონტი მროველის ცნობის გაზიარება ამჯერად ჭირს.

ამ მოჯადოებული წრიდან გამოსავალი ნახა თ. გამყრელიძემ. მას ქართველოლოგიაში შემოაქვს გერმინი „ალოგლოგოგრაფია“. ანუ „სხუა-ენაზე-წერა“, რომლის

ავტორიც არის ი. გერშევიჩი. წერის ეს წესი გავრცელებული ყოფილა ადრე ირანულ სამყაროში. „მწიგნობრობის“ ამ წესის მიხედვით სინქრონულად ითარგმნება სპეციალისტ-ჩამწერის მიერ დამწერლობის მქონე სხვა რომელიმე ენაზე, მაგალითად ელამურზე, ხოლო შემდგომ ამოიკითხება ადრესატის მიერ სპეციალისტ-თარჯიმნის დახმარებით არა ელამურად, არამედ თავდაპირველ ენაზე, რომელზედაც ნაკარნახევი იყო ეს ტექსტი ან შეგეობინება (4. 199).

სწორედ ასეთი დამწერლობის არსებობა იგულისხმება ლეონტი მროველის „მწიგნობრობა ქართულში“ თ. გამყრელიძის მიხედვით. მისი აზრით, „ტექსტს კარნახობდნენ ქართულად, იგი სინქრონულად ითარგმნებოდა და ჩაიწერებოდა სპეციალისტ-ჩამწერის მიერ არამეულად და ამოიკითხებოდა ქართულადვე. ეს უნდა ყოფილიყო ქართული მუპირი ტექსტის ჩაწერის წესი არამეული ენისა და დამწერლობის შუამავლობით“ (4. 200).

ეს არის სრულიად ახალი თვალსაზრისი ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში.

ასეა თუ ისე, ერთი კი ფაქტია: ქართული მონუმენტური ანბანი მსოფლიოს დამწერლობათა შორის ერთ-ერთი უძველესი და ორიგინალური დამწერლობაა, რომელიც უნიკალურია თავისი ანბანურ და ფონემატურ სტრუქტურათა ადეკვატური შესაბამისობით.

ამ უნიკალური ანბანის ავტორი თავისუფლად შეიძლება მიეიჩნით პირველ ქართველოლოგად. სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიის მემატიანეებმა ვერაუთარი ცნობა ვერ შემოგვინახეს მის შესახებ. ამდენად, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ამ უდიდესი მონაპოვრის, ქართული ანბანის შექმნის თარიღი კვლავ საძიებელია.

როდის დაიწერა პირველი ქართული ენის გრამატიკა და ვინ იყო მისი ავტორი?

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი ქართული გრამატიკა, ისე როგორც ქართული ანბანური სისტემა, ცარიელ ნიადაგზე არ შეიქმნებოდა. მას უეჭველად წინ უძღოდა მოსამზადებელი პირობები, რამაც შემდგომ განაპირობა საქართველოში გრამატიკული ამროვნების წარმოშობა და განვითარება. ეს მასტიმულირებელი ფუნქცია უნდა ვეძიოთ როგორც ქართული სულიერი კულტურის წიაღში, ასევე ძველბერძნულ-რომაულ ცივილიზაციაში, კერძოდ კი მათ გრამატიკულ ნააზრევში, რომელმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა მთელ ევროპულ ლინგვისტურ ამროვნებას.

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა უძველეს დროშივე დაამყარა მჭიდრო ლიტერატურულ-კულტურული კავშირები როგორც აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ-ლიტერატურულ გრადიციასთან, ასევე რომაულ-ბიზანტიურ ცივილიზაციასთან. ამის ნათელი მაგალითია ის სამონასტრო მშენებლობის კერები, სადაც ფართოდ გაიშალა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. „ქართულ მონასტრებში თაემოყრილი იყვნენ მწიგნობრები – მწერლები, მეცნიერები, მთარგმნელები, კალიგრაფები, „ეგრაგის შემქმნელნი“ და წიგნის „მკაზველნი“. იქ წარმოებდა ორიგინალურ ნაწარმოებთა თხზვა, უცხო ენებიდან თარგმნა და რედაქტირება, ახალი ნუსხების დამზადება, ძველი ხელნაწერების გაცხოველება და აკინძვა და ა. შ.“ (8, 40).

სამღვარგარეთ არსებულ ქართული მწერლობის კერებში განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მთარგმნელობით სფეროში, რაც ადასტურებს ორივე ენის ორთოგრაფიული და ორთოეპიული წესების საფუძვლიან ცოდნას. ბერძნული და ლათინური ენების ზემოთ განხილული გრამატიკების საგანი კი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, იყო შესაბამის ენათა მართლწერისა და მეტყველების კანონების გარკვევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულ და

ლათინურ სალიგერაგურო ენათა გრამატიკულ სტრუქტურებს ქართველები აღნიშნული გრამატიკების მიხედვით უცნობოდნენ და სწავლობდნენ. ეს გრამატიკები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ევროპაში, განსაკუთრებით კი ლათინური ენის გრამატიკა, რადგანაც დასავლეთ ევროპაში აღორძინების პერიოდამდე მეცნიერებისა და კულტურის ენად ლათინური ენა ითვლებოდა.

აკად. კ. კეკელიძე წერს, რომ „ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიგერაგურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო (ხაზი ჩეენია — კ. ჭ.) სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში“ (7, 101).

აღნიშნული ბერძნულ-ლათინური გრამატიკების გარდა, შესაძლებელია ქართველი მწიგნობრები იცნობდნენ არაბული ენის გრამატიკულ ნაშრომებსაც. ამას გვაფიქრებინებს ისტორიულად დადასტურებული სინას მთის ქართველ მოღვაწეთა კავშირ-ურთიერთობა არაბულ-ქრისტიანულ სამყაროსთან. „ქართულ-არაბულ კულტურულ-ლიგერაგურულ ურთიერთობას თვალნათლივ ადასტურებს რამდენიმე ფაქტი. სახელდობრ, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას შემოუნახავს კვალი არაბული დამწერლობისა. ჩანს, არაბულ სამყაროში მოხედრილმა ქართველებმა შეისწავლეს როგორც არაბული ენა, ისე დამწერლობაც; სინას მთის ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება არაბული მინაწერები, რომელთა აეგორები მოგჯერ აღნიშნავენ ხელნაწერის სინას მონასტრისადმი კუთვნილებას, ხშირად კი წყევლა-კრულვას უთელიან მის მიმგაცებელთ: ცნობილია, ქართული ხელნაწერი რვეულები არაბული ნუმერაციით (სიგყეებით); მოღწეულია არაბული ანბანი ქართველთათვის. თითოეული არაბული ასო განმარტებულია, ახსნილია ქართული შესაგყვისით; გვხვდება არაბული ხელნაწერები რვეულებისა და ფურცლების

ქართული ნუმერაციით, რაც საფიქრალს ხდის ქართულეთა-მონაწილეობას არაბულ-ქრისტიანულ მწერლობაში“ (9, 69).

ქართული მწიგნობრების ასეთი მჭიდრო კონტაქტები არაბულ დამწერლობასთან იმის დასტურია, რომ ისინი, ე. ი. ქართული მწიგნობრები, იცნობდნენ აგრეთვე არაბული ენის იმდროინდელ გრამატიკებს (მაგალითად, სიბაეების გრამატიკას „ალქითაბ“), რომელთა დახმარებითაც სწავლობდნენ კიდევ არაბულ ენას.

ამრიგად, ყველაფერი ის, რაც ზემოთ ვთქვით, გვაპარაულებინებს, რომ საზღვარგარეთ – ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთში – მოღვაწე ქართული მწიგნობრები უთუოდ იცნობდნენ ბერძნულ-ლათინურ-არაბულ გრამატიკულ ნაშრომებს.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული გრამატიკების ანალოგიით ქართველებსაც შეეძლოთ შეედგინათ მშობლიური ენის გრამატიკა. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა აგრეთვე ძველი ქართული სალიტერატურო ენის საოცრად ნორმირებული ხასიათი და ძველ გეჟსტებში დადასტურებული გრამატიკული ტერმინები და გამონათქვამები. უფრო მეტიც, კორნელი კეკელიძე წერს, რომ ქართულ სკოლებში. სხვა საგნებთან ერთად (თეოლოგია, რიგორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა) ასწავლიდნენ გრამატიკასაც (7, 83).

საყურადღებოა, რომ ივ. ჯაფარიშვილი შესაძლებლად თვლის, რომ XI-XII საუკუნეებში შექმნილიყო ქართული ენის გრამატიკა. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „სხვებზე უწინარეს ქართული ენის ბუნებასა და აგებულებაზე უნდა ძველ ქართველ გამოჩენილ მთარგმნელებსა და მეცნიერ-ფილოლოგებსაც პქონოდათ (გრამატიკული ნაშრომი – კ. ჭ.) და, როგორც უფრემ მცირის წერილებიდან ჩანს, მათ კიდევ „ზედმიწევნით რაბამობა ბერძენთა და ქართულეთა ენებისა“. შესაძლებელია ქართული ენის რაბამობის ეს

თაეიანთი ცოდნა ეფთვიმე მთაწმინდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეგრიწს, ან რომელიმე მათგანს წერილობითაჲს კქონდათ აღბეჭდილი“ (25, 3).

როგორც მ. სარჯველაძე წერს: „ივ. ჯაეახიშვილის ეს ვარაუდი საესებით დადასტურდა. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში აღმოჩნდა გრამატიკული გრაქტატი. მას ყურადღება მიაქცია ქრ. შარაშიძემ, ხოლო გამოსაცემად მოამზადა მ. შანიძემ“ (14, 199).

პროფ. ალ. ფოცხიშვილი წერს: „მე -10-12 საუკუნეებში (მთარგმნელი მამების მოღვაწეობის პერიოდში) ქართულ ენაზე გრამატიკა გვექონია – ეს უეჭველია... ძნელია იმის მტკიცება, ნათარგმნი იყო იგი თუ ორიგინალური“ (15, 51).

მაგრამ ასეა თუ ისე ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არ მოგვეპოვება XVII საუკუნეზე ადრე დაწერილი ქართული ენის რაიმე გრამატიკა. მეცნიერების ისტორია კი, როგორც ცნობილია, ფაქტების ისტორიაა.

პირველ ლინგვისტურ ნაშრომად ქართველოლოგიაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, შეიძლება ჩაითვალოს სტეფ. პაოლინისა და ნიკ. ირბახის ქართულ-იგალიური ლექსიკონი, რომელიც 1629 წელს დაიბეჭდა რომში. ამ ლექსიკონის სრული სათაურია: „ლექსიკონი ქართული და იგალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის, წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით – სახმარად სარწმუნოების გამავერცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“.

აღნიშნული ლექსიკონი შეიცავს 3084 სიტყვას და დაწერილია სამ სვეტად. პირველ სვეტში მოცემულია ქართული სიტყვები, მეორე სვეტში იგივე ქართული სიტყვები ლათინური გრანსლიგერაჲით, ხოლო მესამე სვეტში წარმოდგენილია შესაბამის ქართულ სიტყვათა იგალიური შესაგყვისი ლექსიკური ერთეულები.

სამწესიაროდ, ლექსიკონში სშირად გვხვდება ქართული სიგყვის არაბუსგი დაწერილობა, ლექსიკონი მოცულობით მცირეა, მაგრამ როგორც ქართული ენის პირველ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს, ქართველოლოგიის ისტორია მას ვერდს ეერ აუელის. არნ. ჩიქობაჯა წერს: „სტეფ. პაოლინის ქართულ-იგალიურ ლექსიკონში პირველად არის მოცემული ქართული სიგყვანი, ქართული ლექსიკონის ეს საყრდენი და მოუცილებელი წინაპირობა. მართალია, სამი ათასი სიგყვა მოპყვა ამ სიგყვანში, მაგრამ ამ მოცულობის სიგყვანი იმ ხანად (1629წ.) ქართული ლექსიკოგრაფიის საყურადღებო ფაქტია“ (21, 26).

1670 წელს რომში დაიბეკდა ფრანცისკ მარია მაჯოს ქართული გრამაგია, რომლის სრული სახელწოდებაც ასეთია: „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება (ისმის). წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამაგიკულ წესებს – შედგენილი ფრ. მარ. მაჯოს მიერ... რომში, სარწმუნოების გამაყრელებელი წმინდა კონგრეგაციის სგამბიდან (მეორე გამოცემა) 1670, უმენავესი ნება-რთიით“.

როგორც ამ ვრცელი სათაურიდან ჩანს, აქ ქართულის გარდა განხილულია ის ენებიც, რომლებიც საქართველოშია წარმოდგენილი. ნაშრომის პირველი ნაწილი ქართული ენის გრამაგიკულ ანალიზს ეძღვნება, ხოლო მეორე ნაწილი – თურქულ და არაბულ ენებს. ჩვენ აქ მხოლოდ ქართულ ნაწილს შევეხებით.

ამგვარად, ფ. მ. მაჯოს მონოგრაფიის პირველ ნაწილში წარმოდგენილია „ქართული ანუ იბერიული ენის“ გრამაგიკული ანალიზი. ის შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1. ორთოგრაფია, 2. ეტიმოლოგია, 3. სინგაქსი, 4. პროსოდია.

მაჯოს განმარგებით, ორთოგრაფიის კვლევის საგანია მართლწერისა და სწორად კითხვის წესები. ორთოგრაფიის

ამგვარი ვაგება მოდის ბერძნულ-ლათინური გრამატიკიდან. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი მკითხველებს აცნობს ქართულ ანბანს; სულ წარმოდგენილი აქვს 37 ასო. ყოველ ასოს აქვს თავისი სახელწოდება ქართულად და ლათინურად. საყურადღებოა, რომ მაჯო განიხილავს ქართული დამწერლობის სამივე ტიპს: მხედრულს, მთაერულს და ნუსხურს. ავტორი იძლევა თანხმოვანთა კლასიფიკაციას არსებითად წარმოების ადგილის მიხედვით. ამის მიხედვით გამოყოფს თანხმოვანთა რვა ჯგუფს. ესენია: 1. ყელისმიერნი (პ, ლ, ხ, კ), 2. სასისმიერნი (კ, ქ, ყ), 3. შუაენისმიერნი (შ, ჩ, ც, ჭ, ჯ), 4. სისინანი (ზ, ძ, ს, წ), 5. გიგინანი (balbut - ientes (დ, თ, გ), 6. ღუნვილნი (flexae ლ, ნ, რ), 7. ბაგისმიერნი (ბ, მ, ჯ, ფ), 8. რბილნი (moles -ვ, ი).

ეს არის ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის კლასიფიკაციის პირველი ცდა წარმოების ადგილის მიხედვით, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია ქართველოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით. ნაშრომის ავტორი იძლევა აგრეთვე ასოთა რიცხვით მნიშვნელობებსაც.

გრამატიკის მეორე ნაწილი ეძღვნება ეტიმოლოგიას, სადაც განხილულია ქართული ენის მეტყველების ნაწილები: სახელი, ნაცვალსახელი, გმნა, მიმღეობა. გმნისართი, წინდებული, თანდებული, შორისდებული და კავშირი.

როგორც ვხედავთ, აქ აკლია ზედსართავი და რიცხვითი სახელი.

ავტორი გამოყოფს სახელის შემდეგ მორფოლოგიურ კატეგორიებს (nomini accidunt): სქესი, რიცხვი, ბრუნება, სახე, შედარება. სქესის კატეგორიაში ის არ გულისხმობს ლათინურის ანალოგიურ ვითარებას. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ ქართულში სქესი ერთია და უცვლელი. მაჯო გამოყოფს ექვს ბრუნვას. ესენია: 1. სახელობითი, 2. ნათესაობითი, 3. მიცემითი, 4. აკუზაგვი, 5. წოდებითი, 6. დაწყებითი, აქედან ამკარაა, რომ ბრუნვები გამოყოფილი აქვს ლათინური

ბრუნეების ანალოგიით. ამას ადასტურებს ბრუნების სისტემაში შეგანილი აკუზატივი, რაც ქართულში არა გვაქვს, ხოლო მოთხრობითის ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ შენიშნული აქვს და მას სახელობითის ვარიანტად მიიჩნევს, გამოტოვებული აქვს. ასევე ლათინურის ანალოგიით აქვს გამოყოფილი დაწეებითი (abl-tivus). საყურადღებოა, რომ მაჯოს შენიშნული აქვს ნართანიანი მრავლობითი.

როგორც ეხედავთ, ბრუნების სისტემა ნაშრომში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ რადგანაც ეს არის ქართულში აღნიშნული კატეგორიის შესწავლის პირველი ეტაპი, მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის შესწავლის ისტორიაში.

შედარებით ვრცლად არის განხილული წარმოქმნის პროცესები არსებით სახელებთან, ზღესართავებთან, გმნისართებთან და რიცხვით სახელებთან.

ჩანს, მაჯომ კარგად იგრძნო ქართული გმნის გრამატიკულ კატეგორიათა სიმრავლე და ამიტომ ეტიმოლოგიის მესამე თავში, სადაც ის გმნის დახასიათებაზე გადადის, საგანგებოდ აღნიშნავს: „ამ თავს სამი პარაგრაფით გავათავებ, ეინაიდან გმნათა უღელილებანი აურაცხელია და თითქმის ყოველი გმნა თავისებურად იუღელის: მაინც მოკლედ ვიგყვი, რაც უფრო ექვემდებარება წესს და საერთო კანონსაო“ (21, 39).

ამის შემდეგ მაჯო გადადის გმნის მორფოლოგიური კატეგორიების განხილვაზე. პირველ რიგში, ის ეხება უღელილების სისტემას და გამოყოფს თხრობით კილოში შემდეგ მწკრივებს: 1. აწმყო, 2. ნამყო უსრული, 3. ნამყო სრული, ნაკლებ ახლო, 4. ნამყო სრული, უფრო ახლო, 5. ნამყო წინარეწარსული, 6. მყოფადი.

დადასტურებულია თხრობითი, ბრძანებითი და ნაგყრითი კილოები. მაჯოს არ გამორჩენია არც პირის კატეგორია და, რაც მთავარია, გამოყოფილი აქვს შესაბამისი პირის

ნიშნებიც. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „პირველი პირი აღინიშნება მ-ასოთი, მეორე – გ და მესამე უ, ანდა პირველი პირი – ვ-თი, მესამე ბოლოდება ა-თი და ს-თი ანდა ა-თი იწყება“ (21, 41).

შემდგომ მაჯო ცალ-ცალკე განიხილავს მიმღობას, მზნისართს, წინდებულებს, თანდებულებსა და შორისდებულებს.

ამით თაუდება მაჯოს გრამატიკის მეორე ნაწილი – ეტიმოლოგია.

გრამატიკის მესამე ნაწილი ეძღვნება სინგაქსს. მაჯო სინგაქსის ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „სინგაქსი არის, როგორც გვასწავლიან გრამატიკოსები, ჯეროვანი შეხამება მეტყველების ნაწილთა ერთმანეთთან“ (21, 47). მისი დასკვნით, ქართულ წინადადებაში ორგევარი სინგაქსური კავშირია: შეთანხმება (concordia) და კონსტრუქცია ანუ მართვა (constructio seu rectio). აეგორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ამ ორ სინგაქსურ მოუღენას სათანადო ენობრივ მასალაზე.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში მაჯო განიხილავს ქართული ენის პროსოდის საკითხებს. რამდენადაც აღნიშნული ნაშრომი ფილოლოგიური გრამატიკაა, ამდენად, ბუნებრივია, პროსოდის საკითხებიც საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული. აეგორი ხაზს უსვამს იმას, რომ „დიდად საგულისხმოა სწორად მეტყველებისათვის პროსოდის კანონთა ცოდნაო“ (21, 51).

აეგორი ეხება მახვილის საკითხსაც, მსჯელობს მახვილიან და უმახვილო ხმოვნებზე მეტყველებასა და ლექსში. მახვილის ადგილზე მრავალმარცვლიან სიტყვებში.

აეგორი ცდილობს გამოყოს იმის ფორმალური ნიშნები, თუ რა შემთხვევაში მოუღის სიტყვას მახვილი ბოლო ხმოვანზე. მაგალითად, – მისი აზრით, თუ სიტყვა ბოლოდება ი-თი, ა-თი, ან ე-თი, მაშინ მახვილი ბოლო მარცვალზე დაისმის.

ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის ჩვენთვის, ჭეშმარიტია თუ მცდარი ავტორისეული დაკვირვება, არამედ ის, რომ ავტორი სეამს საკითხს მახვილის ადგილის შესახებ სიგყვაში და ცდილობს მის გარკვევას. მახვილის ადგილის პრობლემა კი ყოველი ენის საესეებით მეცნიერული პრობლემაა.

ჩვენ სქემატურად განვიხილეთ მაჯოს გრამატიკა. ეს შრომა, ღღემდე ცნობილი ქართული ენის გრამატიკებს შორის, პირველია. გარდა ამისა, „ეს პირველი გრამატიკა ქართული ენისა იბავე დროს წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამდენად მაჯოს ამ შრომას – მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა – განსაკუთრებული ადგილი უკავია. სანამ მარი ბროსეს ქართული გრამატიკა გამოვიდოდა (1834წ.), ე.ი. თითქმის ორასი წლის მანძილზე – ეუროპის სწავლულნი მაჯოს შრომის საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას“ (21, 53).

საშუალო საუკუნეებში მწიგნობრობის განვითარება ორგანულად აპირობებდა ლექსიკოგრაფიული მუშაობის აუცილებლობას, უამისოდ გამწელებოდა მთარგმნელობა. მთარგმნელობითი მუშაობის გაფართოება კი, თავის მხრივ, მწვავედ აყენებდა ორენოვანი, განმარტებითი და ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონების შედგენის საჭიროების საკითხს. იმისათვის, რომ თარგმნო, ან წერო ორიგინალური თხზულებანი, აუცილებელია საფუძვლიანად ეუფლებოდე შესაბამის ენათა ორთოგრაფიულ და ორთოეპიულ წესებს. სპეციფიკური ცნებებისა და სიგყვების სემანტიკას, სათანადო ლექსიკის სიგყვათწარმოების ლიგერატურულ ნორმებს. ეს კარგად ესმოდათ ძველ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ქართული კულტურის ცენტრებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ეწეოდნენ

უკართო ლიგერატურულ-მთარგმნელობით მუშაობას. საეკუ-
ბით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართული მთარგმნე-
ლები, ბერძნულ ლიგერატურულ ძეგლებთან ერთად, სწავ-
ლობდნენ მათ ლინგვისტურ ნაშრომებსაც, რაც ანტიკურ თუ
ბიზანტიურ ცივილიზაციასთან ახლოს მისვლის წინაპირობა
იყო. ქართველებმა რომ საფუძვლიანად შეისისხლხორყეს
და გაითავისეს ბერძნული მაღალი სულიერი კულტურის
მრავალი თხზულება, ნათლად ჩანს იმ აუარებელი ნათარგ-
მნი ლიგერატურიდან, რომლებიც ქართველმა მოღვაწეებმა
შესძინეს ქართულ მწერლობას საშუალო საუკუნეებში.

„ამიგომ ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებიც ჩვენ
უნდა ვეძიოთ ძველ მთარგმნელთა ქმნილებებში. პირველი
ქართველი ლექსიკოგრაფოსი, ამ სიგეების სრული მნიშე-
ნელობით, უდავოდ პირველი ავგორ-მთარგმნელი უნდა ყო-
ფილიყო. მათი თარგმანების ნუსხებზე დართული სქოლიო-
შეისწავეები ძვირფას ლექსიკოგრაფიულ ცნობებს გვაწე-
დიან“ (19, 8).

მართლაც, ამის დასტურია ეფრემ მცირის „საამოციქუ-
ლოს თარგმანების“ ერთი ხელნაწერის ანდერძი. სადაც ის
ბერძნული ენის ლექსიკის სიმდიდრესა და მრავალფეროვნე-
ბაზე ლაპარაკობს და იქვე აღნიშნავს ქართულად თარგმნის
სიძნელეებს. ამასთან დაკავშირებით ავგორი ხაზგასმით მი-
უთითებს ლექსიკოგრაფიული მუშაობის აუცილებლობაზე.
„ღრმათა წიგნურთა სიგყუათა“ „ქართულის შემსგავსებით“
ჯანმარტებებზე, რასაც უხეად ეპოულობთ მის ნათარგმნ
შრომებში.

სხვაგან ეფრემ მცირე გვაუწყებს, რომ ის იცნობდა ბერ-
ძნული ენის ლექსიკონებს, მაგალითად, ერთი თავისი
ორიგინალური ნაშრომის ბოლოსიგევაობაში სწავლის მოყ-
ვარეს ასე მიმართავს: „...ამას თანა ამასცა მეცნიერ იყავ,
ვითარმედ ესრეთ აქუს ჩვეულებაი წიგნებსა ბრძენთასა,
რათა ანბანსა ზელა განაწყობდნენ (ხაზი ჩვენია - კ. ჳ.)

ყოველთაეს სიგყვათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაითა ადვილ იყენენ საპოუნელად და წიგნსა მას „ლექსიკონი“ უწოდებენ (ხაზი ჩეენია – კ. ჭ.) რომელ არს ლექსთაი, ესე იგი არს ღრმათა სიგყუათაი“ (20, 10).

მეგად საყურადღებოა, რომ ეფრემ მცირე თაეად გეთავაზობს ლექსიკონთა შედგენის წესებს და ამავე ღროს მოკრძალებით ახასიათებს იმ ღროს ცნობილ ლექსიკოგრაფთა ღვაწლს. „მის მიერ შემუშაუებული ლექსიკოგრაფიის თეორიული პრინციპები ასახაეს ეპოქის მეცნიერების მიღწევათა ღონეს და ღღესაყ ინარჩუნებს ცხოველ ინტერესს. ეფრემ მცირის ნაშრომები ეხმაურებიან და მხარს უსწორებენ შუა საუკუნეთა ეპოქის ლექსიკოგრაფიას და მათ მნიშვნელობა აქვთ არა მარტოოღენ ქართული, არამედ ზოგადი ლექსიკოგრაფიის ისტორიის საწყისი პერიოღის ძირითადი ტენღენციების გასათეაღლისწინებღად“ (20, 11).

ღექსიკოგრაფიული შენიშვნები თუ განმარტებები სხეა აეგორებთანაყ უხეად გკხეღება, რაყ იმის ნიშანია, რომ ქართველი მოღვაწენი ბერძნულ-ბიშანტიურ ლექსიკოგრაფიულ მეცნიერებაში გათვითცნობიერებულნი და განსწაულულები იყენენ და კარგად ხეღაეღენ, რომ ამ მიმართულეებით მუშაობა აუციღებელი იყო მშობღიურ ენაშიყ.

ქართველოლოგთა ნაწიღი იმასაყ ვარაუღობს, რომ პეგრიწს უნღა პქონოღა დაწერიღი ქართული ენის გრამატიყა.

აკი საბაყ ჩივის, რომ „მე სულხან-საბა ორბელიანს, ჭაბუკობისა ეამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიყს ამა წიგნსა მეღა, რამეთუ ქართულთა ენითა ლექსიკონი აღარა იპოებოღა, რამეთუ ეამთა ვითარებითა უჩინო ქმნიღიყო“ (ხაზი ჩეენია – კ. ჭ.) (11, 01).

როგორყ ვხეღაეთ, საბას ღრმა რწმენით ქართვეღებს პქონღათ ქართული ენის ლექსიკონი, რომელიყ შემღგომ დაკარგულა.

ასეა თუ ისე, ჩვენ ამეკამბად ხელთა გვაქვს მხოლოდ ს. ს. ორბელიანის (1658-1725) „ქართული ლექსიკონი“ ანუ „სიგყვის კონა“, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ. ეს არის პირველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

ს.-ს. ორბელიანის „სიგყვის კონასთან“ დაკავშირებით, პირველ რიგში, ღვება მისი დაწერის თარიღის საკითხი.

„სიგყვის კონის“ დათარიღების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მათ შორის ყველაზე სარწმუნო ჩანს აზრი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ნაშრომი დაწერილია 1676-1680 წლებს შორის.

საბას „სიგყვის კონა“ არის პირველი განმარტებითი ლექსიკონი იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილეში.

ზოგი მკვლევარი უფრო ფართო მასშტაბურ მნიშვნელობას ანიჭებს „სიგყვის კონას“: „საბას ნარულუნევი არა მარგოლენ პირველი ქართული სწორუპოვარი ლექსიკონია, არამედ იგი უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ერთ-ერთ პირველ, ანბანზე გაწყობილ, თავისებურ ენციკოლოპედიურ ლექსიკონად დასაველეთშიაც. XVII ს. ლექსიკოგრაფიამ, საბას ნაჭირნახულევს გარდა, არ იცის ამისთანა ორიგინალური და ფართოდ გაამრებული ლექსიკონი. საბამდელი ლექსიკონები, კერძოდ რუსეთში, იყო ანბანზე განუწყობელი, სიგყვათა კრებულები ან კონები, რომელთაც უპირატესად პრაქტიკული მიზნებისათვის ადგენდნენ“ (20, 49).

მაღალ შეფასებას აძლევს საბას ლექსიკონს გრ. ყიფშიძეც: „როცა საბა თავის ლექსიკონის შედგენას ადგა, ესე იგი, ახალგაზრდობაში, დაახლოებით 1675-1705 წლებს შორის, მთელი 30 წლის განმავლობაში, არსად არ მოიძებნებოდა ისეთი ლექსიკონები, რომელსაც შეეძლო შესამჩნევი სარგებლობა მოეგანა ჩვენის გამოჩენილის ყოველად ნიჭიერის ლექსიკოგრაფისათვის. საბა თითქმის პირველი

პიონერია ლექსიკონის შედგენის საქმეში და მთელს ქვეყნიერებაზე იმას ეკუთვნის ამ საქმის პრიორიტეტი“ (19).

რა ძირითადი ნიშან-თვისებებით ხასიათდება საბას განმარტებითი ლექსიკონი?

საბას „სიგყვის კონაში“, პირველ ყოელისა, შესულია ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკა. ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის ხელნაწერებში, ცოგაა ისეთი სიგყვა, რომ საბას ლექსიკონში არ მოიპოვებოდეს. საბა რომ ძველი ქართული სამწერლო ენიდან კრებდა სალექსიკონო ერთეულებს, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ განსამარტავ სიგყეებს თან ახლავს შესაბამისი კონტექსტი, რაც სიგყვის მნიშვნელობას შუქს ფენს და აზუსტებს.

საბას ლექსიკონში შეგანილია ყველა თანრიგის სიგყვა: სახელები (არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები და ნაცეალსახელები), გმნები, გმნიმედები, ნაწილაკები, კავშირები, თანდებულები, შორისდებულები.

რა თანმიმდევრობით ლაგდება სიგყვები ლექსიკონში? აქ ორი წესი მოქმედებს: ანბანის რიგზე გაწყობა და ბუდეებად დალაგება. ბუდეებად დალაგებისას ამოსაეალ სიგყვასთან მოიყრის თავს მისგან ნაწარმოები ყველა სიგყვა, განურჩევლად იმისა, თუ რა ასოთი იწყება ეს ნაწარმოები სიგყვა. მაგალითად, სახლ-თან გეექნება ნასახლარი, მოსახლე, მოსახლეობა, სახლობა, სახლ-კარი, უსახლ-კარო, სახლ-კარიანი, სამოსახლო, დასახლება, განსახლება, გადასახლება, გადმოსახლება...

ერთი ფუძისაგან ნაწარმოებ სიგყვათა ერთად დალაგებას აქვს თავისი დადებითი მხარე, კერძოდ, ადვილდება ნაწარმოები ფუძეების მნიშვნელობათა ახსნაცა და მათი მიმართებაც ამოსაეალ ფუძესთან. ენათმეცნიერული თეალსამრისით, სიგყვების ბუდეებად დალაგებას აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, განმარტებითი ლექსიკონისათვის მთავარია სიგყვის მნიშვნელობის ახსნა. სიგყვას არა აქვს ცალსახა მნიშვნელობა. კონტექსტების მიხედვით მას განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები ეძლევა, ზოგჯერ კი ამოსაეალ, ძირეულ მნიშვნელობას არსებითად შორდება კიდევ – ამიგომ „კონტექსტის გარეშე სიგყვის მნიშვნელობა ჩვეულებრივ სქემატური და არასარწმუნო ჩანს“ (2, 63). როგორც ჩანს, საბას ეს გარემოება კარგად ესმოდა და ამიგომ სალექსიკონო ერთეულები ილუსტრირებულია წერილობითი ძეგლებიდან ამოღებული სათანადო კონტექსტით.

მეგად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საბას თავის ლექსიკონში შეუტანია არა მარტო ძველი ქართულის ლექსიკა, არამედ თავისი დროის სასაუბრო ქართულის ისეთი რიცხვებიც, რომლებიც სამწერლო ძეგლში იშვიათად თუ მოპყვებოდა ანდა რომელთაც სამწერლო ენა საერთოდ ვერ იგუებს. საყურადღებოა, რომ ქართული სიგყვა, სამწერლო ძეგლებში ხმარებულები და მწერლობაში უხმარიც, საბას ქართული ენის კუთვნილებად მიაჩნდა და „ენის სისრულისათვის“ შექმონდა ლექსიკონში.

ამასთან დაკავშირებით თავის ანდერძში საბა წერს: „ამა წიგნთა შიგა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საქაველნი, უბაგონო და ცუდი. არა თუ კიუხვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღესწერე. თუმცა უბადლო სახელი აღმოიკოცოს, მერმელა უდარესი მოაკლდეს უდარესსა, და ღმერთი-და დარჩეს უკეთესი და სხუა არა-რა, და შემციოდეს ენა ქართული. ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნამრომთა ამათ ჩემთა. მათ, თუმცა წერილნი უყუარან, მრავალნი სხუანი წერილნი არიან, სამლთონი და საერონი, და რომელიც ენებისთ, იგი იკითხნენ, ხოლო ესე ჩემებრ უცებისათვის აღიწერა და დაუგეონ“ (11, 03).

ამრიგად, საბამ თაეის ლექსიკონში შეიგანა როგორც მწერლობის ლექსიკური მასალა, ასევე მის დროს გეპირ-მეგყეულებამი სმარებუელი მრავალი სიგყეა. ამდენად მისი „სიგყეის კონა“ მთლიანად ქართული ენის საუნჯედ გვეუ-ლსინება.

ამგვარი სიგყეების ლექსიკონში შეგანით საბამ მრავალი ქართული სიგყეა ვადაარჩინა დაეიწყებას და შემოუნახა ქართულ ენას, რითაც მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიას.

საბას ლექსიკონის შედგენილობაზე, სალექსიკონო ერთეულების გამოყოფისა და საერთოდ მისი ლექსიკოგრა-ფიული მეთოდების შესახებ შეიძლებოდა უფრო ვრცლად გვესაუბრა, მაგრამ რადგანაც ამ მიმართულებით მრავალი ნაშრომი დაიწერა ქართულ ენაზე, ჩვენ ამჯერად ამით დაკმაყოფილდებით. აქ დავიმოწმებთ მხოლოდ ჩვენს სამეცნიერო ლიგერატურაში მოცემულ საბას „სიგყეის კონის“ შეფასებას: „უბაღლო ნიჭმა და მშობლიური ენის, მშობელი ქვეყნის თაედადებულმა სიყვარულმა შეაძლებინა საბა-სულხანს შეექმნა ქართული ენის ლექსიკონი („სიგყეის კონა“). – ქართული ენის საუნჯე, შრომა, რომლის მნიშე-ნელობაც ქართული კულტურის ისტორიისათვის მით უფრო ნათელი გახდება, რაც უფრო ვამოწვლილვით იქნება „სიგყეის კონა“ შესწავლილი“ (21, 79), ანდა: „საბამ საფუძ-ველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას და ერთბაშად აიყვანა იგი იმ პერიოდის ევროპისა და აზიის ენების ლექსიკოგრაფიის ცონებე, არაჩეულებრივი გულმო-დგინებით შეაჯერა მისთვის ხელმისაწვდომი წყაროები, ამოკრიბა იქიდან შესაბამისი მასალა, გამოავლინა და მართებულად დაახასიათა ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი“ (20, 52).

კათალიკოსი ანგონ პირველი (1720-1788) ქართული „ეკლესიის ისტორიაში დგას როგორც მრავალმხრივ განათლებული მონუმენტური ფიგურა. მან თავისი დროისათვის ფართო თეოლოგიურ-მეცნიერული განათლება მიიღო რუსეთში, სადაც რვა წელიწადი გაატარა (1756-1764). რუსეთში ანგონმა საფუძვლიანად გაიცნო რუსული და ევროპული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურა, გაიცნო რუსული საეკლესიო დაბალი, საშუალო და მაღალი სკოლის ტიპები, დაამზადა მთელი რიგი სასკოლო სახელმძღვანელო, შეისწავლა დაწერილებით რუსეთის ეკლესიის წყობილება, ასე რომ, რუსეთიდან დაბრუნებისას, მან საქართველოში წამოიღო გამოცდილებისა და ცოდნის დიდი და მდიდარი მარაგი საეკლესიო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მწერლობის გასამდიდრებლად. 1755 წელს თბილისში, ხოლო 1782 წელს თელავში გაიხსნა სემინარიები. მათთვის მან დაწერა, თუ სხვებს დააწერინა, თითქმის ყველა საჭირო სახელმძღვანელო, მოახდინა საეკლესიო მართვა-გამგეობაში ისეთი ცვლილებანი, რომელნიც, რუსეთის ეკლესიის მიხედვით, საჭიროდ მიაჩნდა, თარგმნა და შეთხზა მთელი რიგი საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და ლინგვისტური შრომა.

„ანგონის უზარმაზარ მეცნიერულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი, – წერს, აკად. კორნელი კეკელიძე, – საოცარია, როგორ შესძლო ერთმა კაცმა, რომელიც ამასთანავე პრაქტიკული საქმიანობით იყო დატვირთული, უამრავ ორიგინალურ თხზულებათა შექმნა და თარგმნა. ანგონის კალამი, მისი ღრმად განვითარებული გონება თანაბარი ნაყოფიერებით ქმნიდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში ფუნდამენტურ ნაშრომებს. მას შრომები აქვს დაწერილი ეგზეგეტიკაში („ითარგმნება რომაელთა მიმართ ეპისკოპოსისა“, „განმარტება მოწყა-

ლესი“), დოგმატიკა და პოლემიკაში („კატეხიზმო“, „ღეთის-მეცყველება“, „მზამეცყველება“...); ლიტურგიკაში („ტიპიკონი“), ისტორიაში („წყობილსიგყვაობა“, „მოკლე ისტორია საქართველოსი“, „ქართველ მეფეთა შთამომაბელობა“...), ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში (7).

როგორც ვხედავთ, ანგონის მოღვაწეობა მეტად ფართო და შინაარსიანია. უთუოდ დიდია მისი დამსახურება მეთერამეცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სულიერი კულტურის შექმნასა და განვითარებაში.

განსაკუთრებით ეს ეხება საეკლესიო მწერლობას. „მეთერამეცე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანგონ კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში“, – წერს აკად. კორნელი კეკელიძე (7, 358).



ანგონ I

ანგონ პირველის მრავალ-მხრივი ისტორიულ-ლიტერატურული მოღვაწეობიდან ჩვენ ამჯერად შეეხებით მხოლოდ მის წვლილს ქართველოლოგიაში, კერძოდ კი – მის გრამატიკულ ნააზრევს. ანგონმა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევით „ქართული ღრამმატიკა“ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლინგვისტურ აზროვნებას. ამ მონოგრაფიაში დადგენილია ქართული ენის ძირითადი გრამატიკული ცნებები და შესაბამისი ტერმინები. ამდენად, ანგონის გრამატიკას გვე-

რდს ვერ აუელის ვერც ერთი ქართველოლოგი. მით უმეტეს, რომ ამჟამად ხელთ გვაქვს მისი მონოგრაფიული მეც-

ნიერული ანალიზი, სადაც განსაზღვრულია ანგონის „ქართული ღრამმაგიკის“ ადგილი ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ანგონმა ქართული ენის ორი გრამატიკა შეადგინა, პირველი ვარიანტი 1753 წელს, ხოლო მეორე, უფრო ვრცელი ვარიანტი – 1767 წელს. ეს მეორე ვარიანტი თავისი სისრულითა და მეცნიერული დონით ვაცილებით მაღლა დგას პირველ ვარიანტზე.

რადგანაც ქართულ საენათმეცნიერო ლიგერაგურაში ანგონის ორივე გრამატიკა ერცლად არის გაანალიზებული. ამდენად ჩვენ აქ წარმოვადგენთ მის სქემაგურ სურათს არსებული ნაშრომების მიხედვით.

ანგონს თავის ნაშრომში განხილული აქვს ქართული ენის რთული იერარქიული სისტემის ოთხივე ქვესისტემა: ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკური და სინტაქსური.

ანგონი, მაშინდელი გრამატიკული აზროვნების გრადიციის მიხედვით, გრამატიკას ასე განმარტავს: „ღრამმატიკა არის შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერ წერად“ (18, 115), ე.ი. გრამატიკა აგეარებს, ადგენს და არკვევს ორთოგრაფიულ და ორთოეპიულ საკითხებს. ასევე განმარტავდა გრამატიკის საგანს, მის ამოცანას დიონისე თრაკიელი თავის „ტეხნე გრამატიკაში“ („გრამატიკული ხელოვნება“), რომელიც დაიწერა ძვ. წ. ა. II–I საუკუნეთა მიჯნაზე, ანგონი თავადაც აღნიშნავს, რომ მისი განმარტება არ არის ორიგინალური: „ხოლო განსახიერება ესე ჩუშნი არა წინააღუდგების განსაზღურებათა სხუთა ღრმმატიკოსთა ძუშლთა, ანუ ახალთასა“ (18, 115).

ანგონი ქართული ენის ფონეტიკური სისტემის ერთეულებს ორ ჯგუფად ყოფს – ხმოვნებად და თანხმოვნებად. ამასთან დაკავშირებით წერს: „ხოლო ენამან, ჩუშნი, ქართულშთამან, მიიღო პირველთაგან ჩუშნდა ოხურისათოს

სანაწევრომსა ასონი ხუთნი (ხაზი ჩვენია – კ.ჭ.), მით რომელ მაშინდელთა მოძღუართა ხუთნი ოდენ ხმოეანნი ასაჭიროენეს ენასა სუფთა ქმნილსა ფარნაეაბისაგან ქართლოსიანისა პირველსა მეფისა ქართუმლთასა, ხოლო დაპრთენეს მას ზედა წიგნნი უხმონი რიცხვით ოცდაათხუთმეგნი“ (18, 116).

როგორც ვხედავთ, ანგონი ქართული ენის ფონეტიკურ სისტემაში გამოყოფს 40 ერთეულს. ესენია: ა, ბ, გ, დ, ე, ე, მ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, უ, ო, პ, ჟ, რ, ს, გ, უ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, ჭ, ს, კ, ჯ, პ, მ, ფ.

როგორც ზემოთ მოგანილი ციგატიდან ჩანს, ანგონი თანხმოვნებს უწოდებს „წიგნს“, ხოლო ხმოვნებს „ასოს“. ამას ის სხვაგან უფრო გამოკვეთილად ამბობს: „რომელნიცა არიან უხმონი ითქმიან წიგნად (ხაზგასმა ჩვენია – კ.ჭ.) და ბრჯგულ“ (18, 116).

თანხმოვანთა სისტემა დახასიათებულია და კლასიფიცირებულია წარმოების ადგილის მიხედვით. ანგონი განიხილავს ბგერათა ფონეტიკურ ცვლილებებსაც. მისი ამრით, ქართულში ბგერათცვლილება სამი სახისაა: 1. „დადება“//„ღართვა“, ე.ი. დამატება, 2. „მოსპობა“, ე.ი. დაკარგვა და 3. „სეპლება“, ე.ი. ცვლილება. ბგერათა ამგვარ ცვლილებას ადგილი აქვს სახელთა ბრუნებასა და სახელთა წარმოქმნაში, მზნათა უღვლილების ფორმებში.

ანგონი ეხება მარცვლის პრობლემასაც. მისი განმარტებით: „მარცვალი არის ხმაჲ რაჲმე, რომელი ერთითა აღმოოკრეთა გამოიღების პირისაგან კაცისა“, ანდა: „მარცვალი არს ოხრუარაჲმე ნაწეუარიანი ასომსა ძლით შედგმული, ანუ მარტივი“ (18, 118).

როგორც ვხედავთ, ანგონის განსაზღვრებით, მარცვალი არის ჰაერის ერთი ამოსუნთქვა, მარცვალი წარმოითქმის ერთი ამოსუნთქვით. მარცვალი შეიძლება იყოს „შედგმული“ ანუ შედგენილი ხმოვნისა და თანხმოვნისაგან (მაგ.: კაც,

ხარ...), ან მარტივი, რომელიც მხოლოდ ერთი ხმოვნისაგან შედგება.

ამრიგად, ანგონის განმარტებით, მარცეალი არის ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმული ბგერა ან ბგერათა კომპლექსი.

ბგერათა და მარცეალთა განხილვის შემდეგ ანგონი გადადის სიგყვის (ლექსემის) ცნების განხილვაზე. ის „ლექსს“ ლექსიკურ ერთეულს უწოდებს.

როგორც ცნობილია, ლექსიკური ერთეულის, სიგყვის, ლინგვისტური დეფინიცია თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და ამავე დროს საკმაოდ რთული პრობლემაა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებთ ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერის შ. ბალის აზრს ლექსემის ცნების სირთულის შესახებ: „სიგყვის ცნება თითქოს ნათელია, სინამდვილეში კი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ორამბროვანი ცნება, რომელიც ენათმეცნიერებაში გვხვდება“ (29, 315).

ლექსემის დეფინიციის სირთულეზე წერენ სხვა ენათმეცნიერებიც (ლ. შჩერბა, ა. რეფორმატსკი...).

ანგონის გრამატიკული ნააზრევის განხილვასთან დაკავშირებით ლექსემის ცნების რაობის დეფინიციის სიძნელებზე იმიტომ შევრჩერდით, რომ უფრო ნათელი გამხდარიყო, თუ რა რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა პირველი ქართული ორიგინალური გრამატიკის ავტორი ანგონ პირველი, როცა მან სცადა სიგყვის ცნების რაობის გარკვევა.

ანგონი ლექსს (ანუ სიგყვას) ასე განმარტავს: „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“ (18, 120). მკვლევართა აზრით, „მოგონება“ ანგონთან აღნიშნავს წარმოდგენას, იდეას. თუ ეს ასეა, მაშინ ლექსი (ანუ სიგყვა) უკავშირდება უშუალოდ საგნის წარმოდგენას, საგნის შესახებ იდეას... ხოლო „ნებისაებრ ჩვენისა“ უნდა გავიგოთ ასე: სიგყვა წარმოდგენის, იდეის მიმართ ნებისმიერია, ე.ი. არ არის ის განპირობებული საგნის წარმოდგენით, კავშირი

სიტყუასა და წარმოდგენას შორის ნებისმიერია. ანგონის თეალსაზრისით, თანამედროვე ლინგვისტიკის გერმინოლოგიაში რომ გადავიყვანოთ, ასეთ სახეს მიიღებს: აღმნიშვნელი აღსანიშნის მიმართ ნებისმიერია. თუ ეს ასეა, მაშინ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავგახსენდეს სოსიურის საყოველთაოდ ცნობილი დებულება: „კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ნებისმიერია“ (42, 100). ეს გარემოება აქვს მსედველობაში პროფ. ალ ფოცხიშვილს, როცა წერს: „ჩვენ ანგონის უდიდეს დამსახურებად მიგვაჩნია სწორედ ის, რომ მან ნიშნის ნებისმიერობის დებულებას ადგილი მიუჩინა ქართული ენის გრამატიკაში, რომელიც, როგორც ადრე ეთქვით, უფრო ფართო პლანით იყო შედგენილი, ვიდრე უბრალო გრამატიკის სახელმძღვანელო“ (15, 81).

ანგონი სიტყვის განსაზღვრების შემდეგ გადადის წინადადების ცნების განმარტებაზე. მისი აზრით, წინადადება უფრო მსხვილი ენობრივი ერთეულია და სიტყვების შეერთებით იქმნება. წინადადებას ანგონი უწოდებს სიტყუას. აქედან: „სიტყუა არს შეერთება ლექსთა ცხად-მყოფი მოგონებისა“ (18, 121)

ანგონის აზრით, ზემოთ განხილულ ენობრივ ერთეულებთან (წიგნი, მარცვალი, ლექსი) შედარებით წინადადება მთავარი, ძირითადი ენობრივი ერთეულია: „სიტყუა უადრეს არს, წერს ის, მით რომელ სიტყუა არს შეერთება ლექსთა ცხად მყოფი მოგონებისა“ (18 121).

ანგონს გარჩეული აქვს სრული და არასრული წინადადებები.

შემდეგ ანგონი განიხილავს მეტყველების ნაწილებს. ის ქართულ ენაში გამოყოფს მეტყველების რვა ნაწილს. ესენია: სახელი, ნაცვალსახელი, გმნა, მიმღეობა, თანდებული, გმნიმედა, კავშირი, შორისდებული.

ანგონი ასე ახასიათებს მეტყველების ნაწილებს: „სახელი არს ნაწილი სიგყვისა, გამრჩევი წოდებით თუთომსა მყოფთა არსებისა“ (18, 121). ე.ი. სახელი არის წინადადების ნაწილი, რომელიც საგანს აღნიშნავს. ანგონის ამრიგით, სახელი საგნის რაობას რაიმე შინაგანი თვისებებით კი არ განსამღვრავს, არამედ მხოლოდ სახელწოდებით. სახელები, თავის მხრივ, იყოფა არსებით და მელსართავე სახელებად. არსებითი სახელები სამ ჯგუფს ქმნიან: საზოგადო („ზოგებითი“), საკუთარი („კერძობითი“), კრებითი („შემკრებლობითი“).

საზოგადო სახელი აღნიშნავს საერთო, საზოგადო საგანს, რომელიც შეიძლება მრავალი იყოს (კაცი, ცხენი, სახლი, ქალაქი...). საკუთარი სახელი აღნიშნავს მხოლოდ ერთს, ინდივიდუალურ საგანს (პეტრე, ეფრატ, მცხეთა...). კრებითი სახელი აღნიშნავს ერთ მთლიანად შეერთებულ მრავალ საგანს (არევი, კრებული, ერი...).

მელსართავე სახელი სამგვარია: 1. დადებითი „დადებითი არს მნიშვნელი ნიეთისა მარგიად ვითარებისა, ანუ რაოდენობისა“ (კეთილი, ბოროგი, გრძელი, მოკლე...). 2. შემსგავსებითი: „შემსგავსებითი არს მნიშვნელი ნიეთისა ვითარებისა შემსგავსებითა მეორისა ნიეთისათა“ (კეთილებრი, ბოროტებრი, გრძელებრი, მოკლებრი). 3. უდადებითესი: „უდადებითესი არს აღმაგებითად მნიშვნელი ვითარებისა ერთისა ნიეთისა სხუათაგან ნიეთთა აღრად, ანუ დარედ (უკეთილესი, ანუ ყოვლად კეთილი, უბოროტესი, ანუ ყოვლად ბოროტი, უგრძესი, ანუ ყოვლად გრძელი, უმეცნიერესი ანუ ყოვლად მეცნიერი“ (1, 82).

ანგონი გამოყოფს სახელის ხუთ მორფოლოგიურ კატეგორიას, ანუ, ანგონის გერმინით, ხუთ მღევარს. ესენია: 1. ნათესავი ანუ სქესი: მამრობითი (მამა, ძმა, ბიძა...), მღედრობითი (დედა, და...), უმეშუეობითი (ცუცხლი, წყალი, პაერი...), საზოგადო (შვილი, ლეკვი...). 2. ნაკეუთი. აქ იგულისხ-

მება ფუქეთა შედგენილობა სიმარტივე-სირთულის მიხედვით. მარტივია „მართალი“, რთულია „მართლმადიდებელი“... 3. სახე. აქ იგულისხმება წარმოქმნა: ცა, ციერი... 4. რიცხვი: მრავლობითი და მხოლოდითი. 5. ბრუნვა.

როგორც ვხედავთ, ანგონის „მღევარი“ მოიცავს როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას (ბრუნვა, რიცხვი), ისე ფუძის დახასიათებას შედგენილობა-წარმოქმნის თვალსაზრისით. აქ ანგონის გრამატიკა დიონისე თრაკიელის „ტიქნე გრამატიკას“ მისდევს.

გაუგებრობას იწვევს ანგონის მიერ სქესის კატეგორიის გამოყოფა. ქართულ ენას ხომ აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია არ გააჩნია. ანგონი ამას კარგად ამჩნევს და აკი ამასთან დაკავშირებით საყურადღებო განმარტებასაც იძლევა: „არა რაჲმე აქუს ნიშანი ჩუშნისაებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა და არცაღა მდედრობითად თქმულსა“ (18, 128). როგორც აქედან ჩანს, ანგონმა იცის, რომ არსებით სახელს არ გააჩნია სქესის გამომხატველი ნიშანი, „ხოლო ზედ-მესრულთა სახელთა მდედრობითად აქუს რომელთამე დამაბოლოებელი, მაგალითად, ჭაბუკა, უფალა, მეფა, ყრმაა“ (18, 128). ზედსართავ სახელებს, ანგონის მიხედვით, პქონია სქესის კატეგორია და გამოყოფს შესაბამის მორფემასაც. სათანადო მაგალითები მას დამოწმებული აქვს ძველი ქართული ტექსტებიდან.

როცა ანგონი სქესის კატეგორიას უშვებდა ქართულში, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ემყარებოდა წერილობითი ძეგლების მონაცემებს. რა თქმა უნდა, ზეპირმეტყველებაში ზედსართავი სახელების ზემოთ მოყვანილი ფორმები, არც ძველად და, მითუმეტეს, არც ანგონის დროს არ იხმარებოდა. მაგრამ რამდენადაც ანგონის გრამატიკა ფილოლოგიური გრამატიკაა და ფაქტების ანალიზისას ემყარება წერილობით ძეგლთა მონაცემებს, ბუნებრივია, ის გვერდს ვერ აუვლიდა მათ. სხვა საკითხია, საიდან და რა გზით გაჩნდა ქართულ ენაში გრამატიკული სქესის ხელოვნური ფორმები.

ანგონი ქართულში გამოყოფს რვა ბრუნვას: ესენია: 1. წრფელობითი, 2. ნათესაობითი, 3. მიცემითი, 4. შეპასმენლობითი, 5. დაწყებითი, 6. მოთხრობითი, 7. მოქმედებითი, 8. წოდებითი.

მოთხრობითი ბრუნვა არ გააჩნია არც სომხურსა და არც ბერძულ-ლათინურ ენებს. ქართულში ამ ბრუნვის გამოყოფა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ანგონი ბრმად არ მისდევდა ზემოთ აღნიშნულ ენათა გრამატიკებს, ის თავის კვლევა-ძიებაში დამოუკიდებელი იყო და ქართული ენის სპეციფიკურ გრამატიკულ მოვლენებს ყურადღების მიღება არ გოვებდა, რაც მის ფართო ლინგვისტურ მომზადებაზე და ენობრივ ალლოზე მიგვანიშნებს.

ანგონის სამართლიანი დასკვნით, ქართულს მხოლოდ ერთი ბრუნვა აქვს. ნაშრომში წარმოდგენილია ბრუნვების სათანადო პარადიგმები. ამასთან ერთად განხილულია ბრუნვასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები, ბრუნვათი ფუნქციები.

როგორც ცნობილია, ქართული ენის სისტემის ღერძია მზნა თავისი პოლიპერსონალიზმითა და მრავალი მორფოლოგიური კატეგორიით. უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიურად ასეთი მრავალფეროვანი მეტყველების ნაწილის მეცნიერული კვლევის რთულ გზაზე ყამირი ანგონმა გაგება და საკმაოდ მაღალ დონემეც, როგორც ამას ერთხმად აღნიშნავენ მისი მეკვლევერები.

მზნას ანგონი ასე განმარტავს: „მზნა არს ნაწილი სიგყვისა, ცხადყოფი არსების-ყოფისა და ქმნათა და ენებათა მისთა დროებითად“ (18, 155).

თანამედროვე ქართულ ენაზე ეს განმარტება ასე უნდა ვავიგოთ: მზნა არის წინადადების ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ერთ ფონეტიკურ მთლიანს და გადმოგვეცემს საგნის არსებობას, დროში გადმოცემულ მოქმედებას ან ვნებას (აღ. ფოცხიშვილი). ქართული გრამატიკის პირველ რე-

დაქციაში მოცემულ გზის განმარტებაში აღნიშნულია გზის პირიანობაც. გამოყოფილი აქვს გზის ყველა პირის ნიშანი, რაც უდიდეს ენათმეცნიერულ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს (ალ. ფოცხიშვილი). გზას სამი პირი აქვს: პირველი პირი – „ვინც უბნობს“, მეორე პირი – „ვისადმიც არს უბნობა“, მესამე პირი – „ვისთვისაც არს უბნობა“.

ნაშრომის მესამე ნაწილი, რომელიც სინტაქსს ეძღვნება, ასეა დასათაურებული: „თვის სინტაქსისა ანუ შეთხზვა ნაწილთა სიგყვისათა და მოქმედებისა მათისა“. ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადად განხილულია წინადადების წევრთა შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობის საკითხთა მთელი წყება. აი, მოგიერთი მათგანი: 1. მეგყველების ნაწილთა ორგვარი შეთანხმება, 2. სახელისა და გზის შეთანხმება, 3. არსებითისა და გედსართავის შეთანხმება და ა.შ.

ერთი სიგყვით, ანგონს საკმაო სისრულითა და საფუძვლიანად აქვს განხილული ქართული ენის სინტაქსური საკითხები, რაც იმ დროის კეალობაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს საერთოდ ლინგვისტიკაში.

ანგონ პირველის „ქართული ღრამმაგიკა“ ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის ვრცელი და ფუნდამენტური გამოკვლევაა. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ის საფუძვლიანად არის შესწავლილი და მიჩენილი აქვს დამსახურებული ადგილი ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში. ამიგომ ჩვენ მასზე სიგყვას აღარ გაუაგრძელებთ, დავიმოწმებთ მხოლოდ სპეციალისტთა შეფასებას:

„ანგონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინარემეცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (21, 9).

„ქართული გრამატიკული აზროვნების საწყისებთან დგას ანგონ პირველის, პირველი ქართული გრამატიკის ავტორის მონუმენტური ფიგურა“ (1,1).

„ანგონი არა მხოლოდ პირველი გრამატიკის ავტორია, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელია საერთოდ“ (15, 43).

„ქართული გრამატიკული აზრის განვითარების კელევა სრულიად წარმოდგენელია და საერთოდ შეუძლებელია ანგონის ღრმად შესწავლის გარეშე“ (15, 43).

ანგონის გრამატიკა მეგია, ვიდრე სასკოლო გრამატიკა. უფრო მეტიც, მის გრამატიკებში განხილული ბევრი საკითხი გრამატიკის ფარგლებს სცილდება და მოგადენათმეცნიერულ დონემდე აღის“ (15, 43).

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ანგონის მეგად საყურადღებო შეხედულება გრამატიკის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის განათლების საქმეში. ანგონის აზრით, შეუძლებელია რაიმე განათლების მიღება გრამატიკის გარეშე;

გრამატიკა, გარდა მართლმეცხველებისა და მართლწერისა, ადამიანს ასწავლის სიბრძნესაც, გრამატიკა სიბრძნის წყაროა: „არა რაა მოყუარება სიბრძნისა იქმნების თეინიერ მართლუბნობისა ანუ წესიერ წერისა. მაშასადამე, გრამატიკაა თეინიერ იჭვისა, არს კარი სიბრძნისა“ (18, 1).

ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ ანგონის „ქართული ღრამატიკა“ დიდ გავლენას მოახდენდა მომდევნო ხანებში დაწერილ ქართული ენის გრამატიკებზე. ეს ასეც მოხდა. ანგონის გრამატიკა საფუძვლად დაედო XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შექმნილ გრამატიკებს. ესაა: არქიმანდრიგ ვაიოზის გრამატიკა (1789 წ.), არქიეპისკოპოს ვარლამის გრამატიკა (1802 წ.), იესე ჩუბინაშვილის გრამატიკა (1818 წ.)...

ეს გრამატიკები არსებითად ანგონის გრამატიკის შინაარსის გამარტივებულ გადმოცემას წარმოადგენენ; ენობრივი მოვლენები მათში გაშუქებულია ანგონის გრამატიკული პოზიციებიდან.

ლიტერატურა

1. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ ჰირეელი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1973
2. ე. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973
3. კ. ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, VI, თბ., 1972.
4. თ. გამყრელიძე, ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა, „მაცნე“, № 1. 1975
5. „დაბადება“, მცხეთური ხელნაწერი, ელ. დოჩანაშვილის გამოცემა, თბ., 1981
6. ფრიდრიხ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954
7. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ისტორია, გ. I, თბ., 1980
8. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I. ნაკე. II, თბ., 1962
9. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1962
10. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, გ. IV, თბ., 1928
11. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928
12. რ. ჯაგარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980
13. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989
14. გ. რამიშვილი, ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბ., 1978
15. გ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984
16. ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979
17. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955
18. თინ. შარაძენიძე, ი. ა. ბოდუენ დე კურტენეს ლინგვისტური თეორია, თბ., 1978
19. ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბ., 1885
20. გრ. ყიფშიძე, საბა ორბელიანი და მისი ლექსიკონი, „სახალხო გამეთი“, № 286, 1911
21. ალ. ლლონგი, ქართული ლექსიკონის საკითხები, თბ., 1983
22. არნ. ჩიქობაია, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965
23. არნ. ჩიქობაია, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1983

24. გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმიკ-ის მოამბე, XIII, თბ., 1942
25. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1946
26. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937
27. Т. Гамкрелидзе, В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984
28. Асмус В. Ф., Демокрит, 1960
29. Т. А. Амирова, Б. А. Ольховников, Ю. В. Рождественский, Очерки по истории лингвистики, М., 1975
30. В. Г. Ахвледиани, Аравское языковедение средних веков, см.: Сб. истории лингвистических учений, Средневековый Восток, Ленинград, 1981
31. Ш. Балии, Общая лингвистика и вопросы французского языка, М., 1955
32. Вильгельм фон Гумбольдт, Язык и философия культуры, М., 1985
33. Вильгельм фон Гумбольдт, Избранные труды по языковедению, М., 1984
34. В. И. Звегинцев, Хрестоматия по истории языковедения XIX-XX веков, М., 1984
35. Я. В. Лоя, История лингвистических учений, М., 1968
36. История лингвистических учений. Древний мир, Ленинград, 1981
37. История лингвистических учений. Средневековый Восток, Ленинград, 1981
38. История лингвистических учений. Средневековая Европа, Ленинград, 1985
39. С. Д. Кацнельсон, История лингвистических учений. Древний мир, Ленинград, 1980
40. Н. А. Кондрашов, История лингвистических учений, М., 1979
41. Джон Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М., 1978
42. А. Ф. Лосев, Статья к диалогу „Кратил“. В кн.: Платон. Сочинение в трех томах, т. III, М., 1968
43. В. В. Иванов, В. Н. Топоров, Санскрит, М., 1960
44. Н. Я. Марр, Грамматика древнегрузинского языка, Ленинград, 1925

45. А. М. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков. М.,-Л., 1938
46. Фердинанд де Соссюр, Труды по языковедению, М., 1977
47. Ю. С. Степанов, Методы и принципы современной лингвистики, М., 1975
48. В. Томсен, История языкознания до конца XIX века, М., 1938
49. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Ленинград, 1941
50. Л. Щерба, Очередные проблемы языковедения, Известия АН ОЛЯ, т. IV, 1945
51. Р. Якобсон. сб. Т. Гамекрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
„ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის“ საგანი და ამოცანები.6	6
ლინგვისტური ამროვნების საწყისებთან.....	13
მიზეზი ენის შესახებ.....	15
ბერძნულ-რომაული ლინგვისტური მოძღვრება.....	17•
ფილოსოფიური პერიოდი.....	17•
ალექსანდრიული პერიოდი.....	31•
ენათმეცნიერება ძველ რომში	38•
ინდური გრამატიკული მოძღვრება.....	48•
შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერება.....	54•
არაბული ენათმეცნიერების პრობლემები.....	58
არაბული გრამატიკის სტრუქტურა.....	61
სინტაქსი.....	64
მორფოლოგია.....	65
ფონეტიკა.....	69
ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია.....	70
ენათმეცნიერება აღორძინების ეპოქაში (XV – XVIII).....	76•
ემპირიზმი და რაციონალიზმი ენის ფილოსოფიაში (XVII-XVIIIსს.).....	81
„პორ-როიალის გრამატიკა“.....	90
ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სათავეები.....	108
ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება.....	112•
თეორიული ენათმეცნიერების კონცეფციის წარმოშობა.....	129•
ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება XIX საუკუნის ნახევარში.....	140•
ნეოგრამატიკული მიმდინარეობა. ნეოგრამატიკოსთა სკოლის წარმოშობა.....	150
ნეოგრამატიკიზმის მეთოდოლოგიურ-თეორიული საფუძვლები.....	151
ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი როგორც ნეოგრამატიკო- სების ლინგვისტური სისტემის საფუძველი.....	155
მოძღვრება ბგერათა კანონებსა და ანალოგიაზე როგორც ენის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.....	162

მოსკოვის ლინგვისტური სკოლა.....	173
ყაზანის ლინგვისტური სკოლა.....	181
ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტური თეორია.....	192
სინქრონიული ლინგვისტიკა და დიაქრონიული ლინგვისტიკა.....	209
ქართველოლოგიის სათავეებთან.....	215
ლიტერატურა	254

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გაშცემლიძე

მხატვარი ი. ჭრელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი მ. ქუმსიაშვილი

სელმოწერილია დასაბეჭდად 11.11.01

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16

პირობითი საბეჭდი თაბახი 1625 საალრ.-სავამომც. თაბახი 12.1

შეკვეთის № 42 გირაფი 200

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის

სარედაქციო-საბეჭდო, დასახელებული კომპიუტერული სამსახური

380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.